# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 26 (386) ◆ 1 – 7 ივლისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.





## სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ პოლიციის ფორმას ამოფარებული ბოროტმოქმედები

რად უნდა კაცის გაუვნებელყოფას ავტომატი. მთავარია, შენ დაასწრო. რაც შეეხება იმას, რომ ვერც რაციით მოახერხეს დროული გადაცემა, ამის მიზეზი უბრალოდ ისაა, რომ იფიქრეს: თუ განგაშს ავტეხთ, პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ, თუ არა და, პასუხს არავინ მოგვთხოვსო. როცა დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ მაინც გაიშიფრებოდნენ, მერე გადასცეს. გვ.5

**ვინ აიძულათ, რომ სიბნელეში ჩაეტარებინათ ოპერაცია?**

## ბუში და პუტინი პანკისში ოპერაციის ჩატარებაზე შეთანხმდნენ...

გვ.3



პუტინს პრესკონფერენციაზე პანკისის შესახებ განცხადებები შემთხვევით არ გაუკეთებია. კანადის სამიტზეც გამოჩნდა, რომ ეს იყო შეთანხმებული ჯორჯ ბუშთან. ამერიკას არ სურს თავისი ჯარისკაცების ჩახოცვა პანკისში და მოხარული იქნება, თუ ხეობას რუსი ჯარისკაცები გაწმენდენ და ისინი დაიხოცებიან. აქედან რომ ერთი კუბო ჩაიტანონ ამერიკაში, საზოგადოება აღშფოთდება და შეიძლება დაღუპულის მშობლებმა თვით ჯორჯ ბუშს უჩივლონ სასამართლოში.



აბა, ვინ ვარ ხლოს მე?

## რუბრიკის პრემიერა ფოტოანტიკვარი

გვ.35

## ბნელა, წვიმს, ფეხი რომ დაგიცდეს, კაციშვილი ხელს არ გამოგიწვდის – შეიძლება ერთი დაცურდეს და მთელი ჯგუფი წაიყოლოსო...

გვ.6



და-ძმა მიდიოდა თურმე. დას ფეხი დაუცურდა, ძმამ ხელი წაავლო და რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლიდან ორივე დაგორდა. ის ადგილი ჯგუფის წინამძღოლმა გვაჩვენა კიდეც. იმ ადგილას ჯვარიც აღუმართავთ.

## იგორ გიორგაძის დაბადების დღე თბილისში და „პატრიოტული ალიანსის" მოლოდინი...

23 ივნისს ალიანსის ლიდერები – თხუთმეტიოდე კაცი კოჯრისკენ წავედით. ღვინო ავიღეთ, ბატკანი დავკალით, ეს დღე აღვნიშნეთ და იგორსაც შევატყობინეთ.

წელს დიდი ძვრები დაიწყება. ხელისუფლებას გააგებინებენ, რომ პასუხი უნდა აგონ და წავიდნენ. გვ.11,14

თუ ხელისუფლებაში ისეთი კაცი არ მოვა, რომელიც ბოლო 10 წლის ანგარიშს მოითხოვს, აქ საშინელება მოხდება. ქართველებს ჩვენი პუტინი გვჭირდება.



დასთან ერთად

## „თუ ვინმეს სიმართლის გარკვევა სურს, გადადგეს თანამდებობიდან ავთო იოსელიანი..."

შევკრებილვართ თურმე ქობულეთში, ერთ-ერთ ოჯახში მე, ბორის კაკუბავა და რუსი სამხედროები და დათო შენგელიაზე ტერაქტი დაგვიგეგმავს... გვ.7

*ჯემალ გოგიტიძე*

## ბრაზილია ჩემპიონია!

გვ.34



## სამხედრო თემაზე: მოჯადოებული წრე, ანუ როგორ კეთდება ფული ჯარისკაცებზე

**როგორ ამსახურეს ჯარში ერთი ძმა მეორის მაგივრად და 43-კილოიანი სამხედრო მოსამსახურე**

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართულ ჯარში მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები თვეობით ძალით ამსახურეს. მეტროსთან დაჭერილი სომხეთის მოქალაქე ახალგაზრდა კაცი შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში რვა თვე ხეხავდა იატაკს, სანამ უფროსობას გააგებინა, რომ მისი ადგილი სომხეთის არმიაში იყო. ერთმა აზერბაიჯანის მოქალაქემ პირნათლად მოიხადა „ვალი" სამშობლოს წინაშე და მხოლოდ ორი წლის შემდეგ, სამხედრო ბილეთის გაცემისას, გაირკვა, რომ მისი გაწვევა არ შეიძლებოდა. გვ.9



## მარტოკაცი ჯაყოების ქვეყანაში

ახლა ისეა, რომ საფლავებს ყიდიან უკვე. ვაკის სასაფლაოზე ბევრი შემთხვევა ვიცი, შთამომავლებმა რომ წინაპრის საფლავი გაყიდეს. აქამდე როგორ მივიდა ადამიანი, როგორმა გაჭირვებამ შეიძლება შენი წინაპრების ძვლები გაგაყიდვინოს?

საფლავს რომ გაყიდი, მკვლელიც სულ უბრალოდ გახდები... გვ.28

## ვერსია: როგორ „ჩაარტყეს" იურა ლაკობას, ანუ კანონიერი ქურდის აღსასრული

გვ.10,13

– რაო, მე არ ვარ კარგი კაცი, ვარღვევ ქურდულ ადათებს? ვის ელაპარაკები, შე აზვარო, თანაც ამ გოიმებთან – და ის იყო სახეში უნდა ელეწა, რომ ლაკობამ უკან მჯდომს, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის ნაგანი უკვე ხელთ ჰქონდა, თვალით ანიშნა და ამ უკანასკნელმაც კეფაში დაახალა ტყვია ლუტუ ყალიჩავას.

„ია ჟე გოვორილ, ჩტო ვსე ონი პიდარასტი. ტისიაჩა ჩეტირესტა ჩელოვეკ ნე მოგუტ მენია უბიტ. პაკალუსტა, ვიპუსტი მენია ატ ტუდა, ა ტო ია ზადიხაიუს," – მის მიერვე გაჩენილი ხანძრის კვამლში იხრჩობოდა თურმე.

როგორ თუ „მენტის" მოსასმენად ქურდებს აგინებო. დასცხეს და დასცხეს – აგინეს და აფურთხეს. მათი ყვირილი მთელ კორპუსს ესმოდა, ყველამ გაიგო, რაც მოხდა. ასე რომ, ორ-სამ წუთში იურა ლაკობამ დაკარგა თავისი ტიტული, ხელები ასწია და მითხრა – მერაბ, ტი პაბედილ, ია ბოლშე ნე ოპასენო, – ძალიან ნაღვლობდა, ასე უბრალოდ რომ გაფუჭდა.

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## „ორ ცხენზე მჯდომები“ გუნდში არ დაიშვებიან

გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტ შევარდნაძეს მაგიდაზე უკვე ხელმოსაწერად უდევს პროექტი სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, რომელიც სახელმწიფო მინისტრის მიერაა შემუშავებული. პროექტის თანახმად, მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფო მინისტრისა და მისი ოთხი მოადგილის ფუნქციები. პროექტის დეტალები მკაცრადაა გასაიდუმლოებული, რაც გარკვეულ ვნებათაღელვას იწვევს კანცელარიის ჩინოვნიკებსა და მრავალრიცხოვან თანამშრომლებს შორის (მათი ნაწილი შეიძლება უმუშევარი დარჩეს). ავთანდილ ჯორბენაძე კანცელარიის მომავალ სტრუქტურულ ცვლილებას აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმას უკავშირებს. ჯერჯერობით, ცნობილია ის, რომ სახელმწიფო მინისტრს ექნება მთავრობის სხდომების მოწვევის უფლება, დღის წესრიგის საკითხების განსაზღვრა, მინისტრებისთვის დავალების მიცემა და პასუხის მოთხოვნა შესრულებულ სამუშაოზე და ა.შ.; ანუ თუ ეს პროექტი განხორციელდა, ფაქტობრივად, სახეზე იქნება პრემიერ-მინისტრის ფუნქციებით და უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფო მინისტრი. ასევე კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, მალე პრეზიდენტი გადაერთვება საგარეო პოლიტიკური პრობლემებისა და უწინარესად, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხზე, ხოლო ეკონომიკურ საკითხებს თითქმის მთლიანად ავთანდილ ჯორბენაძეს და მის გუნდს მიანდობს... აკი აცხადებს ჯორბენაძე, რომ „ორ ცხენზე მჯდომ“ მინისტრებს და ჩინოვნიკებს ამ გუნდში ადგილი არ ექნებათ!

## ზოგს „ქვემოთ დაშვება“, „ზემოთ სვლა“ ურჩევნია

„მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის კანდიდატურის დასახელებამ „მაგიურად“ იმოქმედა მის ხელქვეითებზე. ქონების მართვის მინისტრმა პავლიაშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ, მერაბ ადეიშვილმა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილეებმა გიორგი ისაკაძის თავკაცობით, პარტია „მოქალაქეთა კავშირში“ გაწევრების თხოვნის შესახებ განცხადებები დაწერეს(!) და „დიდ პოლიტიკაში“ მოსვლისთვის მოემზადნენ. ასე რომ, „მოქალაქეთა კავშირი“ სახელისუფლებო პარტიის ფუნქციის აღდგენას მინისტრებითა და ჩინოვნიკებით ცდილობს. პარტიის „ბირთვი“ „მოქკავშირში“ გასაწევრებლად მოლაპარაკებებს სხვა წვრილ თუ მსხვილ ჩინოვნიკებთანაც აწარმოებდა. „ბირთვს“ იმედოვნებს, რომ სახელმწიფო მინისტრის ირგვლივ დაირაზმება თანამოაზრეთა გუნდი, რომელსაც დაეყრდნობა პრეზიდენტი... საბოლოოდ, „მოქკავშირს“ შეუერთდა ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი და ლამის ჩინოვნიკთა, მერების, გამგებელთა და გუბერნატორთა მთელი კორპუსი, რომლებიც სრული შემადგენლობით დაესწრნენ შაბათს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ „მოქკავშირის“ მე-5 ყრილობას, სადაც ეს პარტია კვლავ მმართველ და პრეზიდენტის „საიმედო“ დასაყრდენ ძალად გამოცხადდა... „ალორძინებული“ „მოქკავშირის“ წევრობაზე უარი თქვა ძველმა „მოქალაქემ“ ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა, რომელმაც ამ პარტიაში შესვლა „ქვემოთ დაშვებად“ შეაფასა(!). ლეკიშვილი, მისივე თქმით, ამიერიდან „ზემოთ სვლას“ აპირებს! მინისტრებიდან პარტიაში გაწევრებას არ აპირებს სესილი გოგიბერიძე და მერყეობს დავით მირცხულავა...

## შანტაჟი ჟურნალისტის წინააღმდეგ

დიდი სკანდალი დაიწყო გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ჟურნალისტ თამარ მოლაშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ზეწოლის გამო. ჟურნალისტის ბინას მას შემდეგ დაესხნენ თავს, როცა მან გაზეთში გამოაქვეყნა სამხედრო პროკურორ გია ჯიქიას საქმიანობის ამსახველი კრიტიკული მასალა. მეზობლებმა შეამჩნიეს, თუ როგორ ცდილობდა უცნობი პირი მის ბინაში შეჭრას, რასაც წინ უძღოდა სატელეფონო ზარები და მუქარა. კორესპონდენტი გააფრთხილეს, რომ კრიტიკული მასალების გამოქვეყნების გაგრძელების შემთხვევაში ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ. მუქარა მეორე დღესაც გაგრძელდა. გია ჯიქიამ თავისი მონაწილეობა ამ ამბებში კატეგორიულად უარყო, მაგრამ ფეხზე დადგა ჟურნალისტთა კორპუსი და სახალხო დამცველი თავისი აპარატითურთ, რომლებმაც გენპროკურატურას საქმის დაუყოვნებლივ გამოძიება მოსთხოვეს! აღნიშნული შემთხვევა დაგმო პრეზიდენტმა შევარდნაძემაც. უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ენერგეტიკოსების ბუნტი გრძელდება

7 თვის გაუცემელი ხელფასების მიღების მოთხოვნით გაიფიცნენ „თბილსრესის“ თანამშრომლები, რომელთა ერთ-ერთმა კოლეგამაც სულ ახლახან უსახსრობისა და უკიდურესი გაჭირვების გამო თავი მოიკლა! „თბილსრესის“ მუშა-მოსამსახურეებმა მართვის მთავარი პულტი დაიკავეს და სისტემის პარალიზებით იმუქრებოდნენ — მათ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს და თუ ორშაბათამდე არ მიიღებენ კუთვნილ ხელფასებს, მთელ ენერგოსისტემას გათიშავენ. „თბილსრესის“ მესვეურნი კი აცხადებენ, რომ თანამშრომლები ჯერჯერობით მხოლოდ ერთი თვის ხელფასს მიიღებენ... ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისა და სემეკის ხელმძღვანელობას კი ენერგეტიკოსები აუჯანყდნენ ასევე ხელფასების მოთხოვნით და საპროტესტო აქციაც გამართეს. ისინიც მთელი საქართველოს ჩაბნელებით იმუქრებიან, თუ კუთვნილ ხელფასებს არ მიიღებენ...

## კიდევ ერთხელ ბუნებრივ აირზე

თბილისს კიდევ ერთხელ შეუწყვიტა „საქგაზმა“ გაზის მიწოდება, რომლის შეფმა ლეონიდ დეიკალომ ულტიმატუმის ტონით მოსთხოვა „თბილგაზს“ და ხელისუფლებას სამი მილიონი ლარის დაუყოვნებლივ გადახდა. დეიკალოს განცხადებით, თუ ამ თანხას არ მიიღებს „საქგაზი“, თბილისს გაზის მიწოდება არ აღუდგება. ამ მუქარით შეშფოთებულ ხელისუფლებაში უკვე გაისმის ხმები, რომ შეიძლება თბილისი უგაზოდ დარჩეს თვე-ნახევრის განმავლობაში. საქმე ის არის, რომ „საქგაზი“ წინასწარ ითხოვს გაზის საფასურის გადახდას, რისი საშუალებაც „თბილგაზს“ არ აქვს. სამაგიეროდ, ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ თბილისის მერიაში, რომელიც ბანკებიდან კრედიტების აღების მეშვეობით აპირებს „საქგაზისთვის“ დავალიანების გადახდას და გაზის მიწოდების დაუყოვნებლივ აღდგენას. „თბილგაზის“ ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, ორი კვირის შემდეგ ელის გაზის მიღებას რუსეთიდან. ქართული მხარე იმედოვნებს, რომ დაიყოლიებს „საქგაზს“ და სამი მილიონის ნაცვლად გადაუხდის ერთი მილიონ 700 ათას ლარს, რის შესახებაც ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მოსკოვშიც და თბილისშიც.

„საქგაზისადმი“ „თბილგაზის“ დავალიანება 7 მილიონი ლარია, საიდანაც 4,5 მილიონი ლარი გასული წლების დავალიანებაა. ამასთან, „თბილგაზმა“ დამატებით კიდევ 119 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს, რომელიც „საქგაზმა“ „თბილგაზს“ თანხების დაგვიანებით გადახდის გამო 2002 წლიდან ჯარიმის სახით დაუწესა!

კვირის ბოლოს დეიკალო, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა ქართულ მხარეს ერთი მილიონ 700 ათასი ლარის გადახდის სანაცვლოდ გვიწყალობოს გაზი...

## განათლების მინისტრს პრეზიდენტი მიხედავს

კონტროლის პალატამ პრეზიდიუმის სხდომაზე იმსჯელა განათლების სამინისტროში არსებულ დარღვევებზე და განათლების მინისტრის პირველი მოადგილის, ვლადიმერ სანაძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დასვა. პალატის პრეზიდიუმის დასკვნის თანახმად, 1998 წლის ოქტომბრიდან 2001 წლის ბოლომდე განათლების სამინისტრომ არამიზნობრივად გახარჯა ბიუჯეტიდან გამოყოფილი ერთი მილიონ 200 ათასი ლარი, რაც განათლების სამინისტროს ერთი წლის ბიუჯეტის 70%-ს შეადგენს(!). ამ თანხის განკარგვაზე ხელს კარტოზიას პირველი მოადგილე სანაძე აწერს. მას არ უარუყვია ბრალდებები და გადადგომის შესახებ განცხადებაც გააკეთა!

კონტროლის პალატის სხდომაზე თავდაპირველად გამოცხადდა მინისტრი კარტოზია, მაგრამ მალე მიატოვა იქაურობა იმ მოტივით, რომ გერმანიის განათლების მინისტრს უნდა შეხვედროდა... სხდომაზე მის წინააღმდეგ ბრალდებები არ გამოთქმულა და სულხან მოლაშვილმაც განაცხადა, რომ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა პრეზიდენტისა და პარლამენტის პრეროგატივაა და არა კონტროლის პალატისო!.. და კიდევ: კონტროლის პალატის დასკვნაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაში არსებულ დარღვევებს, კერძოდ იმას, რომ სამინისტრომ ხელოვნურად გაზარდა „დედაენის“ ფასი (4 ლარამდე), 13 ათასამდე სახელმძღვანელოს კი სკოლებამდე საერთოდ არ მიუღწევია!

## სამეგრელოში რწმუნებულ-გამგებლებს „დაერივნენ“

ჩხოროწყუში, გამგეობის შენობასთან მიმდინარე მოსახლეობის საპროტესტო აქცია, რომელიც ახალდანიშნული გამგებლის ალეკო პარტაიას გადაყენებას ითხოვდა, პოლიციამ დაარბია. გამგებელმა პოლიციასა და სპეცრაზმს უხმო და მათი დახმარებით შეაღწია კაბინეტში. ამას კი შეტაკება მოჰყვა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის, რომლის დროსაც დემონსტრანტებს სცემეს. ორივე მხარეს არიან დაშავებულები. ჩხოროწყუს მოსახლეობა რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის, ბონდო ჯიქიას გადადგომასაც მოითხოვს, ისევე როგორც ხობში, სადაც ასევე ახალი გამგებლის გამო ერთმანეთს დაერივნენ ხელისუფლების მომხრეები და მოწინააღმდეგენი, თუმცა ხობში მოსახლეობის გაშველება პოლიციამ შეძლო.

## იყიდეთ, იყიდეთ „ქორფა მწვანილი“!

ფონიჭალელმა აზერბაიჯანელმა მებოსტნეებმა „უნიკალური სარწყავი სისტემა“ აღმოაჩინეს საკუთარი მეურნეობის განსავითარებლად. ისინი საკანალიზაციო კოლექტორებს ამტვრევენ და საგანგებოდ გაყვანილი არხებით... ბოსტნეულს(!) რწყავენ. ამ „სასუქი წყლით“ მოწეულ მწვანილს, კომბოსტოს, სტაფილოს კი შემდეგ თბილისის ბაზარზე ჰყიდიან(!). სპეციალისტებიც ირწმუნებიან, რომ სწორედ ფონიჭალის დასახლებაში მდებარეობს დედაქალაქის კანალიზაციის მთავარი კოლექტორები, რომლებსაც უმოწყალოდ ამტვრევენ ადგილობრივი მემწვანილეები, დაბინძურებულ წყალს აგუბებენ და შემდეგ ბაღ-ბოსტნებზე უშვებენ(!). ეს განუკითხაობა წლების მანძილზე გრძელდება, პატრონი კი არავინაა. ეკოპოლიციამ და სანეპიდსადგურმა რამდენჯერმე ატეხეს განგაში, მაგრამ მემწვანილეები თავისას არ იშლიან და აცხადებენ, წყალკანალი საკმარის სარწყავ წყალს არ გვაძლევს და სხვა გზა არ გვაქვსო(!).

## წერტილი უნდა დაესვას განუკითხაობასა და კორუფციას

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში გაიმართა დახურული სხდომა, სადაც ნატახტართან დაკავებული იარაღის კონტრაბანდისა და ვაზიანის სამხედრო ბაზიდან იარაღის ქურდობის საკითხები განიხილეს. როგორც სხდომის მონაწილენი ირწმუნებოდნენ, საკაოდ მწვავე შეფასებები მიეცა მომხდარ ფაქტებს. კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი დაიმუქრა, რომ თუ გამოძიება ობიექტურად არ წარიმართება და იარაღის მაფიასთან დაკავშირებული მაღალჩინოსნების გვარები არ დასახელდება, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი თავდაცვის მინისტრისა და იმ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს, ვინც ამ საქმეს იძიებს! ბათიაშვილმა განსაკუთრებით მოუწოდა დავით თევზაძეს, განახორციელოს ძირეული საკადრო წმენდა, დააკისროს დისციპლინარული სასჯელი რიგ მაღალჩინოსან სამხედროებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ქართულ ჯარში შექმნილ განუკითხაობასა და კორუფციას...

## მინისტრი პოლიტიკურ დაკვეთაზე ლაპარაკობს

თბილისში მყოფ „სკოტლენდ იარდის“ ინგლისელ კრიმინალთა მითითებითა და ხელმძღვანელობით, ქართველი სამართალდამცველები, რომ იტყვიან, „წელებზე ფეხს იდგამენ“, ოღონდ როგორმე ცოცხალსა და საღ-სალამათს მიაკვლიონ სადმე ბრიტანელ ბანკირ პიტერ შოუს. მათ უკვე საფუძვლიანად გაჩხრიკეს დიდი დიღმის მე-3 და მე-4 მიკრორაიონების კორპუსები და ბინები (სწორედ ამ ტერიტორიაზე იპოვეს პიტერ შოუსა და მისი გამტაცებლების მანქანები), მაგრამ შოუს კვალს ვერ მიაგნეს. უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია კი უკვე საქმის სირთულის შესახებ ალაპარაკდა: იგი პიტერ შოუს გატაცებას პოლიტიკურ დაკვეთად მიიჩნევს და აცხადებს, გამტაცებლების ქმედება ძალიან უწყებებში დაგეგმილ ოპერაციას ჰგავსო(!). ამ ვერსიას არც თითონ პრეზიდენტი შევარდნაძე გამორიცხავს. სახელისუფლებო კულუარებში კი ამტკიცებენ, რომ პიტერ შოუს და ქართველ მაღალჩინოსან ჩინოვნიკებს ბინძური მაქინაციები აკავშირებთ ერთმანეთთან, შოუმ ბევრი რამ იცოდა და ამიტომ მოიშორეს თავიდანო(!). ახლა სამართალდამცავი სტრუქტურები აპირებენ საქართველოში პიტერ შოუს მოღვაწეობის ამსახველი დეტალური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გამოქვეყნებას, სადაც, ექსპერტთა აზრით, ბევრი საინტერესო მინიშნებაც იქნება.

## თუ დაიგვიანეთ, მოსამართლე არ გეყოლება

მალე ჰააგაში დაიწყებს ფუნქციონირებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც ოფიციალურად დაარსდა 1998 წელს და რომლის დოკუმენტზე საქართველოსაც აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მოუხდენია. ამ საკითხებზე სამსჯელოდ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ახლახან გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ქართველმა იურისტებმა დოკუმენტის სასწრაფოდ რატიფიცირება მოითხოვეს პარლამენტისგან. აღნიშნულ დოკუმენტზე 100-ზე მეტ სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი, რატიფიცირება კი მხოლოდ 68-მ მოახდინა. ჰააგის ამ ახალ საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმ პატარა ქვეყნებისთვის, სადაც სისხლიან კონფლიქტებს, გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ამ ქვეყნებს საშუალება ექნებათ ჰააგის ამ მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოში აღძრან სარჩელები კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ფაქტებზე. ამჟამად, თუ საქართველოს პარლამენტმა დროულად არ გაუკეთა რატიფიცირება აღნიშნულ დოკუმენტს, დაგვიანების გამო საქართველოს აღარ ეყოლება საკუთარი მოსამართლე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში.

## საინგილოში ქართული სიტყვა მაინც ისმის

ქართული თეატრი საინგილოში 21 წლის წინ დაარსდა. მაშინ ალბათ ვერც კი იფიქრებდნენ ის ახალგაზრდა თეატრალები, რომ ეს წამოწყება ასეთი საჭირო და გამოსადეგი გახდებოდა და ამით დიდი მამულიშვილური საქმე გაკეთდა. ამჟამად თეატრს ახალგაზრდა რეჟისორი, ალიბეგლის მკვიდრი და ამავე თეატრის ყოფილი მსახიობი დომენტი ბარიხაშვილი ხელმძღვანელობს (იგი მანამდე გურჯაანის სახალხო თეატრში მუშაობდა რეჟისორად).

2002 წლის 21 ივნისს თეატრში შედგა პრემიერა. წარმოადგინეს ედვარ პოს ნაწარმოების მიხედვით შექმნილი პიესა „დოქტორ პაპატჩის ვალსი“. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დომენტი ბარიხაშვილმა. სპექტაკლი ფსიქოლოგიური დრამაა. აღნიშვნის ღირსია თითოეული მსახიობის მაღალი ოსტატობით შესრულებული როლები და მათი გარდასახვის დიდი უნარი. პრემიერას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილეები: გიორგი ცქიტიშვილი და ზურაბ ოკიაშვილი, თეატრის ყოფილი რეჟისორი აზნორ დოლენჯაშვილი, დირექტორი სოსო ბაკურაძე, თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე გულიკო მამულაშვილი.

ქართული კულტურის განვითარების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ღირსების ორდენით დააჯილდოვა ამ თეატრის მსახიობები: ვალიკო მალუმაშვილი, კოტე ბარიხაშვილი, გოჩა შიოშვილი და ბესარიონ ჭაჭაშვილი.

## სახლი „სამომავლო გეგმას“ ვერ დაელოდა...

თბილისში, გოგებაშვილის ქუჩაზე, 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლის კედელი ჩამოიქცა. სახლის მცხოვრებლებმა თბილისის მერიას დახმარებისთვის არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უსახსრობის მოტივით იქიდან უარი მიიღეს. საბედნიეროდ, კედლის დანგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ ნგრევის პროცესში მყოფი ეს სახლი უკვე მეზობელ შენობებს და ხალხს უქმნის საფრთხეს. ქალაქის მერიის სპეციალური კომისიის ამ სახლისთვის მე-3 ხარისხის დაზიანება აქვს მიკუთვნებული და როგორც მისი ბინადარნი ირწმუნებიან, მერიას „სამომავლო გეგმაში“ უზის ამ შენობის მიხედვა... ამასობაში კი, კვირის ბოლოს, სახლი მთლიანად ჩამოიქცა. ეს ერთეული შემთხვევა როდია — საგურამოს ქუჩაზე კოკისპირული წვიმების შედეგად, მიწისძვრით დაზიანებული კიდევ ერთი სახლის კედელი ჩამოინგრა.

## განმარტება

„კვირის პალიტრის“ 24-30 ივნისის (№25) ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით — „ვის შოუს ემსხვერპლა პიტერ შოუ?!“

ციტატაში: „პიტერ შოუს სახელს უკავშირდება რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის საპარტნიორო ფონდში სკანდალები, სასამართლო პროცესები „თბილუნივერსალბანკთან“, „მერკურთან“, „ვითასთან“... და ა.შ. სამწუხაროდ, სტატიის ავტორის მიერ დაშვებულ იქნა უზუსტობა: ჩამოთვლილ ბანკებს შორის არ უნდა მოიხსენიებოდეს „თბილუნივერსალბანკი“.

ბანკის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ ჰქონდათ საქმიანი ურთიერთობა ზემოთ დასახელებულ ფონდთან, მაგრამ დროულად, პარამეტრების სრული დაცვით შეასრულეს ყველა ვალდებულება, არ ყოფილა არანაირი გაუგებრობა და, შესაბამისად, არავითარი სასამართლო პროცესი მათსა და ტასისის ფონდს შორის არ გამართულა. ბანკის ხელმძღვანელობის განცხადებით, „თბილუნივერსალბანკი“ კვლავ აგრძელებს წარმატებულ მუშაობას.

## კონფლიქტი არაფატის ნაცვლით მოგვარდება




არაბულ სამყაროსა და, უწინარესად პალესტინაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის განცხადებას, სადაც მან პალესტინელებს იასირ არაფატისა და მისი ადმინისტრაციის შეცვლა, ანუ თავიდან მოშორება ურჩია... არჩევნების გზით! ბუში დარწმუნებულია, რომ ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესს მხოლოდ პოლიტიკიდან არაფატის წასვლის შემდეგ ექნება წარმატების შანსი! ისლამური სამყაროს ლიდერებმა მხარდაჭერა იასირ არაფატს გამოუცხადეს. ჯორჯ ბუშის შემდეგ განცხადებით გამოვიდა სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც, რომელმაც პირდაპირ მიანიშნა, რომ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაც სწორედ იასირ არაფატის შეცვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ხელისუფლებაში მოვა ძალა, რომელსაც ტერორიზმთან კავშირი არ ექნება!

სხვათა შორის, იასირ არაფატმა გამოთქვა მზადყოფნა, გადადგეს თანამდებობიდან და ბუშის განცხადებას „სეროზული სტრატეგიული გეგმაც“ უწოდა. „მზად ვარ გადავდგე, თუ ჩემს ხალხს და სამშობლოს დამოუკიდებლობა და მშვიდობა ელირსება“, — თქვა არაფატმა და არჩევნების სავარაუდო თარიღად 2003 წლის 10-20 იანვარი გამოაცხადა!

## გარდაიცვალა „ევროს მამა“

ლუქსემბურგში, 88 წლის ასაკში გარდაიცვალა ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი პიერ ვერნერი. იგი მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში შევა როგორც ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღების მთავარი ინიციატორი. „ევროს მამა“ — ასე უწოდებდნენ ვერნერს, რომელიც ახალი ფულადი ერთეულის შემოღების ინიციატივით ჯერ კიდევ 1960 წელს გამოვიდა. მაშინ ახალ ფულად ერთეულს „ევრორი“ უნდა რქმეოდა.

10 წლის შემდეგ, შეიქმნა ე. წ. ვერნერის გეგმა, რომელიც ახალი ვალუტის 1980 წლისთვის შემოღებას ვარაუდობდა. რეფორმის განხორციელებას უეცრად წარმოქმნილმა სათბობის კრიზისმა შეუშალა ხელი.

და მაინც, თუმცა მოგვიანებით, მაგრამ ვერნერის იდეა მისივე სიცოცხლეში განხორციელდა.

# ბუში და პუტინი პანკისში ოპერაციის ჩატარებაზე შეთანხმდნენ...

გასულ კვირას საქართველოს თემამ კვლავ იჩინა თავი ბუში-პუტინის საუბარსა და განცხადებებში, თანაც ფრიად დამაფიქრებელ კონტექსტში. ჯერ იყო და, კრემლში გამართულ უპრეცედენტო პრესკონფერენციაზე, რომელსაც 700-ზე მეტი ჟურნალისტი დაესწრო, პანკისის პრობლემის შესახებ დასმულ შეკითხვაზე პასუხისას რუსეთის პრეზიდენტისგან პირველად გაისმა საჯაროდ: — დღევანდელი რუსეთი მზადაა საქართველოსთან ყოველმხრივი თანამშრომლობისა და პარტნიორობისთვისო, თუმცა მრავალმნიშვნელოვნად და თავდაჯერებულად ბრძანა ისიც, რომ პანკისის ხეობაში რუსის ჯარის გარეშე ვერც ამერიკელები და ვერც მათ მიერ გაწვრთნილი ქართველები ვერაფერს გააწყობენ და ეს კარგად უნდა გააცნობიეროს საქართველოს ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაცო... რამდენიმე დღის შემდეგ კი კანადაში გამართულ „დიდი რვიანის" სამიტზე უკვე პრეზიდენტმა ბუშმა წამოჭრა პანკისის თემა და ჰკითხა პუტინს, — რა მდგომარეობაა და რას აპირებთ პრობლემის მოსაგვარებლადო და პასუხიც შესაბამისი მიიღო: — პარტნიორებთან ვთანამშრომლობთ ამ პრობლემის გადასაჭრელადო(!). რას შეიძლება ნიშნავდეს ეს, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. თუმცა შეგახსენებთ, რომ ამას წინათ, „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, — თუ პანკისში ვითარება არ გამოსწორდა, არ არის გამორიცხული, რუსებმა და ამერიკელებმა ჩვენს დაუკითხავად მიხედონ იქაურობას და მორალური უფლება აღარც გვექნება, წინ აღვუდგეთ მათ განზრახვასო... თავდაპირველად კი იმის შესახებ, რომ 30 ივნისს რუს სამშვიდობოებს ამოეწურათ მანდატის ვადა და დაიწყო დროის ათვლა 31 ივლისამდე, როცა გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთის შესახებ მორიგ რეზოლუციას მიიღებს. რას მოგვცემს ეს რეზოლუცია და რა შეიძლება მოჰყვეს მას? ამ და ზემოაღნიშნულ საკითხებზე ვესაუბრები აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს **თამაზ ნადარეიშვილს** და პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს**.

**თამაზ ნადარეიშვილი:** — დიახ, 30 ივნისი გახლავთ ათვლის წერტილი და რაც უნდა მოხდეს ამ ხნის მანძილზე, სიტყვას არ გავტეხ. 1 აგვისტოს გავაკეთებ ორ განცხადებას: პირველი დაკავშირებული იქნება შექმნილ ვითარებასთან და ჩვენს გეგმებთან, მეორე კი ის იქნება, რომ ვიტყვი: მარტო თამაზ ნადარეიშვილი აფხაზეთს ვერ დაიბრუნებს, ამ პოსტზე ჩემს დარჩენას აზრი აღარა აქვს-მეთქი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულზე ხელს დავიკრეფ. 15 ივლისს ვამთავრებთ ხელმოწერების შეგროვებას. სავარაუდოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს გავუგზავნით მილიონ ორასი ათას ხელმოწერას ჩვენი მოთხოვნებითურთ, რაც დაუდასტურებს გაეროს, რომ ეს ნადარეიშვილის ჭირვეულობა კი არ არის, არამედ საქართველოს ქართული მოსახლეობის თითქმის ნახევრის პოზიცია და მოთხოვნა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, ლტოლვილების დასაბრუნებლად... წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიტოვებთ უფლებას, ვიბრძოლოთ აფხაზეთში დასაბრუნებლად! რატომღაც ჩვენს ხელისუფლებას დიდი იმედი აქვს, რომ 31 ივლისს გაერო რაღაც კარგ დოკუმენტს მიიღებს. მაგრამ ვიცი, რომ კვლავ ფარატინა ქაღალდს გამოგვიგზავნიან.

**— არც ე.წ. ბოდენის გეგმაზე იქნება საუბარი? უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუცია მკაცრად მოუწოდებდა აფხაზურ მხარეს, დაეწყო ამ გეგმის განხილვა, რაც არ გაკეთდა. თუ იცით, რა წერია ამ სასტიკად გასაიდუმლოებულ დოკუმენტში?**

— ბოდენის გეგმას საერთოდ არ განიხილავენ. საოცარია, ხელისუფლებას დიდი იმედი აქვს, რომ აფხაზები მიიღებენ ამ გეგმას და დაიწყება სამშვიდობო პროცესი. აფხაზებს ამ გეგმის დანახვაც არ უნდათ. ჯიუტად აცხადებენ, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართო. არც საქართველოს პარლამენტს მიუღია გადაწყვეტილება კონსტიტუციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის დაფიქსირების შესახებ, თუმცა სპიკერის განცხადებითა და ფრაქციების თანხმობით, თუ 31 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭო კონკრეტულად რაიმეს არ გადაწყვეტს, პარლამენტი ყოველგვარი დებატების გარეშე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას და მოითხოვს გაეროს მე-7 თავის ამოქმედებას. ამიტომ, ამ ერთ თვეში ბევრი რამ გამოიკვეთება. აშკარაა, საქმე გაუარესდება და ვფიქრობ, 1 აგვისტოსთვის ჩვენი ერის აზრიც იქნება მომწიფებული საიმისოდ, რომ კატეგორიულად დავსვათ საკითხი მთელი მსოფლიოს გასაგონად — როდემდე შეიძლება ვუყუროთ ამ უაზრობას, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას! აგერ, მასობრივად მიმდინარეობს აფხაზეთის მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად „მოქცევა"... რაც შეეხება ბოდენის გეგმას, იგი არც ერთ მოდელს — არც ფედერაციას, არც კონფედერაციას და არც სხვა ფორმას არ მიესადაგება. იურისტებმა ვერ გამაგებინეს, რას ნიშნავს ეს გეგმა. იმ გასაიდუმლოებულ საბუთში, რომელიც ერთ-ერთმა პირმა წაიკითხა და რომლის ვინაობასაც ვერ გავამხელ, ბოდენს უწერია — აფხაზეთის სუვერენული სახელმწიფო საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და არა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. ამიტომაც არ უნახავს არავის დღემდე საქართველოში ეს დოკუმენტი, უმაღლესი პირების გარდა. აფხაზებმა კი იმიტომ არ გაიკარეს, რომ ფრაზა „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა" მიუღებელია მათთვის. რაც მთავარია, დოკუმენტში ბოდენი წერს, — თუკი ამ გეგმას კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარე არ მიიღებს, დოკუმენტი უპერსპექტივოდ ჩაითვლება და გაუქმდება.! ასე რომ, ამ დოკუმენტს აღარანაირი მნიშვნელობა აღარა აქვს.

**— რისი იმედი აქვს საქართველოს ხელისუფლებას — პუტინ-ბუშის განცხადებების, მეგობარი ქვეყნების პოზიციისა თუ რისი? ფაქტია, რომ დასავლეთს გაგონებაც არ სურს აფხაზეთში ძალის გამოყენებისა და თუნდაც გაეროს მე-7 თავის ამოქმედებისა.**

— ჩემზე ხორციელდება სერიოზული ზეწოლა როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დიპლომატიური კორპუსიდან. მივიღე წერილი, რომელსაც ხელს აწერენ საელჩოების წარმომადგენლები და მაფრთხილებენ, არ დავუშვებთ ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტასო. ამას ვაფასებ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობად და ამას მწერენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი შინაპრობლემების მოსაგვარებლად მშვენივრად იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს. ზეწოლა მოდის სახელისუფლებო სტრუქტურებიდან და პრეზიდენტისაგან, რომელიც აცხადებს, რომ არ დაუშვებს პარტიზანულ ომს. მაქვს ინფორმაციაც, რომ ერთ-ერთ სტრუქტურას დაავალეს ჩემი და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალების შეთითხვნა. პარლამენტშიც მედავებიან — სამშვიდობო პროცესი კარგად მიდის და შენ შლიო. ამას ემატება ასლან აბაშიძის მიერ მოსკოვში ახლახან გაკეთებული განცხადებები, — სასწრაფოდ უნდა დაიშალოს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება და პარტიზანული მოძრაობა, რუსეთის სამშვიდობო ძალები აუცილებლად უნდა დარჩნენო. ბატონი აბაშიძე აფხაზეთის მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად ჩაწერას გამართლებულად მიიჩნევს — ამით აფხაზებს უსაფრთხოების გარანტიები ექნებათო(!). ესეც ჩვენზე ზეწოლის ერთ-ერთი ფაქტია.

> არ არის გამორიცხული, სულაც აფხაზეთის ტერიტორიაზე გადავიდეთ. მეც მივიღებ მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში. ჩემი სახლ-კარი აფხაზეთშია და მთელი მსოფლიოც რომ დადგეს ფეხზე, ვერავინ დაგვწამებს ან ტერორისტობას, ან სხვა რამეს. ვიცი, ჩვენი ხალხი სწორად გაიგებს ჩემს ნათქვამს.





**— თუ გაქვთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა?**

— რა თქმა უნდა. ეს გახლავთ კომპლექსური გეგმა ბრძოლისა. პარტიზანთა რიგები იწმინდება შემთხვევითი ხალხისა და კრიმინალებისგან. მხოლოდ ერთს ვიტყვი: უამრავი ხალხი მოდის პარტიზანულ მოძრაობაშიც, საშუალებებიც დიდი გამოჩნდა და ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და აფხაზ სეპარატისტებს, ყველას ვაფრთხილებთ — ჩვენ ვერ შევეგუებით აფხაზეთის დაკარგვას! 1 აგვისტოდან ჩვენ გადავალთ მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე: შეიძლება მოხდეს აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში საორგანიზაციო ცვლილებები. შევეცდებით ლეგიტიმური ხელისუფლების დისლოკაციის ადგილიც შევცვალოთ და ა.შ.

**— ანუ გადახვალთ ზუგდიდში?**

— არ არის გამორიცხული, სულაც აფხაზეთის ტერიტორიაზეც გადავიდეთ. მეც მივიღებ მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში. ჩემი სახლ-კარი აფხაზეთშია და მთელი მსოფლიოც რომ დადგეს ფეხზე, ვერავინ დაგვწამებს ან ტერორისტობას, ან სხვა რამეს. ვიცი, ჩვენი ხალხი სწორად გაიგებს ჩემს ნათქვამს.

**— რა ვითარებაა ამჟამად აფხაზეთში და საკუთრივ სოხუმის სეპარატისტულ ხელისუფლებაში?**

— აფხაზი ერი, პრაქტიკულად, ნადგურდება და მისი გენოფონდიც გადაშენების ზღურბლზეა. წესიერი აფხაზებიც (და არა აფსუები) შეწუხებულნი არიან. ძალიან ბევრ აფხაზს ვხვდები, რომლებიც ჩამოდიან ფარულად, ბევრს ტელეფონით ვესაუბრები და ბევრი გულახდილად მეუბნება, — სანამ ქართველები არ დაბრუნდებით აფხაზეთში, არ დაამყარებთ წესრიგს და პასუხს არ მოსთხოვთ არძინბას ხროვას, მანამდე არაფერი ეშველება არც აფხაზებს, არც ქართველებს და არც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების საქმესო! არძინბას რეჟიმი აღარავის ეხატება გულზე. 80 ათასი აფხაზიდან ნახევარი გადაიხვეწა. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ფაქტორები საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს და თავი დაანებოს გაუგებარ ქმედებებს, როცა სეპარატისტებს სერიოზული პრობლემები აქვთ ჯანდაცვის სისტემაში, ჩვენი ხელისუფლება უგზავნის მედიკამენტებს. გადაწყდა, რომ სოხუმში გაიხსნება ტომოგრაფიული ცენტრი, საქართველო აფხაზეთს მოამარაგებს ინსულინით, გაკეთდება ოპერაციები, საავადმყოფოები გარემონტდება და ა.შ. ანუ კუთხეში მიმწყვდეულ სეპარატისტულ რეჟიმს, რომელსაც ცეცხლივით ეშინია საკუთარი ხალხის უკმაყოფილებისა, ჩვენვე ვაძლიერებთ. სოხუმში საკანალიზაციო სისტემას აღადგენს გაერო; განხორციელდება ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროგრამები; უნდა აღდგეს გზები, ხიდები, სკოლები, გაიხსნას რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალი, დამონტაჟდეს ტელესაკომუნიკაციო სისტემები... ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მარტო ტრანზიტული შემოსავლებით და ტურიზმით 2-3 წელიწადში აფხაზეთი საქართველოზე უკეთ იცხოვრებს და აყვავდება. შედეგად, თუ დღეს არ სხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, მერე აქეთ საერთოდ აღარ გამოიხედავენ. იმის მაგივრად, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს კრიზისს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე და ამით გააღვივოს მოსახლეობის სიძულვილი არსებული რეჟიმისადმი, ჯიუტად გაიძახის, ისინი ჩვენი ძმები არიან და უნდა დავეხმაროთო...

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ სახალხო დიპლომატია ამ შემთხვევაში არაფერს მოიტანს?**

— არა, რადგან სახალხო დიპლომატიას მაშინ მოჰყვება შედეგი, თუ მას ძალა უმაგრებს ზურგს. რა თქმა უნდა, აფხაზეთის საკითხი დიდ პოლიტიკასთანაა მიბმული და განისაზღვრება რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობათა პროცესში და კონტექსტში. აფხაზებს არავინ შეკითხვია ომის დაწყებას და არც მის დამთავრებას არავინ ჰკითხავს. მიმდინარეობს გავლენის სფეროთა გადანაწილების პროცესი, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები რთულია და აფხაზეთიც რჩება საქართველოზე ზეწოლისთვის, ეს საცოდავები ვერ მიხვდნენ, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნოწმენდა რუსმა საგანგებოდ გააკეთებინა, რათა ყელამდე გაესვარა სისხლში და ამით ქართველებისკენ გზა სამუდამოდ მოეჭრა მათთვის. გავიდა 10 წელიწადი, „გამარჯვების" ეიფორია დავიწყებას მიეცა, მსოფლიოში ძირეულად შეიცვალა ვითარება. ქართველთა სისხლში გასვრილი აფხაზი ფიქრობს, — მე ხომ პასუხს მაგებინებენ? ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ხედავენ თავიანთ განადგურება-გადაშენებას, შიში პოზიციას არ აცვლევინებს. წყალწაღებულივით ამისთვის ეჭიდებიან რუსეთის მოქალაქეობას. *(თუმცა ანგარიშგასაწევია ისიც, რომ შაბათს, გუდაუთაში 100-მდე აფხაზმა საპროტესტო აქცია გამართა რუსეთის მოქალაქეობის მიღების წინააღმდეგ: სისხლი იმისთვის კი არ დავღვარეთ, რუსეთის უღელი რომ დავიდგათო. — ზ.მ.)* ისმის კითხვა: სად არის მათი სახელმწიფოებრივი და დამოუკიდებლობის თვითშეგნება, რისთვისაც ქართველებს გენოციდი მოუწყვეს? აღარ არსებობს ეს შეგნება, რადგან აფხაზეთი მთლიანად გარუსებულია დღეს.

ყველა გონიერი აფხაზი ხედავს, თუ რა კატასტროფამდე მიიყვანა რუსეთმა აფხაზი ხალხი. როგორც შაფსუღები და უბიხები შეჭამეს და გააქრეს რუსებმა, იგივე ელის აფხაზობასაც.

**რამაზ კლიმიაშვილი:** — აშკარაა, პუტინს პრესკონფერენციაზე პანკისის შესახებ განცხადებები შემთხვევით არ გაუკეთებია. კანადის სამიტზეც გამოჩნდა, რომ ეს იყო შეთანხმებული ჯორჯ ბუშთან. ამერიკას არ სურს თავისი ჯარისკაცების ჩახოცვა პანკისში და მოხარული იქნება, თუ ხეობას რუსი ჯარისკაცები გაწმენდენ და ისინი დაიხოცებიან. აქედან რომ ერთი კუბო ჩაიტანონ ამერიკაში, საზოგადოება აღშფოთდება და შეიძლება დაღუპულის მშობლებმა თვით ჯორჯ ბუშს უჩივლონ სასამართლოში. ნიშანდობლივია, რომ „დიდი რვიანის" სამიტზე ბუშმა თვითონ წამოჭრა პანკისის საკითხი და ჰკითხა პუტინს — რას აპირებთ პანკისთან დაკავშირებითო. პუტინმაც უპასუხა, — რადგან საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უნარი პანკისის პრობლემის მოგვარებისა, თუმცა მათაც სურთ, რომ ხეობა გაიწმინდოს ბანდიტებისგან, ჩვენ მზად ვართ საკუთარი ძალებით გავაკეთოთ ეს საქმე! ამის შემდეგ ბუშს ხმა აღარ ამოუღია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანხმობა პუტინს მიღებული აქვს. მოკლედ, თუ პანკისში რუსის ჯარის შესვლის საკითხი გადაწყვეტილია, საქართველოს ხელისუფლება ვერაფერს ვეღარ გააკეთებს და ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობს. არც მე მსურს იქ ქართველი ბიჭების დაღუპვა, ამიტომ სჯობს რუსებმა მოსპონ იქ ჩაბუდებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც მართლაც განადგურებას უქადის ქართულ სახელმწიფოებრიობას. იმავდროულად, თუ ხელისუფლება ოფიციალურად მისცემს უფლებას მოსკოვს პანკისში ოპერაციის განსახორციელებლად, სანაცვლოდ უნდა მოსთხოვოს, ვთქვათ, სავიზო რეჟიმის გაუქმება. მეტიც, კანადის სამიტზე პუტინმა გამოაცხადა, რომ აფრიკის ქვეყნებს რუსეთი ჩამოაწერს ყველა ვალს (*მათი საერთო რაოდენობა 26 მლრდ დოლარია, — ზ.მ.*) და ამიტომ, კეთილი ინებოს მოსკოვმა და საქართველოსაც ჩამოაწეროს ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერგიის მოწოდების სფეროში დაგროვილი პატარ-პატარა ვალები, რათა აღარ გვქონდეს ეს პრობლემა.

**— გასაგებია და ვთქვათ, მართლაც ხელისუფლებამ ნება დართო მოსკოვს პანკისში შესვლისა. შემდეგ? რამდენ ხანს დარჩებიან იქ რუსები, მით უმეტეს, რომ სახეზეა აშშ-ის ბაზების მაგალითი ცენტრალურ აზიაში.**

— პუტინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სწრაფ ოპერაციას ჩავატარებთ და სულაც არ ვაპირებთ იქ დარჩენასო. ვითარება შეცვლილია მსოფლიოში და პუტინს პანკისში ჯარებს არავინ დაატოვებინებს, რისიც ასე ეშინიათ კანცელარიაში. აფხაზეთის მიმართულებით კი თუ მოხდა ის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს გაუფართოვდათ მანდატი და მათი მოქმედების არეალი გავრცელდა გალის მთელ რაიონზე, უნდა მივესალმოთ. ხოლო, თუ კვლავ მესაზღვრეების ფუნქცია გააგრძელეს, მათი გასვლა ასევე ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ. პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი კი, სამწუხაროდ, რთულდება. რუსებმა გამოაცხადეს, რომ აფხაზეთში 170 ათას კაცს მიუღია უკვე რუსეთის მოქალაქეობა, დიდი რიგები კვლავაც დგას საპასპორტო განყოფილებებთან და მალე აფხაზეთში მცხოვრებთა თითქმის 100% იქნება რუსეთის მოქალაქე. ამ ფონზე პროვოკაციად მიმაჩნია განცხადებები იმის შესახებ, რომ ძალით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი. როგორ, რუსეთის მოქალაქეებს დაუწყებენ ხოცვას?! თუ დაბრუნება გვინდა, პარლამენტმა ახლა მაინც უნდა მიიღოს ორმაგი მოქალაქეობის კანონი. ამას დიდი ხანია გავიძახი, მაგრამ ჩვენი პრიმიტიული ნაციონალისტური აზროვნების პოლიტიკოსების ტვინში არაფერი შევიდა. დღემდე ბევრი აფხაზი ჩუმად მიდიოდა მოსკოვში ჩვენს საკონსულოში, რათა ქართული პასპორტები აეღოთ და საზღვარგარეთ წასულიყვნენ. ვაცხადებდი, რომ საკონსულოები უნდა გაგვეხსნა ზუგდიდშიც და გორშიც. ახლა რაღად სჭირდებათ ქართული პასპორტები, როცა რუსეთის მოქალაქეები არიან?! არადა აფხაზები ზუგდიდში, ოსები გორში აიღებდნენ პასპორტებს და უცხოეთში სადაც უნდოდათ იქ წავიდოდნენ. ეს შანსი ხელიდან გავუშვით. მოკალი და ქართველ ჩინოვნიკებს და პოლიტიკოსებს ჭკუა არა აქვთ. არ ესმით, არა აქვთ ელემენტარული ცოდნა, რაც დიდი ხანია აპრობირებულია ცივილიზებულ სამყაროში და რამდენს უნდა გაუძლოს ქვეყანამ ამათ ხელში?!

**— თქვენი აზრით, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის განახლებას მოკლევადიან პერსპექტივაში...**

— გაეროს რეზოლუცია მკვეთრი არ იქნება მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება არ მოსთხოვს ამას და რაც დღემდე არ გაუკეთებიათ. პრიმიტიული აზროვნების ქართველი ჩინოვნიკები კი კვლავ გაეროს ლანძღავენ მაშინ, როცა გაერო არაფერ შუაშია და აკეთებს იმას, რასაც საქართველოს ხელისუფლება სთხოვს. აფხაზეთში დღეს კონფლიქტი არ არის. გაერო კი მაშინ აქტიურდება, როცა კონფლიქტია. დიდი ვნებათაღელვა იყო პარლამენტში, კონსტიტუციაში ჩაეწერათ „აფხაზეთის ავტონომია" თუ არა, მაგრამ რას ნიშნავს „ავტონომია" უნდა იყოს გაშიფრული კონსტიტუციაში, ან კონსტიტუციური აქტი იყოს მიღებული ავტონომიების შესახებ, სადაც დაფიქსირებული იქნება უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და ავტონომიას შორის. თვითონ „ავტონომია" ნორმალური ტერმინია, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დაკარგა შინაარსი, მოხდა მისი დისკრედიტირება და ამიტომ მოვერიდებოდი ამ ტერმინის გამოყენებას და მივიღებდი ტერმინს — „სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს", რაც იმავეს ნიშნავს, რასაც ავტონომია. საქართველოს კონსტიტუციაში რომ იყოს ნათლად განსაზღვრული რა არის აფხაზეთის ავტონომია, რა უფლებები აქვს და ა.შ. მაშინ ფოლადისებრი კანონი გვექნებოდა და კრინტს ვერ დაძრავდნენ სეპარატისტები. ახლა კი კოზირის ტუზი აქვთ ამის გამო. ჩვენს პარლამენტარებს კი ამაზე ფიქრის დრო არა აქვთ, სამაგიეროდ ფულის კეთების დრო რამდენიც გნებავთ!.. რაც შეეხება გაეროს წესდების მე-7 თავის ამოქმედებას, რომელიც იძულებითი მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს, ეს თავი ამოქმედდება მხოლოდ ომის განახლების შემთხვევაში. მაგრამ თუ საქართველომ წამოიწყო ეს კონფლიქტი, გამოგვაცხადებენ აგრესორებად. გაერო მხოლოდ მაშინ ჩაერევა საქმეში მე-7 თავით, თუ აფხაზებმა დაიწყეს ომი, ეს ყველამ კარგად უნდა შეიგნოს.

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# პეტრეპავლობის მარხვა

დღეს, 1 ივლისს, მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდარი პეტრეპავლობის მარხვის დადგომას გვაუწყებს.

შეგახსენებთ, რომ სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ ქრისტეს მოწაფეებმა, ანუ მოციქულებმა სხვადასხვა ქვეყანაში იწყეს ქადაგება. თავიანთი ღვაწლით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პეტრე და პავლე. ისინი არ შეუშინდნენ ქრისტესმოძულე იმპერატორ ნერონს და თვით რომში ქადაგებდნენ ჭეშმარიტ სიტყვას. პავლე მოციქულმა ნერონის ერთ-ერთი საყვარელი ცოლიც კი მოაქცია ქრისტიანობაზე. ნერონმა მოციქულების შეპყრობა და სიკვდილით დასჯა ბრძანა. მოგვითხრობენ, რომ როცა ქრისტიანების თხოვნითა და შეგონებით პეტრე მოციქული ქალაქიდან გადიოდა, რომისკენ მომავალი უფალი დაინახა და გაოცებულმა ჰკითხა: „უფალო, საით მიდიხარ?“ მაცხოვარმა უპასუხა, რომ რომში მიდიოდა, რათა ჯვარზე ხელმეორედ გაკრულიყო. ამ გამოცხადებამ მიახვედრა პეტრე, რომ ქალაქში უნდა დაბრუნებულიყო. მართლაც, უკან დაბრუნებული პეტრე მოციქული შეიპყრეს და ისევე, როგორც პავლე, საპყრობილეში ჩასვეს, სადაც ათი თვე დაჰყვეს. ამ ხნის განმავლობაში მოციქულებმა მრავალი სასწაული მოახდინეს.

პეტრე მოციქული ჯვარზე გააკრეს, ოღონდ მისივე თხოვნით — თავდაყირა, რადგან თავს ჯვარზე იმგვარი გაკვრის ღირსად, როგორც უფალი გაკვრა, არ მიიჩნევდა; პავლე მოციქულს კი თავი მოჰკვეთეს, რადგან მისი, როგორც რომაელი მოქალაქის, ჯვარზე გაკვრა არ შეიძლებოდა.

პეტრესა და პავლეს ეკლესიამ თავნი მოციქულნი უწოდა და მათი ხსენების დღედ 12 ივლისი დადგინდა. ამ დღეს გასრულდება მათ სახელზე დაწესებული მარხვაც.

ამავე კვირაში, 4 ივლისს, აღინიშნება წმინდა დიდებულთა მოწამეთა საქართველოს მეფეთა — არჩილისა (744 წ.) და ლუარსაბის (1622წ.) ხსენება.

# „პიკასოს ბიჭები“ თბილისში



— გავგიჟდები, ახლავე ამოდი მანდედან! — ყვირის ხანში შესული ქალბატონი და შადრევნისკენ მირბის...

— აუ, ბე, ცოტა ხანს ვიქნები, რა! — ისმის წრიპინი წყლიდან...

— არავითარ შემთხვევაში... ამოდი, თორემ მამაშენს ვეტყვი ყველაფერს...

ძალაუნებურად გავჩერდი... არასოდეს მიფიქრია, თუ შადრევნის აუზშიც ცურავდა ვინმე... წყლიდან ასე 6-7 წლის ბიჭუნამ ამოყვინთა, ხელები ტანზე აიფარა და ბებიას მუდარით შეხედა...

— არ უთხრა რა, მამას...

— კიდევ მოხვალ აქ და ვეტყვი, თქვენც ამოდით, — მიუბრუნდა სხვებს — ამ სიბინძურეში გინდათ, რამე ავადმყოფობა დაიმართოთ?

სამი ბიჭი ამოძვრა წყლიდან. ერთი უდარდელად გაწვა შადრევნის მოაჯირზე — მზეს მიეფიცხა.

— ადექი, თორემ კარგად მიგტყიპავ... ამ შუა რუსთაველზე არ მომინდომეს პლაჟის მოწყობა?! — ბრაზი ემატებოდა ქალს...

შადრევნის აუზის ფსკერს ჩავხედე... ქვიშა და ათასი სიბინძურე დალექილიყო მოზაიკის ზედაპირზე...

— ნახეთ, რა ხდება... — მომიბრუნდა ქალი, — გამოიპარებიან სასტუმროდან და აქ ცურავენ. იმ დღეს ტანსაცმელი გაუხდიათ და იმას, აგე, ყველაზე პატარა როა, ვიღაცამ ფეხსაცმელები ააცალა. ძლივს უყიდა საწყალმა დედამისმა. წყალი რომ სუფთა იყოს, კიდე მესმის. გაწვებიან ასე ტრუსების ამარა თბილისელებიც, ლტოლვილებიც... ეჰ, შვილო, ზღვა მაგათ არ უნახავთ და საკუთარი სახლი... აქ დაიბადნენ, სასტუმროში... მობეზრდათ ბავშვებს ასანთის კოლოფისხელა ოთახებში ჯდომა...

სანამ ქალი მელაპარაკებოდა, ბავშვები ისევ ჩაიპარნენ წყალში... უცებ ძახილი გავიგონეთ... ჩემი თანამოსაუბრე გამოერკვა.

— აი, დედათქვენი ყვირის... ამოდით, თორემ გავგიჟდები.

ბავშვები უხალისოდ ამოიძურწნენ წყლიდან... „ივერიის“ დამახინჯებულ ფასადს ავხედე... შეშინებული ბიჭებიც იქით იყურებოდნენ.

ეს ამბავი აღარც გამახსენდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დავაფიქსირე, რომ სხვა შადრევნების აუზებშიც ასე გატაცებით ცურავდნენ ბავშვები... ე.წ. ალექსანდროვის ბაღში მშობლები სკამებზე ისხდნენ, ბიჭები კი ჭყუმპალაობდნენ... იქ შედარებით სისუფთავე იყო.

— ლამპრედუზო მედუზო, — დაიძახა ერთმა პატარამ და წყალში გადახტა.

გამეცინა. გამვლელსაც გაეცინა და ბიჭს დაუძახა, — რა იცი, შენ, რას ნიშნავს — ლამპრედუზო მედუზო, ვინ გასწავლა?

— ერთი მთვრალი კაცი მოვიდა და ტანსაცმლით ჩახტა წყალში, თან ასე დაიყვირა, — გაეცინა ბიჭს, — რას ნიშნავს ლამპრედუზო მედუზო? — კითხვა შეუბრუნა გამვლელს. მან კი ხელი ჩაიქნია და შადრევანს გასცილდა...

ჩვენს ქალაქში ცხელა... ვინც თბილისიდან გასვლას ვერ ახერხებს, ცდილობს, როგორმე გაგრილდეს... ბევრს არ აქვს აუზზე სიარულის საშუალება და...

ვიცით, შადრევნები ამისთვის არ მოუგონიათ, ისიც ვიცით, რომ პიკასო ამით არ ერთობოდა, მაგრამ თუ აგული ერისთავს ვენდობით — ასეთ ბიჭებს ხომ მაინც ხატავდა?!

*ეკა მახარაშვილი*

# „საირმისგორელი“ მილიონერები იპოდრომს ცუდად უთვალთვალებენ

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჭორში სიმართლის ნატამალი რომ ურევია. ჭორიკანებისგან გავიგე, დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი — იპოდრომი იყიდებაო. მყიდველები საირმისგორელი ქართველი მილიონერები ყოფილან. იპოდრომზე საცურაო აუზის, მინიაეროდრომისა და კაზინოს აშენების მსურველ ბობოლებს უთქვამთ, — ესაო, ისაო, გადამწვარი და გადახრუკული მინდვრის და გადამხმარი ბუჩქების ყურებას ამ ადგილის სარფიანად გამოყენება სჯობსო და მალე მშენებლობის დაწყებასაც აპირებენ თურმე. ვიფიქრე, ჭორიკანებმა ან არ იციან, იპოდრომი რომ რამდენიმე წლის წინ გაიყიდა, ან ეტყობა, მას მისი ამჟამინდელი მეპატრონე შპს „ჟოკეი“ ყიდის-მეთქი. ამიტომაც სიმართლის გასარკვევად იპოდრომის დირექტორს **ლაშა ჯაიანს** ვესტუმრე, რომელიც ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც საერთაშორისო ასპარეზობაზე დსთ-ისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გუნდებთან ერთად 18 წლამდე ასაკის მხედრების შეჯიბრში ქართველი ცხენოსნებიც მონაწილეობდნენ. ბატონი ლაშა კმაყოფილებას არ ფარავს — სამი წლის თავდადებულ შრომას შედეგი მოჰყვა და იმედია, დიდ წარმატებებს მივაღწევთო. ვიფიქრე, თუ იპოდრომის გაყიდვას აპირებენ, გეგმებზე რაღა ალაპარაკებს ამ დაღლოცვილს-მეთქი და ჭორ-ინფორმაცია მოვახსენე.

— ცუდი არ იქნება, თუ პატარა საცურაო აუზის ან თუნდაც კაზინოს გაკეთების მსურველი გამოჩნდება. აეროდრომისა კი, აბა, რა მოგახსენოთ. თუ კოდორიდან ან გუდაურიდან ვინმე დაშავებული მოჰყავთ ხოლმე, კი ვაძლევთ შვეულმფრენს აქ დაჯდომის საშუალებას, მაგრამ იპოდრომზე აეროდრომის გამართვა, თანაც ქალაქის ცენტრში, წარმოუდგენლად მიმაჩნია. იპოდრომის, ცხენგამოცდისა და საერთოდ მეცხენეობის განვითარებისთვის რაც მიზანშეწონილია, ყველაფერი მისაღები იქნება ჩვენთვის. ტერიტორია საკმაოდ დიდია და შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ კარგი საქმის კეთების მსურველი ჯერ არ დაგვკავშირებია.

**— ამბობენ, ლაშა ჯაიანს ჯერ მანქანა წაართვეს ყაჩაღებმა და ცხენით დაიწყო სიარული, მერე ის ცხენიც წაართვეს და ახლა ფეხით დადისო.**

— არავის არაფერი წაურთმევია ჩემთვის.

იპოდრომის დირექტორისგან განსხვავებით, ჩემ მიერ „მოპოვებული“ ჭორი იქვე, კოტეჯებში მცხოვრებმა ლტოლვილებმა და მეჯინიბეებმა დაადასტურეს: — ამაზე კარგა ხანია ოცნებობენ „საირმელები“ და არა მარტო ისინი. ამბობენ, — ცხენებს ამხელა ადგილი რად უნდათ, თანაც თავლის სუნიც გვაწუხებსო. აუზისა და კაზინოსი კი არა, სახლების აშენება უნდათ და „ჟოკეის“ ხელმძღვანელობა ვერ დაიყოლიესო.

იმედი მაქვს, „ჟოკეი“ ამ პოზიციაზე დარჩება და 1959 წელს კაპიტონ ნაჭყებიას მიერ დაარსებული იპოდრომიც ისე არ შემოეფცქვნებათ ხელში საკუთარ ბედნიერებაზე თავგადამკვდარ „ახალ ქართველებს“, როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ობიექტი.

იპოდრომზე კი თავლებში გვერდიგვერდ ცხოვრობენ „პანჩო“, „ჩინგის-ხანა“, „ბუდაპეშტი“, „ხანუმა“ და სხვები და თავიანთი მზრუნველი მეჯინიბეების მსგავსი ჰგონიათ ყველა. თუმცა მთლად ასეც არ არის საქმე. ცხენები თურმე შესანიშნავად გრძნობენ კაცის ხასიათს. ცხოველისმოძულე მხედარს ცხენი ვერ იტანსო, — მითხრა ცხენების უზომოდ მოყვარულმა **მარინე ლომაძემ**, რომელსაც 38 წელი ცხენებისთვის შეუწირავს. ორიოდ სიტყვით მასაც გავესაუბრეთ:




**— ამბობენ, ცხენით ჯირითი ჯანმრთელობისთვის კარგიაო.**

— რამდენიმე წლის წინ ერთი კაცი მოვიდა ჩვენთან, — თირკმელში კენჭი ჰქონია. ექიმს ურჩევია, ცხენით იარე და განიკურნებიო. მართლაც, ისე გამოვიდა მისი ორგანიზმიდან კენჭი, რომ იმ კაცს არაფერი გაუგია. წინათ სქოლიოზით დაავადებული ბავშვები მოჰყავდათ მშობლებს. უებარი წამალია ცხენზე ჯდომა ასეთებისთვის. ყველას ვურჩევ, ბავშვმა ჯანმრთელი ხერხემალი რომ შეინარჩუნოს, ან ცხენზე შესვით, ან ცურვაზე შეიყვანეთ-მეთქი.

**— იპოდრომზე „ჟოკეის“ კუთვნილი ცხენების გარდა კერძო მფლობელების ცხენებიც არიან. სპორტულ ასპარეზობაში ისინიც მონაწილეობენ?**

— სპორტულ ასპარეზობაში მონაწილეობისთვის ცხენს წვრთნა სჭირდება და არ შეიძლება მასზე სხვადასხვა მხედარი ჯდებოდეს. მე რომ ერთი თვე გადავყვე ცხენს და მერე მისმა პატრონმა ერთი საათით წაიყვანოს სასეირნოდ, მთელი შრომა წყალში ჩამეყრება — ცხენი ძალიან მგრძნობიარეა. ამიტომ გვყავს ყველას ჩვენ-ჩვენი ცხენი და მათ ვწვრთნით საასპარეზოდ. ყველა ცხენის გატარებას თავისი მუღამი აქვს, ხელით უნდა გრძნობდე ცხენს, რომ თითებით მართო მისი მოქმედება. ცხენის მთელი დღე დაბმა არ შეიძლება. ერთი საათი მაინც უნდა იაროს. თუ პატრონი არ მოაკითხავს, ჩვენ გაგვყავს სასეირნოდ.

**— უცხოეთში საცხენოსნო სპორტი აზარტულია. ტოტალიზატორებში უზარმაზარ ფსონებს დებენ ცხენებზე, ნუთუ აქაურ მდიდარ ცხენთმფლობელებს არ უჩნდებათ ამის სურვილი?**

— ალბათ გაუჩნდებათ. ამჯერად კი ისიც კარგია, ცხენებში რომ ხარჯავენ ფულს და არა კაზინოში ან სხვა სისულელეში.

**— ცხენით სეირნობა რომ მომინდეს, ნებისმიერ ცხენზე შეჯდომის უფლებას არ მომცემთ?**

— არა. არ შეიძლება. ჩემს ცხენზე მარტო მე ვჯდები და აჩიკო, რომელიც ავარჯიშებს.

**— ამბობენ, ეჭვიანი ცხოველიაო...**

— ცხენმა თავად იცის პატრონის ამორჩევა. ვისაც შეეთვისება, ის არის მისი ნამდვილი პატრონი. ჩემი „პანჩო“ რუსეთიდან ჩამომიყვანეს, ინგლისური და გერმანული სისხლის ნაჯვარია. გიჟი ცხენი იყო, ნერვიული, ძლივს დავაწყნარე („პანჩო“ ულამაზესი ცხენია, დიდხანს ვერ მოვწყვიტე თვალი — **ე.ლ.**). ადრე „პალაჩი“ ერქვა, არავის არ ისვამდა. ორი კაცი ჰყოლია მოკლული. ცუდად ექცეოდნენ და იმიტომ იყო გიჟი. ეჭვიანი ყველა ცხენია. კვიცს მოვეფერე, „პანჩო“ გაბრაზდა და მკლავზე მიკბინა. განზე გადგა და გამებუტა, სანამ არ მივეფერე და არ დარწმუნდა, რომ ჩემთვის ყველაზე კარგი მხოლოდ ის არის.

**— თურმე უცხოელები ხშირად დადიან იპოდრომზე, საკუთარი ცხენებიც ჰყოლიათ.**

— განსაკუთრებით დამამახსოვრდა გერმანიის ერთ-ერთი ელჩი, რომელიც ორი წლის წინ იყო საქართველოში. ნორვერტი და მისი მეუღლე ანაბელი შესანიშნავი მხედრები იყვნენ. ახლაც გვაქვს მიმოწერა ერთმანეთთან. იპოდრომზე სხვა უცხოელებიც დადიან და მათი ცხენებიც გვყავს თავლაში...

*ეკა ლომიძე*

## ფოტო უკომენტაროდ




# გამოკითხვა ტელეფონით — ამ ბოლო დროს რამ აგიმაღლათ ნერვები?



— ჩემს მეზობელს, ახალგადმოსულს, მეექვსე სართულზე აქვს რემონტი და მთელი დანარჩენი ხუთი სართული ნაგავში და ცემენტში ვცხოვრობთ... ერთხელ არ დაუგვია სადარბაზო.

*ჟანა ლობჟანიძე*

— ალბათ, როგორც ყველა თბილისელს — წვიმამ. დიდი ხანია არ უწვიმია და არ „ამოგვასუნთქა“ კაცო!

*გია ფალიანი*

— მეგობარმა მითხრა, წამოდი ჩვენს ბუტიკში, სეილიაო... გავქანდი და თითო-ორი ლარი დაუკლიათ რაღაც ჯლანებისთვის...

*ლუნა პაჭკორია*

— რამ და, მანქანის სიგნალიზაციამ... ჩემს ეზოში ღამით ერთი რომელიღაც ჩაირთო და მერე მას აჰყვნენ წივილ-კივილ-სივილით სხვები... გამაგიჟეს კაცი.

*ნოდარ აბულაძე*

— რამ კი არა, ვინ...

ოლივერ კანმა გამაგიჟა და გამომიყვანა წყობიდან. მთელი ჩემპიონატი ერთი გოლი გაუშვა და ფინალში არ გაუშვა მაგ „ბანძმა“ ორი? ნერვებიც ამიშალა და წამაგებინა კიდეც.

*ბეჟანი (გვარი რად გინდათ, ამიგდებენ)*

— რამ ამიშალა, არ არის ის კითხვა, რაზეც მინდა გიპასუხოთ, — დღეს ბედნიერი დღე მაქვს — ქალიშვილს ვათხოვებ, სადაცაა კარზე მომადგებიან, მე მეგონა თქვენც ამისთვის მირეკავდით...

*— გილოცავთ მთელი „კვირის პალიტრა“ და ყველა მისი მკითხველი. გისურვებთ ბედნიერებას*

— გმადლობთ — თქვენ ისედაც ლამაზი დღე უფრო გაგვილამაზეთ...

*თიკას დედა და მახოს სიდედრი*

# სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ პოლიციის ფორმას ამოფარებული ბოროტმოქმედები

## აქ დასწრებაზეა საქმე და არა იმაზე, ვის რა იარაღი აქვს

ჩვენი ბედოვლათი პოლიციელების გადამკიდე, უცხოელი ბანკირის, პიტერ შოუს გათავისუფლება ამ კვირაში კვლავ ნაკლებსავარაუდოა. გატაცებულს, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მოუწევს კრიმინალებთან ყურყუტი. მაგრამ ამ გატაცებაზე უფრო საგანგაშო, შეიძლება ითქვას, ქართული პოლიციის დღევანდელი მდგომარეობაა. როგორ შეიძლება პოლიციელი ერქვას იმას, ვინც ადამიანის გატაცებას შეესწრება და არამცთუ მძევალს ვერ გამოიხსნის, კრიმინალებს კვალშიც კი არ ჩაუდგება. გასულ კვირას უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ, პიტერ შოუს გატაცების ფაქტთან დაკავშირებით, საინტერესო ხმამაღალი მინიშნება გააკეთა: „არ არის გამორიცხული, რომ პიტერ შოუს გატაცებაში პოლიციის ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი იყოს გარეული“. ასე რომ, საზოგადოებაში არცთუ ისე დიდი ხნის წინ გავრცელებული აზრი, რომ ადამიანთა გატაცებაში თავად პოლიციაა შემკვეთი და თანამონაწილე, თანდათან წინა პლანზე იწევს. უშიშროების მინისტრის ეს განცხადება, უეჭველია, გარკვეულ ინფორმაციას ეყრდნობა და საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. იმედია, თუ პიტერ შოუს საქმე გაიხსნა და მის გატაცებაში პოლიციის მონაწილეობა დადასტურდა, ბოლოს და ბოლოს ვიღაცას მაინც აგებინებენ პასუხს.

სამწუხაროა შს მინისტრის განცხადება, რომ გატაცების შემსწრე პოლიციელები დაიბნენ და იარაღი იმიტომ ვერ გამოიყენეს, რომ თავდამსხმელები ავტომატებით, ხოლო საგზაო პოლიციელები მხოლოდ პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. დაგვერწმუნებით, ეს არგუმენტი უსუსურად გამოიყურება და მისი ქვეშევრდომების გასამართლებლად ნამდვილად ვერ გამოდგება. ფაქტი ერთია: ჩვენ ვერ (ან არ) გვიცავს ჩვენი პოლიცია. უფრო მეტიც — ის მხოლოდ თავის დაცვაზე ფიქრობს(!).

რა მოხდა სინამდვილეში პიტერ შოუს გატაცების მომენტში? რას ამბობენ სწორედ ის პოლიციელები, რომლებიც იქ იყვნენ და უყურებდნენ საქართველოში მცხოვრები ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გატაცებას? მათი ვინაობა დღემდე გასაიდუმლოებული აქვთ სამართალდამცველებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არც პოლიციაში, არც პროკურატურაში მათი ვინაობა არ გაგვიმხილეს. შესაბამისად, ვერც მათთან გასაუბრება შევძელით. თუმცა ამ საკითხების ირგვლივ კომენტარი ვთხოვეთ შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ვიცე-პოლკოვნიკს, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა:

— **როგორ შეაფასებდით იმ საგზაო პოლიციელთა ქმედებას, რომლებიც უნებლიეთ შეესწრნენ პიტერ შოუს გატაცებას და ვერაფერი შეძლეს მის დასახსნელად — ვერც იარაღის გამოყენება, ვერც მანქანით გადევნება, ვერც რაციით დროულად გადაცემა...**

> ვინ აიძულათ, რომ სიბნელეში ჩაეტარებინათ ოპერაცია? პოლიციას შესწევს ძალა, პერიმეტრი მთლიანად შეკრას (მით უმეტეს, რომ დასახლებული პუნქტი არ იყო), თანდათან შეავიწროვოს წრე და გამთენიისას ან დილით ჩაატაროს ოპერაცია. ამაზე ადვილი და „აი ია“ აღარ არსებობს.

— მოდით, დავიწყოთ იმით, რომ პოლიციაში კადრების მიღებას აქვს თავისი წესი და ინსტრუქცია. მოთხოვნები ისეთი მკაცრია, რომ თუ მას დაიცავენ კადრების განყოფილებაში პოლიციელთა შერჩევისას, არ ვამბობ, რომ აბსოლუტურად, მაგრამ მაქსიმალურად გამოირიცხება მსგავსი შემთხვევები. ინსტრუქცია კატეგორიულად მოითხოვს, რომ პოლიციელობის კანდიდატი იყოს საზრიანი, მობილიზებული, გადაწყვეტილებას წამში უნდა იღებდეს და ა.შ. გარდა იმისა, რომ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევები თავად უნდა ჰქონდეს, სამსახურში აყვანის შემდეგ მან უნდა გაიაროს შესაბამისი კურსები, რაც დღევანდელ პოლიციაში არ ხდება. თუ საგზაო პოლიციაზე ვისაუბრებთ, ის ისეთივე პოლიციაა, როგორც დანარჩენი სხვა. მას იარაღი ვინმეს შესაშინებლად კი არ ეძლევა, არამედ იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კიდეც და თუ სხვა გზა არ არის, ბოროტმოქმედის ლიკვიდაცია მოახდინოს. სხვათა შორის, ერთი მოთხოვნაც არის კადრების შერჩევისას — პოლიციის თანამშრომელი არ უნდა იყოს 175 სმ-ზე დაბალი. აბა, დააკვირდით ქუჩაში პუჭურა პოლიციელებს და შეგრცხვებათ. იმიტომ კი არა, რომ დაბალია — ადამიანი შეიძლება დაბალიც იყოს და მაღალიც, მაგრამ პოლიციელი რომაა და ძალიან დაბალია, მაშინ არის უხერხული, თორემ იოსებ სტალინიც არ იყო მაღალი — მასზე დაბალი კაცი იშვიათად მოიძებნებოდა. დანაშაული იწყება მაშინ, როცა უვიცებს იღებენ პოლიციის სამსახურში.



> აქ დასწრებაზეა საქმე და არა იმაზე, ვის რა იარაღი აქვს. რად უნდა კაცის გაუვნებელყოფას — ავტომატი. მთავარია შენ დაასწრო. რაც შეეხება იმას, რომ ვერც რაციით მოახერხეს დროული გადაცემა, ამის მიზეზი უბრალოდ ისაა, რომ იფიქრეს: თუ განგაშს ავტეხთ, პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ, თუ არა და, პასუხს არავინ მოგვთხოვსო. როცა დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ მაინც გაიშიფრებოდნენ (ეს ჩემი ვარაუდია), მერე გადასცეს.

— **როგორ ფიქრობთ, რა მიზეზია, რომ კადრების განყოფილებაში ასეთი დარღვევებით ხდება პოლიციელთა მიღება?**

— გნებავთ, ჩავატაროთ ექსპერიმენტი: გავუშვათ ათი რჩეული ვაჟკაცი, მაღალი, მხარბეჭიანი, განათლებული, სუფთა წარსულით. ვნახოთ, აბა, რა პირობების ფასად მიიღებენ სამსახურში, თუ ეტყვიან — მობრძანდით, გენაცვალე, ეს რა კარგები ხართო. არ ეტყვიან. ვიცი, რაც ხდება...

— **რა ხდება?**

— ქრთამით ხდება პოლიციაში მიღება. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ყველა შემთხვევაში ასეა, რომ ყველა ქრთამს იღებს პოლიციაში, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, ქრთამს არ იღებს თითო-ოროლა. ქრთამით მიღებას ვინღა ჩივის, — ერთი პერიოდი იმ მხედრიონელებით აავსეს პოლიცია, რომლებიც სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ, დასვეს ფართო კაბინეტებში. პიტერ შოუს გატაცების დროს პოლიციელები თუნდაც იმიტომ ვერ გამოიყენებდნენ იარაღს, რომ ისინი შემთხვევით აყვანილი, მოუმზადებელი ადამიანები არიან, ვინც დილიდან საღამომდე იმას კი არ ფიქრობს, რომ ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილება, არამედ, რა იშოვოს, რა წაიღოს სახლში, რა მიუტანოს უფროსს, რადგან ისე სახლში არავინ არაფერს გაატანს და ა.შ. მეორეც, იარაღის ამოღებას ვაჟკაცობა უნდა. იარაღს იღებს ან მხდალი — თავის დასაცავად, ან ვაჟკაცი, რომელიც თუ ამოიღებს, კიდეც ისვრის. ახლა მე თქვენ გეკითხებით, მოსახმარად რომელი უფრო ადვილია, ავტომატი თუ პისტოლეტი?

— **ვფიქრობ, პისტოლეტი...**

— რა თქმა უნდა პისტოლეტი ბევრად უფრო ადვილია გამოსაყენებლად. აქ დასწრებაზეა საქმე და არა იმაზე, ვის რა იარაღი აქვს. რად უნდა კაცის გაუვნებელყოფას ავტომატი. მთავარია შენ დაასწრო. რაც შეეხება იმას, რომ ვერც რაციით მოახერხეს დროული გადაცემა, ამის მიზეზი უბრალოდ ისაა, რომ იფიქრეს: თუ განგაშს ავტეხთ, პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ, თუ არა და, პასუხს არავინ მოგვთხოვსო. როცა დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ მაინც გაიშიფრებოდნენ (ეს ჩემი ვარაუდია), მერე გადასცეს. ახლა მახსენდება თბილისის ზღვაზე ჩატარებული ოპერაცია, როდესაც არაბი ბიზნესმენი გაათავისუფლეს. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ფირმის გამგეც კი არ დაგეგმავს ისე უაზროდ ოპერაციას, როგორც ეს მაშინ „განხორციელდა“. ასე ვთქვათ, ეს ბიზნესმენი „გამოიხსნეს“, დამნაშავენი კი გაუშვეს.

— **ვეთანხმებით, რომ ეს ოპერაცია დღემდე საეჭვოდ რჩება, მაგრამ მაშინ თავი იმით იმართლეს, რომ სიბნელე იყო და დამნაშავეები გაიქცნენ...**

— ჯერ ერთი, ვინ აიძულათ, რომ სიბნელეში ჩაეტარებინათ ოპერაცია? პოლიციას შესწევს ძალა, პერიმეტრი მთლიანად შეკრას (მით უმეტეს, რომ დასახლებული პუნქტი არ იყო), თანდათან შეავიწროვოს წრე და გამთენიისას ან დილით ჩაატაროს ოპერაცია. ამაზე ადვილი და „აი ია“ აღარ არსებობს. ვისაც უნდა გამოვიდეს და მითხრას, რომ მართალი არა ვარ. აიძულე, რომ დაგელოდოს დილამდე, ან ისროლოს რამდენიც უნდა, ნუ გამოუშვებ. თუ თავის გასამართლებლად იმას იტყვიან, მძევლის სიცოცხლეს ვუფრთხილდებოდითო, მაშინ ორმხრივ სროლაში რატომ ჩაებნენ?!. თუ იყო ის სროლა საერთოდ...

— **ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ მართალია მოარული ხმები და პოლიცია დამნაშავეთა სამყაროსთანაა შეკრული?**

— მე ძველი თაობის პოლიციელი ვარ. რომელსაც წმინდანებთან არ მიმუშავია, მაგრამ ასეთი რამის წარმოდგენა ჩემთვის ძალიან ძნელია. ეს ფაქტები მაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ზოგიერთი მართლაც იყოს შეკრული. მაგრამ არ მინდა დავუშვა, რომ პოლიციელი უკვე ამაზეც მიდის. არადა, როცა მთელი რესპუბლიკის გასაგონად ითქმება, რომ თურმე ბანკის შესასვლელში დღისით, მზისით ორი თუ ორსაათ-ნახევრით ადრე გაფრთხილებული პოლიციის საგუშაგო ვერ აკავებს მანქანას, რომელშიც გატაცებული ხალილოვი ჰყავთ ბანდიტებს და მერე პოლიციელები იწყებენ თავის მართლებას, რომ თურმე მანქანამ არ გააჩერა, იცით, ღიმილის მომგვრელიც კი აღარ არის, ცრემლი უნდა მოგადგეს კაცს. მამაცხონებულო, ქვა აღარ აგდია იქ, გზაზე რომ დააგდო? მანქანაც არ გიდგას, რომ ჩააყენო?! ბოლოს და ბოლოს, ურიკა, „ტაჭკა“ აღარ არის არსად?! რა დიდი მოფიქრება ამას უნდა?! თუ გახსოვთ, იქ ერთმა პოლიციელმა ისროლა. მანქანაში, რომელშიც ოთხი დამნაშავე და ერთი გატაცებული იჯდა, მაინცდამაინც გატაცებულს მოხვდა. პირადად მე, იმ პოლიციელს არ დავსჯიდი და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მან გამტაცებლებს ესროლა, ანუ მასში თავგამოდებამ გაიღვიძა, როცა ნახა, რომ სუყველას „ეძინა“. თუ სამართალია, მისთვის მადლობაც უნდა ეთქვათ, თუმცა ეს იურისპრუდენციის ჩარჩოებში არ ჯდება.

— **მოდით, პირდაპირ ვთქვათ — რა შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც პიტერ შოუს გატაცების შემთხვევაში მოხდა — უსუსურობა თუ გულგრილობა?**

— იცით, ეს დოყლაპიობაა. იმ პოლიციელთა სამსახურის მიზანი ისაა, რომ ამ დამშეულ დროში ვიღაცას ორი კაპიკი წაგლიჯონ. არადა, პოლიციის ზოგიერთი ჩინოსანი მათ ამართლებს, რაც ჩემთვის მიუღებელია.

— **თქვენი აზრით, როგორ უნდა ემოქმედა საგზაო პოლიციას?**

— საგზაო პოლიციას ეძლევა დისკლოკაციის სქემა, ზეპირი აღწერილობა — რა მონაკვეთში უნდა იპატრულოს. ამ მონაკვეთში ის ყველაფერზეა პასუხისმგებელი. დავიწყოთ იმით, რომ მისი მოვალეობაა დაათვალიეროს ქუჩები — ხომ არ არის გზა გადათხრილი, ჩანგრეული ან დაზიანებული ისე, რომ ავარია მოხდეს და ა.შ. აბა, გაიარეთ სააკაძის მოედანზე, ვახუშტის ხიდის ჩასახვევში, სადაც ყოველდღე დგას საგზაო პოლიცია — ნახავთ თავლია ჭას, ჩემ თვალწინ ჩავარდა მანქანა, არც გამოუხედავთ. ასეთების წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომები უნდა გატარდეს.

რაც შეეხება ამ შემთხვევას, მანქანას აჩერებენ ვიღაცები. მერე რა, რომ პოლიციის ფორმაში არიან?! იმ მომენტში საგზაო პოლიციაა ყველაფრის ბატონ-პატრონი, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად მაღალჩინოსანია პოლიციისფორმიანი. საგზაო პოლიციელებს უნდა მოეთხოვათ „ფორმიანი პოლიციელებისთვის“ პიტერ შოუს დაპატიმრების ორდერი. თუ ტარდება რაიმე ოპერატიული სამუშაო, არსებობს ამის გასარკვევი საშუალებებიც, რომელზეც საუბარი ხმამაღლა არ შეიძლება. მაგრამ გგონიათ, იციან, რისი უფლება აქვთ?! არც იციან!

— **დავუშვათ, მოეთხოვათ საბუთები, მაინტერესებს, როგორ უნდა მომხდარიყო წესით შოუს დახსნა...**

— როგორც კი ცრუპოლიციელები დაიბნენ და ვერაფერი უპასუხეს, ეს უკვე პირველი ნიშანია იმისა, რომ არ იყვნენ მართალი ხალხი. პიტერ შოუ საგზაო პოლიციას უნდა გადმოეყვანა თავის მანქანაში.

— **მაგრამ ამ დროს მოდის ე.წ. დამხმარე ძალა, მანქანა, საიდანაც უკვე ავტომატს ისვრიან.**

— იცით, საგზაო პოლიციის გამოჩენით გამტაცებლები რომ დაიბნენ, სწორედ ამიტომ მოვიდა ჯგუფი კრიმინალების გასამაგრებლად, თორემ სხვა შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, არ მოვიდოდნენ.

> ერთი პერიოდი იმ მხედრიონელებით აავსეს პოლიცია, რომლებიც სისხლის სამართლის დამნაშავეები იყვნენ, დასვეს ფართო კაბინეტებში. პიტერ შოუს გატაცების დროს პოლიციელები თუნდაც იმიტომ ვერ გამოიყენებდნენ იარაღს, რომ ისინი შემთხვევით აყვანილი, მოუმზადებელი ადამიანები არიან, ვინც დილიდან საღამომდე იმას კი არ ფიქრობს, რომ ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილება, არამედ, რა იშოვოს, რა წაიღოს სახლში, რა მიუტანოს უფროსს, რადგან ისე სახლში არავინ არაფერს გააქანს.

ისინი, როგორც ჩანს, მოშორებით იცდიდნენ, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩარეულიყვნენ და კიდეც ჩაერივნენ.

მაგრამ ჯერ ერთი, სანამ მანქანა მოვიდოდა რატომ არ იმოქმედეს, ჯერ ხომ არავინ ისროდა, მაგრამ შეეშინდათ, ვაითუ „პაგონები“ დაგვაყრევინონ, რომ ჩავერიოთ და ოჯახი მშიერი დაგვრჩესო. ერთი შეხედვით გასაგებია, მაგრამ სად არის ამ დროს მოვალეობა? ეს უკულმართობა კი სისტემის ბრალია. სისტემაა მოშლილი, „ძაღლი პატრონს ვერ ცნობს“.

— **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— აწყობილი სისტემა იმ მოტივით დაინგრა, რომ იგი კომუნისტური იყო. მეც არ მომწონდა ის სისტემა, მაგრამ გააკეთე უკეთესი და მოვიწონებ. ახლა ძველიც დანგრეულია, არც ახალს აკეთებ,

აქვე მინდა გითხრათ, რომ პოლიციელზე, ძველი თაობისა იქნება ის თუ ახლის, ყველაზე გული შემტკივა და სულაც არ მინდა ვინმე დაისაჯოს, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ჩვენმა პროკურატურამ ბოლოს და ბოლოს, ხმა უნდა აიმაღლოს იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რაც დღევანდელ პოლიციაში ხდება და სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ პოლიციელის ფორმას ამოფარებული ბოროტმოქმედები. თორემ თუ ასე გაგრძელდა, ნამდვილად ცუდ დღეში ჩავვარდებით, მარტო პოლიცია კი არა, პროკურატურაც, პარლამენტიც, ხელისუფლებაც და საქართველოც.

*მარინა მამისაშვილი*

# „ალუდა ქეთელაური ერთხელ გააძევეს თემიდან, ჩვენ მეორედ გვაძევებენ არჩევნებიდან..."

## „ჟვანია-სააკაშვილს უნდათ შევარდნაძის ხელისუფლებას ჩაენაცვლონ ისევე, როგორც სტალინი ჩაენაცვლა ლენინს"

როგორც ჩანს, სააკაშვილისა და ნათელაშვილის სიამტკბილობამ ჩაილურის წყალი დალია. ნაციონალების მიერ სასამართლოში შეტანილმა სარჩელმა ლეიბორისტთა ლიდერს აფიქრებინა, — სააკაშვილი ისევ შევარდნაძის ორბიტაზე ტრიალებს და ნამდვილ ოპოზიციონერობამდე ბევრი უკლიაო და სანამ მთავარი ნაციონალი ევროსაბჭოში არჩევნების თემატიკას განიხილავდა, შალვა ნათელაშვილმა ყოფილი „მოკავშირის" მისამართით მწვავე განცხადებების გაკეთება დაიწყო:

— ლეიბორისტების პირველმა ადგილმა ყველა დაბოლმა. უპირველესად კი შევარდნაძე, რომლის პარტიამ 2% მიიღო არჩევნებში. წარმოგიდგენიათ, როგორი გადასატანი იქნებოდა ეს მისი ამბიციების მქონე კაცისთვის?! დაიბოლმა სააკაშვილიც, რომელსაც ეგონა, რომ პირველ ადგილზე გასვლით მსოფლიოს დაუფიქსირებდა მისი პარტიის, როგორც პრეზიდენტის ჩამნაცვლებელი ძალის პერსპექტივას. დაიბოლმა ზოდელავაც, რადგან მისი მოსყიდული საკრებულო გარეთ დარჩა. დღეს ეს დაბოლმილი ხალხი — ე.წ. პოზიცია და ოპოზიცია ჩვენს წინაალმდეგ გაერთიანდა და თუ ალუდა ქეთელაური ერთხელ გააძევეს თემიდან, ეს გაერთიანებული ძალები ჩვენ მეორედ გვაძევებენ არჩევნებიდან.

**— მაშინ, რატომ დაუთმეთ საკრებულოს თავმჯდომარეობა სააკაშვილს?**

— იმიტომ, რომ არ შექმნილიყო პიარის საფუძველი, რაც წამოიწყეს არჩევნების შემდეგ — თითქოს შევარდნაძემ და ხელისუფლებამ გაგვიყვანა პირველ ადგილზე. თუნდაც ამ ჭორის გასაბათილებლად გავუშვით სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, რომ ნათქვამს არ შევცვლიდით (დღესაც არ მიმაქვს ჩემი სიტყვა უკან), მაგრამ რა გააკეთეს სააკაშვილმა და მისმა პარტიამ — სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. იწყება ხმების ხელახალი გადათვლა, რაც არჩევნების ჩაშლის ტოლფასია. ამიტომ ვეუბნებოდი მოსახლეობას, — შევარდნაძის განაყარი და განაყოფი არც ერთი არც კაცად გამოდგება, არც პოლიტიკოსად, არც ოპოზიციონერად, არ დაიჯეროთ ხალხის ვაებაზე დაზეპირებული მათი სიტყვები-მეთქი.

**ძველი საკრებულოს დაბრუნება იგივე იქნება, ბებიაჩემი რომ ამოვთხარო საფლავიდან და შინ დავისვა. ძველი საკრებულოს წევრების უმეტესობა ხელდამშვენებული წავიდა წილებით, ბიზნესით, მიწის ნაკვეთებით, სამარშრუტო ხაზებით, რესტორნებით, სუპერმარკეტებით. ქალაქში არაფერი აღარ დატოვეს და მათი უკან მოყვანა უარესი დანაშაული იქნება. სწორედ ეგ უნდა ზოდელავას, უზურპაცია მოახდინოს და მთელი საკრებულო ჯიბეში ჩაისვას.**



**— გამოდის, სააკაშვილმა იმ მიზნით შეიტანა სარჩელი, რომ არჩევნები ჩაშლილიყო.**

— თავისთავად ცხადია. სულ იურისტები არიან სააკაშვილის დაჯგუფებაში და თუ იმას ვერ მიხვდნენ, რას გამოიწვევდა მათი სარჩელი, მაშინ მაპატიეთ და მათ, იურისტობაში ეჭვი მეპარება. მაგრამ ძალიან კარგადაც იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ — ყველას ხელს აძლევდა ამ არჩევნების ჩაშლა ან ლეიბორისტული პარტიის გადანაცვლება სადმე სხვაგან.

**— სააკაშვილს თავმჯდომარეობას კი უთმობდით, მაგრამ იმავდროულად მწვავედ აკრიტიკებდით.**

— კრიტიკა არ შემიწყვეტია და არც შევწყვეტ. შევარდნაძესთან გატარებული 7 წელი ისეთი ლაქაა ადამიანის ცხოვრებაში, რომ 14 წელი მაინც უნდა იმუშაოს ოპოზიციაში პატიოსნად, რომ ეს ლაქა ჩამოირეცხოს. ჯერ 14 წელი კი არა, რამდენიმე თვეც არ არის გასული და ნახეთ, რა მოხდა?! ადამია, ჟვანია-სააკაშვილის განუყრელი თანამებრძოლი რომ დანიშნა გაეროში — პრეზიდენტის მთავარ მესაიდუმლედ მსოფლიო მთავრობაში, რაზე მიუთითებს? პრეზიდენტი თავის წარმომადგენლის პოსტს ანდობდა მტერსა და ოპოზიციონერს?

**— ითქვა, ნათელაშვილი იმიტომ აკრიტიკებდა სააკაშვილს, რომ მიშა გაბრაზებულიყო და უარი ეთქვა შეთავაზებულ წინადადებაზეო.**

— რატომ, კაცო... რისთვის მინდოდა საკრებულოს თავმჯდომარეობა. ჩემი პარტიიდან არც არავინ დამისახელებია ამ პოსტზე. უკიდურეს შემთხვევაში, მანუჩარ მაჩაიძისთვის ვაპირებდი დამეჭირა მხარი. სააკაშვილის პლაკატებზე ხომ ეწერა, — საკრებულოს თავმჯდომარეობა მინდაო. გინდა და აგერ, ბატონო, ერთად გავაკეთოთ კარგი საქმეები-მეთქი. შევადგინეთ 4-თვიანი გეგმა... მაგრამ დღეს ყველაფერი ჩაშლის პირსაა.

(გაგრძელება იხ. გვ. 7)

# ბნელა, წვიმს, მიდიხარ მთაზე, ფეხი რომ დაგიცდეს, კაციშვილი ხელს არ გამოგიწვდის — შეიძლება ერთი დაცურდეს და მთელი ჯგუფი წაიყოლოსო...

როგორც ცნობილი რუსული გამონათქვამი ამბობს, კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ. უცხოეთში შვებისა და ლხენის პოვნის იმედად ყოველწლიურად ათასობით ადამიანი გაედინება. ზოგი ე.წ. ტურისტად, ზოგიც — არალეგალურად, მთებისა და ტყეების გავლით, უკანონოდ გადაკვეთენ საზღვრებს. ტურისტული ვიზა ძალზედ ძვირი — რამდენიმე ათასი (ქვეყანას გააჩნია) ღირს, მეორე ვარიანტი კი, სულ რაღაც 300-400 დოლარი ჯდება. სამაგიეროდ... თუმცა, სჯობს მოვუსმინოთ რესპონდენტს, რომელიც „კვირის პალიტრას" თავის აკრძალულ, 300-დოლარიან „ოდისეაზე" მოუთხრობს.

„ის, რაც იმ სამი დღისა და ორი ღამის განმავლობაში გადავიტანე, ალბათ ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმისთვის გამოდგებოდა. არასოდეს დამავიწყდება მაკედონიის მთები..." — ასე იწყებს ჩემთან საუბარს დაახლოებით 45 წლის, სიმპათიური ქალბატონი. ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, შეჭირვებული ოჯახის დიასახლისმა სამუშაოდ საზღვარგარეთს მიაშურა. ჩემმა რესპონდენტმა, სოფლის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, თვალი საბერძნეთს იმ იმედით დაადგა, რომ იქ მყოფი მისივე მეგობარი კოლეგა სამსახურის შოვნაში დაეხმარებოდა. დალი არც ტრეფიკინგის მსხვერპლი გამხდარა და არც ვინმეს „გადაუგდია". მაგრამ...



— შვიდი წლის წინ ქმარი სამუშაოდ რუსეთში წავიდა. ორი გოგონა და ბიჭი ჩემს იმედად დატოვა. ორი წელი ფულს აგზავნიდა, არა გვიშავდა. მერე ვიღაც ქალი გაიცნო და ჩვენ მივავიწყდით. მოხუცი მამამთილი ამ ამბავს შეეწირა, დედამთილი კი ძლიერი ქალია: აქეთ მამხნევებს და მაიმედებს. ჩემს ხელფასზე აღარაფერს ვიტყვი, თავადაც იცით მასწავლებლის მდგომარეობა. უფროსმა გოგომ რომ გამომიცხადა, შენი ახალგაზრდობის დროინდელი, ნახმარი ფეხსაცმლით სკოლაში არ ვივლიო, მაშინ გადავწყვიტე მტკიცედ საბერძნეთში წასვლა. ჩვენი სკოლის რუსულის მასწავლებელი იქ ოთხი წელია ცხოვრობს. თვეში 300-500 დოლარს აგზავნის. ასე და ამრიგად, სამი შვილი დედამთილს ჩავაბარე და, რომ იტყვიან, რკინის ქალამნები ჩავიცვი. თუმცა, მანამდე პასპორტი გავაკეთე და 350 დოლარი ვისესხე.

**— ეს თანხა საკმარისი იყო?**

— მითხრეს, რომ 300 დოლარიც კმაროდა, 50 დოლარი ისე, შავი დღისთვის ჩავიდე ჯიბეში. ასე რომ, მარტის ბოლოს გზას დავადექი.

**— რითი გაემგზავრეთ?**

— თბილისიდან სტამბოლამდე — ავტობუსით. სტამბოლიდან ბულგარეთამდე — მატარებლით. მთლიანობაში, 100 დოლარიც არ დაჯდა. 200 დოლარი ჯგუფის ხელმძღვანელს მიჰქონდა.

**— ბულგარეთში რა გინდოდათ, საბერძნეთში არ მიდიოდით?**

— მივდიოდი, მაგრამ არალეგალურად. ვიზა არ მქონდა და ისე ვინ შემიშვებდა? ვიზას 2500 დოლარი სჭირდებოდა. ჩვენი მეგზური კი შეგვპირდა, რომ შემოვლითი გზებით, მთების გადავლით ჩაგვიყვანდა საბერძნეთში. ასე და ამრიგად, ჩავედით ბულგარეთში, სადაც ორი კვირა დავყავით, მერე კი მაკედონიის მთებს შევუდექით. დღისით ვიმალებოდით, ღამით მივდიოდით...

**— ვის ემალებოდით?**

— იქაურ მწყემსებს, ფერმერებს (პოლიციას შეატყობინებდნენ). მიუვალი გზებით მივდიოდით, მაგრამ მაინც იყო საშიშროება, ვინმეს არ დავენახეთ. ჩვენი წინამძღოლები, ერთი ქართველი და მეორე მისი თანამოსაქმე ბულგარელი, ასეთ საქმეში გაწაფულები იყვნენ. მათ ასე გვირჩიეს და ჩვენც დავთანხმდით. წარმოიდგინეთ, ბნელა, წვიმს, მიდიხარ მთაზე, უფრო სწორედ, კლდეზე, სადაც ოც მეტრს ისე გაივლი, რომ ერთი კუნძი და ბუჩქი არ შეგხვდება, რომ ხელი ჩაავლო, მოეჭიდო და არ დაცურდე. ზოგს ფარანი კბილებით ეჭირა, ზოგს მეშახტესავით ქუდზე ჰქონდა მიმაგრებული, ბარგი ყველას ძალზე მცირე გვქონდა და ისიც, ზურგზე მოკიდებული. მოკლედ მთავარი იყო ხელები თავისუფალი გქონოდა, რომ დაცურებისას მიწას მაინც მოსჭიდებოდი. საშინელება იყო, ვინმეს რომ ფეხი დასცდენოდა, ხელს კაციშვილი არ გამოგიწვდიდა. სხვათა შორის, ჩვენი 17-კაციანი ჯგუფი მკაცრად გაგვაფრთხილეს, რომ ერთმანეთის დახმარების არც პრეტენზია და არც იმედი არ უნდა გვქონოდა. ერთი შემთხვევა ყოფილა: და-ძმა მიდიოდა თურმე. დას ფეხი დაუცურდა, ძმამ ხელი წააშველა და რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლიდან ორივე დაგორდა. ის ადგილი ჯგუფის წინამძღოლმა გვაჩვენა კიდეც. იმ ადგილას ჯვარიც აღუმართავთ. მე აზრი გამოვთქვი, ყველამ ერთმანეთს ჩავჭიდოთ ხელი-მეთქი. არაო — შეიძლება ერთი დაცურდეს და მთელი ჯგუფი წაიყოლოსო.

**— ასეთი შემთხვევები ყოფილა?**

— კი, ჩემი თანამგზავრებისგან სხვა ამბებიც მსმენია. ზოგი მათგანი ამ გზით მესამედ და მეოთხედ მიდიოდა. ერთი კახელი გოგო ყოფილა, 25 წლის, ორი შვილი დარჩენია სანყალს. ის ძლიერმა ქარმა ღრმა ხევში მოისროლა თურმე. ცხედარი, ცხადია არავის ამოუღია. რამდენიმე კაცი მესაზღვრეს დაუცხრილავს და ზოგის გადმოსვენება ვერც მოუხერხებია ჭირისუფალს. ერთს, სოკო უჭამია, უთქვამს, ცნობა ვიცი, შხამიანი არ არისო. ცოტა ხანში საშინელი წამებით მომკვდარა. ამ ამბის შემსწრე ერთი ქალი იყო ჩვენს ჯგუფში. ბევრს წასძლია სულმა, მაგრამ იმ ერთის გარდა ის სოკო არავის უჭამიაო, ამბობდა. ერთი ბიჭი კი ძილში გაყინულა. ცეცხლის ანთება არ შეიძლება, შეიძლება ვინმემ გიპოვოს.

**— რითი იკვებებოდით?**

— ბულგარეთში ჩვენი საჭმელი გვქონდა, საქართველოდან წამოღებული. რაც ამ მთებს შევუდექით, საკვები, პურის გარდა, თითქმის არავის არაფერი ჰქონდა. აბა, წარმოიდგინეთ, როგორია ათი კილო მოიკიდო ზურგზე და აღმართზე იარო. ძირითადი ტვირთი წყალი იყო. ვიცოდით, რომ დასალევი წყალი მთებში არ იყო. როგორც გითხარით, წვიმების გამო ნელა მივდიოდით. საკვების მწირი მარაგიც მალე შემოგველია. მერე ბალახების, კენკრის და მაყვლის ჭამა დავიწყეთ. ისეთი წვრილი მაყვალი ხარობდა, ალუბლის კურკისხელა ძლივს იქნებოდა. მე წნევა დამივარდა, ორჯერ გულიც წამივიდა, წყალიც აღარავის ჰქონდა. საჭმელზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ერთხელაც, დღე იყო, ვზივარ ნესტიან მიწაზე, მაგონდება ჩემი ეზო-კარი, ბავშვები, ჩამთვლიმა. ცხონებული ჩემი მამამთილი მესიზმრა. მეუბნება: ადექი, ხელმარცხნივ წადი და წყაროს ნახავო. გავიღვიძე და მივყევი სიზმარს. ზოგს გაეცინა. მაინც წავლასლასდი მარცხენა მხარეს. არ ვიცი, რამდენი ვიარე, ალბათ კილომეტრი. რაღაცნაირად, დარწმუნებული ვიყავი, რომ წყალს ვნახავდი. კარგი ორიენტაცია მაქვს და დაკარგვის არ მეშინოდა.

**მოლაპარაკებას აზრი არა აქვს. არალეგალურად გადამსვლელთა დაჭერაზე იქაურ ხელისუფლებას ფული აქვს დაწესებული. ჩვენს წასაყვანად მოსულმა პოლიციამ ცოლ-ქმარს ხელი ჩამოართვა და რაღაც უთხრა. იმათ თავი გააქნიეს. წინამძღოლმა გვითარგმნა მერე, ფულით დასაჩუქრებას შეჰპირდა, ცენტრში დაიბარაო. იმათ კი იუარეს, ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთო.**

ალაგ-ალაგ გაკვალულ ბილიკს ინტუიციით მივყევი და პატარა გუბურასავით წყარო ვნახე. წყაროსთან ორი ქალი დამხვდა. შორიდანვე მივხვდი, რომ ჩემნაირი მგზავრები იყვნენ. აზერბაიჯანელები აღმოჩნდნენ. ცოტა გავესაუბრე. ამ არალეგალური გზით თურმე სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიც სარგებლობდნენ. როგორც ჩანს, ჩვენ ერთადერთნი არ ვიყავით ამ სახიფათო გზაზე. ჩემს ბანაკში დავბრუნდი. საბერძნეთამდე ცოტა მანძილიღა იყო. ალბათ, 2 საათის სავალი. ერთი საათის შემდეგ, რაღაც ეშმაკად, ვიღაც [illegible] და მალე პოლიცია დაგვადგა თავს. ჩვენი „ჩამცვენი" ცოლ-ქმარი და მათი ორი პატარა ბიჭუნა იყვნენ.

**— მოლაპარაკება არ სცადეთ?**

— მოლაპარაკებას აზრი არა აქვს. არალეგალურად გადამსვლელთა დაჭერაზე იქაურ ხელისუფლებას ფული აქვს დაწესებული. ჩვენს წასაყვანად მოსულმა პოლიციამ ცოლ-ქმარს ხელი ჩამოართვა და რაღაც უთხრა. იმათ თავი გააქნიეს. წინამძღოლმა გვითარგმნა მერე, ფულით დასაჩუქრებას შეჰპირდა, ცენტრში დაიბარაო. იმათ კი იუარეს, ჩვენ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადეთო. ყველას გაგვიკვირდა. ხელმძღვანელი ამბობდა, უკვე მეშვიდედ ვარ ამ გზაზე და პოლიციის ხელში ჯერ არ ჩავვარდნილვართო. ერთხელ იყო მსგავსი მომენტი და მაშინაც მოველაპარაკე, იმაზე მეტი გადავუხადეთ, ვიდრე პოლიცია მისცემდათო. წაგვიყვანეს ციხეში, რომელიღაც უახლოეს ქალაქში, სადაც ჩვენისთანა ასობით პატიმარი იყო. სამი დღის შემდეგ ჩვენგანვე ამოღებული ფულით სტამბოლამდე მატარებლის ბილეთები აგვიღეს და შევუდექით თურქეთისკენ გზას. თუ პატიმარს ფული არ აღმოაჩნდებოდა, უფლებას აძლევდნენ ახლობელთან დაერეკა და მას გამოეგზავნა. თუ ახლობელი არ აღმოგაჩნდა, მაშინ შენი ქვეყნის საელჩომ უნდა იზრუნოს. ჩვენ გვერდით საკანში ოთხი სომალელი ზანგი იჯდა. თურმე წელიწად-ნახევარი იქ ყოფილან, პატრონი არავინ ჰყავდათ. ჩვენ რომ მივედით, შიმშილობდნენ პროტესტის ნიშნად — გაშვებას ითხოვდნენ. მერე ჩვენ წამოვედით და რა ქნეს, არ ვიცი.

21-ე დღეს სახლში ვიყავი. ძლივს მიცნეს — წონაში 12 კილო დავიკელი. ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ თუ ჩემნაირად ვინმე აპირებს რომელიმე ქვეყანაში მოხვედრას, იცოდეს, რას აკეთებს. არადა, 300 დოლარად საბერძნეთში მოხვედრა მართლაც დიდი ცდუნებაა. ძალიან ბევრი ადამიანი თანხმდება ამ სარისკო წინადადებას. ახლა იმას ვფიქრობ, რაც უცხოეთში ქართველი დაკარგულა, ალბათ უმეტესობა სწორედ ასეთი მოგზაურობის დროს დაიღუპა. ისიც ითქვა, დაკარგული მგზავრი ნადირმა შეჭამაო, თუმცა მტაცებელი ცხოველები იქ არ მინახავს. ჯგუფის მეგზური და სხვები კი შეგნებულად დუმან — სჯობს, ჭირისუფალთ ცოცხალი ეგონოთო, ან მათ რისხვას გაურბიან..

ბუნების მართლაც დიდი სიყვარული მაქვს. ჩემი სოფლის პატარა მთები ხუთი თითივით ვიცი. ახლა კი მთების ხსენებაზე ტანში მბურძგლავს. აღარსად წასვლას არ ვაპირებ, ისევ აქ მირჩევნია, შეჩვეულ ჭირს უფრო უმკლავდები ადამიანი. მასწავლებელთა ბოლოდროინდელ აქციაზე მეც გახლდით, ხელფასები ცოტათი კი მოგვიმატეს, მაგრამ რა? არსებობისთვის განა ეს საკმარისია?

პ.ს. მოსახლეობის აღრიცხვა დამთავრდა, მაგრამ მისი შედეგები ჯერ არ არის ცნობილი. შესაბამისად, უცნობია ისიც, თუ რამდენი კაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ სამუშაოდ ან საცხოვრებლად წასული. არაოფიციალური მონაცემებით, ასეთი დაახლოებით ნახევარ მილიონამდეა. მათი მცირე ნაწილი პერიოდულად ახერხებს სამშობლოში ჩამოსვლას და მერე უკან ბრუნდება. რაც შეეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულებს, აქ საქმე ბევრად ბუნდოვანია. ასევე არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 10 ათასი [illegible] ნის საცხოვრებელ [illegible] ოდ უცნობია [illegible] ოჯახის წევრებ[illegible]. მათი მოძიების სახსრები კი სახელმწიფოს არ გააჩნია, მით უმეტეს — ჭირისუფალს.

*ქეთი ბერუაშვილი*

# „თუ ვინმეს სიმართლის გარკვევა სურს, გადადგეს თანამდებობიდან ავთო იოსელიანი..."



„მოქალაქეთა კავშირის" დაშლის შემდეგ ყველა ვარაუდობდა, რომ ძალიან მალე „აღორძინებასაც" იგივე ბედი ეწეოდა. მართალია, ბლოკში შემავალი ზოგიერთი სუბიექტი „ობიექტური" მიზეზების გამო ერთიანი პოზიციების „ქვაბში" აღარ „იხარშება", მაგრამ ბლოკი ჯერჯერობით მაინც ბლოკად რჩება. თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, სიტუაცია გამწვავდა. შინაგანხეთქილებაზე კარგა ხანია უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ. იმასაც ამბობენ, რომ „აღორძინების" ყრილობაზე, რომელიც ივლისის ბოლოსაა დაგეგმილი, მნიშვნელოვანი პარტიული წმენდა განხორციელდება. პარალელურად, საკმაოდ საინტერესო ინფორმაციები ვრცელდება „აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერის, **ჯემალ გოგიტიძის** შესახებ. მას და ექსდევნილ ბორის კაკუბავას „ტყის ძმების" მეთაურის დავით შენგელიას წინააღმდეგ ტერაქტის ორგანიზებაში „ამხელენ". არანაკლებ საინტერესო განცხადებებს აკეთებს თავად გოგიტიძეც, რომელსაც „კვირის პალიტრა" ესაუბრა.

**— ამბობენ, რომ შესაძლოა „აღორძინება" ორ ბანაკად გაიყოს: ერთ მხარეს იქნებიან გელბახიანი, თარგამაძე და სხვები, ხოლო მეორე მხარეს — ასლან აბაშიძე, ჯემალ გოგიტიძე, სანდრო ბრეგაძე და ა.შ.**

— „აღორძინება" ასლან აბაშიძემ შექმნა 1992 წელს და ეს სწორედ ბატონი ასლანის პარტიაა. თუ ვინმე მას განუდგება, ან დატოვებს ამ გუნდს, ან გარიცხავენ. ასე რომ, პარტიის ორად ან ოთხად გახლეჩა გამორიცხულია.

**— არსებობს თუ არა განხეთქილება, კონკრეტულად, ასლან აბაშიძესა და გიორგი თარგამაძეს შორის?**

— მათ შორის განხეთქილება მე არარეალურად და წარმოუდგენლად მიმაჩნია.

**— მოსალოდნელია თუ არა, რომ პარტიის ყრილობაზე, რომელიც უახლოეს ხანშია დაგეგმილი, მნიშვნელოვანი წმენდა ჩატარდეს?**

— ჩვენი გუნდიდან, ეტყობა, მავანნი „ამომწურავ" ინფორმაციებს ღებულობენ ვიღაც-ვიღაცებისგან. პირადად მე, ჯერ არ ვიცი, ყრილობა როდის ჩატარდება. ასე რომ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. და საერთოდ, ეს შინაური საქმეებია და მოდით, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

**— კი, ბატონო, მაშინ იმაზე ვილაპარაკოთ, როგორ გეგმავდით თქვენ და ბორის კაკუბავა ტერორისტულ აქტს დათო შენგელიას წინააღმდეგ...**

— დიახ, შევკრებილვართ თურმე ქობულეთში, ერთ-ერთ ოჯახში მე, ბორის კაკუბავა და რუსი სამხედროები და დათო შენგელიაზე ტერაქტი დაგვიგეგმავს... იცით რა, ასეთი სისულელეები ჩემთვის არაერთხელ დაუბრალებიათ და სიმართლე გითხრათ, აღარაფერი მიკვირს. ესეც მორიგი პროვოკაციაა. გამაგებინეთ, რისთვის უნდა მჭირდებოდეს მე, ჯემალ გოგიტიძეს, დათო შენგელიას ფიზიკური განადგურება? უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ვიღაცას დავით შენგელიას თავიდან მოშორება სჭირდება. შეიძლება განახორციელოს კიდეც და საჭიროა, ვინმეს ხელი შეაწმინდონ. ვინმე კი, ეტყობა, ან ჯემალ გოგიტიძე უნდა იყოს, ან ბორის კაკუბავა. ეს საკმაოდ შემაშფოთებელია არა მხოლოდ ჩემთვის ან შენგელიასთვის, არამედ ქვეყნისთვისაც.

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ შესაძლოა შენგელიაზე ტერაქტი მართლა იგეგმებოდეს?**

— დიახ და მინდა, გავაფრთხილო დათო შენგელია. შესაძლოა, მასზე ტერაქტი მართლაც იყოს დაგეგმილი. როცა აკაკი ელიავა სხვების თამაშით აღარ თამაშობდა, თავიდან მოიშორეს. გამორიცხული არ არის, ასეთი სცენარი დათო შენგელიასთვისაც გაითამაშონ. მე მას კიდევ 100 წლის სიცოცხლეს ვუსურვებ და საქვეყნოდ ვაცხადებ — მას თუ რამე დაემართება, მე არაფერ შუაში არ ვიქნები!

**— სხვათა შორის, თქვენი გვარი ტერაქტებთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ე.წ. საიდუმლო მასალებშიც ფიგურირებს.**

— დიახ... ამიტომაც ვთხოვ გენერალურ პროკურორს, გამოიძიოს, მართლა ვარ თუ არა ტერორისტი და მართლა დავგეგმე თუ არა ტერაქტი „ტყის ძმების" მეთაურის წინააღმდეგ. მერწმუნეთ, ყველაფერ ამას საგანგებოდ თხზავენ და ასევე საგანგებოდ ავრცელებენ. თუ გახსოვთ, იმავე ჯემალ გოგიტიძესა და ბორის კაკუბავას აბრალებდნენ ნუგზარ საჯაიას მკვლელობას, თუ თვითმკვლელობასაც. ჩვენი დისკრედიტაცია სწორედ ასეთი მეთოდებით, ეტყობა, ვიღაცას ზედმიწევნით აქვთ დაგეგმილი.

**— იქნებ უფრო კონკრეტულად ილაპარაკოთ...**

— ყოველივე ამაში სერიოზულად ვადანაშაულებ ავთო იოსელიანს. გამორიცხული არ არის, ეს პროვოკაციები სწრედ მისგან იდგმებოდეს. ინფორმაციებიც მისი სტრუქტურიდან გამოდის. მე ახლა ბევრი რამის თქმის უფლება არ მაქვს, რადგან შეიძლება ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავაგდო თავად იოსელიანის სისტემაში მომუშავე რამდენიმე კეთილსინდისიერი ადამიანი. ავთო იოსელიანს მე ბრალად დავდე ტერაქტის ორგანიზება ბატონ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ. თუ ვინმეს სიმართლის გარკვევა სურს, გადადგეს თანამდებობიდან იოსელიანი და მერე დაველაპარაკები. თუმცა სიმართლე გითხრათ, იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ შევარდნაძე მას გაათავისუფლებს — ისინი ხომ ერთ საქმეს აკეთებენ. ამიტომ ამას არ გააკეთებს. გარდა ამისა, იმასაც გეტყვით, რომ დაზვერვის დეპარტამენტის შეფს ძალიან მჭიდრო და აქტიური ურთიერთობა აქვს პარტიზანებთანაც. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ დგას დღევანდელი ხელისუფლების სათავეში.

**— კონკრეტულად, რით გამოიხატება ეს აქტიური ურთიერთობა?**

— იოსელიანი პარტიზანებისაგან ინფორმაციებს ღებულობს და პირიქით — თვითონაც აწვდის. გარდა ამისა, ბატონი ავთო ძალიან კარგად მართავს პარტიზანებს, თუმცა მოდით, დავაკონკრეტოთ — არიან პირები, რომლებიც მართლა სამშობლოსთვის იბრძვიან და მეორენი, რომლებიც ხელისუფლებისგან ხელფასს იღებენ და თავს პარტიზანებად ასაღებენ. რუზგენ გოგოხია გამოდის ტელევიზიით და საჯაროდ აცხადებს — პარტიზანებსა და ხელისუფლებას შორის მაკოორდინირებელ ფუნქციას ვასრულებო. გარდა ამისა, ის შევარდნაძის მე-3 ვადით არჩევას ითხოვს... რას ნიშნავს ყოველივე ეს? ე.ი. ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ... თემურ ხაჩიშვილმა კვლავ გამაფრთხილა, რომ ასლან აბაშიძის ლიკვიდაცია იგეგმება. მაქვს ასევე ინფორმაცია, რომ იარაღი, რომელიც ნატახტართან ალმოაჩინეს, შესაძლოა ედუარდ შევარდნაძის ან ასლან აბაშიძის ფიზიკური განადგურებისთვის იყო გამიზნული.

**— საიდან გაქვთ ასეთი ინფორმაციები?**

— ავთო იოსელიანის სტრუქტურის ზოგიერთი თანამშრომლისგან.

**— დაზვერვაში თქვენი აგენტები გყავთ?**

— აგენტები — არა, მეგობრები მყავს!

***ხათუნა ყვირალაშვილი***

*ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები — უცხოელი ბიზნესმენის პიტერ შოუს გატაცება, ძალოვანი უწყებებისგან თავისუფალ მედიაზე განხორციელებული შტურმი, ჟურნალისტების დაშინება და უზენაესი სასამართლოს მიერ დაშვებული უცნაური პრეცედენტი — არცთუ „სახელოვანი" მინისტრისთვის კორუმპირებულის იარლიყის ოსტატურად ჩამოცილება, გვაფიქრებინებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სახელმწიფოდ.*

*ვესაუბრებით „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს* ***დავით ბერძენიშვილს.***

**— რამდენიმე დღის წინ უზენაესმა სასამართლომ თქვენი ძმის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, — ანუ ჩხარტიშვილს კორუმპირებულობა არ დაუმტკიცდა. როგორ შეხვდით ამ გადაწყვეტილებას...**

— არ მინდა ვილაპარაკო, კონკრეტულად ჩხარტიშვილისა და ჩემი ძმის პროცესზე. რაც მეტს ილაპარაკებენ, ჩხარტიშვილის არაკორუმპირებულობაზე, მით მეტად სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდებენ თავს. რამდენიც უნდა თქვას უზენაესმა სასამართლომ, შავზე თეთრიაო, შავს მაინც ვერ გაათეთრებს.



## მოქალაქეთა კავშირში შესვლა იმავეს ნიშნავს, 9 აპრილის შემდეგ რომ შედიოდა ხალხი კომუნისტურ პარტიაში

**— ბოლო დროს ძალზე გახშირდა ჟურნალისტთა დევნის და დაშინების ფაქტები. სიმართლის თქმის გამო რატომ უნდა ემუქრებოდეს ადამიანს საფრთხე და რამდენად ნორმალურია ის სახელმწიფო, სადაც ასეთი ფაქტები ხდება?**

— ჟურნალისტზე ზეწოლა, რა თქმა უნდა, არანორმალური და აღმაშფოთებელი ფაქტია. ასეთი ზეწოლის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ხმა უნდა აიმაღლოს დემოკრატიული რესურსის ყველა სუბიექტმა, მაგრამ ეს საკითხი უფრო ფართო კონტექსტითაც არის განსახილველი. გამოსააშკარავებელია, კონკრეტულად ვინ აწარმოებდა ზეწოლას. თუ აქ ჩარეულია გია ჯიქია, იგი უმკაცრესად უნდა დაისაჯოს, ისევე როგორც შსს და სხვა ძალოვანი უწყებები, რომლის ხელმძღვანელები ამა თუ იმ შემთხვევაში არღვევენ კანონს.

**— ბოლო დროს მომხდარ კრიმინალს დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. რამდენად იმოქმედებს ეს საქართველოს იმიჯზე და როგორი იქნება დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, სადაც ასეთი ფაქტები ხდება?**

— პიტერ შოუს გატაცებასთან დაკავშირებული მოვლენები, იარაღის კონტრაბანდის ფაქტი, სრულიად გაუგებარი და გაუგონარი მცდელობა ქვეყანაში ოფიციალურად გამოცხადებული და მოქმედი პარტიზანების ხელმძღვანელის მხრიდან ამ კონტრაბანდულ იარაღზე პრეტენზიებისა — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტები ნომინალურ ხასიათს ატარებს, რომ ჯერ არ გვაქვს შექმნილი და დალაგებული ნორმალური სახელმწიფო. ჩვენი უპირველესი ამოცანაა, 11 წლის წინ ფორმალურად გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველო შევარდნაძის მმართველობის ბოლო ხანებში მაინც ვაქციოთ დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოდ. ამ ამოცანის წინაშე დგას ქართველი ერი და ყოველი კონკრეტული გაუგონარი ველურობის ფაქტი, იქნება ეს კალაძის მოტაცება თუ ქვეყანაში განხორციელებული უამრავი ტერაქტი, კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ვდგავართ დიდი გამოწვევის წინაშე; ანუ ვართ თუ არა ქართველები დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების ამშენებელი ხალხი. ამ გამოწვევას უახლოეს მომავალში გასცემს ქართველი ხალხი პასუხს — ან დაძლევს კორუმპირებულ რეჟიმს, ან იქნება ფსევდოსახელმწიფო, ისეთი, როგორიც ათობით არის ლათინურ ამერიკაში.

**— გასულ კვირას „მოქალაქეთა კავშირის" განახლების მოწმენი გავხდით. პრეზიდენტის ვარაუდით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული სწორედ ეს პარტია იქნება. რამდენად რეალურად მიიჩნევთ პრეზიდენტის ოპტიმიზმს?**

— ეს არის შეკვეთა. ყველა სახელისუფლებო სტრუქტურამ მიიღო მკაცრი მითითება, — ჩვენ უნდა გავიფორმოთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება! როცა მინისტრები რეკავენ დაწესებულებებში და მოითხოვენ, რომ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები რეკრუტირებული იქნენ „მოქალაქეთა კავშირში", ამ პარტიის უსუსურობის დამადასტურებელია. თუ შევარდნაძე-ჟვანიას „მოქალაქეთა კავშირი" პერესტროიკის დროინდელ კომპარტიას წააგავდა, შევარდნაძე-ჯორბენაძის „მოქალაქეთა კავშირი" უკვე ბრეჟნევის დროინდელი კომპარტიაა იმიტომ, რომ აზრთა პლურალიზმიც აღარ დარჩა ამ პარტიაში. გავიხსენებ ემზარ ჯგერენაიას პოლიტიკურ მეტაფორას: როცა თბილისის „დინამო" ცუდად თამაშობდა და ჩვენს კარში საჯარიმო დაინიშნებოდა, ეროსი მანჯგალაძე ამბობდა — მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელიო. ეს გაიხსენა ჯგერენაიამ. „მოქალაქეთა კავშირის" განახლების მცდელობა არის ის, რომ მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელი და რაკი საკუთარი მკვდრები არ ეყოთ, ამ ცოცხალი კედლის შესავსებად, ახალი რეკრუტირებული წევრები მიიერთეს. ძალიან კარგი კაცი და კარგი ექიმია ჯანმრთელობის მინისტრი და როცა ასეთ „მოქალაქეთა კავშირში" შესვლის ულტიმატუმს თანხმდება, ეს იმავეს ნიშნავს, 9 აპრილის შემდეგ რომ შედიოდა ხალხი კომუნისტურ პარტიაში. იგივე შემიძლია ვთქვა მირიან გოგიაშვილზეც. თედო ისაკაძე რომ ახლა შედის შევარდნაძე-ჯორბენაძის „მოქკავშირში", ამით საბოლოოდ ხაზს უსვამს იმ ხიბლს, რაც ჯერ კიდევ სტუდენტური მოძრაობის პერიოდიდან აქვს გამოყოლილი. ეს ხალხი სახიფათო მდგომარეობაში იგდებს თავს. იმდენად დიდია ხალხის გალიზიანება და უნდობლობა შევარდნაძე-ჯორბენაძის განახლებული „მოქკავშირის" მიმართ, რომ იქ შესვლა პოლიტიკური თვალსაზრისით უჭკუობაა და არც მთლად უხიფათო. არავითარი გარანტიები არ არსებობს იმისა, რომ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირი" ხალხის რისხვას გადაურჩება...

***იზო რიკაძე***

# „ალუდა ქეთელაური ერთხელ გააძევეს თემიდან, ჩვენ მეორედ გვაძევებენ არჩევნებიდან..."

## „ჟვანია-სააკაშვილს უნდათ შევარდნაძის ხელისუფლებას ჩაენაცვლონ ისევე, როგორც სტალინი ჩაენაცვლა ლენინს"

*(დასაწყისი იხ გვ. 6)*

**— როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო არჩევნების წინ პასუხისმგებლობას ხომ არ გაურბის სააკაშვილი?**

— აბა, რა უნდა ვიფიქრო? კაცი მიდის საკრებულოს თავმჯდომარედ, მართმევს ხელს და მეორე ხელით სარჩელი შეაქვს სასამართლოში, რომლითაც არჩევნების შედეგები ბათილდება. უნდა ისევ შიშველი ოპოზიციონერის რანგით მივიდეს საპარლამენტო არჩევნებამდე და თქვას, — აი, მე რომ საკრებულოს თავმჯდომარე ვყოფილიყავიო... ახლა მომეცით ხმა, პარლამენტის თავმჯდომარე გავხდები და ნახავთ, რას გავაკეთებო. „ნაციონალური მოძრაობა" უმრავლესობითაც რომ გასულიყო, სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარედ თანაპარტიელს აირჩევდა. თავად უარს იტყოდა, — ხალხმა პარლამენტში დარჩენა მთხოვაო. წინასწარ ვიცი, ვინ რას იტყვის ხვალ, მეტი კი არაფერი მისწავლია პოლიტიკაში...

**— შესაძლოა ვერც დაიჯერა სააკაშვილმა, რომ ალალად, რაიმე ქვენა გრძნობის გარეშე უთმობდით თავმჯდომარის პოსტს.**

— სააკაშვილის ფსიქოანალიტიკოსად არ გამოვდგები, მაგრამ თუ დავუთმობდი, ეს ნიშნავს, რომ გვერდშიც დავუდგებოდი და არ გადავირჩევდი. ისიც ვთქვი, 4 წელი სააკაშვილი ამ ადგილზე უნდა იჯდესმეთქი, მაგრამ კი ვიცოდი, ამდენი ხანი იმ ადგილზე რომ არ გაჩერდებოდა, ეჭვი არ მეპარებოდა, საპარლამენტო არჩევნების წინ მონახავდა რაღაც მიზეზს, გადადგებოდა, გაიქცეოდა და რომელიმე მეტყევის სახლის წინ პატარა მიტინგს ჩაატარებდა. ამ დროს იმ მეტყევის სახლის იქით თბილისის მერის სასახლე რომ დგას, იმას ვერ დაინახავდა...

საქართველოს არ მიეცა იმის ბედნიერება, რომ პარტიებს გვეთანამშრომლა და ერთმანეთის ოპონენტებადაც დავრჩენილიყავით. აუცილებლად თხა და მგლებივით უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. ჟვანია-სააკაშვილს უნდათ შევარდნაძის ხელისუფლებას ჩაენაცვლონ ისევე, როგორც სტალინი ჩაენაცვლა ლენინს.

ჩვენ შემოწმების პროცედურა ჩავატარეთ (აუცილებელი იყო ასეთი ბიოგრაფიის პოლიტიკოსის გადამოწმება). ჩემდა სამწუხაროდ, სააკაშვილმა ვერ გაიარა ტესტი ოპოზიციონერობაზე.

**— სააკაშვილისკენ ისევ გაიხედავთ?**

— კი გავიხედავ, ბატონო, მაგრამ კარგს ვერაფერს ვხედავ. პოლიტიკურმა ლიდერმა უნდა იცოდეს, რა უნდა. იმას ხომ არ უნდა ველოდო, დილით როგორ ხასიათზე გაიღვიძებს.

**— სანამ ახალი საკრებულო ჰაერშია გამოკიდებული, ძველის უფლებამოსილებას ხომ არ აღადგენენ?**

— ძველი საკრებულოს დაბრუნება იგივე იქნება, ბებიაჩემი რომ ამოვთხარო საფლავიდან და შინ დავისვა. ძველი საკრებულოს წევრების უმეტესობა ხელდამშვენებული წავიდა წილებით, ბიზნესით, მიწის ნაკვეთებით, სამარშრუტო ხაზებით, რესტორნებით, სუპერმარკეტებით. ქალაქში არაფერი აღარ დატოვეს და მათი უკან მოყვანა უარესი დანაშაული იქნება. სწორედ ეგ უნდა ზოდლავას, უზურპაცია მოახდინოს და მთელი საკრებულო ჯიბეში ჩაისვას.

***იზო რიკაძე***

# რამდენად სჭარბობს ამერიკული სამხედრო ბაზები რუსებისას?!

**„გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რომელ ქვეყნებშია აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის, ასევე სხვა სახელმწიფოების სამხედრო ბაზები.**

***პატივისცემით — მ. ბერაძე".***

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში თითქმის ყველა სახელმწიფოს ხელისუფლება მხოლოდ მშვიდობასა და მეგობრობაზე ლაპარაკობს, ძნელად თუ მოიძებნება მათ შორის ისეთი, რომელიც მეზობელ ქვეყნებსა თუ რეგიონზე საკუთარი პოლიტიკური ინტერესების თავს მოხვევას არ ცდილობდეს.

ყოველივე ეს კი, პირველ რიგში, ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური გავლენის სფეროების გავრცელებით მიიღწევა. ამ პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი საკუთარი სამხედრო ბაზების სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნებას ენიჭება. ეს ბაზები თამაშობენ არა მარტო წმინდა სამხედრო როლს, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო ფორპოსტადაც იქცევიან ხოლმე ამა თუ იმ რეგიონში.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში „ცივი ომის" პერიოდში, აშშ და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პლანეტის ამა თუ იმ კუთხეში ახალი სამხედრო ბაზის გახსნაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბუნებრივია, პირველობა პენტაგონს დარჩა, რომლის სამხედრო ბაზები დედამიწის თითქმის ყველა რეგიონშია განთავსებული. ეს კი თეთრ სახლს საშუალებას აძლევს, ოპერატიულად მოახდინოს რეაგირება ამა თუ იმ კონფლიქტურ სიტუაციაზე და დედამიწის სხვადასხვა წერტილში ერთდროულად აწარმოოს ორი, დიდი ინტენსივობის საბრძოლო მოქმედება. ვინც სამხედრო საქმეში ცოტათი მაინც არის გარკვეული, ეცოდინება, რომ ერთდროულად ორი ფრონტის გახსნა, ვთქვათ, ავღანეთსა და ფილიპინებზე, კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვს და ასეთი რამ მხოლოდ აშშ-ის მსგავს სუპერსახელმწიფოს თუ ძალუძს.

უზარმაზარი დანახარჯების შესამცირებლად და ამასთანავე, დამატებითი ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის ოპერატიულად გადასასროლად მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში, ვაშინგტონი კვლავ აგრძელებს ახალ-ახალი სამხედრო ბაზების შექმნას მთელ პლანეტაზე.

**სევდიან ღიმილს იწვევს ის გარემოება, რომ თვით საქართველოსაც სამი სამხედრო „ბაზა" გააჩნია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და ისიც არა რაიმე სტრატეგიული მიზნით, არამედ... უსახსრობის გამო. მესამე წელია უკრაინაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შვიდი შვეულმფრენი და ორი სამხედრო კატარღა „რემონტდება", მათი უკან დაბრუნება დაგროვილი ვალის გამო შეუძლებელი ხდება.**

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიური ცნობარის, The Military Balance-ის, 2002 წლის დასაწყისის მონაცემებით, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს ყველაზე დიდი კონტინგენტი, ევროპის სარდლობის სახით, NATO-ს შემადგენლობაში, დასავლეთ ევროპაში ჰყავს განთავსებული. მათი საერთო რაოდენობა 100 ათასი კაცია, რომელსაც ემატება ხმელთაშუა ზღვაში აშშ-ის მე-6 ფლოტის 14-ათასიანი კონტინგენტი.

გერმანიაში ამერიკელების სახმელეთო დაჯგუფება 42 ათასს, ხოლო საჰაერო — 15 ათას კაცს შეადგენს. მათ შეიარაღებაშია 785 ტანკი, 1.600-მდე ჯავშანმანქანა, 512 საარტილერიო სისტემა, აგრეთვე 72 საბრძოლო თვითმფრინავი (მათ შორის 54 გამანადგურებელი F-16C და 12 მოიერიშე A-10A).

ლუქსემბურგში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, საბერძნეთში, პორტუგალიასა თუ ესპანეთში პენტაგონის ძალები არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა პორტუგალიის აზორის კუნძულებზე განთავსებულია ატლანტიკური ფლოტის სარდლობა, ხოლო ესპანურ საპორტო ქალაქ როტაში მნიშვნელოვანი ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზაა.

იტალიაში პენტაგონის ათი ათასზე მეტი სამხედრო იმყოფება, რომელთა შეიარაღებაშია 116 ტანკი და 184 ჯავშანმანქანა, აგრეთვე




86 საბრძოლო თვითმფრინავი.

დიდი ბრიტანეთი ამერიკელი სამხედროებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, რადგან აქედან შეიძლებოდა მოეგერიებინათ და საპასუხო კონტრდარტყმა მიეყენებინათ საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთისთვის. ამჟამად ინგლისში 11 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო დგას, რომელთა განკარგულებაშია 53 საბრძოლო თვითმფრინავი.

ბოლოსთვის საგანგებოდ მოვიტოვეთ ჩვენი მეზობელი თურქეთი, სადაც 2 ათასამდე ამერიკელი სამხედრო დგას. ისინი ძირითადად ინჯირლიყის აეროდრომზე დისლოცირებულ საავიაციო დაჯგუფებას ემსახურებიან. ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზა თეთრი სახლისთვის იმითაცაა ძალზე მნიშვნელოვანი, რომ გარდა კავკასიის მიმართულებისა, აქედან შეიძლება ერაყისა და ირანის საჰაერო სივრცეების დიდი მონაკვეთების გაკონტროლება.

ჩვენთვის ალბათ ისიც უნდა იყოს ძალზე საინტერესო, რომ ვაშინგტონს თურქეთის ტერიტორიაზე გააჩნია ზესაიდუმლო სეისმოლოგიური მონიტორინგული სამხედრო ლაბორატორია, დაახლოებით იმავე დანიშნულებისა, როგორიც მოსკოვს აქვს საქართველოში, ეშერაში.

დედამიწაზე უხვად მიმობნეული ყველა ამერიკელი სამხედრო ბაზის ჩამოთვლას და დაწვრილებით დახასიათებას ჩვენი გაზეთის ერთი ნომერი დასჭირდება, ამიტომაც მათ მხოლოდ მოვიხსენიებთ:

აშშ-ის შეიარაღებული ძალების წყნარი ოკეანის სარდლობას საზღვარგარეთ სამხედრო ბაზები გააჩნია სინგაპურში, გუამზე, ავსტრალიაში, კუნძულ დიეგო-გარსიაზე (სხვათა შორის, სწორედ ამ კუნძულიდან აფრენილი ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენები ჯერ ერაყს ბომბავდნენ, ხოლო ათი წლის შემდეგ — ავღანეთს. ამ კუნძულიდან თითქმის მთელი ინდოეთის ოკეანის გაკონტროლება შეიძლება, რაც აშკარად შურდათ იმ რუს გენერლებს, რომლებიც ოცნებობენ რუსული ჩექმის ინდოეთის ოკეანის ტალღებში გარეცხვაზე), ტაილანდში. მათ შორის, უსათუოდ ცალკე უნდა აღინიშნოს იაპონიასა და სამხრეთ კორეაში მოქმედი ამერიკული სამხედრო ბაზები, რადგან სწორედ ისინი ულობავდნენ გზას მოსკოვისა და პეკინის კომუნისტური იდეების ამ რეგიონში ძალით გავრცელებას. იაპონიაში 20 ათასამდე ამერიკელი სამხედრო, 90 საბრძოლო თვითმფრინავი და რამდენიმე სადესანტო ხომალდი იმყოფება. სამხრეთ კორეაში კი პენტაგონმა მთავარი ყურადღება სახმელეთო სეგმენტზე გადაიტანა (ალბათ ჩრდილოეთ კორეის კომუნისტური ძალების შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად) და 38-ე პარალელთან 27-ათასიანი არმია განათავსა, რომელსაც მხარს უმაგრებს 9-ათასიანი სამხედრო-საჰაერო დანაყოფი (90 საბრძოლო თვითმფრინავით).

ახლო აღმოსავლეთში პენტაგონის ცენტრალურ სარდლობას ბაჰრეინში, ომანში, კატარში, საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროში სულ 13 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, ასობით ტანკი, ჯავშანმანქანა, საარტილერიო სისტემა და საბრძოლო თვითმფრინავი აქვს განთავსებული.

პენტაგონმა, როდესაც თავის ჯარისკაცებს შორეულ სახელმწიფოებში გზავნიდა, არც მეზობელი ქვეყნები დაივიწყა — ჰონდურასში, ისლანდიასა და კუბაში ათასობით სამხედრო ჰყავს თავმოყრილი. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანია კუბაში არსებული გუანტანამოს ამერიკული სამხედრო ბაზა, რომელშიც, მართალია, ათასიოდე კაცი მსახურობს, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდ სიშორეზე აკონტროლებს საჰაერო და, რაც მთავარია, წყალქვეშა სივრცეს, რათა ფიდელ კასტროს ხელისუფლების დახმარებით, საბჭოთა და ამჟღერად უკვე რუსულ ატომურ წყალქვეშა ნავებს არ მისცემოდათ შესაძლებლობა, მეტისმეტად მიახლოებოდნენ აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს.

ჩამოთვლილს შეიძლება დავუმატოთ ის ამერიკული სამხედრო დანაყოფებიც, რომლებიც ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების მიზნით გადასხდნენ ავღანეთში, პაკისტანსა და შუა აზიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ამჟამად ავღანეთში 2.250 ამერიკელი სამხედრო იმყოფება, ხოლო ყირგიზეთის სამოქალაქო აეროპორტ „მანასში", რომლის ერთ ნაწილშიც საბრძოლო F/A-18E თვითმფრინავებია განთავსებული, პენტაგონის გაგზავნილი 1.200 კაცი.

ამ უზარმაზარი ნუსხის ფონზე ძალზე უმნიშვნელოდ გამოიყურება რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები საზღვარგარეთ. ვაზიანის სამხედრო დაჯგუფების ლიკვიდაციამდე მოსკოვს ყველაზე მეტი (სამი) სამხედრო ბაზა საზღვარგარეთ, სწორედ საქართველოში (ახალქალაქი, ვაზიანი და ბათუმი) ჰქონდა, თუმცა დარჩენილი ორი ბაზითაც ჩვენი სამშობლო, სამწუხაროდ, მაინც „ლიდერობს". სომხეთში, ქ. გიუმრიში, რუსებს ერთი სამხედრო ბაზა აქვთ, აქ 3.000-ზე მეტი კაცი მსახურობს. მათ განკარგულებაშია 74 ტანკი, 165 ჯავშანმანქანა, 84 საარტილერიო სისტემა, МиГ-29 გამანადგურებელი თვითმფრინავების ერთი ესკადრილია და С-300В ტიპის მობილური საზენიტო-სარაკეტო სისტემის ერთი ბატარეა.

მოლდოვის დნესტრისპირეთში შემორჩენილი რუსული სამხედრო კონტინგენტი 2.600 კაცს, 117 ტანკს, 133 ჯავშანმანქანას, 128 საარტილერიო სისტემას და, რაც მთავარია, საბრძოლო საჭურვლის უზარმაზარ მარაგს ითვლის.

ყველაზე მრავალრიცხოვანი — 8.200 კაცი — რუსული სამხედრო კონტინგენტი ტაჯიკეთშია, რომელიც უმთავრესად 201-ე მოტომსროლელ დივიზიაშია გაერთიანებული. მათ შეიარაღებაშია 190 ტანკი, 303 ჯავშანმანქანა, 180 საარტილერიო სისტემა.

უკრაინის სევასტოპოლის პორტი რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი ნავსაყუდელია. აქ 1500-მდე რუსი სამხედრო მსახურობს. მათ განკარგულებაშია 212 ჯავშანმანქანა და 31 საარტილერიო სისტემა.

სხვა კონტინენტებსა და რეგიონებში რუსული სამხედრო მანქანის კვალი ნაკლებად შეიმჩნევა. აფრიკაში სულ ასიოდე რუსი სამხედრო სპეციალისტი თუ მოღვაწეობს (ოფიციალურად, თორემ ფულის შოვნის იმედით, საკუთარი ინიციატივით ათასობით რუსი ოფიცერი-სპეციალისტი — მფრინავი, არტილერისტი, ტანკისტი თუ სხვა, უკვე მეათე წელია მონაწილეობს აფრიკულ ომებში). სირიაში ჯერჯერობით რჩება რუსული სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურა (სულ 150 კაცი), რომლებსაც აქ მოხვედრილი რუსული სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების მომსახურება ევალებათ, თუმცა უსაწვავობის გამო ამ წყლებში რუსული სამხედრო ხომალდები თითქმის აღარ დაცურავენ.

დაბოლოს, პრეზიდენტ პუტინის ბრძანებით, სულ ახლახან გაუქმდა ორი რუსული სამხედრო ბაზა საზღვარგარეთ — ვიეტნამში, კამრანი და კუბაში — ლურდესი, როგორც რუსეთის სტრატეგიული ინტერესებისთვის ნაკლებად საჭირო. მკითხველი თავად მიხვდება, რომ საკუთარი სამხედრო ბაზების საზღვარგარეთ განთავსება უზარმაზარ ხარჯს მოითხოვს და ძალზე ძვირი სიამოვნებაა. როგორც წესი, პენტაგონი არც ისე ცოტას უხდის თითოეული იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომლის ტერიტორიაზეც მისი ჯარისკაცები იმყოფებიან (მაგალითისთვის ყირგიზეთის „მანასის" აეროპორტიც გამოდგება. აქ ყოველი ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის დაჯდომა ვაშინგტონს 7.500 დოლარი უჯდება).

სამაგიეროდ, მთელ მსოფლიოში ასეთი სამხედრო ბაზების ქსელი თეთრ სახლს საშუალებას აძლევს, თითქმის ყველა რეგიონში განახორციელოს თავისი გლობალური პოლიტიკური ინტერესები, რაც საბოლოოდ, ერთადერთი ზესახელმწიფოს იმიჯის საბოლოო განმტკიცებას ემსახურება. სულაც არ იქნება მოულოდნელი, თუკი სულ რაღაც 2-3 წელიწადში ამერიკული სამხედრო ბაზები (უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-საჰაერო — ვაზიანის აეროდრომის ბაზაზე და შეიძლება შემდგომ სამხედრო-საზღვაო — ფოთის სიახლოვეს) საქართველოშიც დაფუძნდეს.

ყოველივე ამის ფონზე, სევდიან ღიმილს იწვევს ის გარემოება, რომ თვით საქართველოსაც სამი სამხედრო „ბაზა" გააჩნია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და ისიც არა რაიმე სტრატეგიული მიზნით, არამედ... უსახსრობის გამო. მესამე წელია უკრაინაში, სხვადასხვა ადგილას (სევასტოპოლსა და კონოტოპში) დგას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შვიდი შვეულმფრენი და ორი სამხედრო კატარღა, რომლებიც იქ თავის დროზე შესაკეთებლად გაიგზავნა. საბრძოლო ტექნიკის დიდი ნაწილი უკვე შეკეთებულია, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს არ გადაუხდია რემონტისთვის საჭირო თანხა, ამიტომ, ცხადია, უკრაინელებიც არ გვიგზავნიან ქართულ სამხედრო ტექნიკას. ყოველდღიურად თითოეული შვეულმფრენის ანგარიში თუ აეროდრომზე, ხოლო კატარღების პირსთან დგომა კარგა დიდი თანხა ჯდება.

თავდაცვის სამინისტრომ, ისევე როგორც ქვეყნის ხელმძღვანელობამ, თავი ვერ მოაბეს ამ საქმეს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ უკრაინამ ისინი ვალში გაგვიქვითოს, რაც სრულიად სამართლიანი იქნება. არადა დღეს სამხედრო-საჰაერო ძალები დამრტყმელი შვეულმფრენების გარეშეა დარჩენილი (ამერიკელებისა და თურქების ნაჩუქარი შეიარაღებული „იროკეზები" მხოლოდ სატრანსპორტო ამოცანების შესასრულებლადაა განკუთვნილი), რადგან სამივე საბრძოლო Ми-24 ჯერ ისევ უკრაინაში დგას.

## ჩვენმა დეპუტატმა გაგვიმართლა!

### სამადლობელი მიშა მაჭავარიანს

არჩევნები ლატარიასავითაა. დეპუტატებს ირჩევენ და მერე „გათამაშების ცხრილს" ელოდებიან — არავინ იცის, გაუმართლებთ თუ არა.

ეს პაროდიის შესავალი არ გეგონოთ (თუმცა ჩვენი ცხოვრება სავსეა პაროდიული მოვლენებით და ფაქტებით).

ჩვენ, სამგორის რაიონის ამომრჩევლებმა, ცოტა არ იყოს ეჭვის თვალითაც კი შევხედეთ გასულ არჩევნებში დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატს ბატონ მიხეილ მაჭავარიანს. ახალგაზრდა კაცია, განათლებული და ჭკვიანი კი ჩანს, მაგრამ რა ვიცით, ვის მხარეზე გადასწონის ჩვენში დიდკაცობის შემორჩენილი მანია და ვაითუ, ამომრჩევლებისკენ ერთხელაც აღარ გამოიხედოსო — ყველას ეს ფიქრი გვიტრიალებდა.

მაგრამ ხომ გაგიგიათ ანდაზა — რისკი კეთილშობილი საქმეაო! ჩვენც გავრისკეთ. ერთმანეთს გადავძახ-გადმოვძახეთ, ამ კაცის შესახებ ცუდი ჯერ არავის უთქვამს და ვენდოთ, იქნებ გაგვიმართლოს და „მოგებაც" ჩვენი იქნება-თქო. თუ არ გაგვიმართლებდა, ნაგებული ისედაც ხომ ყველა ვარიანტში ვიყავით.

და ასე, ამ ფიქრით შევავსეთ ბიულეტენები. ავირჩიეთ ახალგაზრდა სპეციალისტი მიხეილ მაჭავარიანი.

დღე დღეს მისდევდა, ჩვენს დეპუტატს ხშირად ვხედავდით ჩვენს დასახლებაშიც, იმაზე ხშირად, ვიდრე არჩევნებამდე მოდიოდა. ახლა უკვე მიხეილს კი აღარ ვამბობდით, ჩვენი მიშა მოვიდა-თქო, ერთმანეთს ვეუბნებოდით. ეჭვის ჭია ისევ გვიღრღნიდა გულს. მართალია, პირველ ხანებში თავს ვიკავებდით რაიმე დახმარება გვეთხოვა, მაგრამ რომ შევნიშნეთ, ჩვენი პრობლემები ანუხებდა, ჯერ ერთმა მივმართეთ დახმარებისთვის, მერე მეორემ, მესამემ და... ისიც გვისმენდა, ყურადღებით ეკიდებოდა ჩვენს გასაჭირს. ხან რა პრობლემა მოგვიგვარა, ხან რა. ახლახან კი მისი დაუინებული მოთხოვნით და საკრებულოს თანადგომით ლილოს დასახლებაში ახალი სამარშრუტო ტაქსის ხაზი №221 გაიხსნა: „ლილოს დასახლება-ვაგზლის მოედანი," რითაც გაირღვა ის მოჯადოებული წრე, რომლითაც არაერთი წლის განმავლობაში ერთი სამარშრუტო ხაზისა და ავტობუსის მეპატრონეები თავიანთი გამდიდრების მიზნით უმოწყალოდ ყვლეფდნენ ისედაც პრობლემებით დატვირთულ მოსახლეობას. მით უმეტეს, ისიც ვიცოდით, რომ ამ ხაზის უკან გავლენიანი „საავტომობილო მაფია" იდგა, მაგრამ... ჩვენმა ბატონმა მიშამ ყველა ბარიერი ადვილად არა, მაგრამ მაინც გადალახა!..

ახალი სამარშრუტო ხაზის გახსნამ საშუალება მოგვცა ჩვენი სტუდენტი შვილების მგზავრობის ხარჯები ყოველდღიურად სამი ლარიდან ერთ ლარამდე ჩამოგვეყვანა.

ბატონი მიშა ჩვენი დასახლების კეთილმოწყობაზეც ზრუნავს, იქნება ეს გზების შეკეთება თუ წყალმომარაგების საკითხები... ყველაფერს ხომ ვერ ჩამოვთვლით, დეპუტატს, თუ მართლა დეპუტატია, თავის საარჩევნო უბანში პრობლემებს რა გამოულევს!..

... მოკლედ ლილოს დასახლების მცხოვრებლებს გაგვიმართლა. ბატონი მიშა, რომ იტყვიან, კარგ ფეხზე ავირჩიეთ — ჩვენზე ზრუნვა არ შეუწყვეტია.

ამიტომაც ვართ ასეთი მადლიერები და ამ სამადლობელს 4000-ზე მეტი ამომრჩეველი აწერს ხელს.

**PS.** არცთუ ისე ცოტა დრო დარჩა მომავალ არჩევნებამდე. დეპუტატობის მომავალ კანდიდატთა საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ ტყუილად ნუ გაირჯებიან ჩვენს დასახლებაში წარმატების ძიებით — ლილოს დასახლებაში ჩვენი დეპუტატი კვლავ მიშა მაჭავარიანი იქნება.

***ლილოს დასახლების 4000 მცხოვრები***

R

# მოჯადოებული წრე, ანუ როგორ კეთდება ფული ჯარისკაცებზე

## როგორ ამსახურეს ჯარში ერთი ძმა მეორის მაგივრად და 43-კილოიანი სამხედრო მოსამსახურე

ამ გაზაფხულზე, 30 აპრილს, ქართული ეროვნული არმიის შექმნის მე-11 წელი აღინიშნა. ზეიმმა, გასაგები მიზეზების გამო, უდიმპიტაუროდ ჩაიარა. ჩვენი არმია, სამწუხაროდ, ვერც დიდი საბრძოლო გამარჯვებებით დაიკვეხნის და არც მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწევი ძალაა მეზობელი ქვეყნებისთვის.

იმას, რომ ამ ათ წელიწადში ვერ თუ არ შეიქმნა ბრძოლისუნარიანი და კარგად აღჭურვილი არმია, ცხადია, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები გააჩნია.

ეროვნული ქართული არმიის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება სამ პირობით ეტაპად დაიყოს — 1991-1993 წლები, 1994-98 და 1998-დან დღემდე.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის დასაწყისში საქართველო ოსური და აფხაზური სეპარატიზმის წინაშე აღმოჩნდა, რასაც მხარს უმაგრებდნენ თბილისში მოკალათებული ვაი-პოლიტიკოსები თუ გაუშიფრავი (მაშინ) უცხო ქვეყნების გავლენის აგენტები, რომლებსაც ჯერ გამსახურდიას დროს და შემდეგ სამხედრო-სახელმწიფო საბჭოში მნიშვნელოვანი პოსტები ეკავათ.

შეცდომა იყო საბრძოლო მოქმედებების წამოწყება ცხინვალის მისადგომებთან მაშინ, როდესაც არმიის — ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იყვნენ. იმ დროს ჯარში უმთავრესად მოხალისე ჯარისკაცები და ოფიცრები იყვნენ. მართალია, მათ უზარმაზარი პატრიოტული გრძნობები ამოძრავებდათ, მაგრამ აკლდათ სამხედრო საქმის პროფესიონალური ცოდნა. სხვადასხვა ქვედანაყოფს ურთიერთშეწყობილი მანევრების დახვეწაზე თვეობით უნდა ევარჯიშა, რომ შემდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ნასწავლი.

ეს ასე არ მოხდა. პირიქით, 1992 წელს, კიტოვანის თამადობით, რასაც ალბათ მაშინდელმა სახელმწიფო მეთაურმა სიტყვიერი თუ უსიტყვო თანხმობა მისცა, ჯარის დანაყოფები აფხაზეთში შევიდნენ და საქართველოც მთელი წლით ჩაეფლო პოზიციურ ბრძოლებში, რაც, საბოლოოდ, მარცხით დამთავრდა.

აფხაზეთის ომშიც, ისევე როგორც ცხინვალის მისადგომებთან, ქართული არმია ჯერ კიდევ არ უჩიოდა მოხალისეთა ნაკლებობას. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდები და ხშირად მათი მამებიც, აფხაზეთისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მიისწრაფოდნენ.

მაგრამ დაეცა სოხუმი, დავკარგეთ აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო სამოქალაქო ომმა მოიცვა და ჯარში წამსვლელ მოხალისეთა რიცხვმაც შესამჩნევად იკლო. სწორედ იმ დროს, უმრავლეს სამხედრო დანაყოფში, სრულიად მოშლილი იყო დისციპლინა და დამარცხებული არმიაც დეზორგანიზებული გახლდათ.

1994 წელს რუსეთის ზეწოლით საქართველოს თავდაცვის მინისტრი გახდა გენერალ-მაიორი ვარდიკო ნადიბაიძე. მიუხედავად იმისა, რომ ნადიბაიძის ხელში არმიაში კორუფციამ იმძლავრა (მაშინ ქვეყნის ბიუჯეტი საშუალებას იძლეოდა, მარტოოდენ თავდაცვის სამინისტროს 40 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ჰყოლოდა), სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მინისტრმა მოახერხა ჯარის ყაზარმებში შეყვანა.

გაუქმდა ან გადაკეთდა 10-20-კაციანი ე.წ. ბატალიონები, რომლებიც რომელიმე კონკრეტული პიროვნების (ხშირად დამნაშავეთა) გარშემო იყვნენ შექმნილნი და უფრო „სისხლის სამართლის ფრონტზე" გამოიჩინეს თავი, ვიდრე ნამდვილ ბრძოლაში.



ასე თუ ისე, დაიწყო მოწესრიგება საყოველთაო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის სისტემამ. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ უკვე თავი წამოყო საშინელმა „დრაკონმა" — კორუფციამ.

სამხედრო კომისარიატები ჯარში გაწვევისგან თავის დაძვრენას თავადვე ასწავლიდნენ წვევამდელების მშობლებს, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ქველმოქმედების მიზნით. სხვადასხვა დროს საამისოდ სხვადასხვა ნიხრი არსებობდა —

**იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართულ ჯარში მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები თვეობით ძალით ამსახურეს. მეტროსთან დაჭერილი სომხეთის მოქალაქე ახალგაზრდა კაცი შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში რვა თვე ხეხავდა იატაკს, სანამ უფროსობას გააგებინა, რომ მისი ადგილი სომხეთის არმიაში იყო. ერთმა აზერბაიჯანის მოქალაქემ პირნათლად მოიხადა „ვალი" სამშობლოს წინაშე და მხოლოდ ორი წლის შემდეგ, სამხედრო ბილეთის გაცემისას, გაირკვა, რომ მისი გაწვევა არ შეიძლებოდა**

სამხედრო ბილეთის შინ მიტანა ორი ათასი დოლარიც ღირდა, ანუ ხდებოდა ის, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა სამხედრო კომისარიატისთვის.

სამხედრო კომისარიატების შემხედვარე, გულხელდაკრეფილი არც სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობა მჯდარა. გეგმის შესასრულებლად კომისარიატი ნაწილებში ავადმყოფებს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც გზავნიდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართულ ჯარში მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები თვეობით ძალით ამსახურეს. მეტროსთან დაჭერილი სომხეთის მოქალაქე ახალგაზრდა კაცი შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში რვა თვე ხეხავდა იატაკს, სანამ უფროსობას გააგებინა, რომ მისი ადგილი სომხეთის არმიაში იყო. ერთმა აზერბაიჯანის მოქალაქემ პირნათლად მოიხადა „ვალი" სამშობლოს წინაშე და მხოლოდ ორი წლის შემდეგ, სამხედრო ბილეთის გაცემისას, გაირკვა, რომ მისი გაწვევა არ შეიძლებოდა.

არანაკლებ აღმაშფოთებელია ორი ბოლოდროინდელი შემთხვევა — სამხედრო კომისარიატებმა გაწვევის გეგმის შესასრულებლად აშკარა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

2002 წლის 24 იანვარს თელაველი ვანო სოლროევი თელავის კომისარიატის წარმომადგენელმა შინიდან ძალით წაიყვანა გასაწვევ პუნქტში, ყმაწვილი მხოლოდ 43 კგ-ს იწონიდა და სიმაღლითაც 151 სმ-ს არ აღემატებოდა, არადა კანონის თანახმად, 155 სმ-ზე დაბალი და 48 კგ-ზე ნაკლები წონის წვევამდელის ჯარში წაყვანა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა, სამედიცინო შემოწმებამ წვევამდელი ვარგისად ცნო და სამხედრო სამსახურში გაამწესა. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ჩარევის შემდეგ, ვანო სოლროევის განთავისუფლება ჯარიდან მხოლოდ 2002 წლის 2 მაისს მოხერხდა.

მამუკა ღარიბაშვილის საქმე კი კიდევ უფრო კურიოზულია: მისი ძმა მალხაზ ღარიბაშვილი 1995 წლის მაისში გაიწვიეს ჯარში, მოხვდა გორის სასწავლო ცენტრში. მალხაზმა მიატოვა სამსახური და რუსეთს შეაფარა თავი. გაბრაზებულმა სამხედრო კომისარმა მეორე ძმას, მამუკა ღარიბაშვილს, წამოავლო ხელი და ჯარში უკრა თავი, თუმცა ეს უკანასკნელი ყველგამონეული იხვეწებოდა — თავი დამანებეთ, მალხაზი კი არა, მამუკა ვარო... მამუკამ მალხაზის სახელით 6 თვე იმსახურა გორის სასწავლო ცენტრში, ხოლო 18 თვე — ახალციხის 22-ე ბრიგადაში. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ მან თავისი ძმის სამხედრო ბილეთი მიიტანა თელავის სამხედრო კომისარიატში, რომელიც დაუკარგეს. დღემდე მამუკა ღარიბაშვილი ვერ იღებს ვერც პირადობის მოწმობას, ვერც პასპორტს და ვერც მართვის მოწმობას. ითვლება, რომ მას ჯარში არ უმსახურია.

ჯარის აღმშენებლობის მესამე ეტაპი 1998 წლის მაისიდან დაიწყო, როდესაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელად დავით თევზაძე დაინიშნა.

თევზაძის მინისტრად გახდომამ კარდინალურად შეცვალა თავდაცვის სამინისტროს მანამდელი, რუსეთისკენ აღებული კურსი და იგი საპირისპიროდ, დასავლეთისკენ შეატრიალა.

ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, დიდი პერსპექტივა გადაუშალა ქართულ არმიას, მაგრამ მთავარს — ყაზარმებში არსებულ განუკითხაობას, თითქმის არაფერი ეშველა.

უკეთესობა ვერც სამხედრო სფეროში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩნდა, სამხედრო კომისარიატები ძველებურად აკეთებდნენ ფულს ჯარში გასაწვევი კონტინგენტის შევსებისას, მათმა შემყურე სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობამაც „იპოვა" უკანონო შემოსავლის წყარო — ჯარისკაცების შინ გაშვება.

თითოეული ასეთი ვოიაჟი შინაურებს მონატრებულ ჯარისკაცს დღეში 3-5 ლარი უჯდებოდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცოცხალი გოჭ-ინდაურებით უხარებდნენ მეთაურებს გულებს.

თუკი ზოგჯერ ყაზარმას სამინისტროდან მოვლენილი შემმოწმებლები „დააცხრებოდნენ" თავს, მეთაური არ იბნეოდა და თავის მიერვე გაშვებულ ჯარიკაცს „სამხედრო ნაწილის თვითნებურად დამტოვებლად" ნათლავდა. ხომ კარგი, თუკი სოფელში მხართეძოზე არხეინად წამოწოლილ ჯარისკაცს (რა ენაღვლებოდა, იცოდა, რომ ორკვირიანი დასვენება ერთი გოჭი და ორი ქათამი დაუჯდებოდა) ხმას მიაწვდენდნენ — სასწრაფოდ დაბრუნდი, ნაწილში შემოწმებააო, ხოლო თუ სამ დღე-ღამეზე მეტს დაიგვიანებდა, ავტომატურად ცხადდებოდა დეზერტირად.

დეზერტირები კი უკვე სამხედრო პროკურატურის საქმე იყო, იმ პროკურატურისა, რომლის თანამშრომლების ოფიციალური ხელფასი ოფიცრის თუ ნაწილის მეთაურის გასამრჯელოს ტოლია. ასე რომ, ახალი „შემოსავლის" საშუალება უკვე სამხედრო პროკურატურასაც უჩნდებოდა — ათასობით დეზერტირს ვერც ერთი ციხე ვერ დაიტევდა, ამიტომაც საკნებში მხოლოდ მათ ყრიდნენ, რომლებიც ერთი თეთრის გადამხდელნიც არ იყვნენ.

ამ მოჯადოებული წრის გარღვევა დღემდე ვერ მოხერხდა. შეცვლის თუ არა რაიმეს უკეთესობისკენ ჯარში გაწვევის ახალი კანონი, რომელიც დღე-დღეზე ამოქმედდება, უახლესი მომავალი გვიჩვენებს..

# 600-ლარიანი აღკაზმულობა ქართველი ჯარისკაცისთვის...

## იმედია, მასაც ელიავას ბაზრობაზე არ გაუყიდიან ჯარისკაცებს მათი მეთაურები

საქართველოსა და აშშ-ის „წვრთნისა და აღჭურვის" ერთობლივ პროგრამაში მონაწილე ქართველი სამხედროები მალე ახალ აღკაზმულობას მიიღებენ და მათი იერსახე მეტნაკლებად მიუახლოვდება სხვა, თანამედროვე ქვეყნების არმიებისას.

საზოგადოება მთლიანად არმიას სამხედრო მოსამსახურის გარეგნობით, სულ ერთია, ჯარისკაცი იქნება ის თუ ოფიცერი (საერთოდ, საოფიცრო შემადგენლობას მკაცრად მოეთხოვება, წესდების თანახმად გამოიყურებოდეს), აღიქვამს.

ჩვენი ჯარისკაცები, სამწუხაროდ, საფრთხობელასავით არიან შემოსილნი — აცვიათ დახეული ჩექმები, სხვადასხვა ფერის და სახის გაცრეცილი კომუფლირებული შარვალი და ქურთუკი, წელზე არტყიათ საბჭოთა ხუთქიმიანი ვარსკვლავით შემკული ბალთით შეკრული ქამარი, ხოლო თავზე ხშირი რეცხვა-ხმარებით გახუნებულ-გაქუცული ქუდი ახურავთ, რომელსაც ქართული შვიდქიმიანი ვარსკვლავი „ამშვენებს"...

„წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა საშუალებას იძლევა თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების არანაკლებ 1.698 კაცი საჭირო დონეზე შეიმოსოს. როგორც ამბობენ, ამ ხარჯებს ამერიკული მხარე კისრულობს ისევე, როგორც ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვას. ამერიკელები, ეტყობა, ნახმარ, საბჭოთა სტანდარტის ავტომატებს შეიძენენ აღმოსავლეთ ევროპაში ქართული დანაყოფებისთვის, მაგრამ იმედია, „სეკონდ ჰენდის" სამოსელსა და სანივთე ქონებას არ გამოგვიგზავნიან.

ჩვენი ინფორმაციით, აღკაზმულობის შეძენასა და ჩამოტანას მთლიანად ამერიკული მხარე თაობს. აღკაზმულობის თითოეული ნივთის ფასი გადმოყვანილია ქართულ ლარებში და მათი გაფუჭებისთვის პატრონს ალბათ მოუწევს არანაკლებ სამმაგი ღირებულების გადახდა.

პროგრამის თანახმად, სამოსლით და სანივთე ქონებით უნდა უზრუნველყონ თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ძალების ისნისა და კოჯრის, აგრეთვე ეროვნული გვარდიის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონები (თითოეული დაახლოებით 550 საშტატო ერთეულს ითვლის), აგრეთვე შვეულმფრენთა ესკადრილიის 59 სამხედრო მოსამსახურე.

პროგრამაში მონაწილე თითოეული ჯარისკაცი შეიმოსება ამერიკული კომუფლირებული ქურთუკისა და შარვლის ორი კომპლექტით (ისე, როგორც ნორმალურ არმიებშია — პატრონი ერთს სამრეცხაოში აბარებს, მეორე კი აცვია). დღემდე ეს ქართველი ჯარისკაცისთვის, რომელსაც ერთი ხეირიანი სამხედრო ფორმაც არ გააჩნდა, ერთგვარ ნონსენსს წარმოადგენს.

სწავლების მონაწილეს გადასცემენ 73,2 ლარის ღირებულების დათბუნებული შარვლისა და ქურთუკის ერთ კომპლექტს. ეს დიდ მიღწევად ჩაითვლება, რადგან ქართული არმიის ჯარისკაცთა უმრავლესობას ზამთარში საბჭოთა ყაიდის შინელები ეცვათ. ვისაც ურბენია შინელით და სრული საბრძოლო აღჭურვილობით, ეცოდინება, რამდენად მოუხერხებელია იგი.

საზამთროდ ჯარისკაცს გადაეცემა ერთი ყურებიანი დათბუნებული ქუდი (12,2 ლარი), ხოლო წვიმიანი ამინდისთვის — წყალგაუმტარი საწვიმარი ლაბადა (28,1 ლარი).

ფეხსაცმელიც თითოეულ ჯარისკაცზე ორი წყვილი გაიცემა. ისინი ამერიკული არმიის ფასონისა უნდა იყოს და თითოეული წყვილი 48,8 ლარად ფასდება, ანუ საერთო ღირებულება 97,6 ლარს შეადგენს.

ერთი ცალი მუზარადი 10,5 ლარად ფასდება. ჯერ უცნობია, იგი ძველი, საბჭოთა ყაიდისა დარჩება თუ თანამედროვე, ამერიკული სტილის, კევლარისგან დამზადებული, მაგრამ გამომდინარე იმ თანხიდან, რომლითაც არის შეფასებული ეს მუზარადი, ალბათ უფრო საბჭოთა იქნება.

ჯარისკაცს გადაეცემა პირადი თეთრეული — 2 ცალი მაისური, ამდენივე ტრუსი, ორი კომპლექტი თბილი (ერთი ცალი 4,5 ლარი ღირს) და საზაფხულო (თითო 2,4 ლარი) საცვალი, 4 წყვილი ბამბის წინდა, ორი წყვილი ნახევრად შალის წინდა (1,2 ლარი), სამი პირსახოცი (თითოს ღირებულება 2,6 ლარია).

სამხედრო აღკაზმულობის შემდეგი ნივთები




თითოეულ ჯარისკაცზე თითო ეგზემპლარად გამოიყოფა — შარვლის (6 ლარი) და წელის ქამრები, ზურგჩანთა (18,3 ლარი), სერჟანტის საველე ჩანთა (19,8 ლარი), ხელთათმანი, მწვანე ფერის საველე ქუდის კოკარდა, ჯარის სახეობის აღმნიშვნელი მწვანე ემბლემის ერთი კომპლექტი (20 თეთრი), ალუმინის კარდალა საკვების მისაღებად (6 ლარი) და ალუმინის მათარა შალითით (6,1 ლარი). აღკაზმულობის ზოგიერთი ნივთის ფასი ფოტოზეა მითითებული.

ამერიკელებმა ქართველი ჯარისკაცებისთვის არც ყაზარმაში მოსვენება დაივიწყეს და თითოეულ მათგანს 12,2-ლარიან ყაზარმის წუღებს გადასცემენ. ფასის მიხედვით, ეტყობა, ეს არაჩვეულებრივი წუღები იქნება.

თუკი მკითხველი არ დაიზარებს და ზუსტად დათვლის ერთი ჯარისკაცის სამოსლისა და სანივთე ქონების საერთო ღირებულებას, იგი 598,6 ლარისა აღმოჩნდება.

ანუ პროგრამაში მონაწილე თითოეული ჯარისკაცის აღკაზმულობა (შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების გარეშე) თითქმის 600 ლარს შეადგენს, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ რა ძვირი ჯდება არმიის შექმნა და, რაც მთავარია, მისი შემდგომი ფუნქციონირება. თუმცა, ეს აუცილებელი პირობაა, რადგან სანამ სავალდებულო სამსახურში მყოფ და, მით უმეტეს, კონტრაქტით აყვანილ ჯარისკაცს რაიმეს მოსთხოვდე, მას ელემენტარული პირობები უნდა შეუქმნა და ღირსეულად აღჭურვო.

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ მკითხველს შეუძლია საინტერესო ექსპერიმენტი თავადვე ჩაატაროს და შედეგები რედაქციაში გამოგზავნოს. ექსპერიმენტის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ აგვისტოს დასაწყისისთვის 1.700-მდე ქართველი სამხედროს აღჭურვის შემდეგ ზემოხსენებული სამოსლის რა რაოდენობა გამოჩნდება ელიავასა თუ სამგორის ბაზრობებზე და რა ფასად.

სამხედრო ფორმა პენტაგონს არაერთხელ გამოუგზავნია ქართული არმიისთვის, რომლის გარკვეული ნაწილი შემდეგ ბაზრობებზე ხვდებოდა და უცხოელი სამხედროებისა და დიპლომატების დიდ სინანულს იწვევდა.

საერთოდ, სამხედრო ნაწილების საწყობებიდან ბაზრობაზე მოხვედრილი ამერიკული ფორმა იაფად იყიდება. მაგალითად, 50-ლარიანი ფეხსაცმელი ნახევარ ფასადაც გაუყიდიათ მოვაჭრეებს. ყველაზე საინტერესო კი ის გარემოებაა, რომ სამხედრო ფორმას მონადირეების გარდა, ძირითადად ისევ ის სამხედროები ყიდულობენ, რომელთათვისაც ისედაც იყო განკუთვნილი ეს სამოსელი, მაგრამ მავანთა გამოისობით არ შეხვდათ...

*რუბრიკა მოამზადა*
*ირაკლი ალადაშვილმა*

# როგორ „ჩააწყვეს" იურა ლაკობას, ანუ კანონიერი ქურდის აღსასრული

*„კვირის პალიტრის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში (№23, 10-16 ივნისი) მკითხველს სოხუმელი სამართალდამცველების შესახებ მოვუთხრობდით და იქვე ვპირდებოდით, რომ შემდგომში კვლავ დავუბრუნდებოდით წერილში მოხსენიებულ გვარ-სახელებს. დღეს ვასრულებთ ამ დანაპირებს.*

(წერილში მხოლოდ ერთ-ერთი გვარი გამოვიგონეთ, დანარჩენი პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან).

ზაფხული იყო, სააგარაკო სეზონი და სოხუმი გადავსებული იყო დამსვენებლებით. ბატონ შოთას ქალაქში თითქმის ყველა იცნობდა. შესანიშნავი პიროვნება ბრძანდებოდა, საქმიანი და ენერგიული. ერთადერთი სალანძღავი სიტყვა, რაც კი ოდესმე მასზე თქმულა „საქმოსანი" გახლდათ და რაკი საბჭოთა საქართველოში საქმოსნობა კანონით ისჯებოდა, ამ კატეგორიის ხალხს ხშირად აწუხებდნენ კიდეც. ერთი მხრივ, სამართალდამცველები, მეორე მხრივ, კრიმინალები. ყველა ცდილობდა, მეტი წაერთმია მათთვის, რომელთა მონაგარსაც რატომღაც „უშრომელი შემოსავალი" ერქვა. მიუხედავად ამისა, ბატონი შოთა თოლორაიას ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ასე იოლად ვერავინ ბედავდა მის შეწუხებას. აგერ ახლაც, რესტორანში მთელი ყუთი შამპანური მოართვა აფხაზეთში №1-მა კანონიერმა ქურდმა იურა ლაკობამ, მერე კი, როცა ფულის გადახდაზე მიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ ისიც ლაკობას გადაეხადა.

— კი, მაგრამ აქ ლაკობა რომ არ მინახავს? — ჩაეკითხა ოფიციანტს.

— ცოტა ხანს იჯდა, ბატონო, აი, იმ კუთხეში რომ სუფრაა და მალევე წავიდა, ფული კი იმაზე მეტი გადაიხადა, რაც თქვენგან მერგებოდა, — მოწიწებით მიუგო ოფიციანტმა, რომლის თვალში შოთა თოლორაიას ავტორიტეტი ერთი-ორად ამაღლდა — ხუმრობა ხომ არ იყო, თვითონ იურა ლაკობა, ქურდი, რომლის შიშით აფხაზეთში კუდსაც ვერავინ გააქიცინებდა და რომლის დანახარჯის გადახდაზე რიგი დგებოდა რესტორნის სალაროსთან, იქით პატიუებდა ბატონ შოთას. გამოდის, თოლორაია უფრო დიდი კაცი ყოფილა, ვიდრე ეგონა. თუმცა თვითონ ბატონი შოთა სულაც არ ფიქრობდა ასე, — ვერ გაეგო, რას ნიშნავდა იური ლაკობასგან ასეთი ყურადღება და როცა კიდევ არაერთხელ განმეორდა იგივე, ამის შესახებ ჰკითხა იურას.

— ღირსეული კაცი ბრძანდებით, ბატონო შოთა, თანაც, თუ არ მიწყენთ, ჩემს კოლეგადაც მიმაჩნიხართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მე ადამიანებს ვპარავ, თქვენ კი სახელმწიფოს — ღმერთმა შეგარგოთ!

ძალიანაც არ ესიამოვნა შოთა თოლორაიას, კანონიერმა ქურდმა თავის კოლეგად რომ მონათლა, მაგრამ პროტესტის გამოხატვა არც უცდია. იცოდა, ამ კაცის უკან პარტიის საოლქო კომიტეტის ნახევარი მაინც იდგა. იურა ლაკობას თვალებში შესციცინებდა აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ხელმძღვანელობა და მანაც თავისი ხელი შეაგება იურას სამეგობროდ გამოწვდილ ხელს, თუმცა კი იძულებით. ოღონდ ეგ იყო, ვერც ერთ სუფრაზე ისევ ვერ ასწრებდა ფულის გადახდას ამ კაცს.

## დილის სტუმარი

იმ დილით სამსახურში ვიღაც ახმახმა მაწანწალამ მიაკითხა თოლორაიას. გამეჩხერებული, ჩაშავებული კბილები და ერთიანად მოსვირინგებული ხელები ჰქონდა, თუმცა მისნაირებისაგან განსხვავებით სამი მანეთი არ უთხოვია „საპახმელიოდ" — ორ მილიონს გადაიხდი, თორემ ცოლ-შვილსაც ამოგიხოცავ და შენც ყელს გამოგჭრიო, — მიახალა ჯიქურ, — ჩვენ იქ, კალიმაზე სოხუმელ ბიჭებთან ერთად კოლონიაში „მახორკაც" არ გვქონდა, შენ კი აქ უზარმაზარ ფულს შოულობ და ერთი კოლოფი „პრიმაც" არ გამოგიგზავნია. ასე რომ, ხვალ დილით გუმისთის ხიდთან გელოდები, — ან მოხვალ და ფულს მოიტან, ან სიცოცხლეს დაემშვიდობეთ შენც და შენი ოჯახიც, გესმის, კარტველო... — გამოსცრა კბილებიდან და ოთახიდან გავიდა. არ იყო შოთა თოლორაია ის კაცი, ასე იოლად რომ შეეშინებინა ვინმეს. კი, რა თქმა უნდა, მანამდეც აკითხავდნენ ამგვარები, მაგრამ ცოტა რაღაცას აჩუქებდა და ამითაც მადლიერნი იყვნენ, მაგრამ ორი მილიონი? ეს რუსი ან გიჟია ან... თუმცა ამას იურა უკეთ გაარკვევს, ეს ზუსტად მისი სფეროა.

— რაო, რაო, ორი მილიონი? როგორ გაბედა ვიღაც დამპალმა აქ, აფხაზეთში. ალბათ ჩათვალა, რომ აქაურობას ბატონ-პატრონი არა ჰყავს. სად მოდიო და როდის? კარგი. ერთად მივალთ მე და თქვენ. იქ დაგვხვდეს თუ ვაჟკაცია...

## მკვლელობა ეშერის ტყეში

— ნუ ი, ჩტო ტი ვორ ვ ზაკონე, ია ტაკიხ ხაჩაპურნიხ ვაროვ ნე პრიზნაიუ. ლიჩნო ია მუჟიკ, ნე სოვეტუიუ ვსტავატ ნა მოიომ პუტი, — ამის თქმა იყო და იურას ხელში პისტოლეტმა იქუხა. თოლორაიას არ დაუნახავს, როდის ამოიღო იარაღი ლაკობამ. რუსი მოცელილივით დაეცა, მაგრამ იმწამსვე წამოიწია — ეი, ვი, ვორი ვზაკონე, პიდარასტი ი კაზლი ნესჩასტნიე, ვას მენია ნე უბიც, ია ვაშუ მამუ... — ხრიალებდა წაქცეული და სისხლი უწყვეტ ნაკადად მოთქრიალებდა მკერდიდან. წამოდგომას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ერთიანად აცახცახებულ იურას და მის ხალხს აგინებდა. ლაკობამ ხელში ჩასჩარა პისტოლეტი მომხდარისაგან გაოგნებულ თოლორაიას, — წესით, თქვენი სროლის რიგია. ყველაფერი ეს თქვენი ღირსების დასაცავად კეთდება. ვიცი, თქვენ ვაჟკაცი ხართ და ჩემი ბიჭების თვალწინ თავს არ მოიჭრით! — თოლორაიამ უაზროდ გაიშვირა წინ პისტოლეტიანი ხელი მიწაზე მფოფხავი დაჭრილისაკენ და სასხლეტს გამოჰკრა ხელი. პისტოლეტის გავარდნა და რუსის საბოლოოდ დადუმება ერთი იყო.

— ჩემზე უკეთ ისვრით, ბატონო შოთა, — ჩუბინობა შეუქო ლაკობამ და ახლა პისტოლეტი თავის ორ „ასისტენტს" გაუწოდა — ჩვენ ერთად ვართ და დანაშაულიც უნდა გავინაწილოთ, გესმით?! — ჯერ ერთმა ესროლა მიწაზე გაშოტილ რუსს, შემდეგ მეორემ, მაგრამ იგი არც შერხეულა. ჩანდა, რომ უკვე მკვდარი იყო. სასიკვდილო ჭრილობა კი თოლორაიას გასროლას მოჰყვა. მან დაჭრილს, ე. ი. ცოცხალ კაცს ესროლა და მოკლა. „სინამდვილეში მკვლელი მე ვარ და ამას აწი აღარაფერი ეშველება", ფიქრობდა თავისთვის გაოგნებული ბატონი შოთა და მხოლოდ ის უტრიალებდა თავში — ჩემს სიცოცხლეში წიწილიც არ მომიკლავს, ბუზიც არ გამისრესია, ასე უცებ მკვლელი როგორ გავხდიო.

— იმედია, არავის დავუნახივართ. ბიჭებო, გვამი დაწვით და დამარხეთ. მერე კი ჩვენ შემოგვიერთდით, სასტუმრო „თბილისის" რესტორანში დაგელოდებით მე და ბატონი შოთა, — ხელქვეითებს გადაულაპარაკა ლაკობამ, მერე თოლორაიას მანქანის საჭეს მიუჯდა და ნელ-ნელა იწყო მისი მობრუნება. ბატონი შოთა ხედავდა, როგორ ამოიღეს მანქანიდან ბენზინის ბალონი და ნიჩაბი ლაკობას ბიჭებმა. როგორ ავარდა ალი და თუმცა საკმაოდ დაშორდნენ მკვლელობის ადგილს, მაინც, თითქოს დამწვარი ხორცის სუნი ეცა.

რესტორანში იურა ლაკობა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. სადილი დაუკვეთა და ჯერ კიდევ ბურანში მყოფ თოლორაიას მიუბრუნდა, — თუ ასე განიცდით იმ ბომჟის სიკვდილს, მართლა ნორმალური ვინმე რომ შემოგაკვდეთ, მაშინ რაღა იქნება?

— არ ვიცი, რატომ უნდა შემომაკვდეს ვინმე, თუმცა რას ვბოდავ. ახლა მკვლელი ვარ, კაცის მკვლელი. გესმით?..

— გვაპატიე, იურა, მაგრამ დამწვარი გვამის ნარჩენები ჩვენ სხვა ადგილზე დავმარხეთ. ჩავთვალეთ, რომ თქვენთვისაც ასე აჯობებდა, — უპატაკა მკვლელობის ადგილიდან დაბრუნებულთაგან ერთ-ერთმა ლაკობას.

— დიდი მადლობა, ბიჭებო, არც მე და არც ჩემს მეგობარს სურვილი არც გვაქვს იმ ბომჟის საფლავი ვიცოდეთ... თუ თქვენც დაივიწყებთ იმ ადგილს, კარგი იქნება.

— შევეცდებით... — იყო პასუხი.

— არაფერსაც არ შეეცდებიან. ვიცნობ მე მაგათ. ეგენი „პრესტუპნიკები" არიან და თუ არ ვიყიდეთ, შესაძლოა ჩაგვიშვან, — თოლორაიას უთხრა იურამ სადილის შემდეგ მანქანაში.

— რამდენია საჭირო? — თითქოს დიდი ტვირთის მოხსნას ლამობსო, ისე წამოიძახა თოლორაიამ.

— მაგათ სინდისი აქვთ პატარა, თორემ მადა, იცოცხლე, საკმაოდ დიდი აქვთ, ბატონო შოთა. გულდამშვიდებულები რომ ვიყოთ, ერთი მილიონი მანეთი მაინც უნდა მივცეთ..

არავინ იცის, სახლში ჰქონდა თუ ვინმესგან ისესხა, მაგრამ ფული ნამდვილად გადაიხადა ბატონმა შოთამ.

## ბედნიერი შეხვედრა

ორი წელი ისე გავიდა, ღიმილი არ მიჰკარებია შოთა თოლორაიას ბაგეებს. საკუთარ თავს ალბათ ვერასდროს აპატიებდა ჩადენილ დანაშაულს, რომ არა ის ბედნიერი დღე, როცა კრასნოდარში საქმეზე ჩასული ქალაქის განაპირა რესტორანში რუსმა კოლეგებმა მიიწვიეს. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ტევა არ იყო. უეცრად კუთხეში მდგარ მაგიდასთან იურა ლაკობა დალანდა და ისედაც უგუნებოდ მყოფი ერთიანად მოიშხამა. ამ კაცის გახსენებაც კი ახალი ძალით უმძაფრებდა წარსულის ტკივილს. იურა აქაც თავის ამფსონებთან ერთად იყო. სწორედ ის ორი ახალგაზრდა ახლდა, სიჩუმისათვის რომ მილიონი გადაუხადა. მაგრამ ის მესამე ახმახიც რომ ეცნობა? უეცრად, მაშამპან-

ძლების გასაოცრად, თოლორაია წამოიჭრა, კუთხეში მსხდომარეთ მიეჭრა, იურასთვის არც შეუხედავს, ის მესამე, ახლა მისკენ ზურგით რომ იჯდა, შემოაბრუნა და გულში ჩაიკრა. ის ახმახი მისგან „მოკლული" რუსი იყო. მერე უზომოდ გახარებულმა იურა და მისი ძმაკაცებიც გადაკოცნა. ჯიბეები მოიჩხრიკა, რაც ფული ჰქონდა რუსს აჩუქა — ღმერთმა შეგარგოთო, — ყველას გასაგონად თქვა და თავის სუფრას დაუბრუნდა.

ბოლო ორი წლის მანძილზე იმ დღეს პირველად მოილხინა შოთა თოლორაიამ. ახლა მან იცოდა, რომ იმ დღეს მოატყუეს, რომ სისხლიც, ტყვიებიც მხოლოდ და მხოლოდ კარგად დადგმული სპექტაკლი იყო. ისიც კი გათვლილი ჰქონდათ, გვამის ძებნა არ დაიწყოსო და თითქოს სადღაც დამარხეს მისი ნარჩენები. რუსის მიერ მოთხოვნილი ორი მილიონიც იმისათვის იყო საჭირო, ერთ მილიონზე რომ უფრო იოლად დათანხმებულიყო. დიახ! მან ახლა ყველაფერი იცოდა, მაგრამ აღარაფერზე აღარ ნაღვლობდა. მისგან „მოკლული" კაცი ცოცხალი იყო და ეს ყველანაირ ზარალს ანაზღაურებდა. მან დიდსულოვნად აპატია იურა ლაკობასაც — ბოლოს და ბოლოს, ეს მისი ხელობააო და ამ კაცის საბოლოოდ დავიწყებაც სცადა, მაგრამ ბედის ირონიით მათმა გზებმა კვლავ გადაკვეთეს ერთმანეთი.



## ბაზარზე კონკურენტი გამოჩნდა

დიდხანს გრიალებდა იურა ლაკობა აფხაზეთში. ოფიციალური თანამდებობა არ ჰქონდა, თორემ იქაური მაღალი რანგის ჩინოვნიკები ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, პირველად იმას კითხულობდნენ — ჩვენი საჯარათი *(ვაჟკაცი, რაინდი — ვ.გ.)* როგორ არისო. იურა ხელშეუხებელი იყო, შეწუხებას ვერავინ უბედავდა, იმწამსვე საოლქო კომიტეტი ერეოდა საქმეში. იურას მამა, ებრაელი რაბინოვიჩი გახლდათ და ასევე იწერებოდა მისი ღვიძლი ძმაც, რომელიც ოთხმოციან წლებში სამართალს ასწავლიდა აფხაზეთის უნივერსიტეტში, იურა კი დედის გვარს ატარებდა და ამის გამო აფხაზობდა კიდეც. მის ხელში იყო ქურდული სამყაროს აფხაზური კლანი, რომელიც იმხანად სჯაბნიდა ქურდების ქართულ გაერთიანებას. მაგრამ გავიდა დრო და ქართველ ქურდებში გამოჩნდა ახალგაზრდა, კანონიერი ქურდი ლუტუ ყალიჩავა. მან დაუფარავად



იწყო ლაკობას გავლენის სფეროების მისაკუთრება. საქმე იქამდეც მივიდა, რომ როცა ლაკობა რომელიმე „ცეხავიკ" ქართველს ფულს შეაწერდა, მეორე დღეს ყალიჩავა ორი იმდენს აწერდა აფხაზ საქმოსნებს. ლაკობა გიჟს ჰგავდა, — ის უფრო აღიზიანებდა, რომ ამას აკეთებდა ზუგდიდელი ქურდი, რომელიც სოხუმში არ ცხოვრობდა და ამდენად ჩამოსულად ითვლებოდა. სხვათა შორის, მკითხველისათვის უკვე ნაცნობი შოთა თოლორაიას დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ლუტუ ყალიჩავამ იმხანად მისი ქალიშვილი შეირთო ცოლად.

ქურდულ კლანებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. ლაკობა და ყალიჩავა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ეს ის პერიოდია, როცა ერთიც და მეორეც „წამალზე ზის". ვერაგმა ლაკობამ აფხაზური კლანი ინტერნაციონალურად აქცია, ისეთი „ავტორიტეტები" შეიერთა, როგორებიც იყვნენ: ენვერ პაპავა, კოტიკა მაკალაძე და ბერძენი ტოტორიკ ფიტოზოვი და ძველი დიდების დაბრუნებას შეეცადა.

ერთ მშვენიერ დღეს მისმა კლანმა მთლიანად შეიძინა აფხაზეთში არსებული ნარკოტიკების ის მარაგი, რომელიც ერთ თვეზე იყო გათვლილი. ასე რომ, ყალიჩავა მოულოდნელად წამლის გარეშე დარჩა. ფიქრის დრო არ იყო და ჩიმკენტში აფრინეს კაცი ქართველმა ქურდებმა წამლის ჩამოსატანად. ლაკობამაც დაადევნა თავისი კაცი და მაქსიმალურად დაუგვიანეს წამლის გადმოგზავნა. ამასობაში ყალიჩავას „ლომკები" დაეწყო და იძულებული გახდა, პირადად ეთხოვა წამალი ლაკობასათვის. მით უმეტეს, იცოდა, რომ ნარკოტიკების მთელი პარტია მან შეიძინა. ლაკობასაც ეს უნდოდა.

— რაც წამალი მქონდა, დღეს დილით გამითავდა... ამიტომ იაშტუხაში *(სოფელი სოხუმის რაიონში — ვ.გ.)* უნდა წავიდეთ ტოტორიკ ფიტოზოვთან, ის თუ მოგვცემს...

— სადაც გინდა, იქ წავიდეთ, ოღონდ რაც შეიძლება მალე, — ეუბნება აკანკალებული ყალიჩავა და მანქანაში ეპატიჟება თავის მოსისხლეს. იმავე მანქანაში სხდებიან ენვერ პაპავა, კოტიკა მაკალაძე. სანამ ყალიჩავა „ლომკებშია", ყველა სიმშვიდეს ინარჩუნებს. მაგრამ მას შემდეგ, როცა მოუხარშავი, დაფხვნილი კოკნარის დიდი დოზა გადაყლაპა, ლაკობამ ხმას აუწია:

— არა ხარ შენ კარგი კაცი და დაგიმტკიცებ, რომ არ ცხოვრობ ქურდული წესებით.

— რაო, მე არ ვარ კარგი კაცი, ვარღვევ ქურდულ ადათებს? ვის ელაპარაკები, შე ახვარო, თანაც ამ გოიმებთან — *(ქურდული წესით, კანონიერი ქურდები ერთმანეთს არაქურდებთან ასე არ მიმართავენ — ვ.გ.)* და ის იყო სახეში უნდა ელეწა, რომ ლაკობამ უკან მჯდომს, რომელსაც ყოველი შემთხვევისათვის ნაგანი უკვე ხელთ ჰქონდა, თვალით ანიშნა და ამ უკანასკნელმაც კეფაში დაახალა ტყვია ლუტუ ყალიჩავას. მერე მათი სამყაროსთვის დამახასიათებელი სცენა განმეორდა, — ყველამ თითო ტყვია დაახალა მოკლულს და თავისივე მანქანის საბარგულში ჩატენეს.

## ისევ ციხე

— ეს მოხდა 1985 წლის დასასრულს. ამ დროისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით მე სისხლის სამართლის სამძებროდან დრანდის ციხეში გადამიყვანეს უფროსის მოადგილედ, — დაწყებულ თხრობას აგრძელებს ჩვენი ამასწინანდელი პუბლიკაციის გმირი, ცნობილი ჩეკისტი ბატონი მერაბ რაფავა, — გაჩნდა სამართლიანი ეჭვი, რომ ყალიჩავა მასთან დაპირისპირებულმა ლაკობამ და მისმა უახლოესმა გარემოცვამ მოკლა. საქმე კონტროლზე აიყვანეს და პირველად ფიტოზოვი დააკავეს. ფიტოზოვს მე მანამდეც ვიცნობდი, როგორც რეციდივისტს და მასაც კარგად ვახსოვდი. ციხეში, როცა ორნი დავრჩით პირისპირ, რამდენიმე დღის განმავლობაში ვუმტკიცებდი, ყალიჩავა მისი და ლაკობას ამფსონების მოკლული რომ იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა, მათ შორის, არც კანონიერ ქურდებს. ასეთი კი იმჟამად თორმეტი კაცი იხდიდა სასჯელს.

— ასე რომ, თუ ქურდებთან ჩაგსვამ საკანში, უეჭველად მოგკლავენ. ეს კი მე ხელს არ მაძლევს, როგორც აქაურობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, თორემ ვინ ვინ მოკლა, ნაკლებად მაინტერესებს. იქნებ სჯობდეს თვითიზოლაციაზე წახვიდე *(საკანში მარტო ჩაჯდე, რითაც ამტკიცებ, რომ შენ დამნაშავე ხარ და ამიტომ გეშინია სხვა პატიმრების — ვ.გ.)* — ვეუბნები და თვალს არ ვაცილებ, — არა, თვითიზოლაციაში ნუ გამიშვებ, რადგან იქ ვინმეს მოისყიდიან და მომკლავენ, სჯობია ისევ სარეჟიმო კორპუსში გამიშვაო. დავეთანხმე და შევთავაზე — ერთ საკანში ქურდის მკვლელი ზის და მასთან ჩაგსვამ-მეთქი. სიხარულით დამეთანხმა და ამით თავიც გაყიდა. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მკვლელი, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი — ხელში მყავდა. ორი დღის შემდეგ დავარწმუნე, რომ არ დაიხვრიტება და აქაც ციხეში ხელს ვერავინ დააკარებს, თუ გულახდილად მეტყვის ყველაფერს. და მანაც ყველაფერი აღიარა.

ეს ის შემთხვევა იყო, როცა მილიციისა და შავი სამყაროს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. შავებიც თავს იკლავდნენ გაეგოთ, ვინ მოკლა ყალიჩავა, „რამკიანი" ქურდი, თანაც იმ დონის ქურდი, რომელმაც გაბედა და ლაკობასაც კი დაუპირისპირდა. ასეთ დროს შავებმა არ უნდა დაგასწრონ საქმის გახსნა, თორემ წამსვე მოკლავენ დამნაშავეს. ახლა საქმე კი იყო გახსნილი, მაგრამ ოთხიდან ერთი დამნაშავე იყო მხოლოდ დაკავებული. ასე რომ, რამდენიმე დღე, ვიდრე დანარჩენებსაც დავაკავებდით, მთელი აფხაზეთის სისხლის სამართლის სამძებრო ისე მუშაობდა, რომ არ იცოდნენ საქმე გახსნილი თუ იყო. დაიგეგმა სხვების დაკავების ოპერაციებიც და პაპავას დაკავება იმ ჯგუფს ერგო წილად, რომელშიც მე შევდიოდი. საჭირო იყო საკუთარ სახლში აგვეყვანა იგი, რომ იქვე ჩაგვეტარებინა ჩხრეკაც. ბატონმა დიმა ჯაიანმა გრიმის, პარიკის და ულვაშების მეშვეობით ტაქსისტად გადამაკეთა და პაპავას სახლს იმდენ ხანს ვუტრიალე, რომ საღამოს მაინც ავიყვანე „კლიენტად" და ორი მანეთის ნაცვლად, ათმანეთიანი მაჩუქა. სხვათა შორის, დაკავების შემდეგ მიცნო — შენ ის ტაქსისტი ხარო, თქვა და მწარედ ჩაეღიმა.

ახლა გიამბობთ იმას, რაც დღემდე არ იცის ამ საქმის გამომძიებელმაც კი. თუ გახსოვთ, ფილმი რომ გადაიღეს მოსკოველებმა „კანონიერი ქურდები". სცენარის ავტორი მოვიდა ჩემთან თხოვნით, იქნებ მიამბოთ, როგორ ახსენით იარლიყი იმ დონის „კანონიერ ქურდს", როგორიც ლაკობა იყოო, მაგრამ სიტყვა ვერ დამაცდენინა. სხვა დრო იყო მაშინ და ამას ვერ ვიტყოდი. არც ახლა გავუმხელდი ჩვეულებრივ ჟურნალისტს, მაგრამ რაკი ჩვენ, ორივენი, ყოფილი მაძებრები ვართ, გეტყვი, რაც მოხდა.

რაკი ვიცოდი, ლაკობას ჩემთან, ციხეში მოიყვანდნენ, წინასწარ გავავრცელე ხმა, მილიციაში, წინასწარი დაკავების საკანში, იურამ ქურდებს აგინა-მეთქი. ქურდებისაგან შესაბამისი რეაქცია ვერ მივიღე.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# იგორ გიორგაძის დაბადების დღე თბილისში და „პატრიოტული ალიანსის" მოლოდინი

*გასულ კვირას იგორ გიორგაძეს 52 წელი შეუსრულდა. უშიშროების ექსმინისტრის იუბილეს თბილისში მისი ოჯახის წევრებიც ალნიშნავდნენ და პოლიტიკური მეგობრებიც. იგორ გიორგაძეს ტელეფონით მოუსმენია საკუთარი დაბადების დღის მსვლელობა თბილისში და გულშემატკივრებს დაჰპირებია — მომავალ დაბადების დღეს საქართველოში თქვენთან ერთად ვიზეიმებო. „იგორი თავადაც სუფრაზე იყო იმ დროს... ღვთისმშობლის ხატი ვაჩუქე, მაგრამ არ გამიგზავნია, მაინც მალე ჩამოვა და დავახვედრებ. ნახავთ, მისი ჩამოსვლიდან 3 თვეში აფხაზეთს დავიბრუნებთ, ქვეყანაში წესრიგი დამყარდება და ქურდები გასამართლდებიან", — გვითხრა მონარქისტული პარტიის თავმჯდომარემ* ***თემურ ჟორჟოლიანმა****... მან და „პატრიოტული ალიანსის" წევრებმა თავიანთი თავმჯდომარეს დაბადების დღე ქალაქგარეთ (ჩაქაფულით) გადაუხადეს.*

— 23 ივნისს ალიანსის ლიდერები — თხუთმეტიოდე კაცი კოჯრისკენ წავედით. ღვინო ავიღეთ, ბატკანი დავკალით, ეს დღე აღვნიშნეთ და იგორსაც შევატყობინეთ.

— **როგორ შეატყობინეთ?**

— რა მნიშვნელობა აქვს, ისე იყო თუ ტელეფონით. ვუსურვეთ, რომ წლევანდელი წელი მისთვის სამშობლოში დაბრუნების წელი ყოფილიყოს და დარწმუნებული ვარ, წლის ბოლომდე ასეც მოხდება.

— **იგორ გიორგაძე წელს დაბრუნდება?**

— აბა, რა... მერწმუნეთ, ეს კაცი ისედაც ძალიან ხშირად ჩამოდის საქართველოში.

— **თუ გიორგაძე ისედაც ხშირად არის საქართველოში, რაღად ამბობთ, — წელს დაბრუნდებაო.**

— ამჯერად ის ოფიციალურად და გაცხადებულად ჩამოვა.

— **მაგრამ ჯერჯერობით მას არ მოხსნია ბრალდებები განხორციელებული ტერაქტის გამო.**

— პოლიტიკური სიტუაცია მოუხსნის ბრალდებებს. არ შეიძლება 10 წელი კაცს რაღაც არარსებული უმტკიცო. ცრუბრალდებები ამათი ჩვეული სტილია. ხელისუფლებამ ამ მეთოდით არაერთი კარგი პოლიტიკოსი ჩამოაცილა არენას, მაგრამ ხსენებულმა მეთოდებმა უკვე დრო მოჭამა. ხალხი ბრმა არ არის, კარგად ხედავს, ვინ ვინ არის...

— **არ გიკვირთ, რომ პრეზიდენტმა მასზე ტერაქტის მოწყობა თითქმის ყველას აპატია, გიორგაძის გარდა.**

— ამ ცრუბრალდებით შევარდნაძემ ყველაზე რეალური კონკურენტი მოიცილა, ისეთი, რომელიც აუცილებლად ამხელდა მას. გიორგაძე ან უნდა მოეკლათ, ან რამე უნდა დაებრალებინათ და უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, შეთხზეს ტერაქტის ამბავი. დღეს ხომ გამომზეურდა და ყველამ გაიგო, როგორ მოქმედებდნენ მაშინ კვირაია და შევარდნაძე. აქამდე სიტუაცია ჩამყაყებული იყო. დღეს ალბათ შეიცვლება რამე. საზოგადოება ხედავს, რომ ე.წ. ელიტამ ქვეყანა გაძარცვა და ხალხის ნაშრომი ჯიბეში ჩაიდო. დღეს ამ ელიტასა და



ხალხს შორის ისეთი უფსკრულია, ვერაფერი ამოავსებს. „ელიტარები" განაგებენ ყველაფერს და სურთ მემკვიდრეებს უმტკივნეულოდ გადასცენ ქონებაც და ხელისუფლებაც. სწორედ ამისთვის გამოიგონეს ვითომ „ნაციონალური მოძრაობა". სინამდვილეში ეს აბსოლუტურად არაქართული მოძრაობაა. ამ ხერხით ჟვანიას და სააკაშვილს უნდათ შევარდნაძის ხელისუფლება გადაიბარონ და ყველა ბერკეტი ისევ ამ ჯგუფმა შეინარჩუნოს. თუ ნაციონალისტი ხარ და ერის ღირსებაზე ფიქრობ, იელოველობა რომ ერის საწინააღმდეგოა, იმას ვერ უნდა ხვდებოდე. თუ რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, გერმანიასა და საფრანგეთში შეიძლებოდა იელოველების სექტის აკრძალვა, რატომ ჩვენთან არ შეიძლება? ხალხი დაბნეულია და ამით სარგებლობენ — იოლად ატყუებენ და აბითურებენ. ჟვანიამ და სააკაშვილმა კარგად იციან, რომ ხვალ განკითხვა იქნება. ხალხი პასუხს მოითხოვს და ამიტომაც განტევების ვაცად თავიანთი შემქმნელი მამის გამოყენება უნდათ.

რა ხდება დღეს ქვეყანაში — პარპაშებს გაქსუებული, გამძლარი ხალხი, რომლებიც უცებ გახდნენ ბანკირები და მილიარდერები. საიდან მოვიდა ეს ხალხი, საიდან აქვთ ამდენი ფული? სილაგაძეს და პატეიშვილს მამებმა დაუტოვეს ბანკები? ხომ ცხადია, ვილაცას წაართვეს მათ ქონება ძალაუფლებისა და ხელისუფლების გამოყენებით. ხალხი ველარ აიტანს თავში ჩარტყმას. კოლუმბიაში გამწარებულმა ხალხმა ერთიანად დაანგრია მდიდრების სრასასახლეები. კორეის, როდეუს და ჩონ დუ ხვანის მაგალითი გავიხსენოთ, რომელთაც კორეა ააყვავეს, მაგრამ ხალხმა არ აპატია დამცირება და მოტყუება. მათ ჯერ დახვრეტა მიუსაჯეს, მერე კი მთელი სიცოცხლე ციხეში გამოკეტეს.

— **ასეთივე პროცესებს უნდა ველოდოთ იგორ გიორგაძის დაბრუნების შემდეგ?**

— არ ვიტყვი, რომ აქ ქონების ნაციონალიზაცია და კომუნისტური გადატრიალება მოხდება, მაგრამ თუ ხელისუფლებამ არ მოსთხოვა პასუხი მდიდრებს ძარცვა-გლეჯისთვის და სამართლიანობა არ აღადგინა, ხალხი თავად იპოვის სამართალს. უმართავი პროცესები დაიწყება, ხალხი გადათელავს მდიდრების სასახლეებს... სო-

**საზოგადოება ხედავს, რომ ე.წ. ელიტამ ქვეყანა გაძარცვა და ხალხის ნაშრომი ჯიბეში ჩაიდო. დღეს ამ ელიტასა და ხალხს შორის ისეთი უფსკრულია, ვერაფერი ამოავსებს. „ელიტარები" განაგებენ ყველაფერს და სურთ მემკვიდრეებს უმტკივნეულოდ გადასცენ ქონებაც და ხელისუფლებაც. რა ხდება დღეს ქვეყანაში — პარპაშებს გაქსუებული, გამძლარი ხალხი, რომლებიც უცებ გახდნენ ბანკირები და მილიარდერები. საიდან მოვიდა ეს ხალხი, საიდან აქვთ ამდენი ფული?**

ციალური სამართლიანობა აღდგება და ამას ის ხელისუფლება გააკეთებს, რომელიც შევარდნაძის შემდეგ მოვა.

— **როდის მოვა, 2005 წელს?**

— ძალიან მალე.. წელს მოვა ასეთი ხალხი...

— **ხელისუფლებაში მოვა?**

— შესაძლოა ხელისუფლებაში არა, მაგრამ წელს დიდი ძვრები დაიწყება ამ მიმართებით. ხელისუფლებას გააგებინებენ, რომ პასუხი უნდა აგონ და წავიდნენ.

თუ ხელისუფლებაში ისეთი კაცი არ მოვა, რომელიც ბოლო 10 წლის ანგარიშს მოითხოვს, აქ საშინელება მოხდება. ქართველებს ჩვენი პუტინი გვჭირდება.

— **უცნაურია, ასეთ დიდ საქმეებთან შეჭიდებას აპირებს „პატრიოტული ალიანსი" მაშინ, როცა ხალხმა არ იცის მისი სუბიექტების ვინაობა. რატომ იმალებიან თქვენი თანამოაზრეები?**

— ზოგს არ უნდა „კუდით" იაროს და ამიტომ ვერიდები მათ დასახელებას, მაგრამ მოვა დრო და ისინი გამოჩნდებიან. ჩვენთან არიან სოციალ-დემოკრატები, ნაციონალისტები (დავით ლომიძის), მთიელთა კავშირი. ჩვენ მხარში დავუდგებით იგორ გიორგაძეს, რომელსაც ვერ მართავს და ვერ იყიდის ვერც რუსეთი, ვერც ამერიკა.

— **იგორ გიორგაძის რუსულ ორიენტაციასაც უარყოფთ?**

— ეს ხელისუფლებას სჭირდება, რომ რუსეთის კაცობა დააბრალოს იგორ გიორგაძეს. სინამდვილეში ის არის პრაქტიკული, პრაგმატულად მოაზროვნე კაცი. ჩვენი ხელისუფლების თამაში რუსეთ-ამერიკის დაპირისპირებაზე, გაჭრილი კარტი აღმოჩნდა. დღეს ამერიკელები და რუსები თანხმდებიან, რა უნდათ საქართველოში. არსებობს სქემა, რომლითაც მსოფლიო პროცესები იმართება. არის დოგმები, რასაც არ უნდა გადაუხვიო და იგორ გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლა არ იქნება კერძო პირის, ან რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის სურვილი, დამერწმუნეთ, დასავლეთის და აღმოსავლეთის სერიოზული პოლიტიკური ძალები ამას დადებითად შეხვდებიან.

*ის იყო თემურ ჟორჟოლიანთან ინტერვიუ დავასრულეთ, რომ მოულოდნელად თავს* ***პანტელეიმონ გიორგაძე*** *დაგვადგა, ეჩქარებოდა, მაგრამ შვილზე რამდენიმე სიტყვის თქმა არ დაზარებია.*

— **ბატონო პანტელეიმონ, გაიგეთ შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად საგანგებოდ დაბრუნებულხართ თბილისში. ამჟერად სად იყავით?**

— სადლა აღარ... ბელორუსიაშიც ვიყავი, უკრაინაშიც, მოსკოვშიც. საბერძნეთშიც გავიარე. 23 ივნისისთვის ჩამოვედი, რომ იგორის დაბადების დღე თბილისში, ოჯახურ გარემოში აღგვენიშნა. როცა სუფრას შემოვუსხედით, იგორს დავურეკეთ. ტელეფონით ისმენდა გრძელ სადღეგრძელოებს. უპირველესად საქართველოში ჩამოსვლა ვუსურვეთ.

— **რა გიპასუხათ?**

— აუცილებლად ჩამოვალო. მზად არის... მაგრამ ის არ დაბრუნდება იატაკქვეშეთში.

— **პრეზიდენტობას ისევ აპირებს თქვენი ვაჟი?**

— არ არის აუცილებელი მისი გაპრეზიდენტება. ვიცი, რომ პოლიტიკას აუცილებლად დაუბრუნდება და თუ ხალხი იტყვის, ჩაუდგება ქვეყანას სათავეში.

*P.S. „პატრიოტული ალიანსი" იგორ გიორგაძის მოლოდინშია.. მაგრამ მის წევრებს ეტყობა ავიწყდებათ, რომ ჯერ თავიანთი ლიდერის რეაბილიტაციაზე უნდა იზრუნონ. რაღაცა გათვლები „ალიანსელებს" ალბათ ექნებათ, მაგრამ დეტალების გამხელა ჯერჯერობით არ ისურვეს.*

*იზო რუკაძე*

სუპრასტინი



ყურადღება!
ფალსიფიკაციის თავიდან
ასარიდებლად და მკურნალობის
გარანტირებული ეფექტისათვის „ეგისის"
წარმომადგენლობა საქართველოში
გირჩევთ პრეპარატი „სუპრასტინი"
შეიძინოთ მსხვილ საბითუმო ბაზების
სააფთიაქო ქსელში
„პსპ" და „ავერსი"




ალერგიული პრობლემების
გადაჭრის
კლასიკური
საშუალება!

სუპრასტინი –
ბრწყინვალე ეფექტი!

ეგისი

სარეკლამო

ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი მონიტორით 385-დან

COMPUS




• სრული ტექნიკური სერვისი და პროგრამული მხარდაჭერა (ქსელები, ინტერნეტი და სხვ.)
• გარანტია 3 წლამდე
• პრინტერები 65-დან

## მარიამ კეკუტია პარიზმა საუკეთესო მხატვრად აღიარა



21 ივნისს ქარვასლაში ქართული ფერწერული ხელოვნება კიდევ ერთი უზადო ნიჭის მოწმე გახდა. 13 წლის მხატვარი გოგონა მარიამ კეკუტია, რომელიც ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში და სწავლობს მოსკოვის ბაკალავრის სკოლაში. მას 2 წლის განმავლობაში მიღებული აქვს 5 დიპლომი, მათ შორის რუსეთის საერთაშორისო ფესტივალზე – „ოქროს ფუნჯი" – დიპლომი საუკეთესო ნამუშევრისთვის და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოსკოვში მცხოვრები პატარა მარიამის თვალით დანახულმა სვანეთის კუთხემ, რომელიც ტილოზე გამოსახა სახელწოდებით „ჩემი სვანეთი", პარიზში გაგზავნილ ნამუშევართა შორის საუკეთესო მხატვრის დიპლომი და საფრანგეთის კულტურის მინისტრის წერილობითი მადლობა დაიმსახურა.

— ***მარიამ, რამდენი წლის იყავი, როცა ხატვა დაიწყე?***

— 11 წლის ვიყავი და მანამდე არასოდეს არ მქონდა ხატვის სურვილი.

— ***მაინც, რამ გამოიწვია ხატვით დაინტერესება?***

— რასაც ვხედავდი ჩემ ირგვლივ, მინდოდა ჩემივე ხელით ტილოზე ცოცხლად დამეტოვებინა.

— ***ძირითადად რას იყენებ ხატვის მასალად?***

— ზეთის საღებავს და ფანქარს.

— ***შენ მიერ დახატული ცხოველები, უდავოდ, ნიჭიერი მხატვრის ნამუშევარია, რა დროს ანდომებ მათ შექმნას?***

— ძალიან დიდხანს ვდგავარ მათ წინ (ზოოპარკში), თითქმის საათობით. არა იმიტომ, რომ ზუსტი ხაზები გავავლო, არამედ მათი ხასიათი გადმოვცე. ერთხელ, ზოოპარკში ყოფნის დროს მგლის ყურებაში ისე ვიყავი გართული, რომ ჩემი პატარა ძმა დამეკარგა და ძლივს ვიპოვე. ამის გარდა, ვხატავ ნატურმორტებს, პეიზაჟს, ვაკეთებ კოპიოებს.

— ***რამდენადაც ვიცი, შენ პედაგოგი გყავს.***

— კი, თამარა სმოლინსკაია.

— ***როცა შენს ფერწერულ ტილოებს უყურებ, რას ფიქრობ, შენ ხომ მათ დიდი წარმატების გზაზე მიჰყავხარ?***

— მე უბრალოდ ისინი მიყვარს... და კიდევ მიყვარს იმპრესიონიზმი და აივაზოვსკი.

— ***რა პროფესიას აირჩევ?***

— გადაწყვეტილი მაქვს დიზაინერობა და ალბათ, არ შევცვლი გადაწყვეტილებას.

— ***შენი სამომავლო გეგმები როგორია? უფრო მასშტაბური გამოფენის გაკეთებას ხომ არ აპირებ?***

— ჩემი მიზანია ოჯახთან ერთად შემოვიარო საქართველო, განსაკუთრებით ქართული ისტორიული ძეგლების ნახვა მსურს. შემდგომ, უკვე, ყველაფერ ამას მინდა მივუძღვნა სპეციალური გამოფენა ანუ საქართველოს დიდი ისტორია და კულტურა ტილოზე გამოვსახო. R


ადვილი შესაძლებელია, ეს სწორედ ის ამფორა იყოს, რომელიც 1979 წელს აღმოაჩინეს ეშერაში

# რადიკალური ეროვნული იდეა აფხაზს კი არა, ვისაც გინდა, იმას გადაიყვანს ჭკუაზე

## იური სენკევიჩი ცურვისას შემთხვევით შესკუპებულა რაღაც უჩვეულო ქვაზე

ყოველკვირეულ ჟურნალ „იტოგი"-ში გამოქვეყნებულმა „სოხუმის ატლანტიდამ" (ამის შესახებ „კვირის პალიტრა" წერდა წინა ნომერში) ქართველი არქეოლოგები კიდევ ერთხელ დააყენა სოხუმელ მეცნიერებთან დაპირისპირების საფრთხის წინაშე.

დიოსკურიის ნაკვალევი, რომლის მოძებნასაც სამომავლოდ აპირებენ რუსი, ბერძენი და აფხაზი არქეოლოგები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში აღმოაჩინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

— კაცს ეჭვიც გიჩნდება, შეგნებულად ხომ არ აუარეს ყველაფერ ამას გვერდი. ეს სამუშაოები ერთობლივად უნდა გააგრძელონ ქართველმა და აფხაზმა არქეოლოგებმა, ხოლო თუ რუსი და უცხოელი მეცნიერები გამოთქვამენ სურვილს, ჩვენ ამის წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვართ. მაგრამ ექსპედიციის განსახორციელებლად, პირველ ყოვლისა, აუცილებელია გაიცეს სათანადო ნებართვა საქართველოს არქეოლოგიური კომისიიდან, რადგან აფხაზეთი ჯერ საქართველოდან გამოყოფილად არავის უცვნია საერთაშორისო დონეზე — განაცხადა ამ არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა **ანდრია აფაქიძემ**.

**— ბატონო ანდრია, თქვენ 21 წელი ხელმძღვანელობდით ქართულ-აფხაზურ ექსპედიციას, შემდგომაც თვალს ადევნებდით მის მუშაობას, აკვალანგითაც პირველი თქვენ ჩასულხართ სოხუმის ყურეში...**

— დიოსკურიის, ე.ი. ცხუმის უძველეს ტერიტორიაზე სამი ათასი წლის წინანდელი სამარხები და არქეოლოგიური ძეგლებია ჩვენი უშუალო კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი. დღეს აშკარად ჩანს, რომ მეცნიერებაში პოლიტიკაა ჩარეული. მაგრამ არ ვაპირებ ამ მხრივ დავუპირისპირდე „იტოგის" სტატიის ავტორებს, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად უგულებელყოფილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა. ამიტომ, მოდით, ამ პოლიტიკურ ამბებს არქეოლოგებმა თავი გაანებონ და განაგრძონ თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტურ კვლევას.

**— როგორ ფიქრობთ, აფხაზებს არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად აწარმოონ გათხრები სოხუმში?**

— საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ნებართვას, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ყოველთვის გასცემდა არქეოლოგიური კომისია და გასცემს ახლაც. ასე რომ, თუ ჩვენს სოხუმელ კოლეგებს სურთ მუშაობა, თუნდაც დამოუკიდებლად, კეთილი ინებონ, არ დაარღვიონ თანამშრომლობის მეცნიერული ტრადიცია და აიღონ სათანადო ნებართვა. ნუ იზამენ ისეთ რამეს, რომ ჩვენც, მეცნიერებიც, ჩავერთოთ კონფლიქტში. ეს არც აფხაზებს არგებს და არც ქართველებს.


სოხუმში ახლად აღმოჩენილი ანტიკური ხანის ნივთები

იმის შესახებ, თუ რატომ არა აქვთ აფხაზ მეცნიერებს მორალური უფლება ქართველი კოლეგების გარეშე გააგრძელონ მუშაობა დიოსკურიის „საპოვნელად", გვესაუბრება თსუ კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**, რომელიც ბატონი ანდრიას შემდეგ, 70-იანი წლებიდან მოყოლებული, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებამდე ხელმძღვანელობდა მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებს აფხაზეთში.

**— ბატონო გურამ, თუნდაც ის ფაქტი, რომ დიდი პიტიუნტის (ანტიკური ქალაქის ნაშთები ბიჭვინთაში) ფუნდამენტურ გამოკვლევებს დღესაც წარმატებით იყენებენ მთელი დასავლეთის რომაული ხანის არქეოლოგიის მკვლევრები, თავისთავად მეტყველებს დიდ საერთაშორისო აღიარებაზე**

— უფრო მეტიც. ძეგლური წყაროების მიხედვით, აქ მიკვლეული რომაული კასტელიუმის (ციხესიმაგრის) ნაშთები ამტკიცებს, რომ აქამდე ვრცელდებოდა რომის იმპერიის საზღვრები. ბიჭვინთის სამაროვანში II-IV საუკუნეების 400-მდე სამარხი გაითხარა. აქაური კრამიტ და ქვევრსამარხები, მანამდე ნაკლებცნობილი სამარხები ცხენიანი მხედრებისა, ერთი მხრივ ადგილობრივი ტრადიციების მაჩვენებელია, მეორე მხრივ შეიძლება უკავშირდებოდეს ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებს (ჰუნებს).

**— ამ აღმოჩენათაგან ყველაზე ფასეულად მაინც რა ითვლება?**

— წარმართულ სამაროვანზე ნაპოვნი ქვიშაქვის სტელა, რომლითაც ჩვენს არქეოლოგიურ პრაქტიკაში დადასტურდა ქრისტიანების მალული დასაფლავების ფაქტი. კერძოდ, სტელას ამოღებული ჰქონდა საიდუმლო გული, რომელიც კრამიტით იყო გადაფარული. ამ ადგილობრივი საინტერესო მწვანე ფერის ქვიშაქვის საიდუმლო საბუდარში აღმოჩნდა IV საუკუნის დასაწყისით(!) დათარიღებული რკინის ჯვარი.

**— ასე რომ, სადავო აღარ არის ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობა 325 წელს (მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 337 წელს გამოცხადდა)...**

— დიახ, ქვიშაქვის სტელამ დაასრულა კამათი იმის შესახებ, რომ საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა საეპისკოპოსო ქალაქი იყო. სამწუხაროდ, გათხრების წარმოებას ხელი

დიოსკურიის ნაკვალევი, რომლის მოძებნასაც სამომავლოდ აპირებენ რუსი, ბერძენი და აფხაზი არქეოლოგები, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში აღმოაჩინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ.

შეუშალა აფხაზეთის კონფლიქტმა. მაგრამ მეცნიერები მეტ-ნაკლებად ვცდილობთ კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებას.

**— რაში გამოიხატება ეს ურთიერთობა?**

— მე ვთანამშრომლობდი გიორგი შამბასთან, ცნობილ აფხაზ მეცნიერთან. მისმა ქალიშვილმა ჩვენი უნივერსიტეტი დაამთავრა. რუსლან შამბასაც (ახლა სერგეი მირონოვიჩს რომ ეძახიან, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს) თბილისური სკოლა აქვს გავლილი. მისი საკანდიდატო დისერტაციის („მონეტების მიმოქცევა აფხაზეთში") ოპონენტიც მე გახლდით. მაგრამ, რადიკალური ეროვნული იდეა აფხაზს კი არა, ვისაც გინდა, იმას გადაიყვანს ჭკუაზე. თუმცა, ვფიქრობ, საერთო ენის გამონახვა შეიძლება. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ ცოტა ხნის წინათ თურქეთში, სტამბოლთან მდებარე ქალაქ ზაქარიაში ყოფნისას, რომლის გარშემოც ქართული და აფხაზური სოფლებია. ორივე მხარეს იმედი აქვს, რომ გაუგებრობა მალე დაწყნარდება.


საიდუმლო საბუდარში IV საუკუნის დასაწყისის რკინის ჯვარი

**— თურქ აფხაზებს აქვთ გავლენა სოხუმზე?**

— გარკვეულ წრეებზე აქვთ. პოლიტიკური ელიტა, როგორც იცით, რუსეთისკენ არის ორიენტირებული და იგი ძალიან მაღალი ეშელონებიდან კომპლექტდება სხვადასხვა სამსახურების მიერ...

**— ახლა იმ საერთაშორისო პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებასაც აპირებენ სოხუმში.**

— ვადიმ ბჟანია, რომელიც ჟურნალ „იტოგი"-ში გათხრების მთავარ პერსონად არის წარმოდგენილი, აფხაზეთის ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი იყო მაშინაც და ახლაც. აქედან ჩანს, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია პოლიტიკურ ბატალიებში, თორემ კულტურის მინისტრადაც და უფრო მაღალ თანამდებობაზეც დანიშნავდნენ. იგი ნესიერი კაცია, ღირსეული მეცნიერი, ავიც იცის და კარგიც და თუ ის ჩაუდგება სათავეში ამ საექსპედიციო კამპანიას, ამას ჩვენ გარეშე არ გააკეთებს. ვიცი, რომ აფხაზ კოლეგებს წერილი აქვთ გაგზავნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იუნესკოს შესაბამის სტრუქტურებში დიოსკურიის 2500 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავი ღონისძიების შესახებ. და თუ შედგება საერთაშორისო პროექტი, მასში ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ წარმოდგენილი, ეს თვით ვადიმ ბჟანიამაც ძალიან კარგად იცის.

**— რას იტყოდით იმ არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, რომლებიც სოხუმის მუზეუმშია დაცული?**

— სამწუხაროდ, სოხუმის მუზეუმი განადგურების პირასაა. მე მქონდა შემთხვევა მოსკოვში, შავ ბაზარზე მენახა სოხუმიდან გასაყიდად ჩამოტანილი უძველესი ანტიკური ხანის მონეტები...

**— შავ ბაზარზე სხვა ნივთებიც ხომ არ გინახავთ?**

— არა, მაგრამ ვიცი, ძალიან დიდი დანაკლისი განიცადა მუზეუმმა და ეს მარტო აფხაზების კი არა, ჩვენი ტკივილიცაა.

**— როგორც ჩანს, საერთაშორისო პროექტი ერთობლივად განხორციელდება.**

— უნდა განხორციელდეს. მე მექნება საშუალება დავუკავშირდე კოლეგებს რუსეთში და ჩემი პოზიცია გამოვხატო.

**— უშუალოდ ვის უნდა დაუკავშირდეთ?**

— რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტს, რომელსაც აკადემიკოსი რაუფ მუნჩაევი ხელმძღვანელობს. ბატონი რაუფი დაღესტნელია, ლეკი, თანაც საინგილოდან. ჩვენი არქეოლოგების ახლო მეგობარი...

**— ბატონო გურამ, საბჭოთა პრესაშიც უყვარდათ სენსაციური ცნობების გამოქვეყნება, თუნდაც აი, ასეთის — სოხუმის ყურეში ჩანს სვეტებიანი სასახლის ნანგრევები. როცა შტორმი არ არის, იკვეთება უძველესი ქუჩების და მოედნების, სასახლეების კონტურები...**

— ეს მართლაც სენსაციის ძიება იყო. თუმცა სოხუმში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს აღმოჩნდა საინტერესო კულტურული ფენები. ბატონმა ანდრია აფაქიძემ აკვალანგითაც შეისწავლა სოხუმის ყურე. ბატონ ოთარ ლორთქიფანიძესაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა იქ წარმოებულ ექსპედიციებში. „პირველაღმომჩენთა" შორის ცნობილი რუსი კინომოგზაური იური სენკევიჩიც გახლდათ. იგი ცურვისას შემთხვევით შესკუპებულა რაღაც უჩვეულო ქვაზე, რომელიც შემდეგ ამოიღეს და... ატიკაში დამზადებული მაღალმხატვრული საფლავის ქვა აღმოჩნდა, მარმარილოსი, და აი, მაშინ გავრცელდა ხმა, რომ დიოსკურია ტალღებმა მოიტაცა...

**— დასასრულს, სოხუმში უთქვენოდ ჩატარებულ გათხრებს მივუბრუნდეთ. რამდენად მნიშვნელოვანია ამჟამინდელი აღმოჩენა?**

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. 2,5 მეტრის სიღრმეზე კიდევ ერთხელ დადასტურდა დიოსკურიის ნაშთები. ახლა ბედნიერი შემთხვევა იყო სოხუმში, მაგრამ მშენებლებმა იჩქარეს, დროზე აითვისეს საერთაშორისო გრანტი და ამიტომ დაიკარგა კიდევ ერთი შანსი, მეტი რამ გაგვეგო დიოსკურია-სებასტოპოლისზე. „იტოგის" ფოტოზე ნაჩვენები პანათინური შავფიგურიანი ამფორა არ ჰგავს „ზღვაში ნაპოვნს", რადგანაც ელემენტარულად შეუძლებელია ზღვას ამ სახით შემოენახა ეს მოხატული თიხის ჭურჭელი. ასეთივე ამფორა გიორგი შამბამ 1979 წელს ეშერაში იპოვა (ადვილი შესაძლებელია, ეს სწორედ ის იყოს).

P.S. *ასე რომ, ქართველი არქეოლოგების მიერ დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ რომანტიკული ამბავი „ზღვის ტალღების მიერ შთანთქმულ დიოსკურიაზე" რომანტიკულ ამბად რჩება. დიოსკურია-სებასტოპოლისი სოხუმის ქვეშაა მოყოლილი. რაც შეეხება მომავალ არქეოლოგიურ ექსპედიციებს, ქართველი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მუშაობა მათი მონაწილეობით განახლდება იმდენად, რამდენადაც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.*

*ელენე სალარიძე*

**შკვმ მეორე ტირაჟში დაიბეჭდა**




და ისიც მალე გათავდება...

წიგნი იყიდება „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, წიგნისა და ეკლესიებთან არსებულ მაღაზიებში.

# რას გვეტყვი, მამაო?

**— ჩემს ახლობელ ამხანაგს, აზერბაიჯანელ მუსლიმანს, დამეგობრების მიზნით სურს მომანათვლინოს შვილი. რამდენად შესაძლებელია ასეთი ნათლობა, ჩაითვლება თუ არა ის ქრისტიანული საიდუმლოს შესრულებად და ცდომილების შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ბავშვის გადანათვლა?**

— ბავშვის გადანათვლა (ანუ ხელმეორედ მონათვლა) აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან მართლმადიდებლურ „მრწამსში" მითითებულია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა". ამიტომ, ბავშვისათვის ნათლიის შერჩევის დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პიროვნებას ევალება ნათლულის სულიერი ცხოვრების წარმართვა, რისთვისაც, ცხადია, ის თავად უნდა იყოს მონათლული, მართლმადიდებელი ქრისტიანი და ქრისტიანული მცნებებით მცხოვრები ადამიანი.

**— რანაირად მოხდა, რომ ჯვარი, რომელიც დასჯის იარაღად და საშუალებად იყო ცნობილი ოდითგან, ჩვენთვის სალოცავად იქცა?**

— უწმინდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებაში ბრძანებს: „ჯვარი და აღდგომა! ერთი შეხედვით, მათ შორის რა კავშირი უნდა არსებობდეს. ჯვარი, ვიდრე მასზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე გაეკვრებოდა, ყველაზე სამარცხვინო იარაღი იყო ნამებისა და სიკვდილისა. ჯვარზე სიკვდილი იმდენად სამარცხვინოდ ითვლებოდა, რომ თუ ადამიანს რომის მოქალაქის წოდება ჰქონდა, რაც უნდა დიდი დამნაშავე ყოფილიყო, მისი ჯვარზე გაკვრა არ შეიძლებოდა. ამიტომაც იყო, რომ პეტრე მოციქული რომში ჯვარზე გააკრეს, ხოლო პავლე მოციქულს, რომელსაც რომის მოქალაქის წოდება ჰქონდა, თავი მოჰკვეთეს.

ჯვარი და აღდგომა მართლაც ორი უკიდურესობაა: ერთი დამცირებას, ტანჯვას, სიკვდილს გულისხმობს, მეორე — დიდებით აღდგომასა და სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას. უფალმა იესო ქრისტემ ჯვარი და აღდგომა ერთმანეთთან დააკავშირა და შეაერთა. ქრისტეს აღდგომის შემდეგ ჯვარი იმგვარ უძლეველ იარაღად იქცა, რომელსაც ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ დაამარცხებს. ამიტომაცაა, რომ ყოველი მღვდელმოქმედება, ყოველი საიდუმლო და ყოველი ლოცვა, რომელიც ეკლესიაში სრულდება, ჯვარის გამოსახვით იწყება და მთავრდება".

**— ვარ მე-7 ათეულ წელში გადამდგარი მამაკაცი — დედით სომეხი, მამით — ქართველი. ბავშვობაში, ალბათ დედის გავლენით, ვარ მონათლული სომხური წესით. ახლა, ჩემს ასაკში, გვიან ხომ არ არის მართლმადიდებლობაზე გადანათვლა?**

— მართალაღმსარებლობით სარწმუნოებასთან ზიარება არასოდეს არ არის გვიანი. ცნობილია, რომ ქრისტიანობის დიდი ბურჯი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე დიდი, სიკვდილის წინ მოინათლა.

**— სრულად მოგვეტევება თუ არა განკითხვის ჟამს იმ ცოდვებისთვის, რომლებიც ნათქვამი გვაქვს აღსარებაზე?**

— აღსარების საიდუმლო აუცილებლობას წარმოადგენს სულის ხსნისთვის, მაგრამ ბევრი ადამიანი ცოდვებით დამძიმებული, თვლის, რომ მისი საშველი არ არის და ტყუილუბრალოდ ოცნებობს პატიებაზე. ზოგიერთი დიდი ცოდვილი ამის გამო უფრო ეფლობა თავის ცოდვებში, სხვები სასოწარკვეთილებაში ვარდებიან. ამით ისინი თავს იღუპავენ. მათ ავიწყდებათ, რომ თვით ყველაზე მძიმე ცოდვილიც უნდა სასოებდეს უფლის გულმოწყალებაზე და უარი არ თქვას აღსარების საიდუმლოზე. უფალს არ სურს ცოდვილის სიკვდილი, არამედ სურს მისი სიცოცხლე, გამოსწორება და გადარჩენა (იეზეკ. 33,11).

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# როგორ „ჩაარცყეს" იურა ლაკობას, ანუ კანონიერი ქურდის აღსასრული

(დასაწყისი იხ. გვ. 10)

ვიცოდი, ბევრ ქურდს, მათ შორის „კანონიერსაც" ეშინოდა მისი. დღესაც ვიცი ოჯახები, სადაც ქალებს ბინძურად შეეხო იურა ლაკობა და მისმა „თავმოყვარე" პატრონებმა დიდსულოვნად აპატიეს იმ გარეწარს შეურაცხყოფა. ამ შემთხვევაში, ქურდებმა რამდენიმე პარლამენტიორი გამომიგზავნეს — ამათ მოასმენინეო. ბიჭები ფუქსებში (საქმის გასარჩევი ოთახი) დავმალე და როგორც კი იურა მოიყვანეს, ვკითხე — აქ ყველამ იცის, რომ შენ ქურდი მოკალი, გარჩევის გარეშე შენი ძმები, ქურდები ამას არ შეგარჩენენ, როგორ მოვიქცეთ-თქო. არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა — ერთი მაგ ქურდების დედაცო. აი, ნახავ, ახლა კამერაში შევალ, ყველას კედელზე მივაყენებ და დედას ვუტირებო...

— კი მაგრამ, ვის დედას, იმ ქურდებისას, ვინც აქ ზის-მეთქი? — ჩავეკითხე საგანგებოდ, — პო იმათსასო. ეტი პიდარასტი ნე ვორიო! ამ სიტყვების თქმა იყო და ჩემგან ჩასაფრებული „შუსტრიაკები" ფუქსებიდან გამოცვივდნენ და იურას ნაესივნენ. — როგორ თუ „მენტის" მოსასმენად ქურდებს აგინებო. დასცხეს და დასცხეს — აგინეს და აფურთხეს. მათი ყვირილი მთელ კორპუსს ესმოდა, ყველამ გაიგო, რაც მოხდა. ასე რომ, ორსამ წუთში იურა ლაკობამ დაკარგა თავისი ტიტული, ხელები ასწია და მითხრა — მერაბ, ტი პაბედილ, ია ბოლშე ნე ოპასენო, — ძალიან ნაღვლობდა, ასე უბრალოდ რომ გაფუჭდა. ამის შემდეგ იურამაც დაწერა აღიარება და თანამშრომლობის ხელწერილიც მომცა, ისევე როგორც დანარჩენმა სამმაც.

— მერე არ თანამშრომლობდით?

— ათეულობით საქმე გაიხსნა. უფრო მეტიც, იურა ლაკობას დავაწერინე მიმართვა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი — „მოგმართავთ მე, იურა ლაკობა, კანონიერი ქურდი, რომელმაც ვიცი, რას ნიშნავს იყო ქურდი. ესაა საკუთარი ქვეყნისა და ოჯახის ღალატი..." და ასე შემდეგ.

ახლა ისევ შოთა თოლორაიას მივუბრუნდეთ. ხომ ვთქვით, რომ ის ძალზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისი ქალიშვილი ლუტუ ყალიჩავას გაჰყვა ცოლად, მაგრამ როცა ყალიჩავა მოკლეს, ნათესაურმა გრძნობამ იმძლავრა მასში და გამოაცხადა, — ვინც ამ საქმეს გახსნის, პირადად დავაჯილდოებო. ვიცოდი, ამ საქმის გახსნას ბევრი ჩემი კოლეგა დაიჩემებდა და ვიდრე ეს საქმე მხოლოდ მე და აფხაზეთის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსმა ბათუ სალინაძემ ვიცოდით, ბატონ შოთას გავანდე — საქმე გახსნილია და არავინ წაგლიტოთ რამე, მე კი თქვენგან მარტო კაცურ სალამს ვჯერდები-მეთქი. ერთი სიტყვით, საქმე დამთავრდა. ოთხივე დამნაშავემ 15-15 წელი მიიღო და თითქოს საბოლოოდ გაიყარა ჩემი და იურა ლაკობას გზები, მაგრამ მე კიდევ ერთხელ შევხვდი მას ამ ამბებიდან ექვსი წლის შემდეგ.

ეს იყო 1991 წლის 5 ოქტომბერს. მე უკვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვარ და იმ დილით ციხეში „მხედრიონი" იწყებს ბუნტს. თექვსმეტი ჩვენი თანამშრომელი აიყვანეს მძევლად. გახსნეს ყველა საკანი, ყველა გასასვლელი და ციხე მთლიანად მათ ხელში აღმოჩნდა. ერთადერთი, რისი გახსნაც ვერ მოახერხეს, ეს იყო მთავარი გასასვლელი. 1430 კაცი ციხის ეზოში გამოეფინა. მათ შორის იყვნენ: 15 კანონიერი ქურდი, 8 სიკვდილმისჯილი და 70-მდე გასამართლებული, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი ემუქრებოდათ. ამ დროს ლაკობა იქ ზის, რა თქმა უნდა, მარტოდმარტო საკანში. ახლა კი ის მომენტია, როცა ქურდებს შეუძლიათ შური იძიონ და მოკლან. მიადგნენ კიდეც მის საკანს, დაიწყეს კარის შენგრევა, მაგრამ მას ბენზინი ჰქონია ქილით. კარის ღრიჭოს მეშვეობით ეს ბენზინი გარეთ გადმოღვარა და ცეცხლიც წაუკიდა. ერთბაშად იფეთქა ალმა და ექვს კაცს მოედო ცეცხლი. ისევ სცადეს კედლის შენგრევა და შიგნიდან ნაცარი შეაყარა თვალებში. იმდენი იომა, რომ საკანში ვერ შეაღწიეს აჯანყებულებმა — უკანასკნელ წუთამდე შეძლო თავის დაცვა. მერე, როცა ყველაფერი დამთავრდა, ზემოდან ყვირილი მოისმა — მერაბ შოტაევიჩ, მერაბ შოტაევიჩ, ია ვამ პისმო ბროშუ. უმალიაიუ, პრაჩტიტე. — მართალი გითხრათ, ისეთი ვითარება იყო (31 კაცი დაიჭრა და 4 გარდაიცვალა იმ დღეს), ლაკობა სულაც არ გამხსენებია. მოგვიანებით კი წერილი ავიღე და ვკითხულობ: „ია ჟე გოვორილ, ჩტო ვსე ონი პიდარასტი. ტისიაჩა ჩეტირესტა ჩელოვეკ ნე მოგუტ მენია უბიტ. პაჟალუსტა, ვიპუსტი მენია ატ ტუდა, ა ტო ია ზადიხაიუს," — მის მიერვე გაჩენილ ხანძრის კვამლში იხრჩობოდა თურმე. რადგან პატიმრები ჯერ კიდევ კორიდორებში იყვნენ გამოფენილები, მოვაყვანინე სახანძრო მანქანა და შესადუღებელი აპარატით გადავჭერით ლაკობას საკნის გისოსები მესამე სართულზე და იქიდან გადმოვაძვრინეთ უკვე გასაცოდავებული, ერთ დროს კი ლეგენდად ქცეული ქურდი, რომელსაც ძველი დიდების არაფერი შერჩენოდა.

*P.S. 1992 წლის ამნისტიით ოთხივე მსჯავრდადებული გაათავისუფლეს. თუმცა სულ მალე ერთმანეთის მიყოლებით ოთხივე მათგანი თვითონ კრიმინალებმა დახოცეს.*

*და კიდევ: შურისძიების ნიშნად, აფხაზეთის ომის დროს ლაკობას ქალიშვილმა შოთა თოლორაიას ვებერთელა სახლი გადაწვა.*

**ვაჟა გავაშელი**

# ახლა თვითონ განსაზღვროს ელენე თევდორაძემ, ვისი აგენტია...

„კვირის პალიტრის" გასული კვირის ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუს ქალბატონ ელენე თევდორაძესთან სტატიაში მოხსენიებული „მართალი გაზეთის" რედაქცია გამოეხმაურა. ქალბატონი ელენე ინტერვიუში ამბობდა, თითქოს „მართალ გაზეთს" კახა თარგამაძე და გია მეფარიშვილი აფინანსებდნენ და რომ ამ გამოცემას „გაზეტა რუსთან" საეჭვო კავშირები ჰქონდა.

„მართალი გაზეთის" მთავარი რედაქტორი, მწერალი ვახტანგ ხარჩილავა ელენე თევდორაძის ამ მოსაზრებას აპროტესტებს და ცილისწამებას უწოდებს. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, მეორე მხარისთვისაც მიგვეცა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

> მალე დაინახავთ, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს დასავლური ღირებულებების ერთგულებას იბრალებენ, დარიალის ხეობიდან შემოვლენ. შარშან სიტუაცია აირია თუ არა, ვილაც-ვილაცებმა რეპორტაჟების გადმოცემა წითელი მოედნიდან დაიწყეს, ხომ გახსოვთ? ჯერ სადა ხართ!..

**ვახტანგ ხარჩილავა:** — ჯერ ერთი, საერთოდ, პირველად გავიგე, რომ ასეთი გაზეთი (ლაპარაკია „გაზეტა რუზე" — ავტ.) არსებობს და, სამწუხაროდ, არც მასში გამოქვეყნებული სტატია წამიკითხავს. რა კავშირი მაქვს მე პროკურატურასთან ან „გაზეტა რუსთან". გია მეფარიშვილს საკუთარი თავი ვერ დაუფინანსებია და მე დამაფინანსებს? ან კიდევ, კახა თარგამაძე ასე რომ აფინანსებდეს ვილაც-ვილაცებს, კარგად იქნებოდა მისი საქმე. ეს არის სრული ცილისწამება და აბსურდი. ელენე თევდორაძე ჩემზე განაწყენებულია და ასეთ რაღაცებს იმიტომაც ამბობს.

**— რით გაანაწყენეთ?**

— რამდენიმე თვის წინ „მართალ გაზეთში" გამოვაქვეყნე წერილი სათაურით — „რომელ რადიატორთან იჯდა ქალბატონი ელენე თევდორაძე", რომელშიც ლაპარაკი იყო თევდორაძის მოღვაწეობაზე. აი, სწორედ ეს სტატია გახდა ქალბატონი ელენეს განაწყენების მიზეზი და ახლა ამიტომაც ილაშქრებს ჩემზე. რაც შეეხება რადიატორს, შემთხვევით არ მიხსენებია. როგორც თანაკლასელები ვერ იხსენებდნენ, რომელ რადიატორთან იჯდა ვალოდია ჯინჭარაძე (კინოფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა"), ისე დღევანდელი საზოგადოება ვერ იხსენებს და ვერც გაიხსენებს, რომელ რადიატორთან იჯდა ეს ჩვენი ქალბატონი ელენე და საზოგადოდ, საიდან მოხვდა იგი ქართულ პოლიტიკაში. მე უკვე ეჭვი მიჩნდება — ვინ, რატომ და რა მიზნით მოიყვანა ეს ქალბატონი პოლიტიკაში. როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს რაღაცაში სჭირდებოდათ მისი ამოტივტივება.

**— რომელ ძალებს გულისხმობთ?**

— რომლებიც დღეს ფაქტობრივად მართავენ ჩვენს ქვეყანას — სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და ა.შ. თევდორაძეს და მისთანებს იყენებენ და საქმეს აკეთებინებენ.

**— ელენე თევდორაძეს აგენტობას აბრალებთ?**

— ქალბატონმა ელენემ, საუბედუროდ, თვითონაც არ იცის, ვისი აგენტია. მას ძალიან უნდა, რომ საკუთარი თავი დასავლური ორიენტაციის ადამიანად წარმოაჩინოს, მაგრამ მალე დაინახავთ, რომ ადამიანები, რომლებიც დღეს დასავლური ღირებულებების ერთგულებას იბრალებენ, დარიალის ხეობიდან შემოვლენ. შარშან სიტუაცია აირია თუ არა, ვილაც-ვილაცებმა რეპორტაჟების გადმოცემა წითელი მოედნიდან დაიწყეს, ხომ გახსოვთ? ჯერ სადა ხართ!... ან კიდევ, ქალბატონი თევდორაძე რომ ამბობს, სტრასბურგში რუსეთის საკითხის განხილვისას ჩემი გამოსვლით სიტუაცია რადიკალურად შევცვალეო, იმისთვის გავგზავნეთ ჩვენ ელენე თევდორაძე ევროსაბჭოში, რომ რუსეთთან ან ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობები გაგვიფუჭოს? როდესაც ვილაც-ვილაცები ვითომ პატრიოტული მიზნით, შეგნებულად აწყობენ ასეთ აშკარა პროვოკაციებს, სწორედ ისინი ასრულებენ რუსეთის გარკვეული ძალებისა და სპეცსამსახურების დავალებებს. ახლა თვითონ განსაზღვროს ელენე თევდორაძემ, ვისი აგენტია?..

**— სასამართლოში ჩივილს ხომ არ აპირებთ?**

— არ მინდა ვიკადრო და ელენე თევდორაძეს სასამართლოში ვუჩივლო, თორემ მართლა ვაგებინებდი პასუხს და თანაც ძალიან მწარედ.

P.S. „კვირის პალიტრა შეეცადა, დაჰკავშირებოდა *ქალბატონ ელენე თევდორაძეს იმის გასარკვევად, ჰქონდა თუ არა მას თავისი სიტყვების დამადასტურებელი არგუმენტები ან შეძლებდა თუ არა ის სასამართლოში თავის დაცვას (საჭიროების შემთხვევაში), თუმცა მასთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ. ქალბატონი ელენე სტრასბურგში იმყოფებოდა და მობილური ტელეფონიც გამორთული ჰქონდა.*

**ხათუნა ყვირალაშვილი**







# „ორჯონიკიძეზე თავდასხმა ინსცენირებულია", —

## აცხადებს ჯიბრაილოვი



**„არავითარი თავდასხმა ბ-ნ ორჯონიკიძეზე არ მომხდარა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ორჯონიკიძე და მისი კომპანია არიან ჩემი ძმის მკვლელობის ორგანიზატორები",** — ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა უმარ ჯაბრაილოვმა მას შემდეგ, რაც ოფიციალურად დადასტურდა, რომ ორჯონიკიძეზე თავდასხმის დროს მოკლული ადამიანი მისი ბიძაშვილი სალავათ ჯაბრაილოვი იყო. უმარი კვლავ ამტკიცებს, — სალავათს არავითარი კავშირი არ ჰქონია ჩემს კომერციულ სტრუქტურებთანო.

**— სალავათი გაიტაცეს, მოკლეს და მერე ჩააგდეს თხრილში, — ამბობს ჩეჩენი ბიზნესმენი, — ეს თავდასხმა მე რომ მომეწყო, ჩემი ძმის ცხედარს იქ ვერ ნახავდით. თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჩეჩნები მიცვალებულს უპატრონოდ არ ტოვებენ. დებილი უნდა იყო, რომ ასეთ საქმეზე ძმა გაგზავნო და თან გააფრთხილო — სალავათ, პასპორტის წაღება არ დაგავიწყდესო. რატომ არ დაწვეს ბოროტმოქმედებმა იმ მანქანასთან ერთად ჩემი ძმაც, ან რატომ არ ამოაცალეს პასპორტი?**

**არ ვიცი, რატომ გამრიეს ამ საქმეში. არავითარი განსაკუთრებული ურთიერთობა მე და ორჯონიკიძეს არ გვქონია. ის მხოლოდ კურირებდა იმას, რასაც ჩემი კომერციული სტრუქტურები აწარმოებდნენ. იოსები ყველანაირად ხელს უშლის ქალაქის ხელისუფლებასთან ჩემს თანამშრომლობას. მოკლედ, ჩემზე ნადირობაა გამოცხადებული. ვფიქრობ, შემდეგი დარტყმა ჩემს ძმა ჰუსეინზე იქნება, ის სასტუმრო „როსიას" მმართველია.**

**შეიძლება ვიღაცას ჩემთვის ბიზნესის წართმევა უნდა, მაგრამ პირდაპირ არ მეუბნება. ჩემი მოკვლა რომ ნდომოდათ, აქამდეც მოახერხებდნენ. ეტყობა, უნდათ, ჩირქი მომცხონ და ჩამომაშორონ ბიზნესს. არ ვიცი, რას გვერჩიან მთელ საგვარეულოს. ჩვენ ვიცით, როგორ ვიმუშაოთ, როგორ გადავაქციოთ წამგებიანი საწარმო მომგებიანად, თანაც სახელმწიფო ფულიც არ დავხარჯოთ. რაც შეეხება ორჯონიკიძეს, მასზე პირველი თავდასხმის შემდეგ მინდოდა შევხვედროდი, მაგრამ არ მოისურვა. ეს მისი საქმეა. ჩვენ, გარდა სამსახურებრივისა, ოჯახებითაც გვქონდა ურთიერთობა...**

სხვათა შორის, ჯიბრაილოვს სამართალდამცავი ორგანოები ჯერჯერობით არ შეხვედრიან. ამბობს, — ეტყობა, სხვა გეგმები აქვთ, ალბათ ძლიერ დარტყმას მიმზადებენო...

***კომერსანტი №107***

# აფხაზეთი ღელავს...



დიდი ალიაქოთია ატეხილი აფხაზეთში — უამრავი ხალხი მიაწყდა საპასპორტო განყოფილებებს, რათა 1-ელ ივლისამდე მოასწრონ რუსეთის მოქალაქეობის მიღება. საქმე ის არის, რომ 1-ელი ივლისიდან რუსეთში მოქალაქეობის ახალი კანონი ამოქმედდება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად იქ ცხოვრების სულ ცოტა, 5 წლის სტაჟი მაინც უნდა გქონდეთ, აფხაზებისთვის ეს კრახია — ისინი ხომ დღემდე საბჭოთა პასპორტებით სარგებლობენ.

საინტერესოა, როგორ აღიქვამენ ამას აფხაზეთის მეთაურები, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვიან. მრავლისმეტყველია აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ანრი ჯერგენიას პასუხი: „მე თვითონაც რუსეთის მოქალაქე ვარ..."

აფხაზეთში ხმა დაირხა, რომ ახალი ომის დაწყების თარიღი უკვე დაინიშნა. ამის დასტურად, აფხაზები თამაზ ნადარეიშვილის ნათქვამს იმოწმებენ, რომ თუ აფხაზეთში „მშვიდობის დასამყარებლად იძულებითი ოპერაცია" არ ჩატარდება, მაშინ იგი 1-ელი აგვისტოდან გადამწყვეტ ღონისძიებაზე გადავა.

ინფორმაციული სააგენტოების ცნობით, სასაზღვრო ზონაში გააქტიურდნენ თავდაცვის სამინისტროს ძალები, საქართველო ნატოს ქვეყნებიდან შეიარაღების უახლეს სახეობებს იღებს, თურქეთმა თითქმის მუქთად მიჰყიდა ოთხი სადესანტო გემი, ფოთში მიმდინარეობს ჩვეულებრივი გემების სამხედრო ხომალდებად გადაკეთება. რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მონაცემებით, რუსეთის საზღვართან საიდუმლოდ ხდება ნატოს ქვედანაყოფების განლაგება.

სიტუაცია მწვავდება კოდორის ხეობაშიც. ეს გზა სოხუმის, ადლერისა და სოჭისკენ მიემართება. ახლახან გვაცნობეს, რომ პანკისის ხეობაში მყოფმა რუსლან გელაევის ბოევიკებმა მიიღეს საზენიტო რაკეტა „სტინგერის" რამდენიმე კომპლექსი და სურსათი, კავშირგაბმულობის უახლესი საშუალებები და აღჭურვილობა. როგორც ცნობილია, „სტინგერს" შეუძლია თვითმფრინავების და შვეულმფრენების ჩამოგდება.

ასეთი გაცხარებული მზადება კარგს არაფერს ნიშნავს...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №137***

# ბათუმქალაქის მერი მოსკოვს ეწვია



მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა მიიღო რუსეთის დედაქალაქში სამუშაო ვიზიტით ჩამოსული ბათუმის ახალარჩეული ქალაქისთავი გიორგი აბაშიძე. მოლაპარაკებების დროს განიხილეს მოსკოვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობის პერსპექტივების გაფართოების საკითხები.

პირველად ისტორიაში, აჭარის მთავარ ქალაქს ჭეშმარიტად დემოკრატიულად არჩეული ხელმძღვანელი ჰყავს — 26 წლის გიორგი აბაშიძემ ხმათა 90% დააგროვა და მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მერად მოგვევლინა. თავად გიორგი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ასაკობრივ ფაქტორს, რადგან თვლის, რომ „თუ ჭაბუკის მოწოდება კეთილი საქმეების კეთებაა, ასაკი მისთვის მხოლოდ მშრალი ციფრია და მეტი არაფერი". და, მართლაც, აჭარის დედაქალაქის ახალგაზრდა და ენერგიულ თავკაცს ხელმძღვანელობის პატარა სტაჟი როდი აქვს: 1996 წელს, კემბრიჯის წმ. ანდრეას სახ. კოლეჯის დამთავრების შემდეგ, მან სამშობლოში, გერმანულ ფირმა „რინოვასთან" ერთად, შექმნა და უხელმძღვანელა საწარმო „აღორძინება"-ს, რომელიც ულტრათანამედროვე თერმოტექნოლოგიებს უშვებდა, ასევე შექმნა გემთმშენებელი და ავიამშენებელი საწარმოები, ამავე წელს გამოჩნდა „დიდ" პოლიტიკაში.

ბათუმის ახალარჩეული მერის მიზანია მოსკოვთან და რუსეთის სხვა ქალაქებთან პირდაპირი პარტნიორული კავშირებისა და თანამშრომლობის დამყარება, რაც ხელს შეუწყობს ბათუმის ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას და საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას. ბათუმი ხომ ისედაც უკვე გახდა საერთაშორისო ვაჭრობისა და სემინარ-კონფერენციების რეგიონალური ცენტრი.

„მჯერა, რომ მალე საერთაშორისო ეკონომიკური, სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა გაფართოებასა და განმტკიცებაში მკვეთრად გაიზრდება ბათუმის როლი", — განაცხადა ახალგაზრდა მერმა.

***გაზეთა სნგ.რუ***

# კავკასიის გასაღები თბილისშია

ამ ბოლო დროს საქართველოში განვითარებული მოვლენების გამოისობით, რუსეთის ბევრი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ თბილისმა რუსეთთან კავშირს კონფრონტაცია არჩია მაშინ, როდესაც დასავლეთთან პირიქით მოხდაო...

ადგილობრივ არჩევნებში ახლანდელი ხელისუფლების დამარცხების ფონზე ქართული ოპოზიცია გააქტიურდა და იგორ გიორგაძემაც გამოჰყო თავი.

საქართველოს უშიშროების ექსმინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა იგორ გიორგაძემ, რომელიც შვიდი წელია იძულებით ემიგრაციაში იმყოფება, უკვე ექვსი ქვეყანა გამოიცვალა საცხოვრებლად და ახლა ორი ევროპული ქვეყნის საზღვარზე, პატარა ქალაქში ცხოვრობს. მან თავად გამოთქვა სურვილი, რომ ესაუბრა საქართველოს დღევანდელობაზე.

**— გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერდა, რომ შევარდნაძის დროს საქართველო „არშემდგარ სახელმწიფოდ" იქცა, ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსშია...**

— საქართველოში ეს ბავშვმაც კი იცის. საქმე ის გახლავთ, რომ შევარდნაძის კლანი, რომელშიც მისი ცოლი, უახლოესი ნათესავები და მეგობრები შედიან (დაახლოებით ოცდაათი ადამიანი) აკონტროლებს ქვეყნის მთელ ეკონომიკას. კორუფციის დღევანდელი დონე უკვე ვაშინგტონსაც აღიზიანებს, რომელმაც უამრავი თანხა ჩაყარა საქართველოს ფეხზე დასაყენებლად. შევარდნაძის მმართველობის დროს ქვეყანა დაიხლიჩა, ძმათა ომის გამჩაღებელს უკვე აღარავინ ენდობა...



**— თქვენ თუ გაქვთ ამ პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის რეცეპტი?**

— გვაქვს, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლამდე ამას არ გავამხელთ, რადგან, ჯერ ერთი, იდეის დისკრედიტება მოხდება, მეორეც, მაშინ უნდა გავამხილოთ ისიც, რაც უკვე რეალურად გაკეთდა. ამიტომაც არ ვასახელებ ხალხს, რომელიც შეიძლება ხელისუფლებაში მოვიდეს — მათ უშიშროებას საჭოჭმანოდ ვერ გავხდი. ემიგრაციაში ყოფნისას გულხელდაკრეფილი არ ვყოფილვარ, თანამოაზრეებთან ერთად გამუდმებით ვმუშაობდი, მათ შორის, აფხაზეთის ხელმძღვანელობასთანაც და ამას არც ვმალავ. არის რეალური შესაძლებლობები პრობლემების მოსაგვარებლად, მხოლოდ შევარდნაძის გარეშე.

**— რას წარმოადგენს თქვენი ორგანიზაცია — სრულიად საქართველოს პატრიოტული ალიანსი?**

— ჩვენ ჯერჯერობით გაყუჩებულნი ვართ და პოლიტიკურ სარბიელზე ლიდერობის სურვილს არ ვამჟღავნებთ. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და თანამოაზრეებს ვიკრებთ. მაგრამ ძალიან მალე იმ ბირთვად ვიქცევით, რომელიც ოპოზიციას გააერთიანებს და შევარდნაძის გადადგომას, ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს მოითხოვს.

პირველი, რასაც გააკეთებს ახალი ხელისუფლება — ეს იქნება კორუფციასთან უსასტიკესი ბრძოლა. ექვს თვეში უმაღლეს ეშელონებში აღარ იქნება აღარც ერთი კორუფციონერი. მათ საჯაროდ გავასამართლებთ. ჩვენ მზად გვაქვს ახალი კანონების პროექტები. ვერ ვიტყვი, რომ კორუფციას ერთი ხელის დაკვრით ძირფესვიანად ამოვძირკვავთ-მეთქი, მაგრამ იმ დონემდე მაინც მივიყვანთ, რომ ქვეყნის უშიშროებას არ დაემუქროს. ჩვენ ვიცით, როგორ გავაკეთოთ ეს!

**— აქ ძალიან დიდ თანხებზეა ლაპარაკი და არ გეშინიათ, რომ თავიდან მოგიშორონ?**

— არსებობს სერიოზული, შემოწმებული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ვიწრო წრისთვისაა ცნობილი. ედუარდ შევარდნაძეს კონტაქტი აქვს კანონიერ ქურდებთან. მე ვიცი, რომ მან პირადად „დაუკვეთა" ჩემი გასაღება ვინმე კალაშოვს, რომელსაც წინასწარ მისცა გასამრჯელო: კერძო სახლი ეზო-მიდამოთი და გამოუყო პერსონალური დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. კალაშოვი ჩემს ლიკვიდაციას დაჰპირდა. ენახოთ (*უკვე მერამდენედ ამოტივტივდა კალაშოვის გვარი ქართულ თემატიკასთან დაკავშირებით. „კვირის პალიტრის" წინა ნომერში ვრცლად არის მოთხრობილი მის შესახებ. — რედ.*)... ისე, ამას პრეზიდენტი ჯერ ბერეზოვსკის მეშვეობით აპირებდა, მერე ბადრი პატარკაციშვილის ხელით. მაგრამ, მგონია, რომ ბადრის ახლა ჩემთვის არ სცხელა, თავისი საზრუნავიც ბლომად აქვს.

მათ, ვინც ჩემზე „დაკვეთებს" იღებს, მინდა ძველეგვიპტელთა გამოთქმა შევახსენო: „ვინც კლავდა, ის თავად იქნება მოკლული. ვინც სიკვდილს ბრძანებდა, მას ბრძანებით მოკლავენ".

**— როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

— დიდი კავკასია ექვსი სახელმწიფოს — რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის და ირანის ინტერესთა თანხვედრის ობიექტია. მათ შორის საქართველოს საკვანძო ადგილი უკავია. აღმოსავლეთის ისტორია ქადაგებს: ვინც თბილისს ფლობს, ის კავკასიის პატრონია. კავკასიის გასაღები ახლა თბილისში ძევს. საქართველოს ახლა აქვს უნიკალური შესაძლებლობა — იყოს დიდი კავკასიური სახლის სტუმართმოყვარე მასპინძელი. მან ყველა უნდა მოიწვიოს შერიგების მაგიდასთან. ვიღაცის ჯინაზე ვიღაცისკენ არ უნდა გავიწიოთ, თუ გვინდა, რომ საქართველო და ქართველები, როგორც ეთნოსი, შევინარჩუნოთ. თუ ჩვენ „შევარდნაძისტების" კიდევ ერთ თაობას დავუშვებთ ხელისუფლებაში, იცოდეთ, მალე გეოგრაფიის მასწავლებელი რუკაზე ჯოხს დაადებს და იტყვის: „აი, ბავშვებო, აქ ოდესღაც იყო ქვეყანა, რომელსაც საქართველო ერქვა".

**— რა მოელის შევარდნაძეს?**

— მავანს უთქვამს: პოლიტიკაში ბრწყინვალე მომავლის პატრონები მოდიან და მერე იქიდან საშინელი წარსულით მიდიანო. იმისათვის, რომ საქართველო განთავისუფლდეს საშინელი წარსულისაგან და ყველაფერი თავიდან დაიწყოს, საჭიროა შევარდნაძის მთელი კლანის სამართალში მიცემა...

ჩვენ ვიცით, სად ინახება ხალხისთვის მოპარული მილიარდები, ცნობილია საბანკო ანგარიშები. დღესვე შეგვიძლია ამის დაბრუნება. მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ ქართველ ხალხს დავუბრუნებთ შევარდნაძის ხელში დაკარგულ სიამაყეს, თვითშეგნებას და პატიოსნებას. ჩვენ მოვალენი ვართ, ეს კლანი სამსჯავროზე გამოვიყვანოთ, რათა ქართველის სულში ამოვძირკვოთ ის მონური ქედმოდრეკილობა, რაც შევარდნაძის დრომ დაამკვიდრა — მონური სული კი არასოდეს ჰქონია ქართველს!

***როსიისკაია გაზეტა***

**რედაქციისგან:**

რადგან ქართული თემატიკით ზედმეტად გაჯერებულია ამ კვირის უცხოური პრესა, რუბრიკის გაგრძელებას გთავაზობთ 27-ე გვერდზე.






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინიოსნობენ

**3 წლის ვეფხომ** პირველად გაიგო, რომ მეზობელი მოკვდა. დაკრძალვის პროცესიის მსვლელობისას ბიჭუნამ დედას ჰკითხა:

— დედა, დედა, მკვდარი რომელია, ის კაცი ხომ (და უცნობ, მაღალ მამაკაცზე მიუთითა, რომელიც პირველად ნახა)?

***

**2 წლის გ. თამაზაშვილი** მხედველობის შესამოწმებლად ჰყავდათ ექიმთან, რომელმაც გამოუწერა ატროპინის წვეთები (იგი რამდენიმე საათით აქვეითებს მხედველობას). მეორე დღესაც, როდესაც ჩაწვეთების შემდეგ კვლავ დაუქვეითდა მხედველობა, დედას უთხრა:

— ია, ცუდად აჩვენებს და რა ვქნა?

***

**4 წლის ალექსი სირიას** ბებია ასწავლის რუსულს:

— ყველი იქნება „სირ".

ალექსი იმეორებს სიტყვას და ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება:

— ბებო, ბებო, ჩვენი გვარი ქართულად ყველია ყოფილა, არა?.

***

ფეხმძიმე დამ უმცროს ძმას უთხრა:

— შენ მალე ბიძია გახდები.

— არაფერიც — უპასუხა ბიჭმა, — მე კოსმონავტი გავხდები.

***

**პატარა ფარნა ფირცხალაიშვილი** სკოლაში სიმაღლეში გაზომეს.

— დედა, სიმაღლეში ამწონესო, — ამბავი მოუტანა დედას.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ცხელი ქვეყნების ბინადარი, ტანად უზარმაზარი, გრძელცხვირა და კისერმოკლე, ეშვები აქვს მაგარი".

(II)





იპოვეთ ნინოს და ნათიას ქოლგების ორეულები

## იპოვე 11 განსხვავება



გამოიცანი, ვის რომელი ჩრდილი ეკუთვნის და დააკავშირე ისინი ერთმანეთთან



(III) **გამოცანა**

ნაირფერი კაბები მაქვს,
მამკობს ნაზი ფრთები,
მინდორ-ველის ყვავილების
სურნელებით ვთვრები,
დილის მზეზე ვიბადები
და ბინდისას ვკვდები.



გამოიცანი, რომელ გოგრას რომელი ნაწილი ეკუთვნის

რა დაიჭირა ვეფხვმა



(I) **რებუსი**



## ჭიავორდი




ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ბებოს ნომრიანი კოკერსპანიელი



შარშან ზაფხულს ჩემი ძმა ქობულეთში ისვენებდა და როგორც ხშირად ხდება, მანაც იქ გაიცნო თბილისელი ლამაზი გოგო. აღმოჩნდა, რომ გოგონა საბურთალოზე ცხოვრობდა, ბიჭი — ნაძალადევში. გოგონას მეგობარი ჰყოლია ჩვენს უბანში, მაგრამ ჩემი ძმა არ იცნობდა და მასაც უთქვამს, მისი ბებო მაინც გეცოდინება, სულ კოკერსპანიელით დადისო. ჩემს ძმას კოკერსპანიელი ახალი მარკის მანქანა ეგონა თურმე და ამიტომ ჯერ ფერი უკითხავს. გოგოსაც უპასუხია — ყავისფერია, გვერდზე ღია ფერის ხალებითო. ბიჭი გაოცებულა, მაგრამ არაფერი შეუმჩნევია და ახლა „ჩამჭრელი" შეკითხვა დაუსვამს: — რა ნომერი აქვს ბებოს კოკერსპანიელსო?

P.S. ეს ამბავი ძალიან მალე მოედო მთელ ქობულეთს და თბილისშიც ჩამოვიდა ანეკდოტად.

*ნ. შ., თბილისი*

## ფოკუსი



ამას წინათ დიდი ხნის უნახავ მეგობარს გადავეყარე. მოკითხვის შემდეგ შევატყვე, ხასიათზე ვერ იყო და მიზეზი რომ ვკითხე, აი, რა მიამბო:

— ამ ზაფხულს ბავშვები სურამში წავიყვანე დასასვენებლად. უკან ბორჯომი-თბილისის მატარებელს გამოვყევი. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო. ჩემ წინ ერთი ლიპიანი, ნასვამი კაცი იჯდა და გვარიანად ყვინთავდა. მე კი, როგორც ყოველთვის, გაზეთებს ჩავკირკიტებდი...

გომში ვაგონში სამი ახალგაზრდა ამოვიდა. ჩამოვლისას ჩვენს სკამთან შეჩერდნენ, მძინარე ლიპიანი შეათვალიერეს — ეს ხომ ჩვენი ანზორააო! — ერთმანეთს შემოუძახეს და გვერდით მიუსხდნენ...

ცოტა რომ გავიარეთ, ერთი მეუბნება: — ჩვენ ახლა ამას ფოკუსს ჩავუტარებთ და მერე ერთად ვიცინოთო. ამის თქმა იყო და ჯიბეებში ჩაუძვრნენ... ფული, მობილური, საბუთები ოსტატურად ამოაცალეს და საათიც ზედ მიაყოლეს...

— ახლა მეორე ვაგონში გავალთ და რომ გამოიღვიძებს, ჩვენთან გამოუშვიო! — მითხრეს და სიცილ-სიცილით წამოიშალნენ.

ოციოდე წუთის შემდეგ გამოღვიძებულმა და თითქმის გამოფხიზლებულმა ჩემმა თანამგზავრმა ჯერ მაჯაზე წაივლო ხელი, მერე ჯიბეები ამოიბრუნა და გაოგნებული მე მომაშტერდა...

— ფოკუს-მოკუს, ანზორჯან! — პათეტიკურად შევყვირე ყურებამდე გაღიმებულმა და ხელი მეზობელი ვაგონისკენ გავიშვირე...

— რა ანზორა, რის ანზორა, გივი მქვიაო! — თვალები დაუელმდა ლიპიანს.

... მთელი მატარებელი შემოვირბინეთ მე და იმ უბედურმა, მაგრამ „ილუზიონისტი ბიჭები" ვერსად დავლანდეთ...

გამაცურეს ამხელა კაცი და თან როგორ! — თანამგზავრსაც და პოლიციასაც დღემდე ქურდობის თანამონაწილე ვგონივარ და განყოფილებიდან განყოფილებაში დამატარებენ...

*შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი*

## ჩვენი სტუმარია მწერალი-იუმორისტი ქართლოს კასრაძე



### „კვირის პალიტრას"!

გათენდება, დაღამდება —
ბრილიანტი, ცხრა ლიტრა!
ერთ გაზეთში გაიბნევა,
როგორც „კვირის პალიტრა"!

დაღამდება, გათენდება,
ისმის ციდან გალობა,
ეჰ, პალიტრა, შენ ვინ გითხრა
ნახევარი მადლობა?!

ასე გადის სიცოცხლე და
ისევ იწყებ თავიდან,
სიცოცხლეც თუ პალიტრაა,
ერთ კვირაში გავიდა.

გაზეთებში პირველია,
იმიერ და ამიერ,
მაგ სათაურს უნდა ერქვას
„მრავალ, მრავალჟამიერ!"

### ანეკდოტები ქართლოს კასრაძის რეპერტუარიდან

* * *

— რა ღირს ეგ თუ...თუ...თუთი... ყუში?

— 100 ლარი!

— რ...რ...რ...ა... ამბავია, ე...ე...ერ...თი... თუთი...ყუ...ყუ...ში ა...ა...სი ლა...ლა...რი?

— შენზე კარგად ლაპარაკობს.

* * *

— მამიკო, აი, შენი დირექტორი მოვიდა, დედაჩემი რო „იდიოტს" ეძახის!..

* * *

ინსპექტორი აჩერებს ქუთაისელის მანქანას.

— გაალე უკანა საბარგული.

— შენ გაალე თვითონ!

— ვისია ეს ავტომატი??

— რა ვიცი, ვინცხა კალაშნიკოვისაა!

* * *

მაღალმა, ვაჟკაცურმა „გაის" პოლკოვნიკმა ტრასაზე დილის 6 საათზე გააჩერა მანქანა.

მძღოლს, უნივერსიტეტის ასპირანტს, ყველაფერი წესრიგში აღმოაჩნდა — „პრავა", საბარგული, ქამრები, მაგნიტოფონი, შუქი, საბუთები...

გამწარდა პოლკოვნიკი.

— აბა, ერთი საცეკვაო კასეტა ჩადე!

ასპირანტმა ჩართო „შალახო".

პოლკოვნიკმა ხელები გაშალა და ტრასაზე ბალდადური ჩამოუარა:

— შე შობელძაღლო, არყის დასალევად შაბაშის ფული მაინც მომეცი, ერთი ლარი!

* * *

გიჟმა ფანჯრიდან გადმოაგდო დაკეცილი ქაღალდი.

თვალებს მიბრიალებს:

— წაიკითხე! წაიკითხე!

ავიღე ქაღალდი, სუფთაა, არაფერი წერია.

— წავიკითხე გენაცვალე, წავიკითხე!

— ახლა მე ვარ გიჟი და შენ — ჭკვიანი?! არაფერი წერია მანდ!..

* * *

კახელი მივიდა ცარიელ ქვევრთან.

— ეე!

— ეე! — ამოსძახა ქვევრმა.

— ექო ხარ, შენი დედა ვატირე?

— ექო კი არა, მიხო ვარ, ამოვალ და დედას გიტირებ!

## უდანაშაულო, ანუ ერთი ანეკდოტის პირველწყარო



ყურებდაწინკნილი მოვიდა სკოლიდან ჩემი ძმაკაცის, სოსოიას ბიჭი შინ.

— რა იყო, ბიჭო, გუმათის პურებს რომ გიგავს ყურებიო! — ჰკითხა სოსომ.

— მასწავლებელმა მითხრა, ბერლინი ვინ ეიღოო და მე ვუთხარი, მე არ ვიცი, თვარა არ დაგიმალავ-მეთქი და მიტო დამიქაჩა ყურები. ისე, ხვალ დილით შენ გიბარებს სკოლაშიო.

მივიდა დილით სოსო სკოლაში, კარებთან შეხვდა მასწავლებელს, გაიყვანა გვერდზე და უთხრა — სიმონიჩ, ამ ბაღანას გეფიცები, მაგისი აღებული არ იქნება, თვარა ჩემი ხელით მოვკლავო!..

## არ ხარ შენ დოლარების მომცემი!



ძმისშვილი მყავს, გიორგი, კვიმატი ენა აქვს (შენ გგავარო, მეუბნება). 5 წლის იყო, მამამისმა რომ მითხრა, მათემატიკის ნიჭი გამოაჩნდა ბავშვსო. ვკითხე, გიო, 25-ს რომ 25 მივუმატოთ, რამდენი იქნება-მეთქი და ცოტა შეყოვნდა. მე სიტუაციის შემსუბუქება გადავწყვიტე და განვუმარტე — აი, გაქვს 25 დოლარი, მეც მოგეცი კიდევ 25, სულ რამდენი გექნება? — რამდენი და ოცდახუთიო, მიპასუხა დაუფიქრებლად. რატომ-მეთქი, ვკითხე მისი ნიჭიერებისადმი უკვე სკეპტიკურად განწყობილმა.

— რატო, ჯანო ბიძია და არაფრის მომცემი არ ხარ შენ და იმიტომ! — მიპასუხა ისევ სხაპასხუპით ჩემმა ძმისშვილმა.

## ხრახნიანი ბორჯომის „ნაკლი"



ხრახნიან ბორჯომს ვერ შეეგუა ჩემი ნათლიმამა ძგვიბი. რატომ-მეთქი, ვკითხე. ჟეშტიანი ჯობდაო, მიპასუხა:

— ამას რომ ვატრიალებ გასახსნელად კბილებით, კისერი მტკივაო.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მართლა ასე მითხრა.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი

სვანმა ბავშვისთვის პამპერსი იყიდა, ყური დაადო და გამყიდველს დაუბრუნა, გამომიცვალეო.

— კი მაგრამ, რატომ? — გაოცდა გამყიდველი.

— ვერ ხედავ, რომ არ სუნთქავს!?

*გიორგი ხომასურიძე, თბილისი*



მართამ მიხას კალოშები უყიდა, მერე აფთიაქშიც შეიარა და წნევის წამალი შეიძინა, თან კალოშებისთვის ყუთი ითხოვა. გოგონებმა პრეზერვატივის ყუთი მისცეს. ავტობუსში ზის მართა, ყუთი კალთაში უდევს, აქეთ-იქით ბიჭები უსხედან.

— ბებო, რამდენ ხანს ეყოფა ეგენი შენს ქმარსო? — ქილიკობენ.

— რავი, შვილო, ისეთი ნადირია, ერთს მიკრავს, მოკრავს და ხელად გაფლეთავსო!

*ა.ს., გორი*



*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

# ალტაცებით სავსე თვალები, ანუ წყვილი, რომელიც გაზეთმა შეახვედრა...



ყველაფერი ძალიან უცნაურად და არაჩვეულებრივად დაიწყო — ყოველგვარი ნაცნობობის გარეშე.

გოგონამ უნივერსიტეტი დაამთავრა და გერმანული ენის სპეციალისტი გახდა, მაგრამ გული რატომღაც ჟურნალისტობისკენ მიუწევდა და აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში"...

ბიჭი გოგონაზე 4 წლით უფროსი გახლდათ — პროფესიით მეტალურგი — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც მუშაობდა და მშობლიური — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალტირაჟიან გაზეთს — „ლენინელს" რედაქტორობდა. თბილისში გურამ ფანჯიკიძეს უკვე იცნობდნენ, როგორც დამწყებ ლიტერატორს... მისი ნამუშევრები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალებში — „ნიანგი" და „ცისკარი".

იმ დროისთვის დიდი მნიშვნელობა ექცეოდა თვითშემოქმედებას. ხშირად იმართებოდა ოლიმპიადები. უნივერსიტეტი განთქმული იყო საკუთარი სიმფონიური ორკესტრით, პოლიტექნიკური ინსტიტუტი კი ე.წ. „გეპეის ჯაზით"...

ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ რედაქციისაგან დავალება მიიღო — მას უნდა დაეწერა წერილი ოლიმპიადაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა — პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინა უნივერსიტეტისთვის და გაეკიცხა „გეპეის ჯაზი", როგორც ბურჟუაზიული მოვლენა (მოგეხსენებათ, როგორ დევნიდნენ და ავიწროებდნენ იმ დროს ჯაზს და მის თაყვანისმცემლებს). გოგონა გულში ნამდვილად არ ეთანხმებოდა რედაქციას და ხშირად სიამოვნებითაც დადიოდა „გეპეის ჯაზის" კონცერტებზე, მაგრამ... წინააღმდეგობა არ გაუწევია და საკმაოდ კრიტიკული წერილი დაწერა, სადაც აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტი სწორი გზით მიდის, პოლიტექნიკურმა ინსიტიტუტმა კი, თავისი ჯაზით, ამ გზას გადაუხვიაო...

წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

რა თქმა უნდა, ის უპასუხოდ არ დატოვა „ლენინელის" რედაქტორმა და საკუთარ გაზეთში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „ახალგაზრდა კომუნისტის" ახალგაზრდა ავტორი დალი კოკაია — წარმოდგენა არა აქვს მუსიკაზე და არც იმაზე, რაზეც თავის სტატიაში წერსო...

წესით და კანონით, გოგონას არაფრით არ უნდა ჩავარდნოდა ხელში ეს გაზეთი, რადგან „ლენინელი" მხოლოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებს შორის ვრცელდებოდა, მაგრამ... მეორე დღეს თანაკლასელი, „გეპეის" სტუდენტი ენვია და კრიტიკული სტატია გადასცა...

გაბრაზდა, მაგრამ რა გაბრაზდა ჩვენი წერილის გმირი და იმავე საღამოს უპასუხა საპასუხო წერილს... სტატია, რა თქმა უნდა, დაიბეჭდა და ის ბიჭის ხელში აღმოჩნდა... მან გაზეთი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო, სახლში წაიღო და მშობლებს წაუკითხა — აი, რას წერენ ჩემზეო...

აქედან დაიწყო ყველაფერი...

ბიჭის დედას, რომელიც დოლიძის ქუჩაზე მდებარე ქალთა მე-10 სკოლის ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ, ეცნო სტატიის ავტორის სახელი და გვარი, გარეგნობითაც აღიდგინა და შვილს უთხრა — ჩემო კარგო, შენ არ იცი, რა ნიჭიერი გოგონაა, ჩვენი სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ხოლო, რაც შეეხება გარეგნობას, ერთხელ რომ ნახავ, არასოდეს დაგავიწყდება, გარწმუნებ, თვალს ვერ მოსწყვეტო...

ბიჭმა რედაქციაში დარეკა, ახალგაზრდა ავტორს გამოელაპარაკა და უთხრა — მე კვლავ ვაპირებ გიპასუხოთ წერილზე და სანამ სტატიაზე მუშაობას დავიწყებ, იქნებ შევხვდეთ ერთმანეთს და ვისაუბროთო... გოგონამ სახლში დაიბარა...

აი, გაისმა კიდეც თამამი ზარის ხმა კარზე და... ბიჭი მონუსხულივით მიაჩერდა მომხიბლავ გოგონას.

„დაგინახე თუ არა, ვიფიქრე — ღმერთო, რა ლამაზია, ეს ქალი აუცილებლად ჩემი ცოლი გახდება" — გამოუტყდა შემდგომში ბატონი გურამი მეუღლეს...

დაიწყო ულამაზესი შეხვედრებისა და საღამოების ხანა, რომელსაც საზაფხულო განშორება მოჰყვა. შემოდგომაზე ისევ განაახლეს შეხვედრები... გოგონა თავის გრძნობებში ვერ გარკვეულიყო... მხოლოდ მაშინ, როცა გურამი ბაქოში მივლინებით გაემგზავრა, მიხვდა, რომ ამ კაცის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო.

გურამის ოჯახი ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. დალის ოჯახი კი დოლიძეზე... იმის გამო, რომ არც ისე ხელგაშლილი პირობები ჰქონდათ, გადაწყვიტეს ხელი ზაფხულში მოეწერათ — მაშინ, როცა გურამისთვის ბინა უნდა მიეცათ, მაგრამ... ვერ გაძლეს, 24 იანვარს „გეპეის ჯაზს" გასტროლებზე გაჰყვნენ ლენინგრადში და ამ მოგზაურობას საქორწინო დაარქვეს...

ესეც ბედის ირონია...

ქორწილს გურამის მეზობელმა და მეგობარმა განთქმულმა სიმონ სხირტლაძემ უთამადა და ამ დღეს ხშირად იხსენებდნენ თბილისში. ქალბატონ დალის და ბატონ გურამს კი ყოველთვის ძალიან უყვარდათ საათი, რომელიც ფილარმონიის წინ იდგა — ისინი მუდამ მის სიახლოვეს ხვდებოდნენ ერთმანეთს...

მაშინდელ თბილისში დაუწერელი კანონები მოქმედებდა — ყველა ღიმილით და პატივისცემით შეჰყურებდა რუსთაველის გამზირზე მოსეირნე წყვილებს — ეს რომანტიკის მწვერვალი იყო.

რომანტიკა იყო ისიც, რომ ბატონი გურამი და ქალბატონი დალი ბოლომდე შეყვარებულ წყვილად დარჩნენ — ამაყობდნენ ერთმანეთის შემოქმედებით, კომპლიმენტებს არ იშურებდნენ ერთმანეთისთვის, მოგზაურობდნენ ძალიან ბევრს — ერთადაც და ცალ-ცალკეც... ყოველი განშორების შემდეგ თავიდან იწყებოდა თაფლობის თვე.

ქალბატონი დალი არასოდეს ყოფილა ბატონი გურამის ნაწარმოების პროტოტიპი, მაგრამ საკუთარ გარეგნულ და შინაგან თვისებებს ხშირად ამოიცნობდა ხოლმე მეუღლის რომანების ყველაზე დადებით პერსონაჟ ქალებში, იმათში, რომლებიც მთავარ გმირებს თავდავიწყებით უყვარდათ.

სამი შვილი შეეძინათ...

ოჯახში ბატონი გურამი არც შვილებთან და არც მეუღლესთან დამოკიდებულებაში არ გახლდათ ტრადიციული ოჯახის მამა — არასდროს აქცევდა ყურადღებას საოჯახო წვრილმანებს — მათ ბოლომდე ქალბატონ დალის ანდობდა და იმასაც არ დაუშვებდა, რომ ის მთლიანად სახლის პრობლემებში ჩაფლულიყო — მის პროფესიონალიზმს არანაკლებ დიდ პატივს სცემდა, ვიდრე დიასახლისობას. აუცილებლად ოჯახთან ერთად ისვენებდა ყოველთვის. სილამაზეს პოულობდა თავის თანამეცხედრესთან განმარტოებაში. სადილობის, სეირნობის, ქეიფის თუ მოგზაურობის დროს ხშირად კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ის იყო ყველაზე ლამაზი, სათნო, ჭკვიანი და მხოლოდ მისი...

არასდროს მართავდა ეჭვიანობის სცენებს — საეჭვიანოდ თუ გახდა საქმე, უნდა ჩავთვალო, რომ ყველაფერი დამთავრდაო — იმეორებდა ხშირად, თუმცა ხშირად შვილებზე, შვილიშვილებზე და ქალბატონ დალის მეგობარ გოგონებზე ეჭვიანობდა — უნდოდა მეუღლეს ყოველი წუთი მისთვის მიეძღვნა...

ქალბატონი დალიც ყოველთვის ცდილობდა, როგორც მას სიამოვნებდა, ისე მოქცეულიყო.

— ღმერთო, რა ლამაზი ხარ — ეს იყო ბ-ნ გურამისთვის უსაყვარლესი და ჩვეული ფრაზა. უამრავ ხალხშიც კი ჩუმად, თითებით და გამომეტყველებით რომ აგრძნობინებდა მეუღლეს.

ზღვაც მათ ბედისწერად იქცა...

წინა დღეს, ქობულეთში პლაჟთან ახლოს მდებარე კაფეში ისხდნენ. ქალბატონმა დალიმ უცებ შეხედა მეუღლის უცნაურად გამჭვირვალე თვალებს... პირველად შეშინდა ასე საშინლად და ყველაზე ცუდი ამბის მოლოდინში გაირინდა...

ბატონი გურამი კი თავისას აგრძელებდა „როგორ გიხდება მზეზე გარუჯვა, დღეს — განსაკუთრებით"...

ის ცუდი და საშინელი მაინც მოხდა... მოხდა მეორე დღეს, იმავე კაფესთან...

ქალბატონ დალის კი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვება ბატონ გურამის ალტაცებით სავსე თვალები...

*ეკა მახარაშვილი*

# — ინგას დავემშვიდობე და მატარებელიც გათავისუფლდა ტყვეობიდან



კაცობრიობის ისტორია ალბათ ერთ უინტერესო თხზულებას დაემსგავსებოდა, რომ არა შიგადაშიგ გამორეული ლეგენდარული შეყვარებულების ამბები, რომელთა წაკითხვის შემდეგ უთუოდ დარწმუნდებით, რომ „სიყვარულზე მეტი ჭირი და ლხინი ღმერთს მართლაც არა გაუჩენია-რა". რას არ ჩაადენინებს ეს დალოცვილი გრძნობა კაცს. თურმე, მატარებელსაც კი გააჩერებინებს იმისათვის, რომ შორ გზაზე მიმავალი სატრფო ნახოს, თვალებში ჩახედოს და ერთხელ კიდევ აგრძნობინოს, რომ გულს მხოლოდ მას, ერთადერთ ქალს უძღვნის.

ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავი მინდა მოგითხროთ, რომელიც აქ, ჩვენთან ჩაისახა და უკვე 38 წელია გრძელდება...

მცხეთის ვაგზლისკენ სავალ მოკლე გზაზე კი არ მიქროდა, მიფრინავდა თურმე ძველი „მოსკვიჩი", მანქანაში ორნი ისხდნენ. ახალგაზრდებს, ორივეს ერთი სახელი — თენგიზი ერქვა და გონებასაც ერთი ფიქრი უღრღნიდათ — როგორმე უნდა მიესწროთ იმ მატარებლისთვის, რომელშიც ერთი მათგანის სატრფო — ინგა იჯდა. წინა დღით შეჰპირებია ბიჭი გოგოს — ბათუმის მატარებელი სანამ გავა სადგურიდან, შენ გვერდით ვიქნებიო. მაგრამ მეორე დღეს დილით, ბავშვობის მეგობარი თენგიზი მისდგომია კარს და უთქვამს — აუცილებელ საქმეზე უნდა წამყვე, ძმაოო. მეგობრისთვის უარი ვერ უთქვამს, სატრფოს გასაცილებლად გამზადებული გაჰყოლია, მაგრამ უკან დაბრუნებულებს უცებ აღმოუჩენიათ, რომ დააგვიანეს. „მცხეთაში შესულებმა დავინახეთ, რომ თბილისი-ბათუმის მატარებელი უკვე წამოსულიყო თბილისიდან და წუთი-წუთზე შევიდოდა მცხეთის ვაგზალში. ერთადერთი შანსი რჩებოდა, როგორმე სადგურში უნდა მიმესწრო და იქ მენახა ინგა, მაგრამ ისიც კი არ ვიცოდი, რომელი ვაგონით მგზავრობდა. ვეჭვობდი, რომ მატარებლის წასვლამდე შეყვარებულის მოძებნას შევძლებდი. ჩემს ფიქრებს ხმამაღლა ვუზიარებდი თენგიზს. ნუ გეშინია, მთავარია, მატარებელს მივუსწროთ და იმდენ ხანს მოიცდის, როგორც შენ დაგჭირდებაო, — მიპასუხა. მივხვდი, რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. მართლაც მივუსწარით მატარებელს. ის-ის იყო გასვლას აპირებდა. თენგიზი მემანქანეებთან შევარდა ვაგონში, იარაღი ამოიღო და გამოუცხადა: სანამ არ გიბრძანებთ, მატარებელი ადგილიდან არ დაიძვრებაო. მე მალე მოვძებნე ინგა. ვუთხარი, ძალიან რომ მინდოდა თბილისიდან გამეცილებინა. სულ ორი სიტყვით დავემშვიდობე და მატარებელიც გათავისუფლდა ტყვეობიდან" — ღიმილით იხსენებს თავქარიანი ახალგაზრდობის დროინდელ ამბავს ცნობილი ხელოვანი თენგიზ სუხიშვილი. მატარებლის „დამტერორებელი", ყველასათვის კარგად ცნობილი თენგიზ კიტოვანი ყოფილა. ბათუმში მიმავალი სატრფო კი დღეს უკვე თენგიზ სუხიშვილის მეუღლე და დიდი ნინო რამიშვილის ტრადიციების გამგრძელებელი ინგა თევზაძე გახლავთ...



„სიყვარული სანთელივითაა, უნდა გაუფრთხილდე, სული უნდა უბერო, რომ არ ჩაქრეს", — ამბობს ქალბატონი ინგა, რომელსაც ერთი დანახვით შეყვარებისა არა, მაგრამ ერთი ნახვით მოწონებისა სჯერა. ქალ-ვაჟს, პირველად ბათუმში უნახავთ და მოსწონებიათ კიდეც ერთმანეთი. ბატონი თენგიზი იგონებს. გასტროლებიდან ახალი დაბრუნებულები ვიყავით, ბათუმში ვისვენებდი. ერთ დილითაც სასტუმროს ჰოლში მშვენიერი გარეგნობის გოგონა შევამჩნიე, კი არ შევამჩნიე, შემომეფეთა, ისეთი ლამაზი იყო. გაზეთები ეყიდა და ეტყობოდა, ნომერში აპირებდა ასვლას. გამოველაპარაკე, „საბჭოთა სპორტი" ხომ არა გაქვთ-მეთქი. არაო — მიპასუხა და წავიდა, მაგრამ გონებაში, თვალებში დამრჩა მისი სახე. ორიოდ დღეში ჩემი დეიდაშვილის ქმარმა პლაჟზე გამაცნო ინგა, სწორედ ის გოგო, სასტუმროს ჰოლში რომ მომეწონა — ჩემი სიძის თანამშრომელი ყოფილა. იმხანად ინგა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობდა უნივერსიტეტში და მუშაობდა კიდეც. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, შეხვედრები, მაგრამ ძალიან მალე მოსკოვში საგასტროლოდ გამომიძახეს და ბათუმის სწრაფად დატოვება მომიხდა. გასტროლებიდან პირდაპირ თბილისში, სარეპეტიციო დარბაზში დავბრუნდი. თურმე სიურპრიზი მელოდა. ინგა ჯგუფთან ერთად იდგა და ცეკვავდა. დედაჩემმაც მაშინ ნახა ინგა პირველად. სიყვარული არ ბერდება, არ ცვდება, არ ძველდება. რაც უფრო გადის დრო, ვგრძნობთ, რომ უფრო და უფრო გვჭირდება ერთმანეთი, სიყვარული გვაძლევს აქტიური ცხოვრების უნარს. მოდუნების, ინერტულობის განწყობას სრულებით სპობს".

ქალბატონ ინგასაც მომავალი მეუღლე სწორედ იმ დღეს, ბათუმში მოსწონებია პირველად. „მერე და მერე მისი პიროვნება უფრო და უფრო მხიბლავდა. სხვანაირი იყო თენგიზი. თბილი, ლაღი, ყურადღებიანი, მისგან ვიგებდი უამრავ სიახლეს. იმას, რასაც უცხოეთში იგებდა, იძენდა, რაც ჩვენთან, ჩაკეტილი ცხოვრების გამო მიუწვდომელი იყო. ერთფეროვნებას ვერ ვიტან ვერაფერში, — ვერც ცხოვრებაში, ვერც ხელოვნებაში და ვერც სიყვარულში, ამ თვალსაზრისით გამიმართლა. იქნებ ისიც, რომ მუდმივად ერთ ადგილზე არასდროს ვცხოვრობთ, სულ ვმოგზაურობთ და ჩვენს ცხოვრებაშიც გამუდმებით იცვლება რაღაც, ჩვენს სიყვარულს ფართო და დაუსრულებელ კალაპოტში დინების საშუალებას აძლევს... თენგიზისგან დღესაც, ქათინაური ჩემთვის საუკეთესო საჩუქრია. ჩვენ ერთნაირები ვართ. ერთი ხედვა გვაქვს, წიგნებიც კი ერთი და იგივე გვიყვარს ორივეს".

როდესაც სუხიშვილების წყვილს ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ მათი სიყვარული მართლა ერთი მიმართულებით მზერას ნიშნავს, ასე რომ არ იყოს, ალბათ გაუჭირდებოდათ ქალბატონ ინგას და ბატონ თენგიზს იმ დიდი ტრადიციის გაგრძელება, რომელიც დიდებული წინაპრების — ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილისაგან ებოძათ — ტრადიცია არა მარტო ხელოვნებისა, არამედ სიყვარულისაც, ურომლისოდაც გაუსაძლისი იქნებოდა იმ დიდი ტკივილის დათმენა, მათ ოჯახს რომ არგუნა განგებამ. „ყველაზე დიდებული და ძვირფასი, რაც ჩვენი სიყვარულის შედეგად ღმერთმა გვარგუნა, ეს ჩვენი შვილებია, ჩვენი ნინო და ილიკო — ჩემი საჩუქარი თენგიზისთვის. გავიმეორებ ქალბატონ ნინოს სიტყვებს. როცა მას ჰკითხეს — თქვენთვის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა რომელიაო? თქვა — ჩემი სიყვარულის ნაყოფის, ჩემი შვილის დაბადებაო. ალბათ ყველა ქალი ასე ფიქრობს. ბედნიერი ვარ იმით, რომ თენგიზის გაცნობის შემდეგ ჩემი ცხოვრება ძირეულად შეიცვალა, ბედის ახალ ტალღას მივენდე, რამაც საბედნიეროდ, ერთდროულად ორი განძი მარგუნა — ცეკვა და თენგიზი", — ასე ფიქრობს ყველაზე მოცეკვავე ქართული ოჯახის ქალბატონი.

*ეკა ლომიძე*


**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი**

**Programming Development Institute**

**აცხადებს მიღებას 2002-2003 წ.წ.**

✓ **პროგრამირების ფაკულტეტზე**

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.

✓ **ინსტიტუტთან არსებული მეორადი კურსები:**

- პროგრამული ენები: Turbo pascal; Delphi; C; C++; SQL; Java... (სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე).
- დიზაინური პროგრამები; WEB-გვერდის დამზადება.
- ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი აუდიო-ვიდეო მასალების თანხლებით (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე).

**საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7. ცეკავშირის შენობა. V სართული. №544. ტელეფონი: 999911**

E-mail: kiber@www.com

# უცებ მივხვდი, რომ ისევ ჯოჯოხეთში მოვხვდი..



## ვცდილობ, ჩემი არსებობით ხალხი არ შევაწუხო...

კაცი, რომელიც ვისთვის რთულია და ვისთვის ხულაც უინტერესო — **ირაკლი ჩარკვიანი**. ის, ვისი ექსტრავაგანტური გამოსვლებითაც არაერთხელ გაოცებულან, ზოგჯერ გაღიზიანებულან კიდეც. იმღერა „შენ აფრენ"... და მაშინვე დაუსვეს დიაგნოზი, რომ თავად აფრენს. დიახ, აფრენს კიდეც, ოღონდ, „მუსიკის ფრთებზე აფრენს".

**— საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცუდ ტონად მიიჩნევს ადამიანისაგან საკუთარი ორიგინალურობის აღიარებას. მათი აზრით, სხვამ უნდა შეგნიშნოს, სხვამ უნდა თქვას კარგი შენზე.**

— მე არ ვეთანხმები ამ აზრს. თავს არავის ვადარებ, მაგრამ თუ ასეა, გალაკტიონსაც არ უნდა ეთქვა, ერთადერთი ვარო. ყველაზე უკეთ ხომ შენ იცნობ საკუთარ თავს. იცი, რომელ თამაშს რა წესებით თამაშობ. რა თქმა უნდა, სხვებმაც უნდა შენიშნონ შენი ორიგინალურობა და ერთადერთობა, მაგრამ შენც უნდა თქვა ამის შესახებ.

**— მგონია, რომ გიჭირთ ჩვენს რეალობაში გაძლება.**

— ბევრი წინააღმდეგობა მხვდება მათგან, ვისაც ახალი შეხედულებებისა და გემოვნების დამკვიდრება ხელს არ აძლევს, ბარიერები მექმნება. ხელს მიშლის საშინელი კომუნისტური ტრადიციები. ჩემთვის მიუღებელია ჯგუფებში გაერთიანება, არადა, დღევანდელ ხელოვნებაში ჩამოუყალიბებელი ბიზნესის გამო ვილაცასთან უნდა იყო, რომ გაძლო. თუ ამაზე ნახეალ, მაშინ ხელოვანი ნაკლებად იქნები. დღეს ბევრი პოლიტიკას ეკედლება, პოლიტიკაში კი თითქმის ყველა მატყუარაა და როცა მათთან ურთიერთობას იწყებ, ისეთი გრძნობა გიჩნდება, თითქოს ცუდი სასმელი დალიე და საშინელ „პახმელიაზე" ხარ. ამიტომ, თუ „პახმელია" არ გინდა, თავი უნდა შეიკავო ცუდი სასმლის დალევისაგან.

**— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში თქვენი ტიპაჟი თითქმის შოკს იწვევს. დაგიფიქსირებიათ მსგავსი შემთხვევა?**

— კი, როცა რაღაცას ჩემეულს, ახალს და არატრადიციულს ვამბობ, წინააღმდეგობასაც ვხვდები. საუბედუროდ, ადამიანები ძნელად იღებენ სიახლეს. ჩვენთან ალმოსავლური გავლენის გამო ახლის დამკვიდრება დიდი გარჯით გიხდება, მერე კი ისე ხდება, რომ მიიღებენ შენ მიერ მიწოდებულ ფასეულობებს, საკუთრად მიიჩნევენ და შენი ფაქტორი საერთოდ ავიწყდებათ. მაინც კარგია, ოღონდ მიიღონ რაღაც და არა უშავს, თუ კარგ ცვლილებას ნამდვილი ავტორი არ ეყოლება.

**— თქვენ ერთხელ თქვით, რომ უკვე უამრავჯერ მოკვდით და გაცოცხლდით. რა იგულისხმეთ?**

— სიკვდილი და სიცოცხლე ერთი რამ არის. მგონია, რომ ჩვენ დავარქვით მას სხვადასხვა სახელი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ადამიანი არ კვდება. უბრალოდ, ის აგრძელებს არსებობას რაღაც სხვა ფორმით. როცა მე ჩემს სიკვდილზე ვსაუბრობ, ბევრ რამეს ვგულისხმობ, მათ შორის, ბიოლოგიურ სიკვდილსაც, რომელიც უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში.

**— ანუ თქვენ კლინიკურად მოკვდით?**

— დიახ. მივდიოდი ზევით და ვგრძნობდი, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი. მახსოვს ულამაზესი თეთრი ფერები. იქ კი არ ვისუნთქავდი ჰაერს, ვსვამდი. როცა უკან დავბრუნდი, დავინახე რაღაც სახეები და უცებ მივხვდი, რომ ისევ ჯოჯოხეთში მოვხვდი. ძალიან გამიჭირდა თავიდან ამასთან შეგუება. მერე კი შეჩვევის პროცესი დაიწყო ისევე, როგორც ეს ციხეში ხდება.

**— ცხოვრება მისი ხანგრძლივობით იზომება, თუ...**

— მე მგონი, იმ ერთი წამით, როდესაც შენ დაშორდი ამ რეალობას და მერე ისევ დაბრუნდი უკან. ეს წამი ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს შეგიძლია შეიგრძნო, რომ არსებობს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ყოველდღიური მდაბიო მოთხოვნილებებია, შეიგრძნობ, რომ არსებობს სხვა სამყარო, რომელშიც შეგვიძლია შესვლა, მაგრამ ამ სამყაროს ადამიანების უმრავლესობა ვერ ხედავს.

**— რისი შეცვლა შეუძლია დროს?**

— ყველაფრის. სული არ იცვლება მხოლოდ.

**— ადამიანი ძლიერი ხდება, თუ ასეთად იბადება?**

— ადამიანი ძლიერი უნდა დაიბადოს, ძლიერი ვერ გახდება. რადგან როცა იბადები, უკვე ხარ რაღაც და ვერაფერს ვეღარ შეცვლი ამ მხრივ. სულიერ სიძლიერეზე ვლაპარაკობ, თორემ კუნთები ყველამ შეიძლება დაიყენოს. მაგრამ თუ კურდღლად დაიბადე, მაინც კურდღლად დარჩები. ლომად უნდა დაიბადო, ლომი ვერ გახდები. ამიტომ, მთავარია, ზუსტად მიხვდე შენს რაობას და თუ კურდღელი ხარ, შენი კურდღლური თვისებები დახვეწო.

**— მონადირე თუ ზის თქვენში?**

— სულებზე მონადირე კი. ხელოვნებით ვნადირობ. სატყუარას ღმერთი მაძლევს. ეს პირველად სამი წლის ასაკში ვიგრძენი, როცა სიმღერა მომინდა და წამოვიყვირე. იმის მერე გავაგრძელე ღრიალი (იცინის).

**— ადამიანის თვალებში რა შეიძლება დაინახო?**

— ძალიან ბევრი რამ და თუ თვალებში დიდხანს უყურებ ვინმეს, შეიძლება თვალებიდან სული ამოაცალო, ან პირიქით დაგემართოს. ამიტომ დიდხანს არ უნდა უყურო თვალებში.

**— სათვალეს ამიტომ ატარებთ? თავს იცავთ?**

— თავსაც ვიცავ და სხვასაც.

**— „გასწი შენი გზით და ხალხმა რაც უნდა ილაპარაკოს" — თქვენთვის მისაღები პრინციპია?**

— ეს გენიალური ნათქვამია. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ასეთი პრინციპით არსებობაც ალბათ ხან კარგია და ხან — ცუდი. ხალხმა შეიძლება ყოველთვის რაღაც გავლენა იქონიოს შენზე. ამიტომ დისტანციაა საჭირო შენთვისაც და ხალხისთვისაც. უნდა იცოდე, სად შეჩერდე, რომ ხალხი არ შეაწუხო, თორემ ისინიც ძალიან შეგაწუხებენ. ჩემთან ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ვცდილობ, ჩემი არსებობით ხალხი არ შევაწუხო და ამიტომაც მდგომარეობა სტაბილურია.

*ეკა ლომიძე*


ავიაკომპანია „საქავიასერვისი"
გთავაზობთ შემდეგ რეისებს:
თბილისი-ლარნაკა (კვიპროსი)-თბილისი.
გაფრენა სამშაბათობით — 10.00 სთ
თბილისი-მინერალური წყლები-თბილისი.
გაფრენა ხუთშაბათობით — 10.00 სთ
აგრეთვე გთავაზობთ რუსეთის ვიზების გაფორმებას
რუსთაველის №17
ტელ: 99-02-37, 98-37-10


ორშაბათი 1 ივლისი

სამშაბათი 2 ივლისი

ოთხშაბათი 3 ივლისი

ხუთშაბათი 4 ივლისი

პარასკევი 5 ივლისი

შაბათი 6 ივლისი

კვირა 7 ივლისი

# მეგონა მსახიობობის ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული, მაგრამ შევცდი...



## ტრასაზე, მოსაბრუნებელი ადგილის მებნაში გორამდე ჩავედი

რომ არა მუსიკოსი **რუსა მორჩილაძე**, ალბათ არ მეუღლეს ბევრს დაკარგავდა — მის მიერ შესრულებული პიტაღ ქცეული „მითხარის" ავტორი ხომ სწორედ რუსაა. შეიძლება ითქვას, რომ რუსასაც წყალობს ბედი. მისი შექმნილი სიმღერების უმეტესობა „ჰიტად" იქცა. რუსა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ქმნის ახალ-ახალ სიმღერებს და თვლის, რომ მიუხედავად დღევანდელი რთული მდგომარეობისა, უახლოეს მომავალში ქართული შოუბიზნესი წელში გაიმართება. რუსას სიმღერებს წარმატებით ასრულებენ ლელა წურწუმია, თამთა ჭელიძე, ეკა კახიანი, „ქუჩის ბიჭები", მერაბ სეფაშვილი და როგორც რუსას მეგობრები ხუმრობენ — მის სიმღერებს მთელი საქართველო მღერის.

**— რუსა, როგორც ვიცი, კომპოზიტორობა შენი პროფესია არ არის, არადა, უკვე 300-ზე მეტი სიმღერის ავტორი ხარ.**

— პროფესიით დირიჟორი ვარ. დავამთავრე კონსერვატორია, მაგრამ ჩემგან დირიჟორი არ დადგა. ვთვლი, რომ ეს მაინც უფრო კაცების პროფესიაა. ისე, კომპოზიტორი კი არა, უბრალოდ სიმღერების ავტორი ვარ.

**— ამბობენ, რომ მუსიკალურ კლიპში გიპირებენ გადაღებას.**

— ჩემი მეგობრები, რომლებიც მუსიკის არანჟირებას მიკეთებენ, მეხვეწებიან, შენი დაწერილი სიმღერა თავად იმღერე და უსასყიდლოდ გადაგიღებთ კლიპსო, უარზე ვარ. არ მინდა სიმღერა.

**— შენზე ამბობენ უნაკლომატიაო.**

— აი, ჩემს მეუღლეს ჰკითხეთ (მეუღლე არჩილ ახვლედიანი მეთანხმება).

**— მახსოვს დებ ყარყარაშვილებთან ერთად მღეროდით მუსიკალურ კვარტეტში რამდენიმე წლის წინ. რა მოხდა, რატომ დაიშალა თქვენი ანსამბლი?**

— კვარტეტმა „თოლიამ" ნამდვილად ახალი სიტყვა თქვა მაშინდელ მუსიკალურ სამყაროში. „თოლია" სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის გამო დაიშალა. იმ კვარტეტის შემდეგ აღარც მიმღერია ვინმესთან ერთად. იცით, ცხოვრების მშვიდი სტილი, რომელიც დღეს მაქვს, ჩემთვის სავსებით მისაღებია. არ მინდა მომღერლის ხმაურიანი ცხოვრება. მუსიკის ავტორობა სავსებით მაკმაყოფილებს.

**— მუსიკას გიკვეთავენ თუ?..**

— კიდეც მიკვეთავენ და გამზადებულიც მიდევს სახლში. მომღერალი რომ ხმას ამოიღებს, უკვე ვიცი, როგორი სიმღერა მოუხდება.

**— პროფესიონალებს და არაპროფესიონალ მომღერლებს ასხვავებთ? ყველას აძლევთ სიმღერებს?**

— ზოგჯერ კი. მიმიცია სიმღერა ისეთი მომღერლისთვის, რომელიც ვერც მღერის და პოპულარულიც ვერასდროს გახდება. ასეთ კომპრომისებზეც წავსულვარ.

**— როგორ ფიქრობ, თანამედროვე ქართულ ესტრადაზე ხელოვნების ნიმუშები სრულდება?**

— იცით რა, ეს ალბათ მუსიკათმცოდნეებმა უნდა შეაფასონ. არ მინდა საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ ჩემი გამოჩენით ესტრადა შეიცვალა და ახალი მუსიკის ტალღა წამოვიდა, ახალი მუსიკალური ფლერადობა გაჩნდა, რაც ალბათ, უფრო დათო ფორჩხიძემ დაიწყო. თუ დღეს მსმენელი ქართულ საესტრადო მუსიკას უსმენს სახლში, მანქანაში, ქუჩაში, — ეს უკვე დიდი საქმეა და ამაში რომ მიმიძღვის წვლილი, ძალიან მიხარია.

**— მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართულ სიმღერას ბევრი მსმენელი ჰყავს, არის ერთი ცუდი ფაქტორიც — ისმენენ საკმაოდ უხარისხო მუსიკას. ამას დღეს ბევრი პროფესიონალი მუსიკოსი აღნიშნავს.**

— ამის მთქმელმა უნდა დააკონკრეტოს — რომელია უხარისხო, უგემოვნო მუსიკა და რომელი კარგი. უხარისხო მეც მაღიზიანებს და არ შემიძლია მისი მოსმენა, მაგრამ არ შეიძლება, ყველაფერი, რაც იქმნება, უხარისხოდ მოვნათლოთ. შემფასებლები უნდა იყვნენ კრიტიკოსები, მუსიკათმცოდნეები და საერთოდ, ამ საქმეს მიხედვა სჭირდება.

**— რუსა, „ძილის წინ"-ში გადაღებისას რაღაც პრობლემა გქონია, თურმე გადაღება არ გინდოდა.**

— სცენარის მიხედვით ლიალია მეუბნება — შენ ქმარი ნაშართვიო. არ მომეწონა და უარი ვთქვი გადაღებაზე. მაინც დამითანხმეს და გადაღებისას დავიბენი. ლიალიამ გამომიყვანა მდგომარეობიდან, ჯერ ბრალი დამდო, რომ ვითომ ქმარი წავართვი, მერე კი დაიწყო ყვირილი — მოგატყუე, მოგატყუეო. კინაღამ ცუდად გავხდი. მეგონა, მსახიობის ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული, მაგრამ შევცდი, სახეზე მეწერება ყველანაირი განცდა.

**— მუსიკოსობის გარდა, რა ნიჭით ხარ დაჯილდოებული?**

— ალბათ სიყვარულის, ასე რომ არ იყოს, რასაც ვაკეთებ, ვერ შევძლებდი (ამ დროს მეუღლე ერევა საუბარში — რუსას მანქანის მართვის შესანიშნავი ნიჭი აქვს, ცურავს გადასარევად) არ დაუჯერო, სამწუხაროდ ვერც ცურვას ვსწავლობ და ვერც მანქანის მართვას. ერთხელ გავატარე მანქანა ტრასაზე და მოსაბრუნებელი ადგილის ძებნაში გორამდე ჩავედი.

**— რუსა, გავიგე, რომ შენი შთაგონების წყარო ხშირად მეუღლეა.**

— ჰო, როცა გამაბრაზებს, ხშირად მაშინ ვქმნი მუსიკას და ამ დროს დაწერილი საკმაოდ კარგი გამომდის. ამიტომ ჩემი მეგობრები მეხუმრებიან — არიკო გაწერინებს მუსიკასო.

**— „ტუსოვკებზე" ხშირად არ ჩნდები.**

— გეთანხმებით, ჩემი ოჯახი ტრადიციული შეხედულებებისაა და მეც მთლიანად ოჯახის ინტერესებს ვექვემდებარები. ამიტომაც, თუ ძალიან აუცილებელი არ არის, „ტუსოვკებზე" არ მივდივარ და ხშირად საზოგადოებაში გამოჩენას ვერიდები. ტრადიციონალისტი ვარ და მომწონს კიდეც ეს.

*ეკა ლომიძე*


ჟურნალ-გაზეთების გამოწერა თბილისის მაცხოვრებლებისათვის

სახლიდან გაუსვლელად
ტელ: 33-26-73

# „ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როცა მივხვდი, რომ მამის სიკვდილმა გამახარა!..“

*19 წლის მირანდა ჩემმა მეგობარმა ფსიქოლოგმა გამაცნო. ივი სტუდენტია და ერთი შეხედვით არაფრით გამოირჩევა თავისი თანატოლებისგან — თამამია, ძალიან უყვარს დისკოთეკები და ოდესღაც ბალერინობაზე ოცნებობდა...*

— **ბევრს ეწევი, მირანდა** (შენიშვნით დავიწყე რატომღაც).

— ვიცი და ვერაფერს ვუხერხებ თავს, ძალიან პატარამ დავიწყე, ცამეტისა არც ვიყავი. ახლა ორი კოლოფიც არ მყოფნის დღეში.

— **ფული საიდან გაქვს სიგარეტისთვის?**

— დედა მაძლევს. იცის, რომ ვეწევი და ვერ გადამაჩვევს. თვითონაც ეწევა.

— **ფსიქოლოგთან დედამ მოგიყვანა?**

— არა, თვითონ მოვედი.

— **პრობლემები გქონდა, ვიცი!..**

— ძალიან ცუდად ვიყავი, მთელი წელი სკოლაშიც არ მივლია, აკადემიური ავიღე. 14 წლის ვიყავი, მამა რომ მომიკვდა... როცა გავაცნობიერე, ამის გამო ბედნიერი ვიყავი, სინდისის ქენჯნამ ლამის გამაგიჟა...



— **მამის სიკვდილის გამო იყავი ბედნიერი?**

— ჰო. 14 წლის განმავლობაში პირველად ვგრძნობდი ბედნიერებას მამის კუბოსთან... რამდენი რამ გადავიტანე, ნეტავი იცოდეთ, ამ ხნის განმავლობაში... ახლა ვხვდები, რომ მამაჩემი ავადმყოფი იყო, ფსიქიკურად დაავადებული, ოღონდ თავის მდგომარეობას გარეთ ისე ნიღბავდა, ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა... მამას უმაღლესი განათლებაც ჰქონდა, სამსახურიც, სადაც პატივს სცემდნენ, მეგობრებიც ჰყავდა... შინ კი სულ სხვანაირი იყო. ყველაზე მეტად მისი სიბინძურე მაგიჟებდა. გინახავთ სადმე გასაღებით ჩაკეტილი მაცივარი?! ჩვენს სახლში იყო... მამა დილით გამოიღებდა ორ კვერცხს, რამდენიმე კოვზ შაქარს... მერე მაცივარს ბოქლომს დაადებდა და „მშვიდად“ წავიდოდა სამსახურში... ჩემ გარდა ბავშვი არ გაჩენილა ოჯახში — მეორე ბავშვს რა ვაჭამოთ, ამ ერთსაც ვერ ვუძლებთო! ასეთი იყო მამაჩემის მოტივაცია. დედა ეუბნებოდა, — დავიწყებ სამსახურს და საჭმლის პრობლემა მოგვეხსნებაო! არ უშვებდა — სამსახურში კაბა ხომ გინდა და ფეხსაცმელი, შენი ხელფასი ამისთვისაც არ გეყოფაო!. არადა დედა კარგი ქორეოგრაფია, არაერთხელ გაუმარჯვია სამეჯლისო ცეკვების კონკურსში...

— **რატომ ემორჩილებოდა ქმარს დედა, ხვდებოდა, რომ მამაშენს შერყეული ფსიქიკა ჰქონდა?**

— მეტი გზა არ ჰქონდა. თინიკოს რომ უთქვამს, ვაჟას (თინიკო და ვაჟა მირანდას დედ-მამაა) მიჰყვები ცოლადო, შინ წინააღმდეგობა გაუწიეს თურმე მშობლებმაც და ძმებმაც. ბიძაჩემს უთქვამს: არ მიყვარს ეგ კაცი, მილიონი რომ იშოვოს, ჭიქა წყალს არ მიაწოდებს ვინმეს, სულ სხვის ხარჯზე უყვარს გამოძრომა. იცოდე, რამე რომ გაგიჭირდეს, ჩვენი იმედი არ გქონდესო!.. დედამ არ დაიჯერა, რადგან შეყვარებული ვაჟა სხვაგვარი ყოფილა — ყვავილებიც მოჰქონდა თურმე თინიკოსთვის, საჩუქრებიც დაბადების დღეებზე... თქვენსავით რომ არ ლოთობს, იმიტომ არ მოგწონთო?! — შეპასუხებია ძმას... მამა ლოთი არ იყო, მაგრამ ეს სულაც არ მეტყველებს მის სასარგებლოდ. ეგ სასმელში დახარჯავდა ფულს, როცა შიმშილით გვკლავდა?!. რამდენჯერ მახსოვს, სადილი რომ გაეკეთებინა, დედიკო მეზობლებს ჩამოუვლიდა — ზოგს ორ თავ ხახვს ესესხებოდა, ზოგს ერთ მუჭა ვერმიშელს ან ბრინჯს, კარტოფილს... 5-6 წლის ვიქნებოდი, პირველად მამის მიმართ სიძულვილი რომ ვიგრძენი. ღამით ტუალეტში მომინდა და ავდექი. სამზარეულოში შუქი ენთო. ცნობისმოყვარეობამ შემახედა: მამას სკამი დაედგა ღია მაცივართან და ქურდულად, ჩქარ-ჩქარა ქვაბებიდან ჭამდა... ეტყობა, ჩემმა დაჟინებულმა მზერამ მოახედა და და... აშკარად განითლდა. თვალი პროდუქტით გამოტენილი მაცივრისკენ გამექცა... ადრე სულ მიკვირდა — რატომ არ ფუჭდებოდა „წლობით“ დაწყობილი საკვები მაცივარში. იმ წუთში მივხვდი, რომ არაფერიც არ ეწყო „წლობით“ — მამა საკუთარი ცოლ-შვილისაგან დამალულ საკვებს ღამღამობით ჩუმად ჭამდა...

მამის სიკვდილის შემდეგ თინიკო მსაყვედურობდა — აშკარად გეტყობა, რომ ვაჟას სიკვდილს არ განიცდი, მეზობლები რას იტყვიანო. ველარ მოვითმინე: — შენ იცი, ვაჟა ღამღამობით ჩუმად რომ ჭამდა-მეთქი? ვიციო, — მითხრა „მშვიდად“ და ატირდა...

— **ეთქვა სიმართლე ახლობლებისთვის, როგორ არ გაუგებდნენ?!**

— ვერ გეტყვით, რა ხდებოდა, ეს კი ვიცი, ვაჟა აშინებდა თინიკოს. როცა თავის ოთახში ჩაიკეტებოდნენ, მამის ყვირილი და... გინება მესმოდა. უთუოდ სცემდა!.. თავიდან მეშინოდა ვაჟასი. იმ დღეს, პირველად რომ შევუსწარი მაცივართან, დაიბნა თუ შერცხვა და შოკოლადის ფილა გამომიწოდა: — შენთვის მქონდა, ოღონდ ღამით არ შეიძლება ჭამა, დილისთვის შეინახეო!... დილით კი შოკოლადი ვერ ვნახე იქ, სადაც დავტოვე... ვაჟამ — ალბათ თაგვმა მოგპარა, რატომ უჯრაში არ ჩაკეტეო! იქვე, სასთუმალთან მედო. მაშინ დავიჯერე, იცით?!. ახლა კი, რა ვიფიქრო — რისი წამლები იყო თაგვი?!. საკუთარმა მამამ მომპარა ისევ, ვერ გაიმეტა ასგრამიანი შოკოლადის ფილა...

სულ მშიოდა... მაძღარი ბავშვები არიან „უმადოები“, თორემ ჩემი მსგავსები ქვასაც მოინელებენ. სადმე სტუმრად რომ დაგვპატიჟებდნენ, გიჟივით ვიქცეოდი სუფრასთან, ყველაფერი ერთბაშად მინდოდა მეჭამა. ვჭამდი, სანამ გული არ ამერეოდა ან... არ მოვიწამლებოდი... ვაჟა თავს იმართლებდა: — გათამამებული გვყავს, არ ვუშლით ჭამას და სხვაგანაც ცუდად იქცევაო და თინიკოს უბრიალებდა თვალებს, შინ კი ორივეს გვლანძღავდა და... გვცემდა! მე კი მაინც „ბედნიერი“ ვიყავი ასეთ დღეებში, რადგან გასვენებებშიც კი ვახერხებდი სუფრიდან საჭმლის მოპარვას — ღამით მალულად ვჭამდი „დღის ნადავლს“...

7-8 წლისა მეზობლებში მათხოვრობას მივეჩვიე — გემრიელი სადილი არა გვაქვს და თუ შეიძლება თქვენთან ვისადილებ-მეთქი!.. ეტყობა, მათაც მოვაბეზრე თავი, ვაჟამ გაიგო და მცემა, — თუ კიდევ შემარცხვინე მეზობლებთან, დაგახრჩობ!..

სიგარეტს არ მალავდა ვაჟა, ეტყობა, ვერ იფიქრა, რომ მოვპარავდით. სიგარეტი შიმშილის გრძნობას მიკლავდა...

— **მამა რითი გარდაიცვალა?**

— დილით მისმა ყვირილმა გამაღვიძა — მუცელი სტკიოდა არანორმალურად, დაგრეხილი იყო. სასწრაფოს გამოვუძახეთ. რაღაც წვრილი ხურმა უჭამია. კუჭმა ვერ მოინელაო, — თქვეს ექიმებმა. ოპერაცია კი გაუკეთეს, მაგრამ... მისმა ამხანაგმა თქვა, — სოფელში გვაქვს ეგ ხურმა, მე მოვუკითხე, სამი კილო იქნებოდა, რატომ ხელები არ გამიხმაო! ისე შეუჭამია სამი კილო ხურმა, ჩვენც არც გაგვიგია... აბა, ასეთი კაცი უნდა შემცოდებოდა?! მართლა მიხაროდა ვაჟას სიკვდილი, საერთოდ ვერ ვიტირე... მიხაროდა, რომ მამა არასოდეს მოვიდოდა შინ. მისი გარდაცვალების დღესვე მოვისროლე სანაგვე ყუთში მაცივრის ბოქლომი. ახლა ყველაზე საშინელ სიზმარში ვხედავ დაბოქლომებულ მაცივარს, რომლის წინაც ღორისდინგიანი მამაჩემი დგას...

თავიდან არ ვიცოდი, რა მიხაროდა და როცა გავაცნობიერე, რომ ბედნიერება მამის სიკვდილმა მომანიჭა — გული ჩამწყდა. ბევრმა ფიქრმა და განცდამ ნევროზი დამმართა, თინიკოს ვეჩხუბებოდი, თანაც სულ ვჭამდი, 22 კილო მოვიმატე ექვს თვეში, ვერავინ მცნობდა... მივხვდით მე და დედა, რომ ეს არ იყო ნორმალური და ფსიქოლოგთანაც მივედით — სულსაც ვუმკურნალე და ძველი ფორმაც აღვიდგინე საგანგებო დიეტით. ეგაა, სიზმარს ვერ მოვერიე — ისევ მიწამლავს სულს ბოქლომდადებული მაცივარი!..

*მეც კარგა ხანს დავდიოდი გაოგნებული — რამდენნაირი შეიძლება თურმე იყოს უბედურება...*

*ინგა ჯაყელი*

## არც ერთი დღე არ გვინდა უთქვენოდ...

ხშირად გაიგონებთ, ქართველმა კაცმა ქალის ფასი არ იცის.. მით უფრო, საკუთარ მეუღლეს სდებს შარს და თვალი, როგორც წესი, სხვებისკენ გაურბისო... ვითომ მართალია? ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ სიმართლე გაგვეგო, რამდენიმე რესპონდენტს მხოლოდ ერთი კითხვით მივმართეთ...

— **რა აზრის ბრძანდებით ქალზე, გიმშვენებთ გვერდს თქვენი საოცნებო მანდილოსანი?**



**რომან რცხილაძე:** — ქალი მამაკაცმა უნდა შეარჩიოს. ქალის იერით ცხადდება, როგორია მის გვერდით მყოფი მამაკაცი. შემხედეთ მე და განმსაჯეთ, მიხვდებით, როგორ ქალთან მაქვს ურთიერთობა. ნინო, ჩემი მეუღლე, ის არის, ვინც მინდოდა გვერდით მყოლოდა.

არც ერთი დღე არ მინდა უთქვენოდ, მშვენიერო ქალებო. თქვენ ცხოვრებას აზრს აძლევთ.

**თემურ მღებრიშვილი:** — ყველა ქალს ენაცვალოს ჩემი სიცოცხლე. არ შემიძლია უქალოდ ცხოვრება, მოვკვდები. გვერდით სწორედ ისეთი ქალი მყავს, როგორზეც მიოცნებია — ქართველი ქალი, ოჯახის მოყვარული, სატრფო, ძმაკაცი და რა ვიცი, კიდევ რა. ამას წინათ ჩემს ცოლს ვეუბნებოდი, — შენ რომ გიყურებ, ბიცოლაჩემი მახსენდება-მეთქი. კარგი ბიცოლა მყავდა, ძალიან თბილი ქალი იყო... წინასწარ რომ მცოდნოდა, ჩემი ცოლი ასეთი კარგი გამოდგებოდა, სამს ან ოთხს მოვიყვანდი კიდევ. მიტინგები რომ მორჩება და ცხოვრება დაწყნარდება, შეიძლება ვიფიქრო ამ „დანაკლისის“ შევსებაზე.

**გივი ბერიკაშვილი:** — თუ შენი ოცნების ადამიანი — ქალი არა გყავს გვერდით, მაშინ ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნება. მე ბედნიერი კაცი ვარ... ერთი ასეთი საკუთარი გამონათქვამი მაქვს: ვისაც ქალი არ უყვარს, შარვალი არ ჩაიცვას და თავზე ქუდი არ დაიხუროს. ქალები რომ არ უყვართ კაცებს და შარვალი აცვიათ, იმ კაცებზე ნერვები მეშლება. არადა, ბიჭო, გადით, ქუჩაში. ასეთებიც დადიან...

**კობა მახარაძე:** — ქალი? უმაგათოდ ცხოვრება როგორ შეიძლება! ვგულისხმობ ვნებას, სექსუალურ ლტოლვას, მაგრამ ამასთან ერთად ვგულისხმობ იმას, რასაც გრძნობა ჰქვია და რითაც ქალი ყველაფერზე ამაღლებულია. იგი საოცარი სიყვარულისთვის არის გაჩენილი. ევას ბრალი კი არის, აკრძალული ხილი რომ შეჭამა ადამმა, მაგრამ ამ ფაქტის გამო ადამიანმა აზროვნება ისწავლა და უცებ ადამის მოდგმა სხვანაირი გახდა.



დიდხანს ვეძებდი მას, ვინც გვერდით მყავს — სასურველს, რომელიც ჩემნაირია, ჩემსავით ფიქრობს.

*ჩაიწერა ეკა ლომიძემ*



## 15 წუთში მიალაგეთ ბინა, თუკი „ის“ მზად არის, გეწვიოთ...

...საჩქაროდ გამოაღეთ ფანჯრები, დაცალეთ საფერფლეები;

...მოაგროვეთ ჭუჭყიანი ჭურჭელი და აივანზე გადგით;

...მიყრილ-მოყრილი ტანისამოსი შეჩურთეთ კარადაში;

...ახლა სწრაფად აბაზანაში — წინდები, ტრუსები, ნივთები, რომლებიც აქ სულ ზედმეტია, ისიც დიდ პარკში და — იალა;

...სასტუმრო ოთახი მაინც მოგავეთ;

...აიღეთ წიგნი და გადაშლილი დადეთ გამოსაჩენ ადგილზე;

...ეცადეთ, მიიღოთ უზრუნველი სახე და თანაც მომლოდინე.

*გარანტირებული გაქვთ მომდევნო ვიზიტიც...*

## თუ მამაკაცი დიეტას იცავს...



ქალებისგან განსხვავებით, რომლებიც დიეტას იცავენ იმისთვის, რომ წონაში დაიკლონ და დაემსგავსონ თოფმოდელებს, ძლიერი სქესის წარმომადგენლები ამ საქმეს სულ სხვა მიზნით მისდევენ — სურთ დაემსგავსონ შვარცენეგერს ან გახდნენ სექს-გიგანტები, დაეწიოთ ქოლესტერინის დონე, განიკურნონ პროსტატიტისგან.

### ყოველი მამაკაცი კუნთებზე ოცნებობს

გაფრთხილებთ, სულ მთლად შვარცენეგერი სპეციალური საშუალებების გარეშე ვერ გახდებით. მაგრამ იმედს ნუ დაკარგავთ. გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევა და პლაჟზე ქალები თვალს ვერ მოგწყვეტენ.

ძვირფასო მამაკაცებო, პირველ რიგში მიიღეთ ცილით, მაგნიუმით, C ვიტამინით და გლუკოზით მდიდარი საკვები. ცილას შეიცავს ხორცი და სოია; მაგნიუმს — ბანანი, ნიგოზი, ნუში, შოკოლადი და ისპანახი. ეს პროდუქტები ზრდის კუნთებს, მაგრამ მთავარია რეგულარული ვარჯიში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კუნთები ცხიმად იქცევა. არ დაგავიწყდეთ, ნავარჯიშები კუნთები რომ ნაკლებად გეტკინოთ, ვარჯიშის წინ მიიღეთ C ვიტამინი და მისი შემცველი ხილი, ბოსტნეული.

კიდევ ერთი ეშმაკობა: ნებისმიერ ცილას უკეთესად შეირგებთ, თუ კივთან ერთად მიიღებთ. თუ ბრინჯი გიყვართ — არჩიეთ ყავისფერი.

მამაკაცებო, თუ ამ რჩევებს მისდევთ, მარტო ცოლს კი არა, სხვა ქალებსაც მოხიბლავთ!


## თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*

• იურიდიული; • ქართული ენა და ლიტერატურა; • ჟურნალისტიკა; • საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; • საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; • ფინანსები და კრედიტები; • საბანკო საქმე; • უცხო ენები; • დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; • სკოლამდელი აღზრდა.

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07




## ანეკდოტი

პოლიციელმა მანქანა გააჩერა. საჭეს სვანი უზის.

— უკაცრავად, ეს სწრაფი სვლის გზაა, თქვენ კი მილოლავთ.

— აბა, ოცითო, რომ აწერია?

— ეს მარშრუტის ნომერია... ცუდად ხომ არა ხართ? — მიუბრუნდა ფერწასულ მგზავრს.

— ამ წუთში შემოვუხვიეთ გზიდან, 200 რომ ეწერა...

# ნეიილებით გამხელილი სიყვარული

„წერილებს ვერ შეცვლის ვიდეო... წერილი სულიერი არსებაა — ცოცხლობს, სუნთქავს და გესაუბრება... გესაუბრება სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად გჭირს", — მითხრა ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა და ვარდისფერ საქაღალდეში ჩალაგებული ბარათები გადმომცა.

ამბავი, რომელიც ქალბატონმა სალომემ მიამბო, ერთ ლამაზ, მაგრამ ნაღვლიან სიყვარულზეა...

სალომე, ზაზა და კახა პირველი კლასიდან მეგობრობდნენ.

14 წლის ზაზას პირველი გრძნობაც ეწვია და თვითონაც გაკვირვებული იყო, რომ სალომეს გარდა, არავინ მოსწონდა. როცა კახამ ჰკითხა, სალომე ხომ არ გიყვარსო, უარყო, რადგან რცხვენოდა „ფიცვერცხლნაჭამ" „დაიკოსთან" რომანის გაბმა. ირწმუნებოდა, სალომე დასავით მიყვარსო, მაგრამ საკმარისი იყო, რომელიმე ბიჭს გოგონასთვის „სხვანაირი" თვალით შეეხედა, რომ ზაზა მაშინვე მუშტი-კრივზე გადადიოდა.

მეათე კლასში იყვნენ, როცა უბნის ბიჭების ურთიერთშელაპარაკებისას ერთ-ერთი მძიმედ დაიჭრა. ზაზა გამშველებელი იყო, მაგრამ სხვებთან ერთად ისიც დააჭირეს და რადგან დაჭრილი „დიდი კაცის" შვილი იყო, ჯგუფური თავდასხმის მუხლით გაასამართლეს. ზაზას, ოთხ ამხანაგთან ერთად, 6 წელი მიუსაჯეს. სასამართლო პროცესის ბოლოს ზაზამ კახა მოიხმო და სთხოვა, — სალომე მიყვარს, შენ გაბარებ, არავინ დაჩაგროსო. სალომემ საპატიმროში წერილი მისწერა და ერთგულება შეჰფიცა ბიჭს.

მალე სალომემ ზაზასგან პირველი წერილი მიიღო. *„ჩემო სალო! ვერ წარმოიდგენ როგორ გამახარე შენი წერილით. იმ დღეს დავიბადე თითქოს. ჩემთვის ყველაფერი გამოიცვალა, რუხი ფერის კედლებიც კი სხვანაირი გახდა, ყველაფერი მღეროდა. მე მიხაროდა, რომ ჩემმა სათაყვანებელმა გოგომ სიყვარული შემომფიცა... სალო! ხომ გჯერა, რომ მე უდანაშაულო ვარ? სხვა რას ფიქრობს, სულ აღარ მაინტერესებს... გახსოვს, თითები რომ გავიჭრით მეგობრობის ნიშნად? შენ ვერ ბედავდი დანის დასმას. მერე მე მთხოვე, იქნებ შენ გამიჭრაო. გამოგართვი დანა, შეგხედე და თვალები გქონდა დახუჭული, შემეცოდე. დანა მოვისროლე. ის „სადისტი" კახა კი გავარდა, ისევ მოარბენინა, ვაჟკაცურად გამოიდო თავი, მშიშრები ხართ, მე გაგიჭრი თითსო, — შემოგთავაზა და დანაც დაგისვა; კინაღამ თვალთ დამიბნელდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ მიყვარდი და სხვა აღარასოდეს შემიყვარდებოდა... ხშირად მომწერე წერილები. იმედი მაქვს, კახა შენს თავს არავის დააჩაგვრინებს!"*

პირველ წელს სალომე ვერ ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში. კახა კი სტუდენტი გახდა...

*„ჩემო გოგო, არ იდარდო მაგაზე. შენ ხომ ნიჭიერი გოგო ხარ. აუცილებლად ჩააბარებ... ალბათ ამნისტია შემეხება, მალე გამოვალ. მოვემზადები. ძალიან მინდა გეოლოგობა. ზაფხულობით ერთად შემოვივლით მთელ საქართველოს, აღმოვაჩენ უამრავ სასარგებლო წიაღისეულს, რაც ჩემს ქვეყანას სახელს გაუთქვამს, გაამდიდრებს და წელში გამართავს... დედაჩემმა წიგნები გამომიგზავნა. იცი, რამდენს ვკითხულობ? თურმე ისეთი მდიდარი ყოფილა ჩვენი მიწის წიაღი, რომ სხვასთან სახვეწარი, მით უფრო „უფროს ძმებთან", არაფერი გვაქვს... სალო! მენატრები. იქნებ შენ და კახამ მოახერხოთ და ჩამოხვიდეთ ჩემს სანახავად?"*

*„სალო! ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე შენი მოსვლით. კახა მაგარი ძმაა, რომ შენი თავი მანახა."*

*„სალომე! რა პრობლემები გაქვს ოჯახში, რომ მწერ, ხშირად ნერვები მეშლებაო? ეს თუ მისაღებ გამოცდებთანაა დაკავშირებული, არ ღირს ამაზე ნერვიულობა, წელს აუცილებლად მოეწყობი. ძალიან გთხოვ, ყველაფერი დაწვრილებით გამაგებინე, რა ხდება მანდ!"*



*„სალო! ახლა მივხვდი, რატომაც გეშლება ნერვები... არ იდარდო, ძალიან გთხოვ. დედაა და მესმის მისი, არ უნდა ნაციხარი კაცი სიძედ... გამოვალ და დავუმტკიცებ, რომ უდანაშაულო ვარ და შენ ჩემთან ბედნიერი იქნები"...*

*„სალო! გილოცავ სტუდენტობას. იმედია, მანდ ისე ისწავლი, რომ ერთ წელიწადში შეძლებ თბილისში გადმოსვლას... ახლა მითხარი, ვინმე ხომ არ გაწუხებს მანდ? გამეცინა, როცა მომწერე, კახა უკვე იყოო. მაგარი ტიპია, ჩემგან თხოვნა აღარც სჭირდება, ისე აკეთებს იმას, რაც მე მინდა. სალო! რა კარგი ქენი, რომ როსტოვში წასვლის წინ შენი დღიურები გამომიგზავნე. ვინ იცის, მერამდენედ ვკითხულობ, ზოგჯერ ხმამაღლა ვიცინი ხოლმე. რა კარგი იყო ბავშვობა, სადარდებელი არაფერი გვქონდა... თუმცა სადარდებელი არც მომავალში გვექნება, მე არაფრის არ მეშინია, დარწმუნებული ვარ, რომ ბედნიერები ვიქნებით. ერთადერთი, რაც ამჟამად გულს მიღონებს ისაა, რომ ჩემგან შორს ხარ. შენი იმედი მაქვს, ვიცი, რომ არავისში გამცვლი... რამდენიმე კვირაა, მშენებლობაზე ვმუშაობ. კოლონიის ტერიტორიაზე რაღაცას აშენებენ. აღებული ფულით ბეჭედი უნდა გიყიდო".*

ამის მერე სიტუაცია შეიცვალა. სალომეს ოჯახმა იმდენი ქნა, რომ კახა და სალომე უფრო დააახლოვა ერთმანეთს. როგორც სალომემ მითხრა, ელვისუსწრაფესად მოხდა ყველაფერი და გონს მოსვლა ვერც მოვასწარი, რომ კახას ცოლი ვიყავიო. როცა „ყველაფერი" თავის ადგილზე დადგა, სალომე მიხვდა, რაც ჩაიდინა და კახა შესძულდა. დრო გადიოდა. ზაზასგან არაფერი ისმოდა. ეს უფრო აგიჟებდა, რადგან ერჩივნა, გაელანძღა ზაზას, ვიდრე დუმილით ეპასუხა. სალომეს და კახას ბიჭი შეეძინათ. დედამ შვილს ზაზა დაარქვა. კახამ მტკივნეულად, მაგრამ მაინც ჩუმად „გადაყლაპა" ეს... და აი, ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, წერილი მიიღეს ზაზასგან. ეს მხოლოდ მე მეკუთვნისო, — თქვა სალომემ და მეორე ოთახში გავიდა.

*„სალომე! ეს ბარათი „ჩემო სალო"-თი უნდა დამეწყო, მაგრამ... მოგვიანებით გილოცავთ გაბედნიერებას, ალბათ გამიგებ, მაშინ ვერ შევძელი მოლოცვა... რომ გავიგე ბიჭი შეეძინაო, ძალიან გამიხარდა. რატომ დაარქვი ზაზა? ახლა რამდენჯერაც ბავშვს მოეფერები, იმდენჯერ იეჭვიანებს კახა... თუმცა კახასი არ ვიცი და, მე ნაღდად ვიეჭვიანებდი. მე შვიდი თვე დამრჩა და როცა გამოვალ, ვისაც რა უნდა ის თქვას, შენ და პატარა ზაზა უნდა გნახოთ. კახასთან შეხვედრა არ მინდა... თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ მოვკლავდი, მერე და მერე გამინელდა შურისძიება... ახლა ვხვდები, რომ კახასაც ჰყვარებიხარ... შანსი აღარ გაუშვა ხელიდან... ჩემთან კი ჩაჭრილია და სათქმელიც არაფერი აქვს. კიდევ ერთხელ გილოცავ. დამიკოცნე ჩემი სეხნია".*

ზაზა რომ გათავისუფლდა, დაპირებისამებრ ნახა სალომეც და მისი ბავშვიც. სალომემ მასთან შეხვედრის შემდეგ ველარ შეძლო კახასთან გაჩერება. ზაზა თბილისში დიდხანს არ დარჩენილა. მოსკოვში წავიდა სასწავლებლად, მერე მუშაობა დაიწყო. ოჯახს მოეკიდა და იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში. სალომე კვლავ შეურიგდა კახას, თუმცა ერთად ცხოვრება არ დასცალდათ. კახა ავტოავარიაში დაიღუპა. მისი სიკვდილის მერე სალომემ კიდევ მიიღო ზაზასგან წერილი.

*„სალომე! გვიან გავიგე კახას ამბავი. გული დამწყდა, რომ მძიმე წუთებში შენ გვერდით არ ვიყავი... ბიჭი რას შვრება, ალბათ ძალიან განიცდის უმამობას. გუშინ სათამაშოები და ჩასაცმელი ვიყიდე. ერთი ჩემი მეგობარი მოდის თბილისში და იმას გამოვატან ყველაფერს. თუ რამე დაგჭირდა, არ მოგერიდოს, შემატყობინე".*

*„სალო! რაც შენ დაგკარგე, იშვიათად ვარ ხოლმე გულახდილობის გუნებაზე... კახას სიკვდილის მერე ავიკვიატე, ხომ არ ჩავიდე თბილისში, მოვკიდო ხელი ჩემს სალომეს და თავისი ბიჭიანად ჩემთან წამოვიყვანო-მეთქი... მერე მივხვდი, რომ მარტო ჩემი გადაწყვეტილება ბევრს არაფერს ნიშნავდა. ზაზა უკვე 8 წლისაა და ვიცი, ის არის შენთვის ყველაზე ძვირფასი, ჩემთან ყოფნა კი შენთვის იგივეა, რაც ზაზას ღალატი... ვიცი, შენ არაფერს შეცვლი, აღარც მე შემიძლია რაიმეს შეცვლა. თავისებურად მეც მიყვარს ცოლი (შვილებზე აღარ ვლაპარაკობ) და არ მინდა გული ვატკინო... მე შენ მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. მოდი, გავიხსენოთ მეხუთე კლასი, თითების გაჭრა და „დაძმობის" შეფიცვა, დავრჩეთ მეგობრებად. მიგულე შენს ურთგულეს ადამიანად. თუ დაგჭირდები, დამიძახე და შენთან გავჩნდები. ზაზას გაზრდაში მეც მოგეხმარები, იმედია, არ იუკადრისებ და მიიღებ ჩემგან დახმარებას".*

ამ ორი წლის წინ თბილისში შემზარავი ცნობა ჩამოიტანეს, ზაზა მოკლესო. სალომე თითქოს მეორედ დაქვრივდა...

„ადამიანები კვდებიან, სიყვარული კი რჩება... ჩვენი სიყვარულიც დარჩება ლამაზ ამბად. ჩემი შვილი ჯერ ისევ პატარაა, როცა გაიზრდება, წავაკითხებ ზაზას წერილებს და ვეტყვი, რომ ეს წერილები მის დედას ეკუთვნოდა. რომ სიყვარული ულამაზესი გრძნობაა და გაფრთხილება უნდა".

P.S. ქალბატონებო... ბატონებო... თქვენც ხომ არა გაქვთ გულის კუნჭულში მიჩუმათებული სათქმელი... გვითხარით...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲖᲔ

## ᲔᲭᲕᲘᲗ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲪᲝᲚᲘᲡ „ᲨᲔᲡᲐᲪᲓᲔᲜᲐᲓ" ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲘᲥᲘᲠᲐᲕᲐ...

*პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, სქესით — ქალი, ოჯახური მდგომარეობით — გათხოვილი. ვეხმაურები ნაირას.*

**როგორ გუნებაზე ხართ, ახლა, გელა, არ ნანობთ?**

ადამიანი, რომელიც უსაფუძვლოდ ეჭვიანობს, პირველ რიგში საკუთარ თავს ტანჯავს და შემდეგ კი მეუღლეს. ბევრს მიაჩნია, ეჭვიანობა სიყვარულის თანამდევი გრძნობააო, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით, ეს ასე არ არის. როცა ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, იქ ეჭვისთვის ადგილი აღარ რჩება და თუკი მაინც იჩენს თავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანის პიროვნებაში რაღაც ვერ არის რიგზე. ეს, უფრო ხშირად, არასრულფასოვნების კომპლექსიდან მომდინარეობს. წყვილთაგან ერთ-ერთს, ეჭვიანს, მიაჩნია, რომ მეორე რაღაცით (გარეგნობით, განათლებით, ოჯახური წარმომავლობით და ა.შ.) მასზე მეტია, თანაც ფიქრობს, რომ ამ უპირატესობას მეუღლეც (შეყვარებული) გრძნობს და მის საწინააღმდეგოდ იყენებს. წარმოიქმნება კონფლიქტი, შეუსაბამობა. იწყება გაუთავებელი ჩხუბი, თავის მართლება, რასაც ხშირად მოჰყვება ანტაგონიზმი მეუღლეთა (შეყვარებულთა) შორის. საბოლოოდ, ინგრევა (ან ჯანმრთელობის ფასად ნარჩუნდება) ოჯახი.

აბა, რა კაცური საქციელია, რაც თქვენს გაზეთში გვიამბო თავის მეუღლეზე ქალბატონმა ნაირამ („კვირის პალიტრა" № 24) — ცოლს მამაკაცი მიუჩინა შესაცდენად... ეჭვიანობა ზოგადად, სენივით არის და არც ნაირას მეუღლე ჩანს ფსიქიკურად სრულყოფილი... იქნებ სტანდარტული რჩევა არც მიუდგეს ამ სიტუაციას, მაგრამ მაინც ერთს ვიტყოდი, მინდა კი, რომ როგორმე გელამაც (ნაირას ქმარმა) წაიკითხოს — თქვენ ძალიან დიდი ბედნიერების შანსი გაუშვით, მშვიდი და მოსიყვარულე ქალი გვერდიდან საკუთარი უმსგავსო საქციელით ჩამოიშორეთ...

***ქეთევან გამახარია***

*მოსვენება დავკარგე მას შემდეგ, რაც თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი წავიკითხე ეჭვიანი ქმრისა და ქ-ნი ნაირას გამწარებული ახალგაზრდობის შესახებ. საოცარი სურვილი გამიჩნდა, გამოვეხმაურო ქ-ნ ნაირას.*

ჩემი ცხოვრება საოცრად ჰგავს წერილში მოთხრობილ ამბავს. ნაირასგან განსხვავებით, დიდხანს ვერ გადავდგი გადამწყვეტი ნაბიჯი. ორი შვილის დედა ვარ და ვფიქრობდი, უმამოდ შვილების დატოვებას, აჯობებს მოვითმინო და ქმრის ეჭვიანობით ცხოვრებაგატანჯულმა ავიტანო ყველაფერი, დრო გავა, ასაკში რომ შევალთ, ეჭვიანობასაც დაანებებს თავს და ურთიერთობაც გამოსწორდება-მეთქი. 60 წლამდე ვითმინე, წარმოიდგინეთ, რამდენი უსიამოვნო დღე და უძილო ღამე მაქვს გატარებული. ახლა იმასღა ვნანობ, რატომ დროზე არ გავეყარე ქმარს. უკან გამწარებული ახალგაზრდობა და ქალობა დარჩა, წინ კი სიბერე და სიმარტოვე მელის... შვილებმა თავისი ოჯახები შექმნეს, ძალიან ყურადღებიანები და მოსიყვარულეები არიან, მაგრამ როცა მარტო ვრჩები, ვნანობ, რატომ დროზე არ ვიფიქრე, რომ ქალს სჭირდება მეგობარი, მხარდამჭერი, ფიქრის გამზიარებელი.

ნაირა, თქვენ ნამდვილად დროზე დაიხსენით თავი. ჩემი რჩევაა, ხელი არ ჩაიქნიოთ, ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ხართ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ წინა გაქვთ. ბევრი ტანჯვა აგიტანიათ, საუკეთესო წლები სიმწრით გაგიტარებიათ. არ იფიქროთ სიმარტოვეზე. აუცილებლად იცოდეთ, რომ მამაკაცის, მეუღლის გარეშე უეჭველად გაგიჭირდებათ ცხოვრება, რაც არ უნდა მოსიყვარულე ადამიანების გარემოცვაში იყოთ. ასე რომ, ნუ გაიმეორებთ ჩემს შეცდომას.

***მერი***

*მე მგონი, ჩემსავით ვერავინ გაგიგებთ ქალბატონო ნაირა!*

უკვე 30 წელია გათხოვილი ვარ. მყავს ორი ვაჟი და ძალიან ვერიდები ჩემი ვინაობის გამხელას. მეც ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენს დღეში, მაგრამ ყველაფერს ვითმენდი შვილების გამო. ჩემი უფროსი ვაჟი 28 წლისაა და მეუბნება — დედა, არ ვიცი, რა დონის ჯილდო გეკუთვნის, მამაჩემს რომ გაუძელიო. მაგრამ ვთვლი, რომ სიცოცხლე გავიმწარე. თუ თქვენ ღირსეულს შეხვდებით, აუცილებლად უნდა შექმნათ ოჯახი.

***თანაგრძნობით, რ.დ.***

*ქალბატონ ნაირას ნაამბობის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ ის თანაგრძნობას და გამართლებას უფრო ელოდება, ვიდრე მხილებას. მისმა ამბავმა ჩვენს ოჯახში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა:*

ყველასათვის ცნობილია, რომ ოჯახის შექმნაც და შენარჩუნებაც მეტწილად ქალზეა დამოკიდებული. ამით მას უფრო დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება, როგორც ქმრის, ისე შვილების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ნაირა ძალზედ სუბიექტურად მოგვითხრობს თავის ისტორიას (სადაც არ გვიმხელს საკუთარ დამოკიდებულებას ქმრის მიმართ), მაინც ნათლად ჩანს მისი დანაშაული.

ჩემი აზრით, ქმრის ერთგული ცოლი ნამდვილად არ მიიღებს საჩუქრებს შემთხვევით გაცნობილი მამაკაცისგან. მით უმეტეს, იცოდა თავისი ქმრის სუსტი მხარე. ასევე ალბათ ქმარს ჰქონდა საბაბი ეჭვიანობისა (რაზეც ქ-ნი ნაირა არაფერს გვიმხელს), ამიტომაც უნდოდა გამოეცადა და დარწმუნებულიყო ცოლის ერთგულებაში. სამწუხაროდ, მისი ეჭვები გამართლდა, ვინაიდან ქალი გულგრილი არ დარჩენილა უცხო მამაკაცის ყურადღების მიმართ. თანაც, უცნობია, ქმარმა რა ვითარებაში შეუსწრო ცოლს. საეჭვოა, რომ მარტო ყავის დალევისთვის აეტეხა ასეთი ამბავი.

ახლა, რაც შეეხება მომავალს: ოდითგანვე ქართველი ქალი ყველაფერზე წინ მაინც შვილებს აყენებდა, აქ გადამწყვეტია სწორედ შვილების დამოკიდებულება დედის გათხოვებასთან დაკავშირებით. უმჯობესია, დაფიქრდნენ თავიანთ შეცდომებზე ცოლიც და ქმარიც, მიუტევონ ერთმანეთს და ახლა მაინც დაუმტკიცონ შვილებს და ერთმანეთსაც თავიანთი „უდანაშაულობა".

***მაია კობალაძე***

**ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ**

# ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲙᲣᲗᲮᲔ



**ბავშვებს ძალიან უყვართ ზაზუნები. ყიდვა გვინდა, მაგრამ არ ვიცით, რა ვაჭამოთ?**

***მამრაძეების ოჯახი***

ზაზუნები არაფერს იწუნებენ. შეგიძლიათ მიაწოდოთ ყველაფერი, რასაც თქვენ მიირთმევთ, მაგრამ ამ პატარა, ფუმფულა მხეცუნებს ყველაზე მეტად მარცვლოვანი კულტურები უყვართ და არც ნამცხვარზე ამბობენ უარს. ამიტომ ნუ დაგეზარებათ ხორბლის, ქერის, შვრიის, ფეტვის შეთავაზება.

კარგი იქნება, თუ ზაზუნების კერძებს დაუმატებთ 0,1-0,2 გ თევზის ქონს და კვირაში ერთხელ თითო წვეთ A,E,D ზეთოვან ვიტამინებს.

**როგორ მოვუაროთ თუთიყუშს?**

***თ.ჭ.***



უპირველეს ყოვლისა, თუთიყუშების შეძენისას, გაარკვიეთ რას აჭმევდა მისი პატრონი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფრთოსანს არასწორად კვებავდნენ, მაინც იგივე საკვები გაუგრძელეთ და ნელ-ნელა გადაიყვანეთ თქვენთვის მისაღებ კვებაზე. საკვების მკვეთრმა შეცვლამ შეიძლება კუჭის მოქმედება მოუშალოს, დაეწყოს ბუმბულცვენა და სხვა ავადმყოფობები.

კვების სადღეღამისო ულუფას თვითონვე დაადგენთ, რასაკვირველია, სპეციალისტის კონსულტაციასაც გაითვალისწინებთ. ამინდის ცვალებადობა ოთახის ფრინველზედაც მოქმედებს. ატმოსფერული წნევის მკვეთრი დაწევისას, ისინი გაცილებით ნაკლებს ჭამენ, ასევე ემართებად მოღრუბლულ ამინდშიც.

## ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ?



მშვენიერი სანახავია ფართო ქოთნებში ჩარგული მინიატურული ვარდები.

ზაფხულში ისინი იფურჩქნებიან. ქოთნის ვარდის აყვავების პერიოდი ადრე დგება და მეტხანს გრძელდება, ვიდრე ბაღის მისი „დიდი" ნათესავებისა. ოთახის მცენარეს ისეთივე მოვლა სჭირდება, როგორიც ბაღისას.

ქოთნის ვარდი ნათელ ადგილას უნდა იყოს მოთავსებული, მაგრამ სიცხე მას არ უყვარს — პირდაპირი მზის სხივი ან გამათბობლის სიახლოვე ვარდებს დააზიანებს.



ძრავიანი ველოსიპედი

კამათის მონაწილე

სიტყვიერი პაექრობა

პარლამენტში მჯდომი

ყვავილი

ფეხბურთში მსოფ. ჩემპ. ერთ-ერთი მასპინძელი



მომენტალური ფოტოსურათი

დაბალი დიპლომატიური რანგი

წყლის უშველებელი სივრცე

ძველებური ფრანგული ცეკვა

თბილისის ერთ-ერთი უძველესი ბაღი

რაც მუშტში ჩაეტევა (თმა, ბალახი)

პირველი სახარების ავტორი

სპორტული შეჯიბრება (სიგრძეზე, სიმაღლეზე)

... დე ბალზაკი

დიდი ჯოხი

ცოცხალი არსების მთავარი ორგანო

მაქმანის ... ქარავნის (rotated)

იტალიური „ხაჭაპური“

წილი საერთო საქმეში

ავღანური ენა

რუსული თვითმფრ.

სიმებიანი საკრავი

სახელმწიფ. პოლიტიკ. ზეგავლენიანი ჯგუფი

მაღალი ტემპერატურა

ფრჩხილზე წასასმელი

სასახლე (საბა)

მეზღვაურთა და მტვირთავთა ტერმინი

თამაში ბურთებითა და ჯოხებით

კვამლი

სიგრძის საზომი ერთეული (ძვ.)

ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი

გერმანული ექს-ვალუტა

სატელევიზიო კომპ

ბაქოს საფეხბურთო კლუბი (ძველად)

დედმამიშვილი

ზავი ჭადრაკში

უმეცარი, ხეპრე, რეგვენი

ავსტრიის დედაქალაქი

„უტოპიის“ ავტორი

წერილობითი თხოვნა

კურორტი ბულგარეთში

ძვირფასი თევზი

ჩინური ჭადრაკი

სალეჭი ცხენისათვის

ლუდის სასმისი

მცოხნავი ცხოველი



მიმართულება ისლამში

პუგაჩოვასთვის პოპულარობის მომტანი სიმღერა

სამცხე-...

საბავშვო ნუგბარი

მუშაობის ერთეული

ნოტი

პერსონაჟი „ოტელოდან“

წარმატების შესაძლებლობა

საფეხურებიანი წყალვარდნილი

ამერიკული ტრამალის მგელი

მიზეზობრივი კავშირი ინდურ რელიგიაში

ქართული სამარკო ღვინო

ტერმინ „სოციალიზმის“ დამფუძნებელი

თანხმობა ესპანურად

მხარე, მიდამო

ანტილოპა

პოპულარული შარვალი

Ω

ძვირფასი ქვების დაწახნაგების სახეობა

ინდიელების პოპულარული შხამი

ინდირა განდის მამა



მეჩეთის კოშკი

საკაზმი მწვანილი

დიდი საზეიმო კონცერტი

სარეცხის გასაფენი





# გამოქვაბულში ნაპოვნი მანუსკრიპტები

## ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა

„იყიდება ბიბლიური ხელნაწერები, დათარიღებული ჩვ. წ.აღ-მდე 200 წლით. იგი ფასდაუდებელი საჩუქარი იქნება კერძო პირისთვის, აგრეთვე სამეცნიერო ან რელიგიური ინსტიტუტისთვის. შიფრი F206".

ეს განცხადება გამოქვეყნდა 1954 წლის 1 ივნისს „უოლ სტრიტ ჯორნალის" იმ გვერდზე, სადაც ბინების თუ სხვადასხვა ხელსაწყოს ანონსები ქვეყნდება და მას ნაკლები მკითხველი ჰყავს. ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, თითქოს ბაზრობაზე, ჯამ-ჭურჭლისა და ათასი ხარახურის გვერდით, ტუტანხამონის ნიღაბს წასწყდომოდა კაცი — გასაყიდად შეთავაზებული ხელნაწერები ხომ უძველესი ბიბლიური ტექსტები იყო, იმ დროს დაწერილი, როცა „ახალი აღთქმა" არც არსებობდა.

ტექსტები გადაწერილია ჩვ.წ.აღ-მდე 200 წელსა და ჩვ.წ.აღ-ის 70 წელს შორის.

ამ დროს მკვდარი ზღვის გარშემო მცხოვრებნი სხვადასხვა, დიდ თუ პატარა კულტებს სცემდნენ თაყვანს, ერთნი ბერძნულ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. დიონისეს პატივსაცემად გამართულ ორგიებში როკავდნენ ექსტაზში შესული ქალები და ხმაურით ცდილობდნენ ზვარაკის გმინვის ჩახშობას; სხვები ლოცულობდნენ იუდეველთა ღმერთს, რომელიც თავის მიმდევრებისგან შვილების მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. და კიდევ ერთი, შედარებით ახალი ღვთაება — იესო ნაზარეველი. იესო საკუთარი ხალხის გადასარჩენად ეწამა და თავის მოწაფეებს დაუბარა, რომ კვირაში ერთხელ მის მოწამებრივ სიკვდილზე ელაპარაკათ, მოეხსენებინათ იგი — ღვინო შეესვათ და პური ეჭამათ. სიმბოლურად ღვინო მისი სისხლი იყო, ხოლო პური — ხორცი მისი. ტექსტები, რომელიც „უოლ სტრით ჯორნალში" გამოქვეყნებული განცხადებით იყიდებოდა, ეტყობა, რომელიმე რელიგიურ დაჯგუფებას ეკუთვნოდა და, როგორც ჩანს, რომაელების ხელყოფისგან გამოქვაბულში დამალეს. ალბათ სასტიკ ბრძოლებში მალევე დაიღუპნენ ისინი, ვინც მანუსკრიპტების შესახებ რამე იცოდა. თითქმის 2000 წლის განმავლობაში ამ გამოქვაბულში კაციშვილს ფეხი არ შეუდგამს. 1946 წლის ზამთარში კი მოჰამედ ადდიბი, თხის ძებნაში, კუმრანის კლდეზე აცოცდა და ანაზდად გამოქვაბულის შესასვლელი აღმოაჩინა. ნეტავ, ჩემი ბეკეკები აქ ხომ არ შეხეტებულანო, — გაიფიქრა და ბნელ ქვაბულში ქვა შეაგდო. კიკინის მაგიერ რაღაცის მსხვრევის ხმა გაიგონა. კვარი აანთო და შიგ შეცოცდა. უძველეს თიხის ქოთნებში უცნაურად ნაწერ უძველეს მანუსკრიპტთა გრაგნილები იყო ჩაგმანული. ეს იყო განძი, რომელიც შეიძლებოდა ოქროდ ექცია...

ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთი აუცილებლად იერუსალიმის არაბულ ნაწილში მდებარე როკფელერის მუზეუმს უნდა ჩაბარებოდა, მაგრამ 1947 წლის არეულობაში, როცა წმინდა მიწაზე ბატონობისთვის იუდეველები და პალესტინელები ერთმანეთს ებრძოდნენ, მოხელეებს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდათ. ასე დაიწყო ამ მანუსკრიპტთა ოდისეა. არაბების, ებრაელების, ქრისტიანების თუ ათეისტების ხელიდან როგორც იქნა, მეცნიერთა ხელში მოხვდა.

ეს ტექსტები დღემდე ბოლომდე არ არის შესწავლილი. მცოდნენი ამბობენ, ალბათ ბიბლიის თავიდან დათარიღება გახდება საჭიროო.

*შტერნი №20*

# ლომგულმა ჟომ წელს ენა მოიჭრა და შეგვპირდა, გაისად „იმასაც" მოვიჭრიო...

ევროპელი და აფრიკელი ხალხების დღესასწაულები რომ ერთმანეთს შევადაროთ, მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ღარიბების საუზმესა და ოლიგარქის ნუგბარი კერძებით დახუნძლულ სუფრას შორის. შავი კონტინენტის უამრავ დღესასწაულს დავსწრებივარ, მაგრამ ყველაზე მეტად კოტ-დ' ივუარის ერთ-ერთ სოფელში, საუიეში ნანახმა გამაოცა.

აკანის ენაზე სიტყვა „დიპრი" ერთდროულად ნიშნავს „დღესასწაულს", „ზეიმსა" და „სიხარულს". ყველა სოფელს თავისი დიპრი აქვს და დროც მისთვის შესაფერისი უნდა შეირჩეს.

საუიეში, ე.წ. მოუწყვლელობის ანუ უვნებლობის დღესასწაულისთვის დრო ზუსტად შეარჩიეს — მაისის შუა რიცხვები იდგა და სასმელ-საჭმელი თავზე საყრელი იყო. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი — ტურისტებიც ბლომად იყვნენ.

ეს დღესასწაული განსაკუთრებით უყვართ საუიეში — მასში მონაწილე ყველა აბიჯი (აფრიკული ტომია) ვალდებულია, რაიმე განსაკუთრებული ჩაიდინოს, გაამართლოს წინაპრების ერთ-ერთი მცნება: „ადამიანის სიცოცხლე — მისი საქციელისგან შედგება".

როგორც გაირკვა, ყველაზე დიდ იმედს ადგილობრივ მაგზე, ძალზე ავტორიტეტულ და პატივმოყვარე ჟო დე ლიონზე ამყარებდნენ. დღესასწაულის წინა დღეს მან განაცხადა — პატივცემული საზოგადოების წინ ვაჟკაცისთვის ყველაზე ძვირფასს, ჩემს მამაკაცურ ღირსებას მოვიჭრი, ცოტა ხნის შემდეგ კი თავის ადგილას დავაბრუნებ და ამით ცხადვყოფ ჩემს მოუწყვლელობასა და მაგიურ ძალასო.

„დიდ კაცს საქმეებიც დიდი აქვს", — მრავალმნიშვნელოვნად და მოწიწებით ჩაილაპარაკა ჟოს ფიცის ერთ-ერთმა მოწმემ. ერთი წუთით წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა, ექსპერიმენტის მსვლელობის დროს ჟომ რომ სული გააცხოს-მეთქი. ვის ხვდებოდა წილად იმის ტარების პატივი, რასაც მოიჭრიდა?..

ჟო დე ლიონი (დე ლიონი — ფრანგულად — ორი ლომი) მამაცი კაცია, ერთხელ ორი ლომი მოუკლავს ერთდროულად, ეს სახელიც ამიტომ შეერქვა. ერთი სიტყვით, ლომგული ჟო დღესასწაულისთვის თავისი პროგრამით ემზადებოდა — გულის გასამაგრებლად დღესასწაულამდე ერთი საათით ადრე სასაფლაოზე შეიარა და წინაპრებს მხარდაჭერა და მფარველობა სთხოვა.

დილით დიპრიც დაიწყო — გაჩაღდა ცეკვა-თამაში, სხვადასხვა შეჯიბრი. განსაკუთრებით აზარტში შესულები გაშიშვლდნენ და სოფელს კარდაკარ ჩამოუარეს — რას იზამ, იუმორზე ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს.

„გმირობის" დროც დადგა. ტექნიკური სირთულის მიხედვით, დაპირებები სხვადასხვა და მოულოდნელი იყო: „მე სპილოს ბანანის ჭალაში დავმალავ", „მე მზეს დასავლეთიდან ამოვიყვან"... ასე იყო თუ ისე, ვერც ერთმა ვერ დაჩრდილა ჟოს დაპირება.

დილით, როცა ჟოს მივაკითხე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული მეჩვენა — უძინარი ჩანდა და გადახუხვაც მოესწრო. ბუზღუნებდა და დროდადრო კეთილ სულებთან ჰქონდა კონსულტაციები. როგორც გაირკვა, ლომგული ჟო ცოლებს გაუბრაზებიათ — არა, თავიანთი მბრძანებლის ყოვლისშემძლეობისა როგორ არ სჯეროდათ, მაგრამ მაინც ხომ იცით ქალის გული? ვაი და, მოჭრილი თავის ადგილას ველარ დაებრუნებინა?! — ზოგი ტიროდა, ზოგიც ხმამაღლა მოთქვამდა. ქალების ნათქვამი რამდენიმე ფრაზა გადამითარგმნეს. ამგვარი გამონათქვამები თურმე ნაციონალური ფოლკლორის განუყრელი ნაწილია და ნებისმიერი სიტუაციისთვის შეიძლება შესაფერი პრეცედენტის გამონახვა. მაგალითად: „სისულელეს მხოლოდ ბრიყვები როდი სჩადიან!" (ეს მსუბუქი საყვედური ყოფილა — აფრიკაში ქმარი მორიდებით უნდა გაკიცხო), „ყვავილები რომ გაქრება, აღარც პეპლები იქნება". კიდევ ერთი რთული იდიომატური გამონათქვამის სათარგმნელად კი თითქმის ნახევარი სოფელი დამჭირდა. როგორც იქნა, მითარგმნეს: „ქმარი მამაკაცური ღირსების გარეშე უთავო მხედარს ჰგავს" (ბუნებრივია, მაინ რიდი აქ სიზმრადაც არავის უნახავს). ჰოდა, როგორც შევიტყვე, ამ ბრძნულმა გამონათქვამმა ჩემი მეგობარი ჟოც კი დააფიქრა...

„ხმა ჩაიწყვიტეთ, სულელებო!" — დასჭექა ოჯახის უფროსმა, — კარგი, პირველად ყურს ან ენას მოვიჭრი". მაგის უმცროსმა ცოლმა მბრძანებლის ყურებს თვალი შეავლო, მერე იმ ადგილს მიაშტერდა, სადაც მოკვდავებს ენა აქვთ და მისი ასაკისთვის შეუფერებელი სენტენცია გადმოაფრქვია: „ენა სჯობია — დიდად არაფერში გვადგება".



და აი, ორი ლომის მკვლელის ეზოში სარიტუალო მზადება დაიწყო. მაყურებლები დაიძაბნენ. ჟომ ნარნარად გადაჭრა ეზო და მედოლეებისკენ აიღო გეზი — მათ გუგუნ-გრიალში დანა იშიშვლა და გამორკვევა ვერ მოვასწარით, რომ ენა წაიჭრა. პირიდან სისხლის შადრევანმა იფეთქა. ხალხმა იხუვლა, ლომგულის ცოლებს გულები წაუვიდათ.

ამასობაში ჟომ მოჭრილი ენა პირში ჩაიდო და ზედ ბალახებისგან მომზადებული რაღაც პასტა მიატანა. ლუკმა გაჭირვებით გადაყლაპა. „ნამდვილად ენაც მიაყოლა", — გავივლე გუნებაში. მაგრამ თურმე სადა ხარ — ჟომ პირი დააღო და ყველას ცინცხალი, უვნებელი ენა აჩვენა! აღფრთოვანებულ მოზეიმეთა ყიჟინას ალბათ მარტორქათა ჯოგის თქარუნი თუ ჩაახშობდა. რა იყო ეს — მისტიკური სასწაული, მასობრივი შთაგონება თუ ხელის სისწრაფე?

თუმცა ეს არ არის მთავარი, ეს შავი კონტინენტი იყო და ამით ყველაფერი ნათქვამია... მაყურებლის აღფრთოვანებით ფრთაშესხმული ჟო დაგვპირდა — გაისად ნამდვილად წავიჭრი იმასო... ცოლები ალერსიანად უმზერდნენ თავიანთ მბრძანებელს — მანამდე დიდი დროა, ბევრი წყალი ჩაივლისო, იიმედებდნენ გუნებაში თავს.

არ ვიცი, შეასრულებს თუ არა დანაპირებს ლომგული ჟო, თუმცა აფრიკელ რაინდს, ჟო ლომგულს საქმის ბევრი გამგრძელებელი გამოუჩნდება. ოღონდ, აქაური მართლა ლომების საქმე როგორ იქნება არ ვიცი — ცხოველთა მეფეები საცაა წითელ წიგნში შევლენ...

*დმიტრი კულაკოვი*
*ეხო პლანეტი №24-25*


# ახალი იმოდიუმ ლინგვალური

## სწრაფად და მზრუნველობით აჩერებს დიარეას




ეს ენაზე სწრაფადხსნადი პატარა ტაბლეტები, რომელიც არ მოითხოვს წყლის მიყოლებას:

- შეუცვლელია შემთხვევაში, როდესაც დიარეას (ფაღარათს) თან ახლავს გულის რევა და პირღებინება;
- *მიღებისათვის მოხერხებულია ნებისმიერ პირობებში: სახლში, სამსახურში, გამოცდების პერიოდში ან თათბირებზე, აგარაკზე, მოგზაურობისას;*
- იძლევა საშუალებას მოაგვაროთ პრობლემა გარშემომყოფთათვის შეუმჩნევლად.

რა არის ახალი იმოდიუმ ლინგვალი?

- სწრაფად აჩერებს დიარეას;
- ქმნის პირობას ნაწლავების ნორმალური მუშაობის აღდგენისათვის;
- ამცირებს პერიოდს, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის მთლიანად აღდგენისათვის დიარეის შემდეგ;
- ახალი იმოდიუმ ლინგვალის უსაფრთხოება დადასტურებულია მსოფლიო გამოყენების გამოცდილებით.

როგორ მივიღოთ იმოდიუმ ლინგვალი?

დიარეის გაჩენისას - დაიღეთ 2 ტაბლეტი ენაზე, ნუ მიაყოლებთ წყალს.

უმრავლეს შემთხვევაში ეს დოზა საკმარისია დიარეის შესაჩერებლად.

თუ თხევადი განავალი განმეორდა - მიიღეთ 1 ტაბლეტი ყოველი თხევადი განავლით კუჭში გასვლის შემდეგ

არ მიიღოთ 8 ტაბლეტზე მეტი დღის განმავლობაში

დამატებითი ინფორმაციისათვის
ტელ.: 94 13 39 10.00-18.00
(დასვენების დღეები: შაბათი-კვირა).

„ჯონსონ ჯონსონის" კორპორაცია
ფირმა „იანსენ-სილაგი"


# დედოფალს მოქიშპე ჰყოლია



ზაფხული დადგა და ძალზე ბევრ ადამიანს სექსუალურ ნიადაგზე ფსიქიკა შეერყა. აბა, სხვა რაღათი ავხსნათ ის ფაქტი, რომ სიყვარულის მორევში გადაეშვნენ ზომაზე მეტად ხანდაზმულებიც.

ინგლისის 75 წლის დედოფალს ძალიან უყვარს თავისი მეუღლე პრინცი ფილიპი. ამ უკანასკნელს სამეფო ეთიკა კარნახობს, რომ არასოდეს აქციოს დედოფალს (ცოლს) ზურგი, სადილის დროს დანაჩანგალი აიღოს მხოლოდ მეუღლის შემდეგ და შენობიდანაც ელისაბედის შემდეგ გავიდეს. და აი, უკვე 54 წელია, 80 წლის ფილიპი სიამოვნებით ასრულებს შინაური ფინიის როლს. მაგრამ, ახლახან გაირკვა, რომ პრინცი თავის დედოფალს 12 წლის მანძილზე ღალატობდა. ინგლისის დედოფლის მეტოქეა პენელოპა რომზეი, რომელიც 32 წლით ახალგაზრდაა სერ ფილიპზე. პენელოპა 55 წლის ლორდ ნორტონ რომზეის მეუღლეა, ლორდი კი იმავდროულად დედოფლის ნათესავიც არის.

პრინცი ფილიპი საყვარელ ქალს პენის ეძახის და მათ ბევრი საერთო ინტერესი აქვთ — ნადირობა, ჯირითი, რბოლა. ახალგაზრდა პენის გვერდით თავად პრინციც ახალგაზრდად გრძნობს თავს და საკუთარი თავი სასახლის გოშია კი არა, ნამდვილი მამაკაცი ჰგონია.

მაგრამ, მეფეები იმიტომ არიან მეფეები, რომ მათ ყველაფერი სხვაგვარად აქვთ. ელისაბედმა თავის მოღალატე ქმარს სახე კი არ დააკაწრა, არამედ პენელოპა ოფიციალურად გამოაცხადა ოჯახის მეგობრად. ახლა ფილიპი აბსოლუტურად კანონიერად დადის პენელოპასთან ერთად დასასვენებლად. პენელოპა კი ოფიციალურ მიღებებზე (ბუკინგემის სასახლეში) ცოლ-ქმარს შორის დგას აივანზე და ხალხს ხელსაც უქნევს.

არც პენელოპას რქებდადგმულ ქმარს გაუმართავს ისტერიკა. პირიქით, ის ძალიან ამაყობს იმით, რომ დედოფლის ქმრის მზერა მაინცდამაინც მის ცოლზე შეჩერდა. მეტიც, ის ძალზე მოხარულიცაა, როცა მასთან სტუმრად პრინცი ფილიპი მიდის.

და სანამ ხალხი ჭორაობს, პრინცი ფილიპი კვლავ ტკბება ცხოვრებით და ამართლებს იმ კლასიკოსის სიტყვებს, რომელმაც თქვა, რომ სიყვარულმა ასაკი არ იცის.

*გარდიანი*

# ხალხში გაბნეული სამკურნალო რეცეპტები

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი გაზეთი ერთ საინტერესო წამოწყებას გთავაზობთ: ქართული ტრადიციული მედიცინა საუკუნეებს მიღმა იღებს სათავეს და მის მასულდგმულებელ წყაროს ხალხში გაბნეული სიბრძნე — ხალხის მიერ ასწლეულობით და იქნებ ათასწლეულობითაც გამოცდილი სამკურნალო რეცეპტები წარმოადგენს.

ჩვენი ახალი რუბრიკა — „ხალხში გაბნეული სამკურნალო რეცეპტები" სწორედ ამ სიბრძნის, ამ დიდი საგანძურის თავმოყრას და ხალხისავე სასიკეთოდ გამოყენებას ისახავს მიზნად, მაგრამ ალბათ ყველასთვის ნათელია, რომ ამ იდეის განხორციელება მხოლოდ თქვენი უშუალო, აქტიური მონაწილეობითაა შესაძლებელი. სწორედ თქვენ მიერ მოწოდებული, მრავალნაცადი მცენარეული თუ სხვა ბუნებრივი სამკურნალო საშუალებების გამოქვეყნება და ათასობით მკითხველამდე მიტანაა ჩვენი სურვილი. არადა, ასეთი რეცეპტები ხომ მრავლადაა მიმობნეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მოგვწერეთ, ნუ დაიზარებთ! გვერწმუნეთ, ეს საშვილიშვილო საქმის დასაწყისია.

თუ მკითხველის აქტიურობა ჩვენ მიერ ნავარაუდევის შესაბამისი იქნება, შესაძლებელი გახდება, რომ დიდძალ ეთნოგრაფიულ-სამედიცინო მასალას მოვუყაროთ თავი. შემდგომში კი, მიღებული ინფორმაცია შეჯერდება, დამუშავდება და ქართულ კლასიკურ სამედიცინო ძეგლებთან და დღემდე არსებულ მსგავს ინფორმაციასთან ერთად, შესაძლოა, ახალი ეროვნული ფარმაციის საფუძვლად იქცეს.

დღეს მთელ მსოფლიოში შეინიშნება მცენარეული პრეპარატებისაკენ მობრუნების ტენდენცია და ვის, თუ არა საქართველოს — მედეას („მედიცინა" მის სახელთანაა დაკავშირებული) სამშობლოს, აქვს დიდი ისტორიული გამოცდილება და არანაკლებ დიდი პერსპექტივა ამ მიმართულებით?

სადაა სამართალი, თორემ ქართველი კაცი დოლარებზე უნდა ყიდულობდეს ამერიკიდან და ევროპიდან შემოსულ მცენარეულ წამლებს? ყველაზე მთავარი, რაზეც საზღვარგარეთული კომპანიები მილიონობით დოლარს ხარჯავენ — სამკურნალო მცენარეების ეფექტურობის გამოცდაა სხვადასხვა დაავადების დროს.

ეს მთავარი საქმე კი, ჩვენში უკვე სანახევროდ გაკეთებულია — ხალხმა გააკეთა, ხალხმა გამოცადა, ხალხმა გადასცა თაობიდან თაობას და ჩვენამდე მოიტანა. ჩვენ კი შვილებს უნდა გადავცეთ — დახვეწილი, მეცნიერულად გამართული ქართული ეროვნული მედიცინა.

რამდენიმე წელია, მაწუხებს ნეკროსის ქარი — ორივე ფეხის ცერა თითის სახსრებთან მქონდა გამონაზარდები.

ერთხელ მიწას ვამუშავებდი, ფეხზე რეზინის ფეხსაცმელი მეცვა. სიცხეში ფეხზე მომიჭირა და პოდაგრული კვანძები ამტკივდა. ინსტინქტურად ლელვის ხიდან ფოთოლი მოვწყვიტე და მარჯვენა ფეხის ცერა თითზე დავიფინე, რომ მტკივანი ადგილი ფეხსაცმლისგან დამეცვა. ასე ვიყავი გვიანობამდე.

ღამით შევნიშნე, რომ კვანძი საგრძნობლად შემცირებულიყო. მეორე დღეს ისევ დავიფინე ლელვის ფოთოლი და ამჯერად ორივე ფეხზე. ასე გავიმეორე რამდენჯერმე და, ჩემდა გასაოცრად, ორივე კვანძი გამიქრა.

ჩემი გამოცდილება მეზობელს გავუზიარე და მანაც უკეთესობა იგრძო.

მინდა თქვენც იცოდეთ ამ ფაქტის შესახებ, იქნებ სხვებსაც წამლად ექცეს ჩემი რეცეპტი.

*ჯულიეტა სამხარაძე, ზესტაფონი*

**ექიმის კომენტარი:**

ლელვი ფიტოთერაპიაში გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ვენური უკმარისობის, თრომბოზების და ანემიების დროს. ძირითადად ხმარობენ მის ნაყოფს.

ალსანიშნავია მისი შარდმდენი და ოფლმდენი თვისებები.

ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში ლელვის ნაყოფი ხველის სამკურნალო და კუჭ-ნაწლავის მოქმედების გასაუმჯობესებელ საშუალებადაც მოიხსენიება.

ლელვის ფოთოლი კი, გამოიყენებოდა კანის დაავადების, ე.წ. გველის ჭირის (კეთრის) დროს.

რაც შეეხება ნეკრისის ქარის დროს ლელვის ფოთლის გამოყენებას, მსგავსი რეცეპტი ჩვენთვის დღემდე უცნობია.

მაქვს ღრძილების ქრონიკული ანთება. პერიოდულად ღრძილები მისივდება და მტკივა ხოლმე. ნათესავმა მასწავლა შემდეგი საშუალება: კოწახურის ნორჩ ღეროს მოაცილე ქერქი, ღერო პირში ჩაიდე და ერთი საათი ატრიალეო. მართლაც ასე მოვიქეცი და მეორე დღესვე უკეთესობა ვიგრძენი. ახლა დაავადების გამწვავება ისე აღარ მაშინებს.

*ნანა გაგუა, მარტვილი*

**ექიმის კომენტარი:**

კოწახურის გამოყენება ფიტოთერაპიაში ძირითადად სანაღვლე გზებისა და ღვიძლის დაავადებებთან, აგრეთვე გინეკოლოგიურ პრაქტიკასთანაა დაკავშირებული.

ძველქართული ნაწერების მიხედვით კოწახური გულის, კუჭისა და ღვიძლის დაავადებათა დროს გამოიყენებოდა.

გინგივიტის (ღრძილების ანთების), პარადონტოზის დროს კოწახურის ეფექტურობა ოფიციალურ წყაროებში აღნიშნული არ არის.

*მაგრამ ორივე შემთხვევაში, თუკი თქვენ და თქვენი მიბაძვით სხვებმაც, შვება იგრძენით, შეიძლება ამ სახის მკურნალობის გაგრძელება. იქნებ თქვენ ახალ წესსაც დაუდოთ სათავე.*

## ტესტი იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

**თქვენი ნაცნობი გველმა დაკბინა. თქვენ შეესწარით ამ ფაქტს. როგორ დაეხმარებით?**

**1. მაშინვე, ფეხით წავიყვან უახლოეს სამედიცინო პუნქტში.**
**2. მას ადგილზე დავტოვებ და გავიქცევი ექიმის მოსაყვანად.**
**3. ნაკბენს ზემოთ კიდურზე დავადებ ლახტს და ასე მეყოლება საავადმყოფოში მიყვანამდე.**
**4. უპირველეს ყოვლისა, ნაკბენი ჭრილობიდან ხელით გამოვწურავ სისხლს. ამის შემდეგ ნაკბენს გამოვწუწნი პირით და გადავაფურთხებ. დაკბენილს დავაწვენ, კიდურს უძრავად დავუკრავ ფიცარზე და სასწრაფოდ გადავიყვან საავადმყოფოში.**

**სწორი პასუხია მე-4.**

საქართველოში სხვადასხვა სახეობის შხამიანი გველი ბინადრობს. მათ შორის ყველაზე სახიფათოა გიურზა. მისმა ნაკბენმა მძიმე მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო ბავშვისთვის კი — სასიკვდილოც იყოს.

გველის კბენისთანავე ადამიანს ეწყება ტკივილი კიდურზე, კანი წითლდება, ჩნდება კანქვეშა სისხლჩაქცევები; თავს იჩენს ზოგადი მოვლენები — თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, გულისრევის შეგრძნება და პირღებინება, ტემპერატურის მომატება. მძიმე შემთხვევებში იწყება ფალარათი (კუჭის აშლა), ბოდვა, არტერიული სისხლის წნევა ეცემა.

ინტოქსიკაციის (მოშხამვის) განვითარების ხარისხი და სიღრმე ბევრადაა დამოკიდებული პირველ დახმარებაზე, რომლის ალმოჩენაც ავადმყოფისთვის გვერდით მყოფ ადამიანებს შეუძლიათ. ამიტომ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ის მცდარი ქმედებები, რომლებიც ტესტის მე-2 და მე-4 პასუხებშია მოყვანილი.

1. დაუშვებელია გველის მიერ დაკბენილი ადამიანის აქტიური მოძრაობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიდურის იმობილიზაციას (უმოძრაობას); მოძრაობა აჩქარებს შხამის გადასვლას სისხლის მიმოქცევის წრეში და ზოგადი ინტოქსიკაციის მოვლენებს. ამიტომ ავადმყოფის წაყვანა ფეხით მედპუნქტამდე მას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

2. ექიმის მოსაყვანად თქვენი წასვლა დროის ფუჭი კარგვაა, რადგან ავადმყოფს ესაჭიროება ანტიგიურზინის სასწრაფო შეყვანა და დეზინტოქსიკაციური (მოშხამვის საწინააღმდეგო) კვალიფიციური მკურნალობა, რაც მხოლოდ სტაციონარულ პირობებში შეიძლება ჩატარდეს; ამასთან, მოსალოდნელია ღრმა გართულებები, რომელიც რეანიმაციული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. ამდენად, ავადმყოფის ადგილზე დატოვება დაუშვებელია.

3. ლახტის დადება შეიძლება ნაკბენის ზემოთ, მცირე ხნით, ვიდრე ჭრილობას გამოწუწნით, ხოლო შემდეგ იგი უნდა მოიხსნას. ლახტის ხანგრძლივად დადება კიდურზე გამოიწვევს სისხლძარღვთა თრომბს, კიდურის ნეკროზს (ქსოვილთა კვდომას) და არანაკლებ ინტოქსიკაციას, ვიდრე გველის შხამით მოწამვლაა. ამიტომ ლახტის დადება ავადმყოფის კლინიკაში მიყვანამდე არ შეიძლება.

*რაც შეეხება სწორ, მე-4 პასუხს, შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჭრილობის პირით გამოწუწნისას პირის ღრუს ლორწოვანი არ უნდა გქონდეთ დაზიანებული და გამოწოვილი სისხლი არ უნდა გადაგეყლაპოთ, თორემ, თავად მოიშხამებით.*

*თამარ მამაცაშვილი*

# მზით გათანგულთათვის



რას სვამს სიცხეში თანამედროვე ადამიანი — უფრო სწორად, ჩვენ, რეკლამისა და საკუთარი თავქარიანობის მსხვერპლნი?! რას ვსვამთ და რაც ხელში და თვალში მოგვხვდება. სამწუხაროდ, ხშირად წმინდა ქიმიას ვყლურწავთ — „სპრაიტს", „ფანტას", „პერშს" და ა.შ. ეს კი ყოვლად დაუშვებელია.

მაშ, რით მოვიკლათ წყურვილი? ექიმების აზრით, უმჯობესია მომჟავო, უშაქრო სასმელები ვსვათ. იდეალური ვარიანტია — ცხელი ჩაი ლიმონით და პიტნით, რომელიც თავდაპირველად ორგანიზმის ტემპერატურას კი მაღლა სწევს და ოფლდენას იწვევს, სამაგიეროდ, სწრაფად აგრილებს ორგანიზმს. ამასთან, ჩაი შესანიშნავად არეგულირებს წყალმარილოვან ბალანსს. ჩაის ნაცვლად შეიძლება ლიმონის ან ფორთოხლის რამდენიმე წვეთით გაზავებული გაგრილებული წყლის სმა. წყურვილს დაგიოკებთ მომჟავო წვენებიც — ლიმონის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, ანანასის, ვაშლის (მწვანე) წვენები. მინერალური წყალი? — იკითხავთ უეჭველად. მინერალური წყლის თითოეულ სახეობას მინერალიზაციის განსაზღვრული ხარისხი აქვს. ამიტომ, უზომოდ მისი ყლურწვით შეიძლება ორგანიზმში მარილოვანი ბალანსი დაირღვიოთ.

სხვა საქმეა ბურახი. ოღონდ ბურახი ნატურალური კომპონენტებისგან უნდა იყოს გაკეთებული და არა შემცვლელებისგან. შინაური ბურახი წყურვილს კლავს, ძალებს აღადგენს, სიმხნევეს შეგმატებს, საჭმლის მომნელებელ პროცესებს აუმჯობესებს და ორგანიზმიდან წიდებს გამოდევნის.

„კეფირი მშვენივრად რგებს გულს", — ამბობდა ყველასათვის ცნობილი პენიკოვსკი, რომელიც ოქროს კვერცხზე ნადირობისგან თავისუფალ დროს კეფირს ეტანებოდა. გარდა გულისა, კეფირი წყურვილსაც შველის. მასში შემავალი რძის მჟავა და ნახშირმჟავა წყურვილის შეგრძნებას სპობს. ასე რომ, კეფირი, ასევე მაწონიც, მავნე გაზირებული სასმელების ღირსეული ალტერნატივაა.

სიცხით გათანგულებს პიტნის და ასკილის ნაყენიც ესიამოვნებათ.

*ორაკული №57*

# სასარგებლო კენკროვნები



ოჰაიოს უნივერსიტეტის ბიოლოგმა გარი სტონერსმა გამოაქვეყნა მრავალწლიანი კვლევის შედეგი, რომლის მიხედვითაც კენკროვანი ხილი საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა მრავალი საშიში დაავადების წინააღმდეგ. გამოკვლევის თანახმად, კენკროვნებით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ უამრავი დაავადება, დაწყებული სიმსივნითა და გულის შეტევით და დამთავრებული ტვინის დაავადებებით. „წარსულში მიმაჩნდა, რომ კენკროვანთაგან მხოლოდ ერთი სარგებელია — C ვიტამინის მიღება. დღეს კი შეხედულება ძირფესვიანად შემეცვალა", — ამბობს გარი სტონერსი. საინტერესოა, რომ რაც უფრო მუქი ფერისაა კენკრა, მით უფრო მეტ დამცველ პიგმენტს შეიცავს. ექიმთა თქმით, მუქი შეფერილობის კენკროვნები (შავი მოცხარი, მაყვალი) საუკეთესოდ იცავს კორონალურ არტერიებს ანუ გულს. ტვინის უჯრედთა დაცვას კი ლურჯი შეფერილობის კენკრა ემსახურება. ამგვარი კენკრა წამლის ნაცვლადაც კი ენიშნებათ ავადმყოფებს და ამერიკელი ექიმები მას ხშირად „ტვინის კენკრადაც" მოიხსენიებენ.

საუკეთესოა კენკრა სიმსივნური დაავადებების წინააღმდეგაც. პროფესორ ლონდონ ლარკომის აზრით, მარწყვსა და ჟოლოს სიმსივნეებთან ბრძოლის საუკეთესო თვისებები გააჩნიათ.

მაინც რა რაოდენობის კენკრა უნდა მივიღოთ ყოველდღიურად?

მეცნიერები გვირჩევენ, მივიღოთ ნებისმიერი შეფერილობის მქონე (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მუქი, მწვანე) კენკროვანი ხილი ყოველდღიურად. თუკი ამის შესაძლებლობა არ არის, ერთი სახის კენკროვანი მაინც, — თუნდაც მცირე რაოდენობით.

*თაიმსი*

# სანელებელი — მკურნალი



**ძახური** აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, შარდმდენია, შეიცავს E, C K, A და B ჯგუფის ვიტამინებს, კალიუმს, მაგნიუმს, მანგანუმს, რკინას, ფოსფორსა და ნატრიუმს.

**ანისული** გამოდევნის ნაწლავებიდან წიდებს და ხსნის მუცლის ჭვალს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ხელს უწყობს მეძუძურ დედებში რძის წარმოქმნას.

**რეჰანს** ახასიათებს ბაქტერიციდული თვისებები, ხელს უშლის მუცლის შებერვას, ხსნის მუცლის სპაზმებსა და ტკივილებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, კურნავს საშარდე ბუშტის ანთებას.

**მიხაკს** ახასიათებს ანტისეპტიკური თვისებები.

**ილი** აძლიერებს მადას, არეგულირებს კუჭის წვენის გამოყოფას.

**ძინძი** აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს, გამოდევნის ორგანიზმიდან გაზებს, შეიცავს C ვიტამინს.

**დარიჩინი** აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მადას, კრავს კუჭში.

**პიტნა** კლავს მიკრობებს, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, გამოდევნის ორგანიზმიდან გაზებს.

**წიწაკა** აძლიერებს მადას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

**ოხრახუში** შეიცავს C და B ვიტამინებს, კაროტინს, კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს; განსაკუთრებით სასარგებლოა თირკმლებითა და საშარდე ბუშტით დაავადებულთათვის.

**ბეგქონდარა** ანადგურებს მიკრობებს.

**კვლიავი** კრავს კუჭში, ხელს უწყობს რძის წარმოქმნას მეძუძურ დედებში, აძლიერებს მადას, შველის თავის ტკივილს და ხველებას ბრონქიტის დროს.

**პირშუშხა** შეიცავს C ვიტამინს, ანადგურებს მიკრობებს.

**ნიორი** აფართოებს სისხლძარღვებს, დაბლა სწევს წნევას, ნაღველმდენია. ამცირებს სისხლში შაქრის შემცველობას, ანადგურებს მუცლის ჭიებს და მიკრობებს.

**ზაფრანა** კრავს კუჭში და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

# ვეგეტარიანელებს სიბრმავე ემუქრებათ



ბრიტანელი მედიკოსები ამტკიცებენ, რომ მკაცრმა ვეგეტარიანულმა დიეტამ შეიძლება სიბრმავე გამოიწვიოს. 33 წლის მავანი მამაკაცი 13 წლის განმავლობაში საერთოდ არ ჭამდა კვერცხს, ხორცს, რძის პროდუქტებს, თევზს... კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ მას პრაქტიკულად დაშლილი ჰქონდა თვალის ბროლი. სისხლის ანალიზმა აჩვენა მის ორგანიზმში ძალიან ბევრი მინერალური ნივთიერების, თუთიისა და სელენის, A, B, C, D, E ვიტამინების ნაკლებობა. ექიმების აზრით, მხედველობის დაკარგვის მიზეზი გახდა $B_{12}$ და $B_1$ ვიტამინების უკმარისობა.

თუმცა, ბრიტანელ ვეგეტარიანელთა საზოგადოება აცხადებს, რომ დიეტა, რომლიდანაც ამოღებულია ხორცი და რძის პროდუქტები, ჯანმრთელობისთვის არ არის საშიში, თუკი რაციონში ჩართავთ კვერცხს, ყველს და სოიის რძეს.

*კომსომოლსკაია პრავდა №81*

# ჩიპსი და ფრი მავნებელია

ბავშვების საყვარელი სასუსნავი (და არა მარტო მათი) ჩიპსები ძალზე მავნებელია ორგანიზმისათვის.

შვედი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ საკვებში, რომელშიც ბევრი ნახშირწყალია, მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებისას წარმოიშობა აკრილამიდი — ნივთიერებანი, რომლებიც საშუალო სიმძიმის კანცეროგენებს მიეკუთვნება.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ცენტრის სააგენტოს ცნობით, აკრილამიდი გენების მუტაციას იწვევს.

საკვები პროდუქტების მაკონტროლებელმა ორგანოებმა განგაში ატეხეს — რამდენიმე სახეობის პროდუქტის გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ აკრილამიდის მაღალი შემცველობაა შემწვარ კარტოფილში და რამდენადმე ნაკლები — ორცხობილაში, პურსა და მოხალულ ბრინჯში. აკრილამიდის დაახლოებით 1 მგ-ის ორგანიზმში მოსახვედრად საკმარისია ნახევარი გრამი კარტოფილის ჩიპსის ან 2 გრამი კარტოფილი-ფრის მირთმევა. ასე რომ, დაფიქრება ამაზე ღირს...

*ვოკრუგ სვეტა №6*

# იმპულს-დიეტა



თუ გსურთ წონაში ისე დაიკლოთ, რომ ჯანმრთელობას არ ავნოთ, საჭიროა დაიცვათ კვების გარკვეული პრინციპები და არა მკაცრი დიეტა, რომელიც ხშირად არაბალანსირებადია. როგორც წესი, იმპულს-დიეტით რეკომენდებულია, ჭამოთ ყოველ 2 საათში ერთხელ.

კვების ძირითადი პრინციპია: არ შეურიოთ ერთმანეთს მარტივი და რთული ნახშირწყლები. ასე რომ, თუ მიირთმევთ მაკარონს პურით, მაშინ წონაში მომატების შანსი ნაკლებია, ვიდრე მურაბასთან ერთად. ცილა შეიძლება შეუხამოთ ცილას, ცხიმებს და ნახშირწყლებს. არ შეიძლება მცენარეული და ცხოველური ცხიმების შერევა. ღორის დაბეგვილი ხორცი შეიძლება შეწვათ კარაქში.

ყავა და შავი ჩაი მცირე რაოდენობით სასარგებლოა, მაგრამ თუ გახდომა გსურთ, სვით ბალახეული ჩაი და უგაზო მინერალური წყალი.

ხილი და ბოსტნეული მიირთვით რამდენიც გსურთ. აი, როგორი უნდა იყოს დიეტის დამცველი ადამიანის კალათა:

**ნახშირწყლები:** შაქარი, წვენები, ხილი, მარცვლეული (ფქვილი, პური, მაკარონი), შაქრის შემცველი რძის პროდუქტები (უცხიმო არაჟანი, ხაჭო, დო, იოგურტი, შინაური ყველი), კარტოფილი, ბრინჯი, სიმინდი.

**პროტეინები:** ბრინზა, ზოგიერთი მაგარი ყველი, პარკოსნები, მჭლე ხორცი, ქათმის და ინდაურის მკერდის უცხიმო თეთრი ხორცი.

**ცხიმები:** მცენარეული ცხიმების შემცველი ავოკადო, ბანანი, კაკალი, შავი ქლიავი, აგრეთვე ყველა პარკოსანი, არ შეიძლება მიიღოთ სხვა პროდუქტებთან ერთად. კაკაო, ყავა და ჩაიც კი უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკეული საკვები.

*ოტდოხნი! №20*

# ზომიერება წყლის სმის დროს



დღეში რვა ჭიქა წყლის მიღების აუცილებლობა შეიძლება უაზრობად მიიჩნიოს ვინმემ, მაგრამ ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის რეკომენდაცია, რომელიც 1989 წელს გამოვიდა, სწორედ ამდენი წყლის მიღებას ურჩევდა ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულთ.

ეს რეკომენდაცია მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ყველა ქალთა ჟურნალსა თუ დიეტის მენიუში მოხვდა.

დღეს აკადემიაში აცხადებენ, რომ რვა ჭიქა წყლის შეთავაზებას არასაკმარისი მეცნიერული კვლევები ედო საფუძვლად და ის, თუ რა რაოდენობის წყალი უნდა მიიღოს ადამიანმა, დამოკიდებულია მის წონაზე, მუშაობის მოცულობასა და გარეტემპერატურაზეო.

2003 წლის მარტისთვის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემია გამოაქვეყნებს უფრო დაწვრილებით „წყლის რეკომენდაციებს". დღეისათვის საშუალო ამერიკელი დღეში 6,1 ჭიქა წყალს მოიხმარს, როდესაც ლუდის, ყავისა თუ გაზიანი წყლის მაჩვენებლები 11-ს აღწევს — ისინი კი ბევრად მავნებელია, ვიდრე წყალი.

მეცნიერთა მტკიცებით, დღის განმავლობაში ზომაზე მეტი წყლის მიღება ორგანიზმისთვის მავნებელია — უპირველესად ის კუჭ-ნაწლავისთვის არის საზიანო. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, ჯანმრთელ ადამიანს ვინმემ დაუშალოს ნორმაზე მეტი წყლის მიღება. „ამერიკის დიეტური ასოციაციის" თანამშრომლები ხუმრობენ — დიდი რაოდენობით წყლის მიღება მხოლოდ და მხოლოდ აბაზანაში არის სასურველიო.

*ნიუზუიქ*


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ქრონიკული იამონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც უცხოურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმ-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოის ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# ქრონიკული დაღლილობის სინდრომი

მსოფლიოში ახალი სენი გავრცელდა. პრობლემებით სავსე ცხოვრებაში მუდამ ენერგიული, მხიარული ადამიანი უეცრად დუნდება, საყვარელი სამუშაოს მიმართ ინტერესს კარგავს, გულმავიწყი ხდება, აღარ ახსოვს წუთის წინ რაზე საუბრობდა. სამყარო მისთვის უბრალო დეკორაციებისგან შედგება. ერთადერთი, რაც სურს, შინ ყოფნა და წყნარად წოლაა. ტელევიზორი და ყოველგვარი ხმაური აღიზიანებს. წევს და არაფერზე ფიქრობს.

ასე ემსგავსება დღე დღეს და რამდენიმე თვეში ადამიანი აცნობიერებს, რომ სიცოცხლემ აზრი დაკარგა... დაახლოებით ასე მიმდინარეობს დაავადება, რომელსაც მეცნიერებმა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი უწოდეს.

მისი შესწავლა სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ დაიწყო, თუმცა დაავადება ახალი სულაც არ არის. მისით რამდენიმე ასეული წლის წინათაც იყვნენ შეპყრობილნი. უბრალოდ, შედარებით იშვიათად, ვიდრე ჩვენს გიჟური ტემპით მიმდინარე საუკუნეში.

როგორც სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, დღეისთვის დაავადებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. აშშ-ში დაავადებულია 3-დან 10 მილიონამდე ადამიანი. ირწმუნებიან, რომ უახლოეს მომავალში დაავადება მსოფლიოს 15%-ს მოიცავს. გერმანელების განცხადებით, მათ ქვეყანაში 90% ქრონიკული დაღლილობის სინდრომის პოტენციური მატარებელია, ხოლო 3% უკვე დაავადებულია. საკითხი ისე მწვავედ წამოიჭრა, რომ ამერიკელებმა სპეციალური პროგრამა შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც, ერთი დაავადებულის მკურნალობისთვის 2000 დოლარია გამოყოფილი.

დღეისთვის ზუსტად არ არის დადგენილი, რა იწვევს ამ დაავადებას. ზოგიერთი მეცნიერი ჰერპეს ვირუსს ადანაშაულებს, ზოგი კი სხვა ვირუსებზე მიუთითებს. ისეთი გამოკვლევებიც არსებობს, რომლებიც უპირატესობას სტრესს ან შეცვლილ ეკოლოგიურ პირობებს ანიჭებს.

დაავადება გრიპის მსგავსად ბანალურად იწყება. მაგრამ გრიპისგან განსხვავებით, დარჩენილი სისუსტე თვეების მანძილზე გრძელდება. დაავადება განათლებულ და წარმატებების მქონე ახალგაზრდებს არჩევს. „ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპით" (როგორც მას უწოდეს) დაავადებულებს თავის დაიმედება იმით შეუძლიათ, რომ მათი სულის სინატიფე დამტკიცებულია!.. დიახ, სენი ინტელიგენციას არჩევს. ექიმები, მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები მის პირველ მსხვერპლთა შორის ხვდებიან. თანაც ქალებს ორჯერ მეტი რისკი აქვთ დაავადებისა.

ნათესავები და მეგობრები დაავადებულებს, რომლებიც გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურებიან, უსაქმურებად და სიმულანტებად მიიჩნევენ, რაც კიდევ ახალი მიზეზი ხდება უიმედობით გამოწვეული ტანჯვისთვის.

დაავადების დიაგნოზის დასმა საკმაოდ გართულებულია, რადგან მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს გამოხატული და იმდენად ძლიერად, რომ სხვები „გადაფაროს". მისი მიმდინარეობა ძალიან ინდივიდუალურია, ხშირად სხვა დაავადების ნიღაბს ეფარება. ზოგს მოულოდნელი ალერგიით ეწყება, სხვას — სინათლის შიშით, ირღვევა რომელიმე ორგანოს მუშაობა, შესაძლოა, ადამიანი უმიზეზოდ გახდეს, თმა გასცვივდეს. მაგრამ ყველა შემთხვევაში, დაღლილობის სინდრომი ადამიანის ხასიათზე მოქმედებს, მხიარულ, გულღია ადამიანს ფილანთროპად აქცევს, ძლიერსა და თავდაჯერებულს — სუსტად.

საერთოდ, ეს დაავადება იმათ უვითარდებათ, ვისაც იმუნიტეტი შესუსტებული, ნერვები კი სიმებივით დაჭიმული აქვთ..

ქრონიკული დაღლილობის სინდრომის სამკურნალოდ ექიმები არატრადიციულ მეთოდებს იყენებენ. აუტოტრენინგი, რეფლექსი და ფსიქოთერაპია. მაგრამ უმთავრესი თავად ადამიანის სურვილია — ვისაც გამოჯანმრთელება უნდა, მიზანს ნამდვილად მიაღწევს.

დღეს ამ დაავადებისგან თავის დაზღვევა, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა, მაგრამ გამოსავალი მაინც არსებობს: მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, გულთან ახლოს არ გაიკაროთ უარყოფითი ემოციები, ეცადეთ, ყველაფერი დადებითი მხრიდან დაინახოთ... და გიყვარდეს საკუთარი თავი!

ქრონიკული დაღლილობის სინდრომისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია:

1) გაუთავებელი დაღლილობის შეგრძნება, რომელიც უკვე 6 თვეა გრძელდება;



2) შრომისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება, სწრაფი დაღლის განვითარება მცირეოდენი დატვირთვის ფონზე;

3) დაავადების მწვავე დაწყება;

4) ტემპერატურა 37-38°C ფარგლებში;

5) ტკივილის შეგრძნება ყელის არეში;

6) გადიდებული და მტკივნეული ლიმფური ჯირკვლები (კისრის, იღლიის, კეფის);

7) კუნთოვანი სისუსტე;

8) კუნთთა ზოგიერთი ჯგუფის ტკივილი;

9) ტკივილის გადაცემა სახსრებზე;

10) პერიოდულად თავის ტკივილი;

11) ძილის დარღვევა;

12) ფსიქოემოციური აშლილობა, დეპრესია, გულმავიწყობა.

*მაია მუხიგული*

# გვეკითხებიან

**რა არის მაღალი წნევა და როგორ ვუმკურნალოთ მას?**

*ლელა ძაგნიძე*



წნევის შესახებ საუბრისას მხედველობაში გვაქვს არა მარტო მისი მეშვეობით სისხლის მოძრაობა ძარღვებში, არამედ მისი მნიშვნელობა და როლი ადამიანის ცხოვრებაში. მართლაც, სიცოცხლის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე — მაღალია, ნორმალური თუ დაბალი წნევა. ექიმების აზრით, ნორმალურია: 20-დან 40 წლამდე — 120-130/70-80, 40-დან 60 წლამდე — 135/85 და 60 და უფრო მეტი ხნის ადამიანებისთვის — 140/90 მმ ვერცხლისწყლის სვეტი. საერთოდ, ცნობილია, რომ სისხლის წნევა მუდმივად იცვლება. დღისით უფრო მაღალია, ვიდრე ღამით, ძილის დროს უფრო მაღალია, ვიდრე მუშაობის დროს, სპორტსმენებს კი შეიძლება გაუსაზღვრელ ნიშნულამდეც კი აუწიოთ წნევამ. მაგრამ თუ 2-3 კვირის განმავლობაში იგი ნორმაზე მაღალია, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, რადგან მაღალი წნევა — ეს ჰიპერტონიაა და სავარაუდოა, მას მოჰყვეს — ინფარქტი, ინსულტი, გულის უკმარისობა, სიბრმავე და უამრავი სხვა დაავადება, რომელსაც მტერსაც არ ვუსურვებთ.

მაღალი წნევის დროს ადამიანს ყურებში ხმაური ესმის, თავი სტკივა, თავბრუ ეხვევა, აქვს პირღებინების შეგრძნება, ზოგჯერ ცხვირიდან სდის სისხლი, გრძნობს ტკივილს გულის არეში.

ჰიპერტონია მეტად ვერაგი დაავადებაა, რადგან ნელა და შეუმჩნევლად ვითარდება. მაღალწნევიანი ადამიანები მეტად მეტეომგრძნობიარენი არიან. ამინდის ცვალებადობამ შეიძლება გამოიწვიოს მათში ჰიპერტონიული კრიზი ან უფრო სხვა სერიოზული რამ...

**რაზეა დამოკიდებული მაღალი წნევა?**

**ასაკზე.** ჰიპერტონია ემართებათ 35 წლის ზევით. რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით მაღალი აქვს წნევა და მეტი შანსიც აქვს ჰიპერტონიით დაავადებისა.

**სქესზე.** ჰიპერტონიით უფრო ხშირად ავადდებიან მამაკაცები, ვიდრე ქალები. ქალები კი უმეტესად კლიმაქსის გავლის შემდეგ.

**მემკვიდრეობაზე** დაავადების დიდი რისკია, თუ ახლო ნათესავებში ბევრია ჰიპერტონიკი.

**წონაზე.** მსუქან ადამიანებს შორის, 3-4 ჯერ მეტია ჰიპერტონიით დაავადებული.

**სტრესზე.** ადრენალინი აჩქარებს გულს, რაც წნევის ამაღლებას იწვევს.

**მავნე ჩვევებზე.** სიგარეტის ნევა ვნებს სისხლძარღვების კედლებს, რაც წნევაზე მოქმედებს. ალკოჰოლი — გულისთვის ზედმეტი ტვირთია, ე.ი. მაღალი წნევა გარანტირებულია, და კიდევ, წნევას მაღლა სწევს მარილის ზედმეტი მოხმარება და უმოძრაობა. მათ შორის, ვინც მჯდომარე ეწევა საქმიანობას, 30-40%-ზე მეტი ჰიპერტონიკია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ „ზარმაცი" გული აქვთ.

**წნევის გაზომვის 4 მნიშვნელოვანი წესი:**

1. წნევა გაიზომეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ხოლო აბაზანის მიღების, ყავის ან ჩაის დალევიდან ნახევარ საათში.

2. წნევა გაიზომეთ მშვიდად და დამჯდარმა.

3. უმჯობესია წნევა გაიზომოთ ორივე ხელზე, საბოლოო შედეგად მიიჩნევა ის მაჩვენებელი, რომელიც მაღალია.

4. წნევის გაზომვისას ხელი გაიშიშვლეთ, რადგან აკაპიწებულმა სახელოებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს წნევის მაჩვენებლის სიზუსტეზე.

**თუ წნევა დაბლა იწევს.** ჰიპოტონია — დაბალი წნევა, ისევე შემაწუხებელია, როგორც მაღალი, რომლის დროსაც ადამიანებს აღენიშნებათ მოთენთილობა, მოდუნებულობა, გაღიზიანებულობა, დაღლილობა; დაბალწნევიანები ვერ იტანენ მკვეთრ სინათლეს და ხმაურს. ერთი კია, სიცოცხლისათვის საშიში არ არის. ჰიპოტონია დაავადებადაც კი არ ითვლება და მისი წამალია — ჩაი, ყავა. თუმცა, მოთენთილობასა და მოდუნებულობას უმჯობესია შეებრძოლო სხვა, უფრო რადიკალური საშუალებებით: მიიღეთ ჟენ-შენის ან ჩინური ლიმონურას ნაყენი. გაღიზიანებულობის შემთხვევაში კი დამამშვიდებელი ბალახების ჩაი და მსუბუქი ტრანკვილიზატორები. თუ ადამიანი ჯანმრთელია და ჰიპოტონია არ არის გამოწვეული სხვადასხვა დაავადებით (ტუბერკულოზით, კუჭის წყლულით ან ინფექციური დაავადებებით), მაშინ იგი დამოკიდებულია ცხოვრების წესზე. ჰიპერტონიით დაავადებულს უნდა ეძინოს დღე-ღამეში 8 საათი, ბევრი ისეირნოს ჰაერზე, გაკაჟდეს და ივარჯიშოს. დაბალწნევიანებს ხშირად ეხვევათ თავბრუ და თვალები უბნელდებათ, დილით ეღვიძებათ მოთენთილებს და მოდუნებულებს, შუადღისას ეს ყველაფერი მეორდება, მაგრამ საბედნიეროდ, სწრაფად გაივლის.

შემჩნეულია, რომ ჰიპოტონიას რატომღაც უყვარს ქალები და ახალგაზრდები. 5%-დან 12%-მდე მოზარდი დაბალწნევიანია.

*მედიცინა*

## ინციდენტი ყვითელ ზღვაში

სამხრეთ კორეის სამხედრო გემი საზღვაო აკვატორიაში შეჭრილმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საპატრულო კატერებმა ჩაძირეს. შეტაკება კუნძულ იონფჰენის რაიონში მოხდა. დაიღუპა 4 სამხედრო მოსამსახურე, დაიჭრა — 18. „ჩრდილოეთ კორეის ორმა საპატრულო კატერმა და რამდენიმე თევზმჭერმა გემმა დაარღვია ჩრდილოეთისა და სამხრეთის გამყოფი საზღვაო ხაზი, რომელიც თითქმის 50 წელია მიჯნავს ორ სახელმწიფოს, მათ არ გაითვალისწინეს სამხრეთკორეელ მეზღვაურთა გაფრთხილება და სამხრეთ კორეის ტერიტორიულ წყლებში შეიჭრნენ", — ნათქვამია სეულის ოფიციალურ განცხადებაში. სამხრეთ კორეის ძალოვანი მინისტრები პრეზიდენტთან შეიკრიბნენ საგანგებო თათბირზე ყვითელ ზღვაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ უსაფრთხოების საკითხის განსახ-



ილველად. ბოლო წლების განმავლობაში უფრო სერიოზული ინციდენტი არ ყოფილა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. მათ ხელი არა აქვთ მოწერილი სამშვიდობო შეთანხმებაზე. ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის თითქოს გაუმჯობესდა ურთიერთობა, ფხენიანმა (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) სეულთან მოლაპარაკების სურვილიც გამოთქვა, მაგრამ ამ საზღვაო შეტაკებამ შესაძლოა დიპლომატთა ყველა მცდელობა წყალში ჩაყაროს და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთ კორეა ომის საშიშროების წინაშე დააყენოს.

*გაზეტა რუ*

## უგო ჩავესის მთავრობას მფლანგველობაში ადანაშაულებენ

ვენესუელაში დიდი სკანდალი ატყდა — დაიკარგა არც მეტი და არც ნაკლები — 2 მლრდ დოლარი, რომელიც უნდა ჩარიცხულიყო ეკონომიკური სტაბილიზაციის სახელმწიფო ფონდში. ფონდი 2000 წელს შეიქმნა, მისი რეზერვი 5 მლრდ დოლარი უნდა ყოფილიყო, თანხა, რომელიც ფონდში ჭარბი ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან უნდა შესულიყო, ანგარიშზე არ აღმოჩნდა. საპარლამენტო ოპოზიციამ განგაში ატეხა, პრეზიდენტმა უგო ჩავესმა კი, როგორც ყოველთვის, ამ საქმის მიჩუმათება მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა. დეპუტატებმა სიმტკიცე გამოიჩინეს და სპეციალური საპარლამენტო კომისია შექმნეს.

მთავრობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, — 2 მლრდ დოლარი ფონდისგან ვივალეთ, თუმცა თავად ფონდისთვის არ გვიცნობებია. ფული ხელფასებისა და პენსიების დასარიგებლად გვჭირდებოდა, რადგან სხვა რეზერვი ამჟამად არ გაგვაჩნიაო. თუ მთავრობის ეს საქციელი შეფასდა, როგორც სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, მაშინ ცხადია, დადგება უგო ჩავესის იმპიჩმენტის საკითხი. პარლამენტართა ჯგუფმა უკვე მიმართა გენერალურ პროკურორს განცხადებით — დაიწყოს ჩავესის გადადგომის პროცედურა.

*ნოვიე იზვესტია* №110

## მოკლედ

**აზერბაიჯანის** პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დაიწყო მზადება. მისი კანდიდატურა წამოაყენა პარტია „ახალმა აზერბაიჯანმა". ალიევმა განაცხადა, — არჩევნები დემოკრატიულ ვითარებაში უნდა ჩატარდესო. მისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა 2003 წლის 11 ოქტომბერს იწურება.

**აშშ**-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გაყიდა თავისი კუთვნილი, დაახლოებით 70 მლნ დოლარის აქციები. „ასოშეიტედ პრესი" იტყობინება, რომ პენტაგონის შეფმა ამით დაიცვა სამთავრობო ეთიკის წესი, რომელიც დიდ მოხელეებს ბიზნესმენობას უკრძალავს.

**„ევრონიუსის"** ცნობით, ამერიკელმა მილიონერმა სტივ ფოსეტმა მსოფლიოს გარშემო საჰაერო ბურთით დაიწყო მოგზაურობა. მისი აეროსტატი ცაში ავიდა დასავლეთ ავსტრალიის ქალაქ ნორტჰემიდან. 58 წლის მოგზაურს სურს 16 დღეში შემოუფრინოს დედამიწას.

**სუდანის** სეპარატისტული რეჟიმის ლიდერი ჯონ გარანგი აპირებს, 9 თვეში გამოაცხადოს ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ იგი საკუთარ ფულსაც მოჭრის, რომელსაც „სუდანის გირვანქა" ერქმევა.

## კანადური სამიტი



კანადაში დამთავრდა „დიდი რვიანის" სამიტი. მართალია, ამერიკელთა მიერ შეთავაზებულ წინადადებას, არაფატის შეცვლის შესახებ, სამიტის მონაწილეები სიფრთხილით მოეკიდნენ, მაგრამ ბუშის ინიციატივას, ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, ინტერესით შეხვდნენ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა წინადადება შეიტანა — საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია მოვაწყოთო, კანადის პრემიერ-მინისტრმა ჟაკ კრეტიენმა კი განაცხადა: — 1947 წლის შეთანხმებით, უნდა შეიქმნას პალესტინის სახელმწიფო, მაგრამ არსებობისთვის მას სჭირდება სამართალდამცავი სისტემა, დემოკრატიული არჩევნები და ბევრი სხვა სიკეთეც. პრეზიდენტ ბუშის გეგმაში სწორედ ამაზეა ლაპარაკი და მას ჩვენც მხარს ვუჭერთო.

„რვიანის" შეხვედრის დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო აფრიკისათვის დახმარების გაწევის საკითხი. 8 ქვეყნის ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას აფრიკის ოთხი სახელმწიფოს მეთაურებთან სამშვიდობო ძალთა კორპუსის შექმნის თაობაზე. კონტინენტის უღარიბეს ქვეყნებს ერთ მლრდ ევროზე მეტი ვალი კი ჩამოაწერეს, მაგრამ ახალი კრედიტი აღარ მისცეს, რამაც ანტიგლობალისტებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების აქტივისტების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

„დიდი რვიანის" სამიტის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს აგრეთვე რუსეთისათვის 20 მლრდ დოლარის გამოყოფას ქიმიური იარაღის გასანადგურებლად, რათა ტერორისტებმა ვერ შეძლონ მისი გამოყენება. რუსეთი ამ თანხას 10 წლის განმავლობაში მიიღებს, რაც ექსპერტთა ჯგუფებს რუსეთსა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ ცივი ომის დროიდან დარჩენილი არსენალის განადგურების შესაძლებლობას მისცემს.

*იტოგი* №24

## ჩერი ბლერი: კამიკაძე მებრალება

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მეუღლემ მხარი დაუჭირა პალესტინელ ტერორისტებს, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა. იორდანიის დედოფალ რანიესთან ერთად პალესტინის მხარდამჭერ საქველმოქმედო შეკრებაზე გამოსულმა ჩერი ბლერმა განაცხადა, — აფეთქებები იმიტომ ხდება, რომ ისრაელელებმა არაბებს სხვა გზა აღარ დაუტოვესო.

ისრაელის საელჩომ დიდ ბრიტანეთში მაშინვე მოახდინა რეაგირება ნათქვამზე და განაცხადა: — ძალიან გვიკვირს, რომ ამართლებენ პალესტინელი ტერორისტების მოქმედებას, განსაკუთრებით მძიმეა ამის მოსმენა აფეთქების შედეგად მშვიდობიანი ისრაელელების დაღუპვის დღესო.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის მთავარმა ოპონენტმა, კონსერვატორული პარტიის თავმჯდომარემ მაიკლ ენკრემ უფრო მწვავე განცხადება გააკეთა: — ტერორისტების გამართლება შეუძლებელია, ქალბატონმა ბლერმა შეურაცხყოფა მიაყენა დაღუპულთა ოჯახებსო.

ტონი ბლერმაც მოიბოდიშა მეუღლის ნათქვამის გამო. თუმცა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეკ სტროს განცხადებით, ტერორისტებს დიდ ბრიტანეთში, ჩერი ბლერის გარდა, სხვებიც უჭერენ მხარს. სტრომ თქვა: „გულწრფელად მებრალებიან პალესტინელები, რომლებიც ტერორისტი კამიკაძეები ხდებიან. როცა ახალგაზრდა თავს სასიკვდილოდ წირავს, რა თქმა უნდა, ეს ტკივილს გვაყენებს".

ისრაელელებს არ გაჰკვირვებიათ ბრიტანელ პოლიტიკოსთა სკანდალური განცხადება: — ევროპა კარგა ხანია სანქციებით გვემუქრება, მაგრამ ქაღალდზე მიღებული გადაწყვეტილების იქით არ წასულა. მხოლოდ დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ აკრძალეს ისრაელისთვის სამხედრო მრეწველობაში გამოსაყენებელი აღჭურვილობის მიყიდვა. საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში 6 მლნმდე არაბი ცხოვრობს, ამიტომაც ცხადია, ევროპელი პოლიტიკოსები ცდილობენ პოტენციური ამომრჩევლის გულის მოგებას.

*ნიუზუიქი*

### კვირის ფრაზა

„ვამაყობ, რომ ჩვენი სიუჟეტების მიხედვით („Момент истины") ჩვენმა გენპროკურატურამ 14 სისხლის სამართლის საქმე აღძრა..."

*ანდრეი კარაულოვი*

*რედაქციისაგან: რას ფიქრობენ ამაზე საქართველოს გენპროკურატურაში?*

## ნაპრეზიდენტალს პრეზიდენტზე დიდი შემოსავალი აქვს

პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ სამშობლოში შესაფერისი სამსახური ვერ იპოვა და აშშ-ში ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ შარლოტის ერთ-ერთი ფირმის დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა. ფირმა Nu Tech Solutions კომპიუტერულ პროგრამებს ქმნის და ყიდის, მას მეტად ავტორიტეტული კლიენტები ჰყავს — მათ შორის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი და პოლონეთის ავიაცია.

„სოლიდარობის" 59 წლის ყოფილ ლიდერს მიაჩნია, რომ იგი კვლავ სავსეა ენერგიით და მზადაა სამუშაოდ, მით უმეტეს, რომ როგორც თვითონ აცხადებს, პოლიტიკაში ჩაბმამდე ელექტრიკოსი იყო და რამდენიმე გამოგონებაც ჰქონდა. ლეხ ვალენსა გდანსკის ბიუროში სიამოვნებით არემონტებს კომპიუტერებს და პროგრამებიც შეჰყავს.

ექსპრეზიდენტი არ მალავს, რომ ფირმა უპირველეს ყოვლისა მისმა გვარმა მიიზიდა, მაგრამ ის მზად არის, როგორც მრჩეველმა საერთაშორისო საკითხების დარგში, მოუტანოს მას სარგებლობა. მის მოვალეობაში შედის დირექტორთა საბჭოს სხდომებში მონაწილეობა და ევროპელ პარტნიორებთან შეხვედრა. ხელფასი თვეში 10 ათასი დოლარი დაუნიშნეს. მაგრამ ეს თანხა უფრო სიმბოლური ხასიათისაა, საგადასახადო დეკლარაციის თანახმად, შარშან მისმა წლიურმა შემოსავალმა ნახევარი მილიონი შეადგინა. ვალენსას ხშირად იწვევენ საზღვარგარეთ ლექციების წასაკითხად და კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, მარტო ორ თვეში 54 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და სოლიდური თანხაც მიიღო... ჩემი წლიური საპრეზიდენტო პენსია 15 ათასი დოლარია, სახელმწიფო ხაზინაში კი ბეგარის სახით ათჯერ მეტი შევიტანე. მე გაცილებით მეტ ფულს ვშოულობ, ვიდრე ერთად აღებული ახლანდელი პრეზიდენტი და პრემიერიო, — კმაყოფილებით აღნიშნავს ლეხ ვალენსა.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი* №22

## წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენა ჩრდილოეთ კავკასიას



ჩრდილოეთ კავკასიაში წყალდიდობამ 93 ადამიანი შეიწირა. 47 დაიღუპა სტავროპოლის მხარეში, 31 — კრასნოდარის მხარეში, 10 — ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის რესუბლიკაში, 4 — ჩრდილოეთ ოსეთში, 1 — ყაბარდო-ბალყარეთში. დაზარალდა 303 დასახლებული პუნქტი, უსახლკაროდ დარჩა 321.438 ადამიანი. სახიფათო ზონებიდან ევაკუირებულია 101 ათასზე მეტი. პრეზიდენტი პუტინი განურისხდა სტიქიით დაზარალებული რაიონების ხელმძღვანელებს — დროზე რომ მიგეხედათ, წყალდიდობის საშინელ შედეგებს თავიდან ავიცილებდით, მომხდარზე პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათო.

*ინტერფაქსი*

## ავღანეთში თურქები უფროსობენ

მას შემდეგ, რაც თურქეთმა აშშ-დან მიიღო ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერის გარანტია, სიხარულით ჩაუდგა სათავეში ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტს.

ქაბულში ბრიტანელმა გენერალმა ჯონ მაკოლმა უფლებამოსილება გადასცა თავის თურქ კოლეგას აკინ ზორლუს. ამ ცერემონიას ესწრებოდა ავღანეთის ახალი პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი. მან მაკოლს მადლობა გადაუხადა და მიესალმა აკინ ზორლუს, რომელიც უმეთაურებს საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტს. სამშვიდობო ჯარში 1.300 ბრიტანელიდან 400 დარჩება, მას დაემატება 1.400 თურქი ჯარისკაცი.

ანკარის ახალ მისიას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თავად თურქეთისთვის, ასევე ავღანეთისა და ამერიკისთვის — ეს უკანასკნელი ხომ ბოროტებასთან მთავარი მებრძოლია! თურქეთისთვის ეს კარგია იმიტომ, რომ ამით მას ევროპელი ლიდერების და აზიის თვალშიც წონა მოემატა, რაც, რა თქმა უნდა, ევროკავშირის კარიბჭეს მიუახლოებს, რისკენაც კარგა ხანია მიილტვის. ვაშინგტონმა, თავის მხრივ, მუსლიმანურ ქვეყნებს დაუმტკიცა, რომ კამპანიას მათ წინააღმდეგ კი არ აწარმოებს, არამედ ტერორისტებს ებრძვის. ავღანეთს ხელს აძლევს თურქი ჯარისკაცების იქ ყოფნა, თუნდაც იმიტომ, რომ ორი ქვეყნის მეგობრობას მტკიცე საძირკველი აქვს და ყარზაის თქმით, სწორედ თურქი ჯარისკაცების გვერდით გრძნობენ ავღანელები თავს უსაფრთხოდ. ამის გარდა, ამ ეტაპზე მშვიდობისმყოფელთა ამოცანაში შედის თანამშრომლობა ახალშექმნილ ავღანეთის ჯართან „ალ-ქაიდასა" და „თალიბანის" ნარჩენებთან საბრძოლველად. მეზობლებს კი, როგორც წესი, უკეთ ესმით ერთმანეთის. ეს განსაკუთრებით



მნიშვნელოვანია ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე. ქაბულში გამართულ უხუცესთა შეხვედრაზე ვერ მოხერხდა დაბალანსებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შექმნა. ყრილობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სწორედ უცხოელმა სამხედროებმა დაუკარგეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ფუნქცია, ამიტომაც ყარზაის სურს გვერდით ჰყავდეს ჯარი, რომელიც რიცხობრივად ბრიგადის გენერლების რაზმებზე მეტი იქნება. ამ საქმეში თურქეთი თანაშემწის როლს გაცილებით უკეთ ითამაშებს, ვიდრე ევროპული ქვეყნები.

*ვლასტი* №24

## ალბანელებს ახალი თავკაცი ჰყავთ

ალბანეთში ჩატარებული არჩევნების შედეგი იმთავითვე ნათელი იყო — რამდენიმე დღით ადრე ქვეყნის მმართველი სოციალისტური პარტია და ოპოზიციური დემოკრატიული პარტია პრეზიდენტობის ერთ კანდიდატზე შეჩერდნენ — 74 წლის გადამდგარ გენერალ ალფრედ მოისიუზე.

ბატონი მოისიუ პოლიტიკაში ახალბედა არ არის, იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო ჯერ კიდევ კომუნისტი დიქტატორის ენვერ ხოჯას დროს, მაგრამ 1981 წელს საქმის ღალატი დასწამეს და გაათავისუფლეს. 1991 წელს, ალბანეთის მრავალპარტიული არჩევნების დროს, იგი თავდაცვის მინისტრი გახდა.

ალბანეთის ახლანდელი არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, იმითაა აღსანიშნავი, რომ პრეზიდენტად პირველად აირჩიეს მმართველი და ოპოზიციური პარტიებისთვის მისაღები კანდიდატი. 10 წლის განმავლობაში ეს პარტიები ერთმანეთს ექიშპებოდნენ, თითქმის ვერაფერში თანხმდებოდნენ და ვერც რეფორმებს ახორციელებდნენ. ევროპას ეს მობეზრდა. ევროკავშირმა მკაცრად მოსთხოვა ორივე პარტიას — მორჩით ჩხუბს და საქმეს მიხედეთო. თავიდან პრეზიდენტად ორივე პარტიამ ბრიუსელში ალბანეთის ელჩი არტურ კუკო დაასახელა, მაგრამ კუკომ ნდობისთვის მადლობა გადაუხადა მათ და განაცხადა — მირჩევნია, ევროპაში ჩემი ქვეყნის ინტეგრაციის საქმეს ვემსახუროო. სოციალისტებმა და დემოკრატებმა მაშინვე დაასახელეს მეორე კანდიდატი — ალბანეთის დღევანდელი პრეზიდენტი ალფრედ მოისიუ.

*კომერსანტი* №112

# წერეთელი „პირველი რუსია“...

**ზურაბ წერეთელი, პირველია რუსებს შორის, ვინც საფრანგეთის ნატიფი ხელოვნების აკადემიის „უკვდავთა პანთეონის“ წევრი გახდა**

**(საქართველო თუ ახსენა ან ხელი გაუმართა თანამემამულეებს, „Вы Кавказ не забываете“ — შეფარვით წამოაყვედრიან. მისი ყველაფერი აინტერესებთ, მეტიც — ალიზიანებთ. იქნებ იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ „გარუსდა“. ისევ და ისევ ქართველი მხატვარია — ქართველი მხატვარი თავისი კოსმოპოლიტური ხელოვნებით ვულოცავთ ბატონ ზურაბს ამ დიდ აღიარებას — რედ).**




ამ აკადემიას „უკვდავთა პანთეონს“ უწოდებენ, რადგან იქ მხოლოდ ერთხელ და ისიც სამუდამოდ იღებენ. პანთეონში, სადაც 55 აკადემიკოსია და იმდენივე წევრ-კორესპონდენტი, შესვლა მაშინ შეიძლება, როცა რომელიმე წევრთაგანი იმქვეყნად გაემგზავრება. სხვათა შორის, პანთეონი კარდინალმა რიშელიემ დააარსა. თვითონ მაესტრო მშვიდად ხვდება ახალ ტიტულებს და მიაჩნია, რომ უკვდავებას სულ სხვა რამე ანიჭებს კაცს.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს მასთან.

— **ზურაბ კონსტანტინოვიჩ, უკვდავებაში შედგით ფეხი...**

— უკვდავებაში თუ მართლაც შევედი, არა ტიტულებისა და რეგალიების გამო. არა მგონია, ამან რაიმე შეცვალოს ჩემს ცხოვრებაში. თუმცა სასიამოვნოა, როცა შენს დამსახურებას ასე აფასებენ საფრანგეთში, ქვეყანაში, რომელმაც მშვენიერების ფასი იცის. ეს არა მარტო ჩემი, მთლიანად ხელოვნების აკადემიის დამსახურებაა.

— **კონკურსზე განაცხადი თქვენ გააგზავნეთ?**

— რატომ მე? ნატიფი ხელოვნების აკადემიაში არის საბჭო, რომელიც არჩევს კანდიდატებს. ექსპერტებს გამოაქვთ ვერდიქტი. ამჯერად მე დამასახელეს. ფრანგულმა პრესამ სამართლიანად მიიჩნია ეს გადაწყვეტილება...

— **ფრანგებმა ონორე დე ბალზაკის ძეგლის დადგმაც შემოგთავაზეს. არც ეს ნიშნავს ნაკლებ ნდობას...**

— ორ ბალზაკს გავაკეთებ — ერთს პარიზისთვის, მეორეს — ლა-როშელისთვის. პარიზელებმა უნდა გადაწყვიტონ, სად დაიდგმება ძეგლი. როცა ჩავალ, შევხვდები მათ, გავესაუბრები. ლა-როშელელებმა კი ინტერნეტით ნახეს ჩემი ესკიზი, იმდენად მოეწონათ, პუტინს და ლუჟკოვს სთხოვეს ლა-როშელში იმავე ძეგლის დადგმა. აუცილებლად გამოვაქვეყნებ ამ წერილებს, ყველამ იცოდეს, საიდან მივიღე ეს შეკვეთა.

— **არც კი ვიცი, როგორ გკითხოთ... ორივე ბალზაკი ერთნაირი იქნება?**

— ფიგურა ერთნაირი, ხოლო ზომით სხვადასხვა იქნება — ლა-როშელისა 8-მეტრიანი, პარიზის — 5-ჯერ მეტი სიმაღლის.

— **როდოსის კოლოსის საქმე როგორღაა, ხომ დაპირდით ბერძნებს საჩუქრად, საოლიმპიადოდ?**

— სძინავთ ბერძნებს — ჯერ კონკურსიც არ გამოუცხადებიათ. მე ხომ არ შევახსენებ.

— **არც რომაული პროექტი დაძრულა ადგილიდან, არა?**

— ჯერჯერობით ის ვიცი, რომ გოგოლი უნდა დავდგა (იტალიაში ხომ ცხოვრობდა ბოლო წლებში...) გავაკეთე ესკიზი, ჩავედი, ვაჩვენე იტალიელებს და პირი დააღეს, როგორც ფრანგებმა ბალზაკის ესკიზის ნახვისას. მაშინვე დაადგინეს ადგილი, სადაც ძეგლი უნდა დადგმულიყო — ვილა ბორგეზე. ალბათ, წლის ბოლოს დავდგამთ.

— **მსმენია, მანეჟნაიაზე ბროლის სამლოცველო უნდა დადგასო...**

— ბროლის კი არა, მინის... მაგრამ ჯერჯერობით — ფული არ აქვთ.

— **...გამახსენდა, ჯერ არაფერი გვითქვამს მემორიალზე, რომელიც ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტერაქტების ადგილას დაიდგმება...**

— ნიუ-იორკის იდეა ლუჟკოვს ეკუთვნის — მან შექმნა მომავალი მემორიალის მაკეტი, იმდენად შეაძრწუნა 11 სექტემბრის ტრაგედიამ. კომპოზიციას „ცრემლი და სიხარული“ ჰქვია.

— **ამერიკელებს თუ აჩვენეთ ესკიზი?**

— რა თქმა უნდა. ნიუ-იორკის მერს ველაპარაკე, ჰილარისაც... იგი წარმოადგენს სენატში ნიუ-იორკის ინტერესებს... მაისში ბუშსაც შევხვდი, როცა მოსკოვში იყო ვიზიტად. გაუხარდა. მადლობის წერილი გამომიგზავნეს.

— **ამას წინათ აუქციონზე საკუთარი გრაფიკა გაყიდეთ...**

— არ მიყვარს სურათების გაყიდვა — მირჩევნია გავაჩუქო, მაგრამ მთხოვეს — ბალანჩინის ფონდს ფული სჭირდებოდა. კანადის ტელევიზიამ ჩაატარა აუქციონი, შემოსული ფული ქველმოქმედებას მოხმარდა.

— **ახლანდელი აუქციონისა?**

— ისევ ქველმოქმედებას... შემოსავალი სამ მისამართზე განაწილდა. კასპიისკის ტერორისტული აქტის მსხვერპლთათვის, საქართველოში მიწისძვრით დაზარალებულთა და თბილისის სამხატვრო აკადემიისთვის.

— **აკადემიაში რაღა მოხდა?**

— ხელფასებს ვერ არიგებენ. სალარო გაძარცვეს და სტუდენტ-მასწავლებლები უკაპიკოდ დარჩნენ. როგორ არ დავხმარებოდი თანამემამულეებს?

— **რამდენი გადაურიცხეთ?**

— ასეთ რამეს არ ეკითხებიან, როცა საქმე ქველმოქმედებას ეხება... ცოტა გადავრიცხე — 15.000 დოლარი.

— **კასპიისკში?**

— იცი, რა... ჩემს ბუღალტერიაში მიდი და იქ იკითხე! რაც აუქციონზე შემოვიდა, არც დამითვლია, ისე გადავრიცხე.

— **როგორც ვხედავ, კავკასიას არ ივიწყებთ... აგერ, ჩეჩენი მხატვრების გამოფენაც მოაწყვეთ მოსკოვში.**

— როგორ დამავიწყდება სამშობლო? ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია — ციკლი გვაქვს ჩაფიქრებული „მშვიდობა კავკასიას“. დღეს ჩეჩნების ნამუშევრები გამოვფინეთ, ხვალ კი ინგუშების, დაღესტნელების, ყარაჩაეველების, ჩერქეზებისას გამოვფენთ. დაე, გაიგოს ხალხმა, რომ ხელოვნების ენა ერთია, რომ იგი ყველასთვის მისაწვდომია, ყველას ესმის და, რაც მთავარია, შეიძლება ამ ენით მოლაპარაკება.

*იბეჭდება შემოკლებით*
*იტოგი №25*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
29 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,1709 |
| ინგლ. ფუნტი | 3,3468 |
| რუსული რუბლი | 0,0695 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4012 |

## საქართველო გემრიელი ლუკმაა

საქართველო – აღთქმული მიწაა. გეოგრაფიული მდებარეობით ის იდეალურია XXI საუკუნის ელდორადოს – კასპიის ზღვის ნავთობპროდუქტების გადასაზიდად, საქართველო – გემრიელი ლუკმაა ყველასთვის.

*ლა სოირი (შვეიცარია)*

## კრიმინალური ინტერნაციონალი ამოქმედდა

გასულ კვირას, ლერმონტოვის მიერ ხოტბაშესხმული ჯვრის მონასტრის მიდამოებში, საგზაო პატრულმა შესამოწმებლად ჯიპი გააჩერა. ჯიპში სახელმწიფო თავდაცვის მაიორის სიმონ მჭედლიძის გარდა, ვინმე არტურ ლუტკოვი იჯდა. ოპერატიულმა მუშაკებმა მანქანაში მთელი არსენალი აღმოაჩინეს. ასეთი უახლესი იარაღი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საწყობებშიც არ არისო, — ამბობს მთავარი სამხედრო პროკურორი გიორგი ჯიქია.

პოლიციის ცნობით, თავდაცვის სამინისტროს მაიორი შეთავსებით ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტის პირადი მძღოლიც ყოფილა... ახლანდელი საქართველოსთვის ეს არცთუ გასაკვირი ამბავია. ყველასთვის ცნობილია, რომ იარაღის მიწოდების ბოლო პუნქტი პანკისის ხეობაა.

**კავკასიის პრობლემების ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს,** — საქმე გვაქვს მკვეთრად გამიჯნულ გავლენის სფეროებთან: საქართველოს შსს-ს თანამშრომლები ნარკოტიკების ტრანზიტს და ნარკოვაჭრობას აკონტროლებდნენ, უშიშროების სამინისტროს მუშაკები კი დიდი ხანია განაგებენ იარაღის კონტრაბანდას. ვფიქრობ, მაიორი მჭედლიძე კონკურენტებმა „გააცურეს“. იარაღით რამდენიმე ჯგუფი ვაჭრობს, ისინი დროდადრო ერთიანდებიან. გარკვეული ოპერაციებისთვის ახალი ჯგუფებიც იქმნება. ცოტა ხნის წინ სწორედ ასეთმა „დროებითმა“ ჯგუფმა მოახერხა აფხაზეთიდან პანკისის ხეობაში იარაღის გადაზიდვა. ცხადია, ამის გაკეთება მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებს შეეძლოთ, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ „მიწოდების დერეფნის“ უსაფრთხოებაში, რადგან თავად უზრუნველყოფდნენ მას.

მოკლედ, „დერეფანი“ მოქმედებს: სამხრეთ ოსეთი (ან აფხაზეთი) — საქართველოს რაიონები — პანკისის ხეობა. იარაღი რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მოდის, მაგრამ პანკისის ხეობიდან ყველა როდი იგზავნება ჩეჩნეთში. არეშიძე ამბობს, რომ იარაღის ძირითადი ნაწილი ხეობის სოფლებში რჩება ჩეჩენ ბოევიკებთან და იქ დამკვიდრებულ დამნაშავეებთან. პანკისის ხეობაში წესრიგის დაცვა ანტიტერორისტული საშუალებებით კი არ არის საჭირო, არამედ კონტრკრიმინალური ოპერაციით, რადგანაც ჩეჩნებს ამოფარებული ხალხი, მათ შორის ქართველებიც, აშკარად ემზადებიან არა პოლიტიკური, არამედ კრიმინალური ქმედებებისთვის. სიტუაცია შეიძლება უმართავი გახდესო, — ვარაუდობს არეშიძე.

მის შეშფოთებას იზიარებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ყარყარაშვილი. იარაღის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიაზე რეალობაა. იგი რუსული წარმოშობისაა, ***ყველაფერი რუსეთის ბაზებიდან მიდის. წარმოიდგინეთ, რუსული იარაღი საქართველოს გავლით მიდის ჩეჩნეთში, რუსი ჯარისკაცების დასახოცად!*** აი, ეს არის სკანდალის მიზეზი. რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომს ეწევა, საქართველო კი არაფერს ამბობს იმაზე, რომ რუსეთის ჯართან მეომარ ჩეჩენ ბოევიკებს იარაღს თავად რუსი სამხედროები აწვდიან.

*ნეზავისიმაია №122*



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### ვის ენიშნება სოციალური (ოჯახური) დახმარება

**— მყავს სამი შვილი, ვარ I ჯგუფის ინვალიდი. დანიშნული გვქონდა მარჩენალის პენსია და სოციალური (ოჯახური) დახმარება. ერთ-ერთი შვილი წელს გახდა სრულწლოვანი და არის სტუდენტი. გვეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება?**

*სულიკო თითმერია, ხობი*

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური (ოჯახური) დახმარება ენიშნება იმ მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ, პენსიას იღებენ 14 ლარის ოდენობით თვეში და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან თქვენი შვილი უკვე სრულწლოვანი და შრომისუნარიანია, სამწუხაროდ, აღნიშნული დახმარების მიღების უფლებას ვერ მოიპოვებთ.

*ირინა ღლონტი, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი*

### პროკრუსტეს სარეცელი

**ამ ბოლო დროს ხან ერთ პოლიტიკოსს მოათავსებენ „პროკრუსტეს სარეცელში“, ხან მეორეს. საინტერესოა, რას ნიშნავს ეს გამოთქმა?**

*მზია ხუციშვილი*

პროკრუსტეს სარეცელში მოხვედრა — ეს ისეთ გარემოებაში მოხვედრას ნიშნავს, როცა ესა თუ ის მოვლენა ან პრობლემა ხელოვნურად, არაბუნებრივად უნდა გადაიჭრას, ლოგიკის საწინააღმდეგოდ. ამგვარ სიტუაციებში კი ჩვენი პოლიტიკოსები სისტემატურად ხვდებიან და ამიტომაც ათავსებენ მათ „პროკრუსტეს სარეცელში“.

რაც შეეხება გამოთქმას, იგი შემდეგნაირად წარმოიშვა: ძველი ბერძნული მითის მიხედვით, მღვიმეში ცხოვრობდა მითური გოლიათი — პროკრუსტე. იგი იჭერდა გამვლელ-გამომვლელს და თავის სარეცელზე აწვენდა: ვინც მოკლე (დაბალი) იყო, მას გაწელავდა ამ საწოლის სიგრძეზე, ხოლო მაღალს ფეხებს წააჭრიდა. ორივე შემთხვევაში ადამიანი სახიჩრდებოდა ან იღუპებოდა. განსაცდელისგან ხალხი გმირმა თეზეოსმა იხსნა, რომელმაც პროკრუსტე მოკლა...

### მინდობილობის გარეშე სხვისი ავტომობილის ტარება კანონდარღვევაა

**— მე და ჩემი შვილი ვცხოვრობთ ერთ მისამართზე, ერთ ოჯახში. მაქვს თუ არა უფლება ვატარო ჩემი შვილის კუთვნილი ავტომობილი მინდობილობის გარეშე?**

*ბ. ჯანაძე*

— მინდობილობის გარეშე თქვენი შვილის კუთვნილი ავტომობილის ტარების უფლება არ გაქვთ. მართვის უფლებასთან ერთად უნდა იქონიოთ ხელშეკრულება (ამ შემთხვევაში მინდობილობის სახით), რომელიც განიჭებთ სხვისი უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას.

*მედეა დემეტრაშვილი, იურიდიული ფირმის დირექტორი*

*მკითხველის შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ჟორჟოლიანმა*

„პლასტოპროფი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“

აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

Louise-all
ლუიზოლი
ჭარბთმიანობისაგან განკურნება
სხეულზე შესაძლებელია საფიხმო კრემით და ლოსიონით „ლუიზოლი“. შემდეგ თმა აღარ ამოდის.
უნივერსალური სახის კრემი ნებისმიერი კანისთვის (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები).
თმის ცვენა შეგიჩერდებათ!
თმა გაგიხშირდებათ საფიხმო საშუალებებით და მასაჟით.
მის: ჭავჭავაძის გამზ. 20 ტელ: 29-19-73
იოსებიძის ქ. №53 ტელ: 37-38-13
კაბინეტი „ლუიზოლი“ 10-დან 19 სთ-მდე

მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი როლების შემსრულებელი არასოდეს ყოფილა, პირიქით, საკმაოდ დიდ შუალედებს აკეთებდა ერთი როლიდან მეორემდე, მაგრამ როცა სპექტაკლი შედგებოდა, იფიქრებდი, რომ წლების განმავლობაში მხოლოდ ამ როლისთვის ემზადებოდა. მაყურებელმა შეიყვარა და ხელისუფლებასაც გაუჩნდა სურვილი მისდამი კეთილგანწყობის გამოხატვისა. მაგრამ შარშან ბატონმა ნოდარმა ღირსების ორდენის მიღებაზე უარი განაცხადა. მე არ მკითხავს მიზეზი... ისედაც ყველაფერი ნათელია, მით უმეტეს, რომ ბატონი ნოდარის ყოველი ფრაზა ამ კითხვის პასუხია, მიუხედავად იმისა, შორეულ წარსულზე საუბრობს თუ გულსატკენ დღევანდელობაზე.

— **თქვენ გაგიმართლათ, სწორად მიაგენით პროფესიას, რომელმაც აღიარება და სიყვარული გაჩუქათ.**

— დრამის მსახიობობაზე საერთოდ არ მიფიქრია. სიმღერა მინდოდა, მაგრამ ხმა დავკარგე. ამიტომაც გადავწყვიტე „გეპეიში" შესვლა. პირველივე გამოცდაზე ჩავიჭერი. ზურაბ ანჯაფარიძის ძმამ, ჯემალმა მითხრა: შენ მაინც სიმღერა გინდა და მოდი, თეატრალურ ინსტიტუტში შედიო. ვისწავლე ერთი ლექსი,



**ზოგჯერ ვფიქრობ: სად არის ბოროტების სათავე? ისე უბრალოდ აბრალებენ ერთმანეთს ჰომოსექსუალისტობას, ქუჩის ქალობას, ქურდობას. შემიძლია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დაგაბრალო რამე, წადი და ამტკიცე, რომ ტყუილია. როდემდე უნდა იყოს ასე?**

მოთხრობის მონაკვეთი, იგავ-არაკი და გავედი გამოცდაზე. ასე შემთხვევით მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში... მაგრამ ჩემი მაშინდელი ოცნება — ოპერის მომღერლობა, სულ სხვანაირად მდევს თან. როლს მივიღებ, რეპეტიცია მაქვს თუ სპექტაკლი, სულ მინდა ოპერის სცენაზე წარმოვიდგინო თავი. მუსიკის წერის ნიჭი არ მქონია. მაგრამ სპექტაკლში ყოველ მოძრაობას, სცენას პიესაში მუსიკას ვუხამებ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემგან ოპერის მომღერალი არ დადგებოდა: არც ჩემი კომპლექცია შემიწყობდა ხელს, არც ბრონქები. ალბათ კარგია, რომ დრამის თეატრში აღმოვჩნდი, მაგრამ... ის პირველი განცდა მომღერლობის სურვილისა ისევ თან მდევს.

— **მსახიობობა დიდ ხიბლსაც მოიცავს და დიდ სირთულესაც, განსაკუთრებით ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური მდგომარეობა სავალალოა...**

— ხანდახან უცხოელი მსახიობების შესახებ ვკითხულობ სტატიებს. ისინიც კი უკმაყოფილოები არიან, ამბობენ: ყოველთვის არ ვართ განწყობილები გავიდეთ და ვითამაშოთო... თუმცა ისინი ჩვენთან შედარებით სამოთხეში არიან. მათ ყოველდღე უნდა ივარჯიშონ, იცურაონ, დაისვენონ კიდეც. მაქვს მე ამისი საშუალება? ჩვენთან მსახიობი იმას ფიქრობს, როგორ ირჩინოს თავი და ოჯახი. მხატვარი, მწერალი,

**...თუკი კაცი ყველაფერზე წახვალ, ბევრს მიაღწევ კიდეც. მთავარი ხომ ეს არ არის?!**

**...ახლა ისეა, რომ საფლავებს ყიდიან უკვე. ვაკის სასაფლაოზე ბევრი შემთხვევა ვიცი, შთამომავლებმა რომ წინაპრის საფლავი გაყიდეს. აქამდე როგორ მივიდა ადამიანი, როგორმა გაჭირვებამ შეიძლება შენი წინაპრების ძვლები გაგაყიდვინოს?**

**...მე მგონი, აღარ უნდა ვიყო თეატრში. წასვლაზე ბევრჯერ მიფიქრია... ეტყობა, ვეღარ ვხედავ ჩემს თავს შემოთავაზებულ როლებში. თითქოს სხვა სიომ დაქროლა.**

**...ჩვენი დედამიწაზე ყოფნა ისეთივე რეპეტიციაა, ჩვენ რომ გავდივართ თეატრში. ხომ არ შეიძლება, აქ ცხოვრების საცოდავი 70 თუ 75 წლის გარდა არაფერი არსებობდეს ამოდენა სამყაროში.**

კომპოზიტორი იმდენად თავისუფალი მაინც არის, რომ როცა შემოქმედებითად განეწყობა, მაშინ მიუბრუნდება ხელოვნებას. განსაზღვრულ დროს, მობილიზებული უნდა გამოვიდე და განვასახიერო როლი, მიუხედავად ყველაფრისა. ტანჯვაა, აბა, რა... რამდენჯერ ზამთარში სიცხიანი მოვსულვარ, გავალ სცენაზე, ვითომც არაფერი... ვბრუნდები შინ, ისევ სიცხე მაქვს. მსახიობი არის შეწირული, ის თავისი ცხოვრე-

# მარტოკაცი ჯაყოების ქვეყანაში

## ღირსება ღირსების ორდენის გარეშე

ბის წესით, ამოცანით, ვალდებულებით ეწირება თეატრს...

— **ცხადია, შეგეძლოთ საზღვარგარეთ კარიერის შექმნაზე გეზრუნათ, ბევრ პრობლემას მოიგვარებდით.**

— ერთ ამბავს გიამბობთ: ერთხელ საფრანგეთში ვიყავი ფილმის გადაღებაზე. მე და ჩვენს იქაურ მემონტაჟეს, რომელმაც რუსული იცოდა კარგად, გადაღებების შემდეგ გვინდოდა გვესადილა. გრიმს მოვიხსნი და მოვალ-მეთქი, ვუთხარი. მან დაიჟინა, არ გინდა, ნუ წვალობ, ნეტა ვინ გიყურებს, გრიმით წამოდი, მერე ხომ თავიდან უნდა გაიკეთოო... წავედით, მართლაც არავის მოუქცევია ყურადღება. ქუჩაში მემონტაჟეს ტყავის პიჯაკიანი, შარფშემოხვეული კაცი შეხვდა. ისაუბრეს, შემდეგ ამ კაცმა კაფეში დაგვპატიჟა. მემონტაჟემ რომ მითარგმნა, ვუთხარი: რატომ, კაცო, ფული მაქვს, მე გადავიხდი-თქო (ოხ, ეს ჩვენი ქართული ხასიათი!), რას ამბობ, გვპატიჟებს და გადაიხდის კიდეცო. სუფრასთან შევნიშნე, უცნობი დაჟინებით მიყურებდა. ვიფიქრე: ამას რამე ხომ არ ეშლება-მეთქი! არა და, ჩემი ეჭვი მართალი აღმოჩნდა. თურმე ის მართლაც ცისფერი იყო, მაგრამ თან სახელოვანი რეჟისორიც, რომელსაც ოთხი ოპერა და ორი კანტატა ჰქონდა დადგმული მარია კალასისათვის. მემონტაჟემ მითხრა: ძალიან მოეწონე, მკითხა, როგორი მსახიობიაო. ჩემი აზრი რომ ვუთხარი, გთხოვა, თუკი დარჩები საფრანგეთში, მონოსპექტაკლს დაგიდგამს, გასწავლის ფრანგულს, რომ ტექსტის გადმოცემა შეძლო, ძირითადად მოძრაობა დაგჭირდება სცენაზე... მუსიკაც კი შენი გემოვნებით შეგიძლია აირჩიო, ამაზე უკეთესი რა გინდაო... მე ვუთხარი: ასე უპასუხე მაგ რეჟისორს, არ სცალია, ინგლისში, ჰოლანდიაში, იტალიაში, გერმანიაშია მიწვეული, სპექტაკლი ქართულად უნდა ითამაშოს-თქო... იცით, რატომ გავიხსენე ეს ამბავი? თუკი კაცი ყველაფერზე წახვალ, ბევრს მიაღწევ კიდეც, მთავარი ხომ ეს არ არის?!

— **ჩვენს საზოგადოებაში საქმე ასეა დაყენებული: მთავარია მე ვიყო კარგად და...**

— ეს საშინელებაა. რამდენიმე წლის წინ დამიბარა მეტყველების პედაგოგმა ბაბულია ნიკოლაიშვილმა თეატრალურ ინსტიტუტში და შემომთავაზა სტუდენტებისათვის მეტყველება მესწავლებინა. თავიდან შორს დავიჭირე თავი: სად შემიძლია, სხვას ვასწავლო-მეთქი. იმდენი მელაპარაკა, დამარწმუნა. მომცეს მეოთხე კურსი, რომ იკითხო, IV კურსზე ჩამოყალიბებულია ადამიანი, მზადაა იმისათვის, რომ ან გააგრძელოს, ან მოეშვას ამ პროფესიას... დავიწყე მათთან სიარული. გავიდა ერთი კვირა, ერთი თვე, ორი თვე.. ვატყობ, ერთს დავიბარებ ინდივიდუალურ ერთსაათიან მეცადინეობაზე, გადის საათ-ნახევარი, მეორე სტუდენტი, მის შემდეგ რომ უნდა მოვიდეს, არ ჩანს... მაშინ იქნებ ეს მოსული სტუდენტი ვამუშაო დიდხანს, — ვფიქრობ. ვატყობ, — არ უნდა, გაქცევაზე აქვს თვალი. ველოდები მესამეს, ისიც არ მოდის. დამთავრდა გამოცდები და ვუთხარი: მივდივარ-მეთქი. ასე არ შემიძლია, ამათაც ვატყუებ, ჩემს თავსაც-მეთქი. იმდენ კომპრომისზე მომიხ-

და წასვლა, რომ მერჩია გავცლოდი იქაურობას. თითქოს ცნობიერება გაიყინა, საბჭოთა დროს რომ ერთ ყუთ კონიაკს ჩაიტანდნენ ხარკოვში თუ როსტოვში და იცავდნენ ხარისხს, იმ ინერციით მოდიან ისევ.

— **ბატონო ნოდარ, ყველამ იცის, რომ თქვენ პირუთვნელი სიმართლის მთქმელი ბრძანდებით. ძალიან რთულია ასე ცხოვრება — მუდმივად კონფლიქტები, სიმართლის მოსმენა ხომ არავის სიამოვნებს...**

— მე ძალიან ვირთულებ ცხოვრებას, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია. ჩემზე ხანდახან იტყვიან ხოლმე, მყრალია, მყრალიაო! მყრალი კი არ ვარ, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. ახალგაზრდობაში უფრო მკვეთრი ვიყავი. ხანში რომ შევედი, დავრბილდი... მომბეზრდა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს მართალია, ის — ტყუილი. ზოგჯერ ვფიქრობ: სად არის ბოროტების სათავე? ისე უბრალოდ აბრალებენ ერთმანეთს ჰომოსექსუალისტობას, ქუჩის ქალობას, ქურდობას. შემიძლია ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დაგაბრალო რამე, წადი და ამტკიცე, რომ ტყუილია. როდემდე უნდა იყოს ასე? ისე აირია ყველაფერი, რა ცხოვრებაცაა, ის მთავრობაა, რა მთავრობაცაა, ის საზოგადოებაა... სხვანაირი გახდა ყველაფერი. ხელისუფლება ხალხის კეთილდღეობას კი არა, საკუთარ კეთილდღეობას ემსახურება. ამისთანა პირობებში ვინმე რამეს რომ იტყვის, გმირობა კი არ არის, ლოგიკური ამბავია. დამახინჯებული ცნობიერება გვაქვს, რაღაცას არ ვკადრულობთ თითქოს, არადა, შენს საქმეს სხვა ვინ გააკეთებს? პირველ სართულზე ვცხოვრობ. თუ რამე ყრია, არ შემიძლია, უნდა ჩავხვეტო. გამოივლის მეზობელი: ოხ, ბატონო ნოდარ, თქვენ?! თქვენ რატომ... მეც პასუხს არ ვაყოვნებ: მაშინ მოდი და შენ გააკეთე! მეუღლეც რომ მყავდა, მაშინაც მე ვაკეთებდი და სულ არ მრცხვენოდა ამისი.

— **თქვენი სიმართლისმოყვარეობის გამო ბევრჯერ გეტკინებოდათ გული. იმავე ხვედრისთვის შვილს და შვილიშვილს თუ გაიმეტებდით?**

— ბევრი ტრავმა მიმიღია — სულიერიც, ფიზიკურიც. არავის არ ვთხოვ, ჩემნაირი იყოს, მაგრამ ამისი მოთხოვნილება თვითონ უნდა ჰქონდეთ. ჩემს დროს დანის და იარაღის ტრიალი არ იყო. მერე შემოიღეს: სამართებლის ნატეხს ჩადებდნენ ხეში. ოდნავ იყო პირი გამოწეული, ისე დაგისვამდნენ სახეზე, რომ... ძალიან ბევრი ჩვენი თაობიდან ამას შეეწირა. ვერიდებოდი ამის მქნელ ხალხს, მეშინოდა... ე.ი. მთლად გიჟი არ ვარ, მაგრამ შებრძოლება აუცილებელია. თუ არ შეებრძოლები, შენი შვილი, შვილიშვილი გახდება ამ უბედურების წერა.

— **დრომ მოიტანა და ღირებულებებიც გადაფასდა.**

— ახლა ისეა, რომ საფლავებს ყიდიან უკვე. ვაკის სასაფლაოზე ბევრი შემთხვევა ვიცი, შთამომავლებმა რომ წინაპრის საფლავი გაყიდეს. აქამდე როგორ მივიდა ადამიანი, როგორმა გაჭირვებამ შეიძლება შენი წინაპრების ძვლები გაგაყიდვინოს? მე მამაჩემის საპარსი მაქვს დღემდე; „ბეზაპასნის" რომ ეძახიან. ხან რა მოსძვრა, ხან რა, შევაწებე, შევაკოწიწე და მაქვს. რატომ? სხვა შეგრძნებაა ეს. ამაში ინახავ სისუფთავეს და შენი თავის პატივისცემას. სახსოვარი რომ გადააგდო, მერე საფლავი გაყიდო, მკვლელიც სულ უბრალოდ გახდები.

— **მაშინ, როცა თემურ ჩხეიძე „ჯაყოს ხიზნებს" დგამდა, თუ წარმოიდგენდით, რომ ოცი წლის მერე ისევ ჯაყოების ქვეყანაში იცხოვრებდით?**

— მაშინაც დიდ სიყალბეს იყო მოჭიდებული საზოგადოება და დღესაც ასეა. მაშინ უბრალოდ სხვანაირი გამოხატულება იყო, ახლა სხვანაირად გამოიხატება ჯაყოობა. ტელესპექტაკლი როგორც კი გამოვიდა, ატყდა ერთი ამბავი. როგორ, ჩვენ, ქართველებმა, ქალის პატივისცემა არ ვიცით დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ქვეყანაშიო. ჯავახიშვილი ახლა მეორედ უნდა დაიხვრიტოსო. ამას ერთი და ორი კი არ ამბობდა... ინერებოდა კოლექტიური წერილები და მხოლოდ ერთეულები აღშფოთდნენ ამის გამო.

ახალი გამოსული იყო „ჯაყოს ხიზნები" ეკრანებზე. მანქანას ვრეცხავდი. ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა და მითხრა: ბატონო ნოდარ, რატომ ითამაშეთ ეგ როლი, რად გვინდოდა ეგ სპექტაკლი, ვის სჭირდება, ვიღაც გადამთიელმა რომ ხევისთავს ცოლი წაართვა, ეგ ამბავიო? ვუთხარი: რა ვქნა, მე მსახიობი ვარ, მიმაჩნია, ეს პიესა საჭიროა და ვითამაშე-მეთქი. მეორედაც მოვიდა ეს კაცი, დიდი სატვირთო მანქანიდან გადმოიხედა, დამიძახა. გავედი, ვხედავ ფურცლები აქვს გაზეთში გახვეული: ესო, ჩვენს ატეკაში დავწერეთო. ოცდახუთმა კაცმა მოვაწერეთ ხელი, რომ ეს ნაწარმოები აიკრძალოსო... ვკითხე — შენ მძღოლი ხარ, რომელ საათზე მიდიხარ სამუშაოდ-მეთქი? ასე 5-6-ზე უნდა ავტოფარეხში ვიყოო. მაგ დროს ცოლ-შვილს სძინავს-მეთქი? სძინავთო: შუადღისას თუ მიდიხარ სახლში-მეთქი? არა, ბიჭები ერთად ვსადილობთო. საღამოს? საღამოს გვიან, ასე 11-12 ხან 2 საათზეც ვბრუნდები. მარტო სამსახური ხომ არ არისო... ჰოდა, შენ რომ მთელი დღე შინ არ ხარ, ხომ შეიძლება მოვიდეს ვინმე ჯაყო და ცოლ-შვილი წაგართვას-მეთქი. დაფიქრდა, მერე ფურცელი გადახია: ეს რა მიქნეს, მე მაგათიო, ხომ შეიძლება ასეთი რამე მართლა მოხდესო... წავიდა. იმის მერე აღარ გამოჩენილა.

— **ბევრი ტკივილის გადატანა კი გიხდებათ მსახიობებს, მაგრამ თქვენ ძალიან გიყვართ თქვენი პროფესია და ხალხსაც უყვარხართ...**

— სიყვარული კი არსებობს, მაგრამ არის ერთი „მაგრამ", რომელიც სულ გულს მიღრღნის. მე მგონი, აღარ უნდა ვიყო თეატრში. წასვლაზე ბევრჯერ მიფიქრია... ეტყობა, ვეღარ ვხედავ ჩემს თავს შემოთავაზებულ როლებში. თითქოს სხვა სიომ დაქროლა. როცა ვხედავ, რა სიამოვნებთ, რას უყურებენ, თავს ზედმეტად ვგრძნობ. რომ მეკითხებიან, რას ითამაშებდიო, — არ ვიცი. კონკრეტულად, რაღაც კი მინდა, მაგრამ რა...

— **არ გიცდიათ ერთი მსახიობის თეატრში მონოსპექტაკლის დადგმა? იქნებ მიგეგნოთ თქვენთვის საჭირო სახისთვის...**

— ახლა პირველად ვამბობ ამ სიმართლეს: საშინელი ზარმაცი ვარ. ვერ გეტყვი, ძალიან გადატვირთული ვიყავი-მეთქი, მაგრამ ბევრ შემოთავაზებაზე ვამბობდი უარს, რატომ? უფრო ოჯახს, ჩემს წრეს, მეგობრებს ვუთმობდი დროს... თუმცა მუშაობას თუ დავიწყებდი, 24 საათი თავდაუზოგავად ვშრომობდი. მხოლოდ, სპექტაკლის შემდეგ მჭირდებოდა მარტოობა, რომ დაცლილი ენერგია აღმედგინა.

— **ისე მოხდა, ძირითადად, სევდისმომგვრელ თემებზე ვისაუბრეთ, ცხ-**



**ოვრების უარეს მხარეს შევეხეთ, თუმცა ბევრი რამ კარგიც არსებობს, რისთვისაც ღირს ყველაფერი — სიცოცხლე, შრომა, წვალება...**

— რა თქმა უნდა! ჯადოქრობა არ არის? არ იცნობ კაცს, დაინახავ და შეგიყვარდება. წიგნებში ტყუილი კი არ წერია მშვენიერ გრძნობაზე. ეს მშვენიერება არსებობს. მე თავად გამოვცადე. აბაშაში, სოფელია ერთი — მარანი. იქ გვქონდა გასვლითი კონცერტი. ერთი შეხედვით შევამჩნიე ორი გოგო, იქაურებს არ ჰგავდნენ. უცებ ვიღაცამ მითხრა, გეძახიანო. გავედი. ვხედავ, ის გოგოები არიან. თბილისელები ყოფილან, სტუმრად ბებიასთან ჩასულები. თვალმოუშორებლად ვუყურებდი ერთ-ერთს და გულში ვფიქრობდი, ნუთუ ეს იქნება ჩემი მეუღლე-მეთქი? ასეც მოხდა ბოლოს... არ არის ეს მშვენიერი? თბილისში რომ ჩამოვედი, მარტო ის ვიცოდი, რომ ციალა ერქვა. დავდიოდი რუსთაველზე და ვეძებდი ციალას. როგორც იქნა, 8 სექტემბერს დავინახე, გავაცილე. ისეთი ტალახი იყო მის ქუჩაზე, ჩემს მტერს. მთელ თბილისში ვერ იპოვიდი ტალახს, იქ არ შრებოდა, მოვიდოდი სახლში: დედა მეკითხებოდა: სად იყავი, შვილოო? ტლაპოში ჩავვარდი-მეთქი. ყოველდღე რავა ტლაპოში ვარდებიო?! რატომ გავყევი იცით, მოგონებებს? ჯერ ამ ცხოვრებაშიც ბევრი რამ არის მშვენიერი, მერე კიდევ ჩვენი დედამიწაზე ყოფნა ისეთივე რეპეტიციაა, ჩვენ რომ გავდივართ თეატრში. ხომ არ შეიძლება, აქ ცხოვრების საცოდავი 70 თუ 75 წლის გარდა არაფერი არსებობდეს ამოდენა სამყაროში. ასეთი უსასრულოა ზეცა და ამდენი გალაქტიკა არსებობს და მარტო იმიტომ, რომ ვიღაცამ 30 ხმით მეტი მიიღოს, და ვიღაცამ მერსედესი იყიდოს? ამ ქაოსში გვავიწყდება მთავარი: სულს შეუძლია მხოლოდ სიყვარული, ადამიანი კი სიყვარულისთვის იბადება. ამაზე მეტი მშვენიერება რა გინდა?!

*ლელა ჯიყაშვილი*

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა. 2. ჟურნალისტიკა.
3. ქართული ენა-ლიტერატურა. 4. უცხოური ენები - ინგლისური. გერმანული. ფრანგული. რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
6. ფინანსები და საბანკო საქმე. 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია.
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია.
9. ისტორია და რელიგიის ისტორია.
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება.
11. ფიზიკა და მათემატიკა. 12. ქიმია და ბიოლოგია.
13. სკოლამდელი აღზრდა.
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა. მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

## მილოცვა

**ეკა ჩხარტიშვილს!**

მშვენიერ, ნიჭიერ, ჭკვიან, სასიქადულო ადამიანს, ვულოცავთ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოპოვებას, ვუსურვებთ წარმატებებს, წინსვლას, სიხარულს.

*ახლობლები*

ჩვენს საყვარელ ბიძაშვილს, **თათია იობაშვილს**, ვულოცავთ ოქროს დაბადების დღეს – 5 ივლისს, 5 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*მამიდაშვილები: ნათია, ნანა, ირაკლი სამჭკუაშვილები, ლევან და გიორგი მაჭავარიანები*

**დოდო კუჭუხიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს – 27 ივნისს. გისურვებ ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას. ღმერთმა უმრავლოს საქართველოს შენისთანა ღირსეული მამულიშვილები.

*ჯემალი*

**ირმა გარაყანიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს – 2 ივლისს. ცხოვრებამ ბევრი განსაცდელი მოგიწყო. შენ სულით ძლიერი ხარ. გჯეროდეს, რომ ღმერთი არ გაგწირავს, მოგანიჭებს სიხარულს და ბედნიერებას.

*ელისო ბუთხუზი*

## მადლობა

**მედეა მასწავლებელს!**

დღევანდელობით, არიან პედაგოგები, რომლებიც განსაკუთრებულ კვალს ტოვებენ თავიანთ აღსაზრდელთა სულებზე, კვალს განათლებულს, რომელიც არასოდეს ხუნდება. პირიქით, წლებთან ერთად ემატება სიცხოველე და ეს გამოწვეულია არა მარტო ღრმა პროფესიონალიზმით, არამედ არაჩვეულებრივი თვისებებითაც.

ქალბატონმა **მედეა გურგენიძემ** უსაზღვროდ შეგვაყვარა მათემატიკა. შეგვაყვარა ერთმანეთი, ჩაგვინერგა კეთილსინდისიერება, პატიოსნება, სიკეთის რწმენა, სამშობლოს სიყვარული და ჩვენს პიროვნებებად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მთავარია იყო არა მარტო კარგი მათემატიკოსი, არამედ კარგი ადამიანი! – ეს არის მისი კრედო, მისი ცხოვრების მრწამსი, რომელიც ასე გვითავისეს ჩვენც, მისმა აღზრდილებმა.

ძვირფასო მედიკო მასწავლებელო! ბევრჯერ მოგვყვრია, მაგრამ მაინც ვერ გითხარით ის, რაც ახლა სახელდობ გვინდა გაგიმხილოთ: ძალიან გვიყვარხართ, მადლობელი ვართ თქვენი დიდი გულისათვის, დიდი სითბოსთვის – ასე უხვად რომ გვინაწილებდით. გპირდებით, იამაყებთ თქვენი აღზრდილებით და გვჯერა, რომ კვლავაც მრავალ თაობას დაგვრთავთ, თქვენებურად დაულოცავთ დიდი ცხოვრების გზას და კვლავაც მოიმკით იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც ასე უანგაროდ გასცემდით. გმადლობთ!

*თბილისის 42-ე საშუალო სკოლის XI' კლასის 2002 წლის კურსდამთავრებულნი*

## ბინები

2-ოთახიანი, არასტანდარტული, სუფთა ბინა ლოჯიით, საბურთალოზე – 48 კვ.მ. ფასი $20.000. მის: ბუდაპეშტის ქ. №4, მე-4 სართ. ტელ: 38-98-94. ნანა

იყიდება 1,5-ოთახიანი ბინა წერეთელზე, №9 კორპუსი, I სად. მე-3 სართ. ფასი 10.500$. ტ. 34-26-39

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) მუხრანში 800 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

ცხვარიჭამიაში, პიონერთა ბანაკ „მერცხალთან", 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით. ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გვჭირს 4 ვაკანსია. საშუალო, უმაღლესი განათლებით, რუსული ენის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი ბ-ნი დიმიტრი

ამერიკულ-ინგლისურ-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ სამუშაოს სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამომუშავებით, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46. ქეთი

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი ლენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად. III სართ. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გოგოლაძე

(ელექტრონული ეპილაცია) თანამედროვე აპარატურის გამოყენებით, მოკლე დროში, ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ: 39-27-35, 893-30-52-00

„ფენიქსი", ქერათ(?)ელებს: კარგად გაკეთებული ეპილაცია ნაძვლად მორჩენის ნაბარს და გაუხეშებულ თმას. მის ეკვარად მორჩენას კი სპეციალისტი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად. I სართ. ბინა 3. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ერთჯერადი ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. უკვდავად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განკურნებით ეფექტურად. ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ქირურგიის სამეცნიერო განკურნება უმოკლეს დროში და უკვლავი არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პროფესიონალი მკურნალობა. მაღალი ხარისხი, გარანტია (თმის დამორჩენით). გაკეთეთ სწორი არჩევანი და ხარისხზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფიანი. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, აზმაიძის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

„ლეიზილი" – ქალის ფსიქიკისა და სულის ლოლიკი – სწრაფად მოგიხსნით ცხოვრების ნებისმიერ პრობლემას; გახდომა და ცელულიტის დაშლა შიმშილობის გარეშე, უნიჭულო, სტაბილური შედეგით. მის: ჭავჭავაძის გამზ. №20. ტელ: 29-19-73; იოსებიძის ქ. №53. ტელ: 37-38-13. კაბინეტი „ლეიზილი"

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული ფილაქტერით (შედეგი შენარჩუნდება), სახისა და ტანის; სახის გაწმენდა; თმის მოვლური შეღებვა – 5 ლარი; დავარცხნა-გაკეთება – 4-5 ლარი; ღვეზოდირებული შეღებვა – 15-20 ლარი. აგრეთვე არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ნინა. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

სილამაზის სალონი „მიმი": თმის მოდელური შეჭრა, კეთილთვის მიხედვით – 5 ლარი, დავარცხნა – 5 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება, შეღებვა – 15 ლარი, სალონისწვლილი ვარცხნილობა – 15 ლარი; მანიკიური, კოსმეტოლოგიური მომსახურება, მასაჟი. მის: მ. „რუსთაველთან", (ზემოზე), მიწისქვეშა გადასასვლელში, 10-19 სთ. ტ: 99-63-14

ლითონის ნაკეთობათა სამჭრო დაგიმზადებთ: ალუმინის კარ-ფანჯარას (შეღავათიან ფასად); ფარდაგულეზებს – 40-45 ლარი; რკინის კარს – 300 ლარი; გისოსებს – 25-30 ლარი; „გარმოშკას" – 60-65 ლარი; ხვეულ კიბეს (საფეხური 25 ლარი); მოაჯირებს – 25 ლარიდან; კარადებს სათავსოებისთვის, ავტოფარეხებს და სხვა. ტელ: 38-34-92; 899 51-06-71

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამზარეულოზე შალითების შეკვეთა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვუვლი გერმანულ ტყავის სამუხლებს. ტელ: 95-97-12. ვალერი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლედებსა და სამზარეულოზე შალითების გადაკვრა-დამონტაჟებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაკეთებ ნახერხ-ნაფთის ხიხინებს. დიამეტრი – 600-750 მმ. ტელ: 899 16-09-10

დასვენება ესპანეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; დასვენება აჭარაში: ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური; აბასთუმანი, ბორჯომი, ცემი – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Diluplus". http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ტურისტული ფირმა „ქართი" გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, კარგი პირობებით და ხელმისაწვდომ ფასებში, (10-15 დღე), 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს, ეზოში(?). კმაყოფილები დარჩებით! მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნინო ლაღუა

ჯგუფური და ინდივიდუალური დასვენება ქობულეთში, ფიჭვნარში (სასტუმრო „ალეონის" მიმდებარე ტერიტორია), კერძო სექტორში, ათი დღე სამჯერადი კვებით კოტეჯში. ფასი: 10 დღე – 70-დან 300 ლარამდე, სეზონისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვით. მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, კაბ №31 (ეზოს ბოლოში). 10-18 სთ. ტელ: 69-18-38 (დილა-საღამოს); 95-83-54 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ხელსაწყოთი, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების (ქლამიდია, ტრიქომონაზი და სხვა), უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ, სხვა დღეებში – წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

მუშაობას იწყებს არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სრულად დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ეკლესია ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუჯესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო პასნის, ინდურ ჩაჯრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ეხმარება თავის ტკივილები, შაკიკი, ლეპროსია, ნევროზები, საშვილოსნოს ნაწილობრივი ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ეკლესია ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატის საშუალებით იკურნება გარანტიით სტრესი, ნუნია კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კოლიტი, ქოლეცისტიტი, კრიტიკულ(?), ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის: ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „ვარაზისხევი"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მიწვეული ჰყავს რუსეთისა და ისრაელის კლინიკაში ნამუშევარი მაღალკვალიფიციური ექიმი, რომლებიც მკურნალობენ: საკვირი ნერვის ანთებას, მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, ოსტეოქონდროზს, ასთმურ ბრონქიტს, სტრესს, პარალიზებას, ყურებში შუილს, ნევროზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, ბუასილს, თმის ცვენას, ართრიტს, სტენოკარდიას, მანკს, ინფარქტის შემდგომ მდგომარეობას; დაავადებებით წინაშე. მკურნალობის კურსი 10-დღიანი. მის: აღმაშენებლის 113. კაბ. №17. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29

ხალხური მედიცინის მკურნალი შეგეხვეწებით! ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მიომური კვანძების, მასტოპათიის, ბუასილის ეფექტური, უტკივილო და გარანტირებული მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უპასუხო კონსულტაცია! მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112 (ჩოლოყაშვილის ქ. №10), ეზოში. სამკურნალო ცენტრი „კოლხი მედეა". ტასო ელიზბარაშვილი. მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, წინასწარი ჩაწერით. ტ: 94-00-27 (სამს); 897 58-29-18

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – აღჭურვილი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით და სხვა მეთოდებით აღმოფხვრით ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ჭაბუკობის, ჭარბეტყველების, ბორძიკობის ჩამორჩენილობის, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, ბავშვთა ტრავმებს. წინასწარი სატელეფონო ჩაწერა: 899 55-05-75

პირველად საქართველოში! მილიონი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა. გულისა და თავის ტვინის ტელემეტრული ბიორიტმების საშუალებით შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კურსი მცენარეული პრეპარატებით. ფინიშდება დაზიანების ადრეული კვების არსებობა, განსაკუთრებით ონკოლოგიაში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112. ჩოლოყაშვილის (მეტ. №10). სამკურნალო დიაგნოსტიკური კაბინეტი „კოლხი მედეა". ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 94-00-27 (სამს); 897 58-29-18

ეს სიახლეა! ადამიანი-კომპიუტერი გთავაზობთ ყოველგვარი აპარატურისა და დასხივების გარეშე ორგანოებისა და ორგანოთა სისტემის დიაგნოსტიკას, გამოკვლევას, სწრაფად და უმტკივნეულოდ. ანალიზის აღების გარეშე დაგიდგენთ ჭიებით, პროთოზოებს, შაქარს (ბავშვებში ჭიებს). აქვე ვაძლევთ დანიშნულებას. მის: აღმაშენებლის №113. კაბ. №10. ნინო. ტელ: 95-74-29

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მეცნიერ მაყვალა ცინცაძე სამკურნალო მცენარეებისა და თვითი მომზადებული პრეპარატებით ამზადებს მალამოებს, სიროფებს და ხსნარებს. მკურნალობს: საზრდოებს, ოსტეოქონდროზს (მარილებს), პოლიართრიტს, ართროზს, ბრონქიალურ ასთმას, დიასპ(?), რადიკულიტს, საწველი ნერვის ანთებას, ფრონტიტს, ჰაიმორიტს (ჰაიმორიტი იკურნება 6-8 დღეში სრული გარანტიით). მის: ფიფიას (ყოფ. ფრონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ)

## ვასწავლი

კომპიუტერის შესწავლა ინდივიდუალური მეთოდით. შესწავლება: Windows, Word, Excel; Inernet, E-mail, Outlook Express; Page Maker, Photoshop, Quark Express. სწრაფი ბეჭდვა; Web-საიტის შექმნა. მის: გამსახურდიის ქ №7 (მ. „რუსთაველთან"), ქთ „ქოლგის" უკან. ტელ: 98-80-23

კომპიუტერული სტუდია „დიდი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშესწავლის კურსებზე. შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ 1 („მკურნალობის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, პიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, შაკაკი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115ა კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ნაძალადევის კულტურის სახახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით, საზოგადო ფასდაკლებით. შესწავლება: სახის კანის მკურნალობა, მასაჟი, ეპილაცია, გაწმენდა, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. „ნაძალადევი", მ. „ავზიანის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტ: 66-53-56; 893 33-09-66

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოფურიას №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტლებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06- 97; 30-51-30 (საღამოს)

ჟიული შარტავას სახელობის თბილისის პუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი და მასთან არსებული კოლეჯი (ქართულ-რუსული სექტორები) აცხადებს მიღებას იურიდიულ, ეკონომიკურ, უცხო ენების, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის, გამოყენებითი ხელოვნების, პედაგოგიკის, ხორცისა და რძის ტექნოლოგიების სპეციალობებზე მეხუთე კურსზე სწავლა უფასოა. მის: კოსტავას №70, სასტ. „აჭარის" უკან, მ. „პოლიტექნიკური". ტელ: 33-25-89; 899 55-86-97; 899 15-00-46; 38-48-61; 78-23-85

თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მესი) რეგიონალური პარტნიორი, აცხადებს ამბიტურიენტთა მიღებას ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე დასწრებულ და დაუსწრებელ ქართულ და რუსულ სექტორებზე ფუნქციონირებს კოლეჯი, 1-წლიანი PR-მენეჯერისა და რეკლამის უმაღლესი კურსები. მის: მარჯანიშვილის 21. ტელ: 95-23-66; 94-24-73

## იყიდება

1000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, საგურამოდან 3 კმ-ში, სოფ. გლავანში, მდინარის პირას – საუკეთესო ადგილას. არის წყალი, ბ/არი, დენი. ტელ: 899 57-47-38; 64-96-24; 92-14-51 (სამს)

სამოსახლო ნაკვეთი ბულაჩაურში, 1500 კვ.მ, მდინარე არაგვის პირას, მუდმივი წყაროს წყლითა და ბ/აირით. გაშენებულია ყველანაირი ხეხილი. ტელ: 899 18-30-08; 899 50-45-53

მოტოციკლეტი „იავა-350", კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

ჰაერის კონდიციონერის იაფად, კარგ მდგომარეობაში, გარანტიით. ტელ: 35-01-25, მიშა

ძველებური გერმანული ჭურჭლის კარადა, ზედა მხარე სამშხრიგი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. 5-სანთლიანი ჩეხური ჭაღი, ფაიფურის დეტალებით. ფასი 80 ლარი. ტ: 23-07-65

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. ჯიბური, ელექტრონული და შტეკერი(?) წვეის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძართან არსებული მომლოცველთა სამსახური **„ნარიყალა"** გიწვევთ, მოილოცოთ წმინდა ადგილები: *ბოდბე, ხირსა* – 13 VII, გასვლა 5 სთ; *მარტყოფი* – ღვთაების მონასტერი – 14 VII, გასვლა 8 სთ; *ბეთანია (ვერეს ხეობით, ფეხით)* – 13 VII, გასვლა 9 სთ; *ნეკრესი (არჩილ II და ლუარსაბ II ხსენების დღე)* – 4 VII, გასვლა 9 სთ; *აწყურის ხიონი, სამთავისი, იკორთა* – 6 VII, გასვლა 9 სთ; *ქუთაისი* – გელათი, ბაგრატი, მოწამეთა – 6 VII, გასვლა 9 სთ; *მცხეთა, ზედაზენი* – 7 VII, გასვლა 8 სთ; *დავითგარეჯი* – 7 VII, გასვლა 8 სთ; *წილკანი* (წირვაზე დასწრებით) – 14 VII, გასვლა 8 სთ; *ზუგდიდი* (ღვთისმშობლის სარტყლის დღე) – 14 VII, გასვლა 23 სთ; *გურჯაანი-ყაზბეგი* (გერგეთობა, სიყვარულის დღე) – 16 VII, გასვლა 8 სთ. მომლოცველებს მოემსახურება გიდი. ბილეთები გაიყიდება: ჩიტაძის ქ. №9. წმინდა ნინოს ტაძართან არსებული მაღაზია; ერეკლე II ქ. №8-10. მაღაზია „ჯვარი"; გამსახურდიას 33ა, მაღაზია „მართლმადიდებელი". ტელ: 75-30-64; 30-88-76; 38-14-58, 897 57-63-77; 899 57-39-84

ვარ მაღალი, ეკონომიკურად შეძლებული მამაკაცი. ვეძებ მაღალ, ლამაზ, კარგი წარსულის მქონე ჯანმრთელ, ქართველ მანდილოსანს, რომელიც ანონიმურობის დაცვით გაჩენს ჩემგან შვილს და მიიღებს განსაზღვრული თანხის გადახდით. ტელ: 899 56-42-49; 79-68-44. გასართობად ნუ შემაწუხებთ! პატ. „ავტორი"

## ხსოვნა

**მალხაზ!**

დღეს შენი დაბადების დღე უნდა გვეზეიმა, ჩვენო საყვარელო და ძვირფასო მალხაზ, რომ არა ის ავბედითი ოთხშაბათი! დღეს 25 წლის გახდებოდი. დილიდან შენი დაბადებისა, ლამეები მათენებოდა იმაზე ფიქრით, თუ რა სიხარულის და ძვირფას განძს შეეძლო იმ სიხარულის მოტანა, რაც შენმა დაბადებამ მოგვიტანა. ახლა გულგახეთქილი და თვალცრემლიანი სულ იმაზე ვფიქრობ, ვის და რას შეეძლო ჩვენი ასეთი განადგურება, შენმა გარდაცვალებამ რომ გამოიწვია. შვილო მახო! შენ მასწავლე ის დიდი სიხარული, დღესაც რომ მისი გახსენებით ვიკვებები და შენვე წამართვი. შენი მოსვლით შეკრებილნი ქვეყანა, შენი წასვლიდან ჩვენთვის მხეც კი ჩაიქცა. გახსოვს კი სიკვდილის უკულმა დღეისეთა ბიჭს? გვიპასუხე, მახო... ისე რომ არც კი დაგვეწყე, წახვედი და გაიყოლე ძვირფასი მამიკო. უსამზღვროდ მენატრებით შენ და საყვარელი და ძვირფასი რობიზონი. შენი პატარა დაიკოს გაბრწყინებული თვალებიც მენატრება, რაც თქვენი წასვლის მერე აღარ მინახავს. არიან ადამიანები, რომელთა დავიწყება ჯერაც სულის არ ძალუძს. მათ რიცხვს თქვენც ეკუთვნით. ჩვენო ძვირფასო და ამაყო მალხაზ! სიბერე არ იკადრე და სულ ისეთი დაგვამახსოვრე თავი, როგორიც ცოცხალი და ლამაზი ჭაბუკიც იყავი. წახვედი და წაგვართვი იმედი და სიხარული. დაგვრჩა მხოლოდ გატეხილი, ატკივებული გულები, რომლიც დღედაღამ გიხმობთ და გეძახით: მალხაზ!.. მამიკო!.. მიდით!.. გვენატრებით!.. გვეძრდებით!..



*შენი დაიკო ნათია, შენი დედიკო ლოლო*

**მირანდა ჩაჩავას!**

მირა, შვილო, ჩემო სიცოცხლევ, შენ შემოგევლოს შენი დედიკო! გავიდა ერთი წელი, რაც ჩვენთან აღარ ხარ – ზუსტად მოსაგონარი 1 ივლისი. როგორი სიხარულით ელოდი შვილო, ამ დღეს. როგორი მონდომებით აწყობდი საბანკეტო კაბას, მაგრამ, ვაი რომ არ დაგცალდა. ბანკეტზე მისვლაც ვერ მოასწარი. საზეიმო ბანკეტი გლოვით შეიცვალა. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა შენი, სოფის და დათის სიცოცხლე. როგორი გახარდა სკოლის დამთავრება. შენი ოცნება – უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყავი, აუხდენელი დაგრჩა. ჩემო სიცოცხლევ, როგორ მოიჭრება შენი დედა, როცა ძალიან ენატრები, როცა შენი გულში ჩახუტება უნდა... მე სანთლებით ხელში ვილოცებ შენი ნათელი სულის სადიდებლად და მალე შენთან შესახვედრად.



*დედიკო*

**თამრიკო თათარაშვილი-ოფცაიაურის მოსაგონარი**



ჩვენო საყვარელო დედა, შენი სიკვდილით მძიმე დარტყმა მოგვაყენე მთელ ოჯახს. ჯერ ხომ კიდევ გვჭირდებოდი, შენგან ბევრი სიკეთის მიღება დღემდე ვიცოდით. მაგრამ განუკურნებელმა სენმა უძლური გაგვხადა, გვიშველა შენთვის. ორი წლის განმავლობაში ბევრი ცრემლიანი და უძილო ღამით უძლებდი საწვავებს, მაგრამ გატეხა „სიკვდილმა", უდროოდ მოსპო შენი ახალგაზრდული ოცნებები. დედა, შენ რომ იცოდე, რამდენი ტკივილი მოგვაყენე შენი ამქვეყნიდან წასვლით, შეუპოვრად ებრძოდი, შენი ხამით გული ვერ გაგვიმეტებდა ასეთი ტკივილისათვის. ორმოცი დღე მიდის, 2 ივლისს შენი ორმოცია, 10 ივლისს შენი დაბადების დღეა. ვიღლებით მოგილოცავთ დაბადების დღეს, რომელიც შენ ყველაზე ძალიან გიყვარდა. დედა, შენი დანატოვარი კვალი დიდხანს გაგვინათებს გზას. გპირდები იმედი, ყოველთვის მოგიგონებთ, სანთელს დაგინთებთ და ღმერთის შევევედრებით შენი სულის ნათელში ყოფნას.

*შენი ოჯახი*

**თინა და ვალიკო ლაგვილავებს**

ორმოცი დღე გავიდა, დედა და მამა, რაც აღარ ხართ. უსაზღვროა ტკივილი, რასაც უთქვენობა ჰქვია. გვენატრება თქვენი სითბო და სიყვარული. ახლა ვხვდებით, რა ძვირფასი და რა კარგები ყოფილხართ. თქვენს სამივე შვილს ჩვენ-ჩვენი ოჯახები გვქონდა, მაგრამ თქვენი წასვლით თქვენი წილი გული მკვდარია. დაგვეკარგა დიდი იმედი და სიხარული, რასაც მშობლები ჰქვია. დაცარიელდა თქვენი ოჯახი, შვილების და შვილიშვილების მოსვლით რომ ხარობდით. თქვენს სახლში ჩასულებს დაკეტილი კარი დაგვხვდება თქვენს მაგივრად. ძალიან გვიყვარხართ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები და დაგიმკვიდროთ სამუდამო სასუფეველი.





*შვილები, შვილიშვილები და სიძეები*

**ელგუჯა მიქაშავიძის მონატრება**



დაბადების დღეს გილოცავ, შვილო, 30 ივნისს! მაგრამ რა მოვუხერხო 20 ივლისს – შენი ტრაგიკულად დაღუპვის დღეს? 10 წელია უკვე, ნათელი მზე არ ამოსულა ჩემთვის. სიკეთით იყავი სავსე ყველას ალალად ეხმარებოდი. ამიტომ შეძრა შენმა სიკვდილმა ყველა – ოჯახში, სანათესაოში, სამეგობროში. მამაშენმა რვა თვეხლა გაუძლო სადარდელს. წახვედი და თან გაჰყვა შენი პაწია სალომეს დარდი. ნუ გეშინდება, სალომე შესანიშნავად იზრდება და სათუთად ინახავს მამიკოს ხსოვნას. შენი სახელი არ დაკარგულა, გუგა მიქაშავიძე – შენი ძმისშვილი ატარებს შენს სიცოცხლეს. რა მომაშუშებს ტკივილებს, მაგრამ ვცოცხლობ შენთან შეხვედრის მოლოდინით.

*შენი უბედური დედა შურა*

**ტოზე კვანტალიანის გახსენება**

ნეტა იმ დროს, როცა თქვენს დაბადების დღეზე თქვენი შვილების მეგობრებს უზომო სიხარულს და სიამოვნებას ანიჭებდით. ნაღვლიანი მოგონებით ვიხსენებთ თქვენს ნათელ ღიმილს, სითბოს და სიყვარულს. თქვენისთანები იშვიათად იბადებიან, რადგან არჩეული გქონდათ ისეთი ცხოვრების წესი, რომელიც რჩეულთა ხვედრია. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ იმ ტკივილს, იმ სიცარიელეს, რაც თქვენი წასვლით დატოვეთ, ვინ შეავსებს თქვენს ფერთამიტეხილ მეუღლეს. თქვენი წასვლით ჩაწყდა მის გულს რაღაც მთავარი და ეს მთავარი თქვენ იყავით. ცრემლიანი თვალებით აღვნიშნავთ თქვენი დაბადების დღეს თქვენი სალოცავი მარინა და სამა, თქვენი ნანატრი შვილიშვილები და უფალს შევთხოვთ თქვენი სულის განსვენებას იმ უკიდეგანო, შეუცნობელ სამყაროში, სადაც მართალნი განისვენებენ.

*ნუცა*

**ირინა მათიაშვილი-გრიგოლიას ხსოვნას!**



სიკეთითა და სათნოებით სავსე, ამქვეყნიდან უდროოდ წასული ლამაზო ქალო, მიმძიმს შენთან განშორება, ცრემლები მახრჩობს, გული მეწურება:

*შენი სიცოცხლის სანთელი ჩაქრა,*
*ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა,*
*ამ სილამაზეს და სინატიფეს*
*ასე უდროოდ რად მიესაფლავე?*
*შენი ნაზი საყვარელი შვილები,*
*გული მოუკლა მეუღლეს, მამას,*
*ასე გვეგონა, სადღაც აქვე ხარ,*
*არ მეგონება, ისევ ჩვენთან ხარ!*

*ნელდა გორდაძე*

**დათო (ტიგრა) გაბელაიას მონატრება**



ტანჯვითა და ნაღვლიანი მოგონებებით გაჟღენთილი თორმეტი თვე... ცრემლის მორევი და სევდის უკიდეგანო სივრცე... უღიმღამო თანატოლი და ნაადრევად ჩამქრალი სიცოცხლის ლამპარი... დათო, ჩემო ძმაო, რადგან დიდი, მოურჩენელი ტკივილი ხარ!!! მენატრები ძლიერ, მიჭირს უშენობა, რამეთუ შენ იყავი ჩემი სულის მეორე „მე". უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი...

*გიორგი (გიგა) კაჭარავა*

**ნანა ნიკლაურის ხსოვნას!**



გავიდა ჩვენთვის ტკივილიანი ერთი წელი. მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი. რამდენიმე დღეში გამოგვეცალე ხელიდან, დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი, მონატრება, ცრემლი. ვამაყობთ შენი შვილებით. ლევანმა ინსტიტუტი დაამთავრა, თაკომ – სკოლა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული, ჩვენო საყვარელო, დაუვიწყარო ნანა.

*შვილები თამუნა, ლევან ბაქრაძეები, დედა ქეთუნა რთველაძე, ძმა გია ნიკლაური ოჯახით*

**მარკოზ ალელიშვილის ხსოვნას!**

ჯავახთა თავკაცობა არაა იოლი საქმე, მით უფრო ძნელია, გამონახო ოქროს შუალედი და შეინარჩუნო ერთგული სული ისე, რომ არც იმ ახლობლებად ქცეულ ადამიანებს აწყინო გული. არც 78 წელია ბევრი იმისათვის, რომ გარკვეული მისია განახორციელო, მაგრამ თქვენ ეს შეძელით. ჩვენი ნაცნობობა ხანმოკლე იყო, მაგრამ ისე შეგვძრა თქვენმა გარდაცვალებამ, თითქოს დასაბამიდან ვიცნობდით ერთმანეთს. არასოდეს დავიწყდება ჩვენს ოჯახს ის სულიერი გამონათება, თქვენი მზერიდან – დაკვირვებული, ყურადსაღებიანი კაცის თვალებიდან რომ იფრქვეოდა. არ დაგვავიწყდება, როგორი გახარებული იყავით შვილიშვილის ქორწილში, როგორი ახალგაზრდული შემართება ფრინველოდა თქვენს სიტყვებსა და მოქმედებაში, როგორი იმედი გქონდათ მომავლის. არსთაგამრიგე სხვაგვარად სჯიდა თურმე. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს თქვენი სული. სხვაგვარად ვერც ვიფიქრებთ, შთამომავლობისათვის ლეგიური კვალი მარადიული ნათელი და ხსოვნაა.

*ფოფხაძეების ოჯახი*



დები ნორა, ნაზი; ძმები შუქრი, ომარ კაჭარავები; რძალი ზამირა ჯოჯუა; დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ზინა მიხეილის ასული კაჭარავას**

გარდაცვალებას.

# არ გაუმართლა, მეკუზოვე დეტექტივი გამოდგა მკვლელი — ჟორჟ სიმენონის ძმის შვილიშვილი



გადამდგარმა პოლიციელმა ფრედი ჰულსმანმა პატარა დამკრძალავი ბიურო ორი წლის წინ, პენსიაზე გასვლის შემდეგ, შეიძინა. ორომტრიალს გარიდებული მშვიდად ცხოვრობდა...

...იმ დღეს, ბიუროში ორმოციოდე წლის ტანსრული ქალბატონი მოვიდა და ჰულსმანს გაეცნო — ცნობილი მწერლის, დეტექტივების დიდოსტატის ჟორჟ სიმენონის შვილიშვილი გახლავართ, ექიმი ჟენევიევა სიმენონიო.

ქალბატონმა სიმენონმა მეპატრონეს სთხოვა, — გუშინ გულის შეტევით გარდაიცვალა ჩემი მეუღლე და სასწრაფოდ გაუკეთეთ კრემაციაო. ჰულსმანს კი გაუკვირდა, ქალი ასე რომ ჩქარობდა, მაგრამ როცა გარდაცვალების მოწმობა ნახა, დამშვიდდა.

მეორე დღეს, როცა ჟორჟ ტემპერმანის გვამს საკრემაციოდ ამზადებდნენ, ფრედ ჰულსმანმა მიცვალებულს შუბლზე ნაიარევი და საგულდაგულოდ შენიღბული ჩალურჯებული ადგილები შეამჩნია, მაგრამ ქალბატონ სიმენონის ნათქვამი გაახსენდა, ჟორჟს გულის შეტევა რომ დაემართა, დაეცა და მაგიდის კუთხეს შუბლი ჩამოარტყაო.

ჰულსმანი ოცდაათ წელზე მეტხანს მუშაობდა პოლიციაში, არაერთი მკვლელობა გაუხსნია და მშვენივრად ცნობდა ტრავმებს. როცა მიცვალებულს თმას ვარცხნიდა, შეამჩნია, რომ მას ცალი ყური თითქმის მოგლეჯილი ჰქონდა. დაეჭვდა...

ფრედიმ მაშინვე პოლიციაში, ძველ კოლეგას დაურეკა. იმ დღესვე გაჩხრიკეს ჟენევიევა სიმენონის (რომელიც მწერლის ძმის შვილიშვილი აღმოჩნდა) სახლი. საძინებელში, სადაც ჟორჟ ტემპერმანი გარდაიცვალა, პოლიციელებმა საწოლის გვერდით, კედელზე, სისხლის ოდნავ შესამჩნევ ნაკვალევს მიაგნეს. ჟენევიევა სიმენონი დააპატიმრეს, როგორც ქმრის მკვლელობაში ეჭვმიტანილი. თავიდან ქალი უარობდა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ თავს ვერ გაიმართლებდა და მკვლელობა აღიარა.

...ჟენევიევას მძიმე ბავშვობა ჰქონდა. დედამისი მათემატიკას ასწავლიდა სკოლაში და პედაგოგიკის ყველაზე ქმედით მეთოდად ცემა მიაჩნდა. ამიტომ, სულ მცირეოდენი დანაშაულისთვისაც კი, გოგონას უმოწყალოდ სცემდა. თანატოლები ჟენევიევას „ნაცისტის შვილს" უწოდებდნენ, რადგან მამამისი ბელგიის ჰიტლერიუგენდის ტიპის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. სხვათა შორის, ჟენევიევას ბაბუის ძმასაც, შემდგომში ცნობილ მწერალს ჟორჟ სიმენონსაც ადანაშაულებდნენ, — ომის წლებში ჰიტლერელებთან მეგობრობდაო.

დესპოტი დედის გამო ჟენევიევა პირველმა ქმარმა მიატოვა, მიუხედავად იმისა, რომ მათ სამი ქალიშვილი ჰყავდათ.

ჟორჟ ტემპერმანმა ჟენევიევა ერთ-ერთ საჩოგბურთო კლუბში გაიცნო და მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ქალი პირველი დანახვისთანავე მოხიბლა. ისინი მალე დაახლოვდნენ და ჟორჟი ჟენევიევასთან გადასახლდა.

პირველი თვეების გატაცებამ გაიარა და ჟენევიევა მიხვდა, რომ ჟორჟი უქნარა იყო, მუშაობა არ სურდა და შესანიშნავად გრძნობდა თავს ცოლის კმაყოფაზე. ყოველ დილით, ჟენევიევა, საკმაოდ ცნობილი ექიმი-რევმატოლოგი, სამსახურში მიიჩქაროდა, ჟორჟი კი საწოლში ნებივრობდა, შემდეგ ყავას მიირთმევდა, რესტორანში სადილობდა ან სტუმრად მიბრძანდებოდა.

ჟენევიევა იმედოვნებდა, რომ შვილის დაბადება ჟორჟს შეცვლიდა, მაგრამ პირიქით მოხდა. მათ შორის ურთიერთობა უფრო და უფრო იძაბებოდა, თითქმის ყოველდღე ჩხუბობდნენ, უფრო ხშირად ფულის გამო. ჟორჟი უსირცხვილოდ ხარჯავდა მის ფულს, ცოლის ნაყიდი „იაგუარით" დაქროდა, დროს ატარებდა, არც საყვარლებს იკლებდა და ჟენევიევას დასცინოდა, — გასუქდი და დედაბერს დაემსგავსეო.

ჟენევიევას მოთმინების ფიალა აევსო. რადგანაც ჟორჟს ვერ იცილებდა თავიდან, გადაწყვიტა ესარგებლა ქმრის გულით ავადმყოფობით... ხელსაყრელი დროც დადგა — ჟორჟმა ცოლს საავადმყოფოში დაურეკა, — გული მაწუხებს და სასწრაფოდ მოდიო.

ჟენევიევამ აფთიაქში ძლიერი დამამშვიდებელი წამალი შეიძინა, რომელსაც ჟორჟი ხმარობდა და აღგზნებულ კაცს ნემსი გაუკეთა, ოღონდ განზრახ დიდი დოზით. იმედოვნებდა, ჟორჟის გული ამას ვერ გაუძლებსო, მაგრამ გაუძლო, კარგა ხანს ეძინა და გაღვიძებული მაშინვე ცოლს მისდგა, — ბებერ მახინჯსა და ნაცისტების ნაშიერს უწოდებდა. სიტყვიერი შეხლა-შემოხლა ჩხუბში გადაიზარდა და როცა ჟორჟი ცოლს კისერში სწვდა და დახრჩობა დაუპირა, ქალმა იქვე დადებული ჩაქუჩი აიღო და თავში გამეტებით ჩასცხო.

დაკითხვისას ჟენევიევა სიმენონმა განაცხადა, — იმდენად გაცეცხლებული ვიყავი, აღარაფერი მახსოვსო.

...ქალი როცა გონს მოვიდა, გასისხლიანებული ჟორჟი უკვე მკვდარი იყო. თავზარი დაეცა, მაგრამ თავი ხელში აიყვანა, საძინებელი ჩაკეტა და სამსახურში წავიდა. მეორე დილას ყველაფერი გაასუფთავა და თავის მეგობარ ექიმთან ედუარდ ანდრიანსენთან წავიდა. მოუყვა, რომ ქმარი გულის შეტევით გარდაეცვალა და შინ მისვლა სთხოვა, რათა მისი გარდაცვალება დაედასტურებინა და ცნობა გაეცა.

ექიმმა კი შეამჩნია ჟორჟის ნაიარევი შუბლი, მაგრამ დაუჯერა ჟენევიევას — დაეცაო და ცნობაც მისცა.

ჟენევიევას ჩანაფიქრი მარტივი იყო. მას უნდოდა ჟორჟის გვამის სასწრაფო დაფერფვლა, რათა სამხილი დაემალა, მაგრამ ბედმა უმუხთლა — მეკუზოვე ყოფილი დეტექტივი აღმოჩნდა.

ჟენევიევა სიმენონის სასამართლო პროცესს მთელი ევროპა თვალს ადევნებდა. სასამართლომ გაითვალისწინა მისი პიროვნული თვისებები, მკვლელობის ჩადენის დროს აფექტური მდგომარეობა, ისიც, რომ მის კმაყოფაზე ოთხი შვილი და მოხუცი დედაა, რომ ჟორჟი მას საშინლად ექცეოდა და მკვლელს მხოლოდ 5 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

*ინტერპოლ-ექსპრესი* **№24**

# უბინძურესი ბიზნესი – პატარების მოტაცება

ალბათ ამქვეყნად შვილის დაკარგვაზე უარესი არაფერია. მაგრამ თუკი ბავშვი კი არ კვდება, არამედ უგზო-უკვლოდ იკარგება, ეს ათასჯერ მეტი უბედურებაა.

პატარების მოტაცება უბინძურესი კრიმინალური ბიზნესია. სტატისტიკამ დაადგინა, რომ რუსეთში, რომლის მოსახლეობა აუტანელ პირობებში ცხოვრობს და ქვეყანა ჩაფლულია სისხლიან, რეგიონალურ კონფლიქტებში, ასეთი დანაშაულობანი უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ეს „ბიზნესი" პირობითად სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მოტაცება ბავშვის დასასაკუთრებლად, მოტაცება გაყიდვის მიზნით და მოტაცება გამოსასყიდის მისაღებად.

შარშან ქ. ჩიტის ცენტრალურ სამშობიარო სახლში მუშაობა დაიწყო ახალგაზრდა სანდომიანმა მედდამ, რომელმაც ყურადღება მიიქცია მოკრძალებითა და შრომისმოყვარეობით.

ნოემბრის ერთ დღეს იგი შევიდა ახალშობილთა განყოფილებაში, საწოლიდან ამოიყვანა ბიჭუნა, საბანში გაახვია, პალტო ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. დარაჯებმა თანამშრომელი იცნეს და დაუბრკოლებლად გაატარეს, რადგან იფიქრეს, ბავშვი ქუჩაში მომლოდინე მშობელთან მიჰყავსო.



პატარა მოიკითხეს მხოლოდ ორი საათის შემდეგ, როცა ჭამის დრო დადგა. მალე გაარკვიეს, თუ ვინ გაიტაცა ბავშვი, მაგრამ თანამშრომელ ქალს პირადი საქმიდან ამოწერილ მისამართზე არასოდეს უცხოვრია. მაინც მიაგნეს ერთი მედდის წყალობით, რომელმაც ერთხელ კოლეგა შინამდე მიაცილა.

ქალი დიდხანს არ აღებდა კარს. მილიციელებს ესმოდათ, როგორ უაზროდ ბუტბუტებდა ქალი: „ეს ჩემი შვილია, ჩემი ბიჭუნა, ის არ მომკვდარა, ის თავიდან დაიბადა"...

მედდა ნამდვილად არ იყო გონზე. მილიციელებს შეეშინდათ, ბიჭუნას არაფერი დაუშავდესო, ამიტომ კარის ძალით გაღება ვერ გაბედეს, ფსიქოლოგი ქალი მოიწვიეს, რომელმაც მოახერხა ქალის დამშვიდება და მან კარი გააღო.

დანაყრებული ჩვილი საწოლში იწვა და ტკბილად ეძინა.

თურმე იმ ქალს ერთი წლის წინ ახალდაბადებული ბიჭუნა მოკვდომოდა. ძუძუს წოვების დროს დაღლილ დედას ჩაძინებოდა და შვილი გაეგუდა. საბრალო ქალი ამ უბედურებამ ჭკუაზე შეშალა, ვერაფრით გააცნობიერა, ვერ შეურიგდა სიკვდილის ფაქტს და საკუთარი თავი დაირწმუნა, რომ მისი პატარა სხვა ქალმა თავიდან გააჩინა და ამიტომ წამოიყვანა სამშობიაროდან.

1999 წლის ბოლოს მოსკოვში, ახალგაზრდა, ლამაზი და უზრუნველყოფილი ქალი სახლის მეცხრე სართულიდან გადახტა და თავი მოიკლა — ვერ მოინელა თავისი ერთი თვის შვილის დაკარგვა და ამ უბედურებაში საკუთარ თავს ადანაშაულებდა.

ეს ახალგაზრდა ქალი ერთხელ ბავშვიანად ქალთა კონსულტაციაში მივიდა, რომ მედმუშაკებისათვის, რომლებთანაც ის ორსულობის დროს დადიოდა, მადლობა ეთქვა. ვინაიდან ქალს ინფექციის შეეშინდა, ეტლი ბავშვით სულ ორიოდე წუთით კონსულტაციის კართან, ქუჩაში დატოვა...

როცა დაბრუნდა, ბავშვი აღარ დახვდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბავშვი წაიყვანეს რომელიღაც ჩამუქებულმინებიანი უცხოური მანქანით. პატარას თითქმის ერთი თვე ეძებდნენ, როდესაც დედას ყოველგვარი იმედი გადაეწურა, თავი მოიკლა.

სხვათა შორის, მოსკოვში კარგა ხნის განმავლობაში ფუნქციონირებდა „გამტაცებელთა არტელი", რომელშიც საქმიანობდა საერთაშორისო დამნაშავეთა დაჯგუფება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მათ რუსეთიდან გაიტაცეს და საზღვარგარეთ გაგზავნეს ოცი ბავშვი. საბედნიეროდ, ეს ჯგუფი დააკავეს და მშობლებს დაუბრუნეს საზღვარგარეთ გასაყიდად გამზადებული ბავშვები.

გატაცების ყველაზე ბინძური, სისხლიანი სახეობაა — გატაცება გამოსასყიდის მისაღებად, როცა მშობლებს იმედიც კი უქრებათ, რომ შვილებს ცოცხლებს ნახავენ.

დღისით-მზისით, სახლის ეზოდან გაიტაცეს ბიზნესმენ სერგეი კ-ს 5 წლის დიმა. მშობლები ამ დროს შინ იყვნენ და დროდადრო უყურებდნენ ბიჭს, რომელიც ველოსიპედით სეირნობდა.

და მაინც, ბიჭი დაიკარგა. ორი დღის შემდეგ კი მათ ბინაში სატელეფონო ზარი გაისმა და მამაკაცმა კავკასიური აქცენტით ბიჭის გამოსასყიდი 50 ათასი დოლარი მოითხოვა. შესაშინებლად „ჯიგიტებმა" მამას მოასმენინეს შვილის განწირული ყვირილი:

— მტკივა, ბიძია!.. ძალიან მტკივა!

გაოგნებულმა მამამ მოახერხა საჭირო თანხის შეგროვება. ნაძირალებმა დაურეკეს და ფულის გადაცემის პირობებზე შეთანხმდნენ. სერგეიმ მათ ფული გადასცა და დანიშნულ ადგილზე გატაცებულ ბიჭს ელოდებოდა.

...ქუჩის კუთხეში გამოჩნდა ქერათმიანი ბიჭუნა, რომელსაც ისევე ეცვა, როგორც გატაცებულ დიმკას. ხელში ბავშვს რაღაც ეკავა.

სერგეი ბავშვისკენ გაექანა, მაგრამ ის დიმა კი არა, მის ტანსაცმელში გამოწყობილი უცხო ბიჭი აღმოჩნდა. ბავშვმა სერგეის პატარა მუყაოს ყუთი გაუწოდა და უთხრა: „ძია, ამის გადმოცემა მთხოვეს". უბედურმა მამამ ავტომატურად გახსნა ყუთი, სადაც მისი დიმკას მოჭრილი ყური იდო. მამა მაშინვე მიხვდა, რომ შვილი ცოცხალი აღარ ჰყავდა და ქუჩაში უგონოდ დაეცა. სერგეი ინფარქტით გარდაიცვალა „სასწრაფო დახმარების" მანქანაში.

*მირ კრიმინალა* **№12**

# პუტინი და ბუში კინაღამ ააფეთქეს



თავიდანვე მოგახსენებთ, რომ ქვემოთ მოთხრობილი ამბის დოკუმენტური მტკიცებულება არა გვაქვს, თუმცა კარგად ინფორმირებულმა წყაროებმა მოგვაწოდეს ცნობა, რომელსაც წყალი არ გაუვა. რუსულ-ამერიკული სამიტის დროს, რომელიც მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში მაისში ჩატარდა, ორი ქვეყნის ლიდერზე თავდასხმა მზადდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ 9 მაისს კასპიისკში მომხდარი ტრაგედია გენერალური რეპეტიცია იყო იმ უზარმაზარი მოვლენისა, რომელიც ორი სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტებს შეიწირავდა.

რუსეთის სპეცსამსახურებს ჯერ კიდევ მაისის პირველ რიცხვებში შეატყობინეს აგენტებმა, რომ ავღანეთსა და ჩეჩნეთში, „ალ-ქაიდას" ტერორისტების მოსამზადებელ ბაზებში, აქტიური მოძრაობა დაიწყო. საუბარი ეხებოდა იმ ფაქტს, რომ ტერორისტებმა მიიღეს საარაკო ფინანსური დოტაციები და სასწრაფოდ არალეგალურად ყიდულობენ ასაფეთქებელ ნივთიერებებსა და ელექტრონიკას, რომელსაც იყენებენ ასაფეთქებელი მოწყობილობების „მაღალწერტილოვანი" დისტანციური მართვის დასამონტაჟებლად. იმავე აგენტური ცნობით, ეს მზადება დაკავშირებული იყო აშშ-ის პრეზიდენტის მომავალ ვიზიტთან რუსეთში. ისე რომ, „ალ-ქაიდას" ბოევიკები სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე აპირებდნენ ტერორისტული აქტის ჩატარებას, ეს ორი გარემოებითაც მტკიცდებოდა: პირველი — ისლამისტი-ბოევიკების ბანაკებში შეწყდა ყოველგვარი საბრძოლო სწავლება, ტერორისტების მომზადების გარდა — მაქსიმალურად მოკლე დროში უნდა მოემზადებინათ კარგად აღჭურვილი ათამდე ტერორისტული ჯგუფი, რომლებსაც ნამდვილი რუსული საბუთები ჰქონდათ.

მეორე — აპრილის დასასრულს „ალ-ქაიდას" ერთ-ერთი ბანაკის ტერიტორიაზე ჩამოვიდა ჩეჩენთა პატარა ჯგუფი, რომელსაც „ამზადებდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის სპეციალობისთვის". დადგინდა კიდევ ერთი, ასევე შემაშფოთებელი გარემოება — ვარჯიშის დროს ტერორისტებს „გეოგრაფიული ორიენტირებისთვის" დაურიგეს მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის რუკა-სქემები, რომლებზეც დაწვრილებით იყო აღნიშნული ორივე დედაქალაქის გამჭოლი ეზოები, ქუჩის სარემონტო ობიექტები...

დაბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც რუსეთის დაზვერვამ მოიპოვა — ძირითადად ტერორისტულ აქტამდე ჩატარდა მისი „გენერალური რეპეტიცია", მაქსიმალურად მიახლოებული რეალურ სიტუაციასთან აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის დროს მოსკოვსა და პეტერბურგში. ე.ი. „სასწავლო" ტერორისტული აქტი შესრულდებოდა რუსეთის რომელიმე ქალაქში სადღესასწაულო მასობრივი ზეიმის დროს. გავიხსენოთ 9 მაისი, კასპიისკის ტრაგედია! „გენერალურმა რეპეტიციამ" წარმატებით ჩაიარა.

მოპოვებული ინფორმაცია რუსეთის დაზვერვამ მაშინვე გადასცა ამერიკის უშიშროების სამსახურს. ორივე დაზვერვა განსაკუთრებით ამოქმედდა 9 მაისის შემდეგ.

პეტერბურგში დააკავეს ამ ტერაქტის მომზადებასა და ჩატარებაში ეჭვმიტანილი ხუთი ადამიანი.

დაღესტანში ჩატარებული აქციის შემდეგ, რატომ ჩავიდნენ ისინი მაინცდამაინც პეტერბურგში და არ მიიმალნენ კავკასიის მთებში ან აზერბაიჯანში, სადაც ბოევიკების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებაა? ამ ფაქტის ახსნა საკმაოდ იოლია. „გენერალური რეპეტიციის" შემდეგ „ისლამის მეომრები" მთავარი სპექტაკლისათვის ემზადებოდნენ...

ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტებს ორივე მხრიდან ორი ათასამდე უშიშროების სამსახურის თანამშრომელი იცავდა, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ...

როგორც ჩვენთვის არაოფიციალურად ცნობილი გახდა, პუტინისა და ბუშის პეტერბურგში ყოფნისას, სასწრაფოდ გაუკეთეს კორექტირება მათი მოძრაობის მარშრუტს. ეს მოხდა 25 მაისს. ამ დღეს პეტერბურგში მისი დაარსებიდან 299-ე წლისთავის ზეიმი დაიწყო. ქალაქის ცენტრში ერთდროულად რამდენიმე ფესტივალი მიმდინარეობდა. გასაგებია, რომ ამდენი ხალხის თავმოყრის ადგილებში უშიშროების სამსახურს გაუძნელდებოდა მუშაობა და რაც მთავარია, მთელი ყურადღება და ძალა ამ ობიექტებზე იქნებოდა გადატანილი. როგორც ჩანს, სწორედ ამ სიტუაციის იმედი ჰქონდათ მათ, ვინც მოიფიქრა თავდასხმის უჩვეულო სცენარი.

25 მაისს დაგეგმილი იყო ორი პრეზიდენტის ნევაზე კატერით გასეირნება. ეს გასეირნება შედგა... ოღონდ დაგეგმილ დროზე რამდენიმე საათით გვიან. თუკი დავუჯერებთ ანონიმურ წყაროებს, 25 მაისის დილას, გასასეირნებელი მარშრუტის ერთ-ერთ სადგურზე აღმოაჩინეს ტროტილით სავსე სწრაფმავალი ძრავიანი ნავი. საიდუმლო ნავი შეღებილი იყო საზღვაო მილიციის ფერებში და მილიციის კატერისთვის ყველა საჭირო ატრიბუტიც ჰქონდა. თქმა არ უნდა, რა უბედურებას მოუტანდა ქვეყანას ეს კატერი, მით უმეტეს, რომ საჭესთან მდგომი კამიკაძის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი ტერორისტული მეთოდი ისლამისტებმა ერთხელ უკვე გამოიყენეს, წითელ ზღვაში, ამერიკის ერთ-ერთი საბრძოლო გემის წინააღმდეგ.

აღმოჩენილი კატერი-ტორპედო განაღმეს და რუსეთის უშიშროების სამსახურის სპეცლაბორატორიაში წაიღეს. ქვეყნის საუკეთესო მაძებრები, რა თქმა უნდა, ეძებენ კატერის პატრონებს და იკვლევენ, თუ როგორ აღმოჩნდა იგი ნევაზე სწორედ იმ დროს, როცა იქ პრეზიდენტების კატერს უნდა ჩაევლო.

ამ ინციდენტის შესახებ ბუშსა და პუტინს მაშინვე მოახსენეს. შეიძლება ამის გამოც იყო აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ასეთი ხანმოკლე, იგი სასწრაფოდ ევროპაში გაფრინდა.

*კრიმინალნაია ხრონიკა* **№12**

# კატა „მაშიკოს“ შურისძიება



ცხოველებზე ვამბობთ ხოლმე — ჩვენი უმცროსი ძმებიაო. მაგრამ ვექცევით კი მათ ძმურად? ისინიც ხომ ღვთის გაჩენილნი არიან და გარდა იმისა, რომ ალამაზებენ და ავსებენ სამყაროს, სიკეთე მოაქვთ ჩვენთვის. ცხოველებმა მეგობრობაც იციან და... შურისძიებაც — მათთვის უცხო არ ყოფილა კბილი კბილისა წილ...

ამბავი, რომელიც ქალბატონმა ნინო ამაშუკელმა მიამბო, არის გაფრთხილება, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვინდა, რომ ბუნების მრისხანება არ დაგვატყდეს თავს.

— კნუტი ჩემს გოგონას აჩუქეს დაბადების დღეზე. „მაშიკო“ დაარქვა ეკამ კნუტს, თან ჰყვებოდა, საკუთარ საწოლში გამოზარდა და ჩვენც ყველას შეგვიყვარდა ნებიერა და საოცრად ალერსიანი. პირველი სამი წელი არ დამაკებულა და მოსვენებულები ვიყავით. მერე კი ყოველ თვეში აჩენდა შთამომავლობას. ჩვენს სახლში სულ ისმოდა: „ახლა ვის მივცეთ კნუტი?!“ ერთი უცნაურობა სჭირდა „მაშიკოს“, არასოდეს ორ კნუტზე მეტს არ აჩენდა, თანაც სულ „ბიჭებს“, თითქოს იცოდა, რომ „გოგონებზე“ მოთხოვნილება ნაკლები იყო და ეშინოდა — უპატრონოდ დამრჩებიანო! საოცარი დედა იყო. სანამ კნუტებს არ წავართმევდით, სულ თავს დასტრიალებდა, ასუფთავებდა, ათამაშებდა, ავარჯიშებდა და წვრთნიდა. შვილებს რომ წაიყვანდნენ, დარდობდა, არც საჭმელს ჭამდა რამდენიმე დღე... ეკა რომ გათხოვდა, „მაშიკო“ „მზითევში“ გავაყოლეთ.

სწორედ იმ ხანებში ძალიან გაჭირდა ცხოვრება. არც ჩვენ ვიყავით გამონაკლისები. სამსახური დავკარგეთ, ვერც ვაჭრობა მოვახერხეთ. ჩემი სიძე ლამის გაგიჟდა, მით უმეტეს, რომ ეკა ფეხმძიმედ იყო და განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებდა, ჩვენ კი ვერ ვუწყობდით ხელს.

ზურა (ეკას ქმარი) ნიჭიერი მათემატიკოსია. დაანება თავი მასწავლებლობას და რას აღარ ეპოტინებოდა და კადრულობდა, რომ საღამოს შინ ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო. ერთხელაც თევზი მოეტანა — ეკას უყვარს თევზი... სამზარეულოში სასადილოდ შესულებმა ნახეს, რომ თევზის ბოლო ლუკმას მიირთმევდა „მაშიკო“...

ისე გამწარებულა ზურა, „მაშიკო“ სასტიკად უცემია, სულ კედელზე ახეთქა თურმე, მერე ფეხიც ჩაურტყამს და საცოდავ კატას უსუსური კნუტები მოუყრია... ამის მნახველი ეკა და ზურა ცუდად გამხდარან, ტირილიც დაუწყიათ სასოწარკვეთილებისაგან, მაგრამ კნუტებს ხომ ვერ გააცოცხლებდნენ?!.. „მაშიკოს“ ერთიც არ დაუკვნესია, თავის კალათაში ჩაწოლილა და გატრუნულა...

ორი დღის შემდეგ კი უცნაური რამ შეამჩნიეს: ფეხმძიმე ეკას დანახვაზე თვალები სისხლისფერი გაუხდებოდა და ისტერიულ ჩხავილს იწყებდა. უსიამო შეგრძნება გაუჩნდათ „მაშიკოს“ საქციელზე, მაგრამ აღარაფერს ერჩოდნენ და მით უმეტეს, არ უყვიროდნენ მომხდარის გამო დარცხვენილები... ერთ ღამეს კი ეკა „მაშიკოს“ ჩხავილმა გააღვიძა — კატა წინა თათებით მუცელზე შედგომოდა და ისეთი სახე ჰქონია, თითქოს „იმუქრებოდა“. ეკას ისე შეშინებია, გული წასვლია. კიდევ კარგი, ზურა შინ იყო და სასწრაფო დახმარების მანქანას გამოუძახა, ეკა გონს მოიყვანეს, მაგრამ მას შიშის ნიადაგზე ნაადრევი მშობიარობა დაეწყო: ტყუპი ბიჭი გააჩინა, რომლებიც ექვსთვიანები იყვნენ და მათი გადარჩენა შეუძლებელი გახდა... ეკას რომ უთხრეს, რაც მოხდა, შეეხვეწა ზურას — „მაშიკოს“ არაფერი უთხრათო! — ყველანი მივხვდით, რომ ტყუპის ნაადრევი დაბადება და სიკვდილი არ იყო შემთხვევითობა, ბუნებამ არ აპატია ზურას უსუსური ცხოველისადმი გამოჩენილი სისასტიკე!.. „მაშიკო“ იმ დღის შემდეგ აღარავის გვინახავს. დაიკარგა... როგორც ჩანს, არც მას უნდოდა ასეთი მკაცრი ყოფილიყო „შურისძიება“, მაგრამ...

*თქვენი არ ვიცი და, მას შემდეგ, რაც კატის შურისძიების ამბავი მოვისმინე, არ მშორდება ფიქრი ადამიანების მიერ უგუნურად გაჩეხილ ტყეებზე, დაბინძურებულ ზღვებსა და მდინარეებზე...*

*ძალიან, ძალიან მეშინია!*

*ინგა ჯაყელი*




**ყურადღება!**

ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად შეიძინეთ პრეპარატი, რომლის კოლოფიც ცისფერი ზოლითაა, და ლათინურ წარწერასთან ერთად თან ახლავს რუსული წარწერაც

# ბეტადინი

ვაგინალური სანთლები

სპობს ყველა სახის მიკრობს: ბაქტერიებს, ვირუსებს, სოკოს, ტრეპონემას, ტრიქომონას, ქლამიდიას




როდის გამოვიყენოთ ბეტადინი?

- ნებისმიერი მოგზაურობისას, როცა პრობლემურია ყველა სანიტარული ჰიგიენური წესის დაცვა—თან იქონიეთ ბეტადინის სანთლები.
- თუ დადიხართ საცურაო აუზზე და ეჭვი გეპარებათ წყლის სისუფთავეში —გამოიყენეთ ბეტადინის სანთლები. (კვირაში 2–3-ჯერ)
- დაუცველი სქესობრივი კონტაქტისას გაიხსენეთ თქვენი საიმედო დაცვის საშუალება ბეტადინი. ინფექციის თავიდან ასაცილებლად საკმარისია იხმაროთ ბეტადინის რამოდენიმე სანთელი და მშვიდად იყოთ თქვენს მიკროფლორაზე.
- გინეკოლოგთან ვიზიტის წინ რამოდენიმე დღით ადრე და მანიპულაციის ჩატარების შემდეგ შეგიძლიათ თამამად იხმაროთ ბეტადინის ვაგინალური სანთლები, რაც აგარიდებთ შესაძლო ინფიცირებას და დაგიცავთ სერიოზული გართულებებისაგან.
- განსაკუთრებით საყურადღებოა ბეტადინის მაღალეფექტურობა ბაქტერიული ვაგინოზის დროს.

ნებისმიერ კითხვაზე დაგვიკავშირდით:

**99 89 92**


**ჩვენ გვწერენ**

# კიკიმორა

ძია სერგომ ორი წლის მანძილზე 53-ჯერ ჩარეცხა ქვედასართულელი მეზობლის აბაზანა და სამზარეულო. გაუთავებელ რემონტს შეეწირა მისი ოროთახიანი ბინა... ერთოთახიან ბინაში გადასვლის ერთი კვირის თავზე ისევ ჩარეცხა სამი სართული. საწყალი კაცი სიმწრით თმას იგლეჯდა — ძილის წინ ნამდვილად შევამოწმე ონკანებიო. მეზობელმა ექსტრასენსმა ნელიმ იგუმანა — აქ რაღაც საეშმაკო ხდებაო და ღამით დადარაჯდა ძია სერგოს ბინაში. დილით კი მობინადრეებს მოახსენა — ჩვენს ახალ მეზობელს კიკიმორა შემოსჩვევიაო. ეს კიკიმორა ვინღააო, იკითხეს გაოცებულებმა. პოლტერგეისტის ნაირსახეობაა, ბუდუნას (დომოვოის) ცოლი გახლავთ — გაჩხინკული, მახინჯი დედაკაცი, ბოროტი სული. ბუდუნას რაღაცას შეასმენს ადამიანი, მიიყვავილებს, მოხიბლავს, მოქრთამავს, კიკიმორა კი ვისაც შეუჩნდება, სანამ საიქიოს არ გაისტუმრებს, მანამ არ მოეშვებაო.

თურმე ბოროტი სულის მოშორება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი მიაკვლევ ნივთს, რომლითაც შეუძლია იგი ადამიანს დაუკავშირდეს. ეს უფრო ხშირად თოჯინაა ან შეშის ნაპობი.

კიკიმორას ეშინია გახვრეტილი ქვისა, ამიტომ კარწინ უსათუოდ უნდა იქონიოთ ასეთი კენჭი. ის ასევე უფრთხის ჯვარს და ლოცვას.

კიკიმორიანი სახლი უნდა გამოგავოთ, ნაგავი ცხვრის ქურქში გაახვიოთ, ტყეში წაიღოთ და დაწვათ. თან ლოცვები იკითხოთ მავნე სულების განსადევნად. კარგი იქნება, თუ წელიწადში ერთხელ სახლს მოძღვარს აკურთხებინებთ.

ძია სერგო ასეც მოიქცა და ბოლოს და ბოლოს მოისვენა...

*მარინა რიაბოვა*
*ქ. რუსთავი*



# ტელეპათია ჩუკოტკურად



ნოვოსიბირსკელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტით შეამოწმეს ტელეპათიის არსებობა. აღმოჩნდა, რომ უხილავი ტალღების ეფექტიანობა დამოკიდებულია ჰელიოფიზიკურ ვითარებაზე. ყველაზე მეტად ის იგრძნობა ქალაქგარეთ, ხის და აგურის შენობებში. ძალიან იოლად კითხულობენ აზრებს 73-ე პარალელზე მცხოვრებნი: ნენცები, ევენკები, ჩუქჩები და იმიერპოლარეთის სხვა აბორიგენები. ისინი ერთმანეთთან შეუთანხმებლად, საჭირო დღეს სხვადასხვა პუნქტიდან ჩამოდიან და იკრიბებიან. თურმე ეს ადგილი არის საინფორმაციო სივრცეში შესასვლელი ზონა. იმიერპოლარეთიდან შეიძლება მთელი დედამიწისთვის ხმის მიწვდენა. ეს მოხდება მაშინ, როცა იკლებს მზის ენერგიის დინება. ამ დროს მატულობს ინფორმაციის გადაცემისა და მიღების ხარისხი, განსაკუთრებით კარგი ტელეპათები არიან სავსემთვარეობისას დაბადებულნი.

უძველეს ეპოქაში ტელეპათიური ენა სავსებით ბუნებრივი იყო. ამიტომ მაშინდელი ადამიანები დიდ მანძილზეც იოლად ურთიერთობდნენ. სამწუხაროდ, თანამედროვე ვერბალურმა ენამ განდევნა უსიტყვო ენა.

*ვოტ ტაკ! №24*

# ჩეხ ინჟინერს მოჩვენება მრუშობისთვის დევნიდა

80-იანი წლების მიწურულს პრაღელი ინჟინერი მილოშ კოუპენი კონტრაქტით მუშაობდა უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში.

სასტუმრო, სადაც მილოში დასახლდა, მას ძალიან მოეწონა. მისი ერთადგილიანი ნომერიც ძალიან მყუდრო და ნათელი იყო. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა მილოშს — ყოველ დილით მზის სხივები მსუბუქ ფარდებში იოლად აღწევდა და ადრიანად აღვიძებდა. მილოშმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო — ბალიში საწოლის მეორე მხარეს გადაიტანა. შემდეგ დამლაგებელ ქალს, სვეტლანას, დაუძახა და სთხოვა, რომ დალაგებისას ბალიში იმავე ადგილას დაეტოვებინა.

— საბაზანოში შევედი შხაპის მისაღებად და კარი ღია დავტოვე — კოლეგას ველოდებოდი — რესტორანში სავახშმოდ უნდა წავსულიყავით. მეშინოდა, მისი დაკაკუნება არ გამომპარვოდა. ნაბანავები ოთახში შიშველი შევბრუნდი და გავშეშდი — სავარძელში უცხო კაცი იჯდა. შემრცხვა და პირსახოცი შემოვიხვიე.

ვინ ბრძანდებით, როგორ შემოხვედითმეთქი, — ვკითხე.

მე ამ ნომერში იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით ვცხოვრობდი... მინდა, რომ სვეტლანასთან ჭკლუცობას შეეშვაო, — მომიჭრა.

„რა თავხედია“, — გავიფიქრე და კართან მივედი, დაუპატიჟებელი სტუმარი რომ მიმებრძანებინა. მოვიხედე და ოთახი ცარიელი დამხვდა, კაცი გაუჩინარდა... მაშინვე დერეფანში გავვარდი, მაგრამ იქაც არავინ იყო, — იხსენებს მილოში, — სვეტლანას არ გაჰკვირვებია ჩემი მონაყოლი და მითხრა, — ამ ნომერში მართლაც ცხოვრობდა კიეველი ინჟინერი, რომელთანაც რომანი მქონდა. იგი სასტუმროს ჰოლში ინფარქტით გარდაიცვალაო.

სვეტლანას შენახული ჰქონდა მისი ფოტოც... ვთხოვე, ეჩვენებინა და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ფოტოზე ჩემი დაუპატიჟებელი სტუმარი შევიცანი...

მილოშ კოუპენი სხვა ნომერში გადავიდა. ამ ამბავმა მასზე ისე იმოქმედა, რომ სვეტლანა შეუყვარდა და მასთან ურთიერთობა გააბა. ქალიც ადვილად აჰყვა, რადგან მისი სატრფო უკვე მკვდარი იყო და ეს ღალატად არ მიაჩნდა. მაგრამ კიეველი ინჟინერი ასე არ ფიქრობდა.

— ერთ საღამოს, როცა ნომერში დავბრუნდი, — ჰყვება მილოში, — იქ კვლავ ის კაცი დამხვდა. ჩემი ნივთები მიყრილ-მოყრილი იყო, ხოლო პერანგები და საცვლები — დანაკუწებული.

— თუ სიკვდილი არ გინდა, ხვალვე აქედან აიბარგე! სვეტლანა მიყვარს და არასოდეს არავის დავუთმობ! — მომახალა მკაცრად.



მილოშ კოუპენის ოჯახი

კოუპენი სასწრაფოდ პრაღაში დაბრუნდა, სადაც მას ცოლ-შვილი ჰყავდა, მაგრამ ამით ეს ამბავი არ დამთავრებულა. ერთხელ მან თავის ოჯახს ფოტოსურათი გადაუღო. ფირი რომ გაამჟღავნა, იგრძნო, იქიდან ვიღაც უყურებდა. კარგად დააკვირდა ფოტოს და ძლივს გაარჩია „მეტოქის“ ფიგურა, რომელიც მას ეცხადებოდა და ზოგჯერ ესიზმრებოდა კიდეც.

მილოშმა მიმართა ანომალიების სპეციალისტს, იოზე ცუკს. ცუკმა ფოტო თავის ნაცნობ პოლიციელებს ექსპერტიზისთვის მიუტანა. აღმოჩნდა, რომ ფირი არც დაზიანებული იყო და არც ფოტომონტაჟთან ჰქონდა საერთო.

მილოშს ის კაცი ყოველთვის ეცხადება, როგორც კი მივლინებაში წასვლას დააპირებს. თითქოს უნდა, რომ ზაპოროჟიული თავგადასავალი შეახსენოს და აფრთხილებს — მრუშობისგან თავი შეიკავეო.

დამფრთხალი მილოში იფიცება, ცოლს აღარასოდეს ვუღალატებო.

*ექსპრეს-გაზეთა №24*

„საბალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. რებუსი
ცხელის შეშინებული ცივსაც უბერავდაო;

II. სპილო;

III. პეპელა.

# „ბიჭმა“ „გოგო“ გაიტყუა...



ორი თვის წინ ინგლისის ქალაქ უეიმუთის სანაპიროს შეეჩვია დელფინი, რომელიც თავზარს სცემს მოაგარაკეებს.

მეცნიერებმა მას ჯორჯო შეარქვეს.

ეს 180-კილოგრამიანი ხვადი მეტისმეტად ალგზნებულია და მრუშის თვალით უყურებს მანდილოსნებს. როგორც კი დაინახავს, წყალში ქალი შეცურდაო, უმალ მიაშურებს, გარშემო უვლის, ცდილობს, დაიმარტოხელოს, შორს გაიტყუოს და... შეუუღლდეს!

რამდენჯერმე ბეწვზე გადაურჩნენ მოცურავენი ჯორჯოს სექსუალურ მადას.

ამ ზღვის ძუძუმწოვართა მკვლევარნი ამტკიცებენ, ძალიან სახიფათოა ჟინმორეული ხვადის შეყრა, რადგან ცოტა არ იყოს, უხეშია და გადამეტებული „ალერსით“ შეუძლია დაახრჩოს პარტნიორიო(?!).

არადა ჯორჯო ვერაფრით მოაცილეს სანაპიროს...

*მეგაპოლის-ექსპრესი* №24

# დედამთილის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო...

აფრიკული ტომის ლოზის ტრადიციით, რძალმა დედამთილთან შეხვედრისას მთელი რიტუალი უნდა ჩაატაროს — დაიჩოქებს, ტაშს შემოჰკრავს და ამავდროულად, კარგად ყოფნას უსურვებს. ერთი ამ ტომის ქალბატონისთვის ტრადიციის ერთგულება კინაღამ სავალალოდ დასრულდა. მობილური ტელეფონით დედამთილის ხმას რომ მოჰკრა ყური, მისდა უნებურად მისალმების რიტუალი წამოიწყო, მობილური ტელეფონი კი იქვე მიაგდო. გამვლელმა მოტოციკლისტმა, უეცრად შეჩერებული და ტაშისმკვრელი ქალი რომ არ გადაეთელა, მოტოციკლს მიმართულება უცვალა და მობილურს გადაუარა.

მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა საბრალო რძალი, რომ ხორცშესხმულ დედამთილს კი არ ელაპარაკებოდა, არამედ მის ხმას.

*ეხო პლანეტი* №24-25

# მაცდური მკვლი

ძაღლები და კატები, თევზები და ჩიტები — აი, სარეკლამო რგოლების უცვლელი პერსონაჟები. ახლა აღარავის აკვირვებს, რომ კატა „ვისკასს“ უწევს რეკლამას, თუთიყუში — იოგურტს, ძაღლი კი მიკროტალღოვან ქურას გვიქებს. სხვათა შორის, სარეკლამოდ ჩვენი ოთხფეხა მეგობრების გამოყენებას 100-წლიანი ისტორია აქვს. ამ ფოტოზე თქვენ პირველ „ცხოველურ“ რეკლამას ხედავთ.



„გაზეთის მკითხველებს ცნობა ზღვის გველის შესახებ აუცილებლად დააინტერესებდა. ეს ურჩხული ნიჟნი ნოვგოროდში გამოჩნდა, ოკისა და ვოლგის შესართავთან. სამდინარო პოლიციის ერთ-ერთმა მამაცმა ჩინოსანმა ურჩხული ერთი გასროლით მოკლა. როცა იგი ნაპირზე ბუქსირით გაათრიეს, გაოცებისგან ყველამ პირი დააღო: ურჩხულს თავიდან კუდის ბოლომდე გასდევდა წარწერა: „მოწიეთ მხოლოდ და მხოლოდ უგემრიელესი პაპიროსი „ოსმანი“!

*გარდიანი*

# ამასაც თუ სტატისტიკა სჭირდებოდა!..

## (ჩვენო მამაკაცებო, თქვენ რამდენ ხანს ანდომებთ?)



საბრალო მამაკაცები! — ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებათ. ამას წინათ, ერთმა ბრიტანულმა ჟურნალმა მკითხველებს მეტად სამწუხარო ფაქტი ამცნო. დიახ, დიახ, მედიკოსები სერიოზულად არიან შეშფოთებულნი იმ ტრავმებით, რომლებსაც მამაკაცები... ქალის ბიუსტჰალტერების სამაგრების გახსნისას იღებენ. სტატისტიკა მართლაც შემაშფოთებელია, — ტრავმატოლოგები ამტკიცებენ, ამ გზით დაშავებულთა რიცხვი დღითი დღე იზრდებაო. საექიმო საიდუმლოს გამჟღავნება რომ არ შეიძლება, ბრიტანელმა მედიკოსებმა კარგად იციან, თუმცა ანონიმურობის დაცვით ერთი ისტორია მაინც უამბეს მკითხველებს...

27 წლის ინგლისელმა მარცხენა ხელის შუათითის მწვავე ტრავმით მიმართა კლინიკას. ექიმებმა დიდხანს ვერ დასტყუეს ხელის დაშავების მიზეზი ავადმყოფს — ახალგაზრდა გაურკვევლად ბურდღუნებდა და სიმართლის თქმას აშკარად გაურბოდა. როგორც იყო, გაარკვიეს — საბრალო მეგობარი ქალის ბიუსტჰალტერის ბრეტელებში, როგორც მახეში, ისე გაბმულა. თავის დახსნა რომ მოუნდომებია, სწორედ მაშინ ამოუგდია შუათითი. რას იზამდნენ ექიმები? — არტაშანი დაადეს და 6 თვის მანძილზე დაბრძანდებოდა უილბლო „კაზანოვა“ ხელგადახვეული.

პლასტიკური ქირურგიის ბრიტანული ჟურნალი თავს იკავებს მამაკაცებისთვის რეკომენდაციების მიცემისგან. თავადაც ვერ გაუგიათ, რა სჯობს: ვარჯიში, ხელის განაფვა თუ ამ საქმის პარტნიორი ქალისთვის გადაბარება — საკუთარ ბიუსტჰალტერს თვითონ მიხედოს; თუ მაინცდამაინც თავს ვერ იკავებს ისეთ ქალებთან გააჩაღოს რომანი, ვინც ამ სახიფათო ატრიბუტს არ ხმარობს. ადამის დროიდან დაგროვებული გამოცდილება გვკარნახობს, პირველ რიგში ვუგდოთ ყური: 61 წლის ბარის მფლობელი, ვინმე პიტერ სტრინგფელოუ ტრაბახობს, ნებისმიერ ბიუსტჰალტერს 4 წამში ვხსნიო. „გაოცებას ვარ, ეს ჩვენი ახალგაზრდობა რა უვიცია. აბა, ერთი 50-60-იანი წლების ქალის თეთრეული ენახათ — რაღა აბჯარი და რაღა ის. მათთან შედარებით ახლანდელი ბიუსტჰალტერის სამაგრი თითების ერთი გატკაცუნებაა“, — იქედნურად ქირქილებს „ვეტერანი ბიუსტჰალტერისტი“.

ბატონ სპრინგფელოუს ოსტატობამდე რომ ახალ თაობას ბევრი აკლია, ნათელია. ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, 30-40 წლის ბრიტანელთა 40% ბიუსტჰალტერებთან „ბრძოლას“ დიდ ენერგიას ანდომებს. საშუალოდ, ერთი კავალერი, ისიც ორივე ხელის დახმარებით, სამაგრის გახსნას 27 წამს ანდომებს თურმე(!).

*ჟენსკიე დელა* №23

# გენი გაგიჟდა!



იაპონიაში სასწაული მოხდა: 75 წლის სეი სენაგონი სრულიად მოულოდნელად 40 წლით გაახალგაზრდავდა. ახლა მას არ ასვენებენ მსახიობი ქალები, მდიდართა ცოლები და სთხოვენ, დიდ თანხად მიჰყიდონ ახალგაზრდობის საიდუმლო.

...ეს ამბავი დაიწყო 90-იანი წლების შუა ხანებში: თავდაპირველად, სეის ჭაღარა თმა გაუმუქდა, შავი და ბზინვარე გაუხდა. შემდეგ ღრძილებიდან სისხლი წამოუვიდა. მოხუცმა იფიქრა, პროთეზი მაწუხებსო და სტომატოლოგს მიაკითხა. ექიმი განცვიფრდა — ქალს კბილები ამოსდიოდა! თანდათანობით ნაოჭებიც გაუსწორდა და სახე ისე გადაეტკიცა, რომ სეის ქუჩაში მისი უახლოესი ადამიანებიც კი ველარ ცნობდნენ. ერთი წლის შემდეგ დედათა წესიც აღუდგა. სეი სენაგონი თავის 80 წლის მეუღლეს, რომელთანაც 50 წელი იცხოვრა, გაეყარა და ბანკის 40 წლის კლერკს გაჰყვა ცოლად.

ამჟამად სეის ფენომენს შეისწავლიან გერონტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები. ვარაუდობენ, რომ ყველაფერი ახალგაზრდობის გენის ბრალია. ჩვეულებრივ, ამ ასაკში გენს უკვე „სძინავს“, სეის შემთხვევაში კი, რატომღაც „გამოიღვიძა“, როგორც ჩანს, „გაგიჟდა“ და აქტიური ფუნქციონირება დაიწყო.

*ინტერპრეს-ექსპრესი* №23

# 107 წლის სასიძო

„წლის მამა“ — ასეთი საპატიო წოდება მიანიჭეს და სოლიდური ფულადი პრემია გადასცეს 107 წლის ესპანელ მწყემსს ხოსე პულიდოს. ამ დღეგრძელ მამაკაცს სამი ცოლისგან ორმოცდაოთხი შვილი ჰყავს.



ესპანეთის სხვადასხვა რაიონში ცხოვრობს ხოსეს 150 შთამომავალი — შვილიშვილები და შვილთაშვილები და მათი შვილები. სხვათა შორის, ხოსეს უფროს შვილიშვილს, ხოსეუმცროსს, ჩვიდმეტი შვილი ჰყავს და დაიმსახურა კიდეც პრემია „ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის“.

ხოსემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ სამი საყვარელი მეუღლის დაკარგვის შემდეგ თავს მარტოსულად გრძნობს და ისევ აპირებს ცოლის მოყვანას. „ჯერ ისეთი ბებერი არა ვარ, — ამბობს მწყემსი, — რომ უარი ვთქვა კიდევ ერთი შვილის გაჩენით მონიჭებულ სიხარულზე. უბავშვო სახლი აკლდამას ჰგავს“.

*ინტერნეტ ექსპრესი* №24

# ვისთან ან რასთან სჯობია

ქმარი, შვილები, საყვარელი, რადიო ან ტელევიზორი — ვისთან ან რასთან გირჩევნიათ დროის გატარება? ასეთი კითხვით მიმართეს ჟურნალისტებმა კოსტარიკელ ქალებს. თუ გგონიათ, კაცობრიობის უმშვენიერესი ნაწილი ინსტინქტის კარნახს მიჰყვება და სიცოცხლის დიდი ნაწილის მამაკაცებთან ან ბავშვებთან გატარებას არჩევს, ცდებით.

ყველაზე საიმედო კომპანიონად მათ ტელევიზორი დაასახელეს. მეორე ადგილზე რადიო აღმოჩნდა. საყვარელ ტელე და რადიოგადაცემებს რომ მოილევენ, დედებს შვილებიც ახსენდებათ. ქმრებმა და ბოიფრენდებმა ქალების გულებში მხოლოდ მეათედი ნაწილი დაიკავეს. მათ მოსდევენ ძაღლები, ბებიები, ამხანაგები, ჩიტები და ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი.

*ეხო პლანეტი* №24-25

# ყოვლისშემძლე მადონა

საყოველთაოდ ცნობილმა მადონამ გადაწყვიტა დაირსეტის საგრაფოში, მისი ადგილ-მამულის ახლოს მდებარე აეროდრომის შეძენა. მომღერალი ინგლისში 2000 წელს დასახლდა, რათა თავისი შვილის მამასთან, გაი რიჩის გვერდით ყოფილიყო. თავიდან ადგილ-მამულისა ყველაფერი მოსწონდა. მყუდრო სახლი, მოზრდილი პარკი, ინგლისური ამინდი და სოფლის ცხოვრების სიმყუდროვე. მაგრამ დროთა მანძილზე მომღერალი გაალიზიანა ეზოს თავზე მფრინავი თვითმფრინავების ხმაურმა. ახლა იგი აპირებს, მილიონ დოლარად შეიძინოს აეროდრომი, მაგრამ აქედან ფრენას სულაც არ აპირებს. უფრო მეტიც, მან გადაწყვიტა იგი გოლფის სათამაშო მოედნად გადააკეთოს.

*ოგონიოკი* №26

# მაიმუნმა ვირთხა იშვილა



ზოოპარკის ბინადარ ძუ მაიმუნს უეცრად გაეღვიძა დედობრივი გრძნობა. ჩიტა დიდხანს ადევნებდა თვალს ვირთხას, რომელიც მის გალიაში შეპარულიყო და ნამცეცებს აცმაცუნებდა. ხელი სტაცა მღრღნელს და მკერდზე მიიკრა. ვირთხა გაიტრუნა, ეამა ალერსი...

ხუთი წლის წინ ჩიტას გალიაში თეთრი ვირთხა მოხვდა. ცხოველები ისე დამეგობრდნენ, რომ ურთმანეთოდ ვეღარ ძლებდნენ: თამაშობდნენ, ერთობოდნენ. ბოლოს, ფუმფულა მღრღნელი პატრონმა წაიყვანა. ჩიტა ლამის გაგიჟდა, გისოსებს ანყდებოდა, წიოდა.

ჩიტა ახლა ძალიან ბედნიერია — ეფერება და უნანავებს შვილობილს, წუთითაც არ იცილებს. მაიმუნს ძალიან უყვარს მოხარშული კვერცხი. მომვლელებმა მიართვეს ნუგბარი და თან თვალს ადევნებდნენ — რას იზამდა, გაუყოფდა თუ არა ვირთხას საყვარელ კერძს. ჩიტამ დაუნანებლად გაუზიარა შვილობილს სასუსნავი.

ერთხელ ვირთხა სადღაც გაუჩინარდა. უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა მაიმუნი. იჯდა მობუზული და დაღვრემილი. როცა მოშივებულმა ვირთხამ დედობილს მიაკითხა, გახარებულმა ჩიტამ ლამის სიმღერა შემოსძახა. მას შემდეგ შვილობილს აღარც უფიქრია მისი მიტოვება...

*მეგაპოლის-ექსპრესი* №24

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჯუზეპე გარიბალდის სიტყვებს ამოიკითხავთ.

დ ა ი ს ვ ე ნ ე კ ვ ი რ ი ს პ ა ლ ი ტ რ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ

მ ი ს ა ო ო ა ო რ ტ ნ ე ე ო ა ი ი რ ა ა ი ო ა ქ ა ა ა

**დ.** ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; **ა.** გათავისუფლებული ყმა; **ი.** ესპანელი — ტორსედორი, იტალიელი — ტიფოზი, ბრაზილიელი — ?; **ს.** ავღანელი ჯარისკაცი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ე.** გემის მომსახურე პერსონალი; **კ.** შაქრიან წყალში მოხარშული სხვადასხვა ხილი; **ვ.** ძლიერი პრეპარატი მამაკაცური პოტენციის ასამაღლებლად; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ს.** სასამართლოში შეტანილი განცხადება რაიმე დავის გადასაწყვეტად; **პ.** რაიმე სფეროში ახალი გზის გამკვლევი, რაიმე საქმის წამომწყები; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ქალაქ მილანის ოპერა; **ი.** ღონე, ძალა, არაქათი; **ტ.** მოკლე ამოცანა, რომელსაც აძლევენ პირს გონებრივი შესაძლებლობების გამოსავლენად; **რ.** მჭევრმეტყველი ადამიანი, ორატორი; **ა.** ხის აღვირი; **ს.** ფილოსოფიის მამა; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; **ა.** ვაზის ორმტევნიანი ლერწი; **ნ.** ერი; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **რ.** 1970-იანი წლების ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ა.** უსაქმოდ მოყიალე მოხეტიალე ახალგაზრდა; **დ.** ქვეყანა, რომლის პრინციც იყო ჰამლეტი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დაისი; **ა.** ატოლი; **ი.** იალბუზი; **ს.** სპინოზა; **ვ.** ვუალი; **ე.** ელბა; **ნ.** ნოე; **ე.** ენდრო; **კ.** კინტო; **ვ.** ვოინიჩი; **ი.** იმედი; **რ.** რური; **ი.** იომორი; **ს.** სვანეთი; **პ.** პრაიდი; **ა.** აპნისი; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** იაგუარი; **ტ.** ტყემალი; **რ.** რიშარი; **ი.** იპონი; **ს.** სოსელო; **ფ.** ფიურერი; **ე.** ემბარგო; **რ.** რვეული; **ე.** ერდო; **ბ.** ბრუტუსი; **შ.** შერი; **ი.** ილიადა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **იოლია ბედნიერმა აწუგეშოს უბედური.**

# „ფერარი“ და მისი გუნდი მილიონი დოლარით დააჯარიმეს



საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის, FIA-ს განცხადებით, „ფერარი“ და მისი სარბოლო ჯგუფის ფავორიტები მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო მილიონი დოლარით დაჯარიმდებიან. დაჯარიმების მეთოდი საკმაოდ საინტერესოა — მისი ნახევარი უკვე ჩადენილი დარღვევებისთვის არის განკუთვნილი, ხოლო მეორე ნახევარს კი საავტომობილო ფედერაცია „ავანსის“ სახით იტოვებს, თუ სამომავლოდ „ფერარის“ ავტომრბოლელები კიდევ დააშავებენ რამეს.

დარღვევას, რომელიც ფედერაციის სანქციების მიზეზი გახდა, ამა წლის 12 მაისს, ავსტრიის გრან-პრის გათამაშებაზე ჰქონდა ადგილი. მაშინ „ფერარის“ გუნდის ხელმძღვანელობამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ფინიშზე გასვლამდე 2-3 წუთით ადრე ბერიკალოს უბრძანა, გზა შუმახერისთვის დაეთმო. ჩემპიონის ტიტულიც ამ უკანასკნელს ერგო. მაგრამ მომხდარმა მაყურებლებში ისეთი აქტიური რეაქცია გამოიწვია, რომ დაჯილდოების ტრადიციულ ცერემონიაზე, როგორც ჩანს, შუმახერი სინდისმა შეაწუხა და ბარიკელო სულ ხელის კვრით დააყენა მისთვის განკუთვნილ პირველ ადგილზე.

FIA-ს (საავტომობილო ფედერაციის) წინაშე ახსნა-განმარტებისთვის წარმდგარმა მრბოლელებმა თავი ძალიან მარტივად და იოლად იმართლეს — ბარიკელომ ფედერაციის ექსპერტთა ჯგუფს თავისი კონტრაქტის ასლი წარუდგინა, სადაც ცალკე პუნქტად ენერა, რომ „ფერარის“ პილოტი რბოლის პროცესში ვალდებულებას იღებს, გუნდის ხელმძღვანელობის ყველა ბრძანებას დაემორჩილოს. რაც შეეხება შუმახერს, მისი თქმით, ყოველივე მომხდარის შემდეგ, მორალური უფლება არ ჰქონდა, გამარჯვებულის პედესტალზე თვითონ დამდგარიყო და ეს ადგილი დამსახურებულად მიაკუთვნა ბარიკელოს.

# სიჩქარის გადაჭარბებისთვის იძებნება... გარეული იხვი




გერმანიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, მოძრაობის წესები დაკვირვების სპეციალური აპარატურით წესრიგდება. დღე-ღამის განმავლობაში სპეციალური სენსორები აფიქსირებენ შუქნიშნის უგულებელყოფას, ან სიჩქარის გადაჭარბებას, ხოლო ფოტოკამერა კი დამრღვევ ავტომობილს ფირზე აღბეჭდავს, სადაც მისი სანომრე ნიშანი, თარიღი, საათი და დარღვევის სახეობაა დაფიქსირებული. უკვე მეორე დღესვე დამრღვევს ფოტოსურათი ჯარიმის ქვითართან ერთად მისდის სახლში. ზემოაღნიშნული სენსორები განგაშის უნარითაც არის აღჭურვილი. თუ ავტომობილი ალოგიკურ მანევრებს ატარებს, ან საჭვოდ სწრაფად მოძრაობს, სენსორები სამართავ პულტში დამრღვევის ფოტოს და განგაშის სიგნალს გადასცემენ, რის შემდეგაც საპატრულო მანქანა სასწრაფოდ გადის შემთხვევის ადგილზე. ერთ-ერთი ასეთი განგაშის შემდეგ გერმანიის ქალაქ გლუკშტატის პოლიციელებს ხელში გარეული იხვის ფოტოსურათი შერჩათ, რომელიც გზიდან 40-50 სმ სიმაღლეზე, იმდენად სწრაფად მიფრინავდა, რომ 40კმ/სთ-ის ზღვარზე დაყენებულმა სენსორმა სიჩქარე ვერ განსაზღვრა და განგაში ატეხა.

# ახალი დეტალები Lexus GX 470-ის შესახებ



კომპანია „ლექსუსმა“ თავისი ახალი ჯიპის, „ლექსუს GX470“-ის ოფიციალური მაჩვენებლები გამოაქვეყნა. მისი პრეზენტაცია მომავალ წელს, დეტროიტის ავტოსალონზე გაიმართება. „ლექსუსის“ კლასიფიკაციის მიხედვით, ახალი მოდელი RX300-სა და დიდგაბარიტებიან X470-ს შორის მოხვდება როგორც ფასის, ისე ზომების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ კომფორტისა და ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით ახალი ჯიპი „თანამოძმეებს“ არა თუ ჩამოუვარდება, არამედ, სჯობს კიდეც.

სრულიად ახალ პლატფორმაზე აგებული GX470 მხოლოდ ერთი სახის, ბენზინის 4,7ლ მოცულობის, V8 ტიპის ძრავით გამოვა. გარდა ამისა, ავტომობილს „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ ანალოგიური, სრული გაწევის სისტემა ექნება. ეს უკანასკნელი კი უგზოობაში საუკეთესო მაჩვენებლების ჯიპად ითვლება. ახალი მოდელის საბაზო (სტანდარტულ) აღჭურვილობაში უამრავი ტექნიკური სიახლე შევა. როგორიცაა მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, გაწევის აქტიური კონტროლი, ექსტრემალური დამუხრუჭების დამხმარე სისტემა Brake Assist, დაღმართზე დაშვების ელექტრონული და მოცურების საწინააღმდეგო სისტემები. ახალი „ლექსუსის“ კონსტრუქტორებს არც კომფორტი და ფუფუნება დავიწყებიათ — ასევე სტანდარტულ აღჭურვილობაში შევა ტყავის სალონი, უმაღლესი ხარისხის აუდიო და DVD სისტემა. მყიდველის სურვილის შემთხვევაში კი უკან მსხდომთათვის წინა სავარძლების საზურგეებში თხევად, კრისტალურ ეკრანებსაც ჩაამონტაჟებენ. ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე აღნიშნული მოდელი 45-50 ათასი დოლარი ეღირება. „ლექსუსის“ მენეჯერები წელიწადში 20 ათასი მოდელის წარმოებას და გაყიდვას ვარაუდობენ.

# იაპონელები წინ მიიწევენ...

იაპონელთა გამუდმებული სწრაფვა პროგრესისაკენ ყველასთვის ცნობილია. იაპონიის ელექტრონწარმოების კომპანიათა კონსორციუმმა მორიგი გრანდიოზული პროექტის შესახებ განაცხადა. სპეციალური თანამგზავრული სისტემა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ავტომფლობელებს მოემსახურება, თავის კლიენტებს კოსმოსთან და სატელიტთან დაკავშირებულ ყველანაირ მომსახურებას შესთავაზებს. ეს იქნება ინტერნეტით შეუზღუდავი კავშირი, ნებისმიერი მოცულობისა და ხარისხის ინფორმაციის გადაცემა დედამიწის ნებისმიერ წერტილში, ავტომობილის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და ა. შ. ანალოგიური სახის მომსახურებას ამერიკული GPS აქამდეც ახორციელებდა, მაგრამ ძირითადი, სამხედრო საქმიანობიის პარალელურად. გარდა ამისა, სიხშირე, რომელიც აღნიშნულ სამსახურს ავტომობილის მდებარეობის განსაზღვრისთვის ჰქონდა გამოყოფილი, 20 მეტრ ცდომილებას იძლეოდა. ახალი, იაპონური სისტემა კი მის 10 სმ-მდე შემცირებას გეგმავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული პროექტის საერთო ღირებულება 1,6 მილიარდი დოლარი იქნება და მასში თითქმის ყველა ცნობილი იაპონური ელექტრომწარმოებელი ფირმა მიიღებს მონაწილეობას. შედეგი მართლაც შთამბეჭდავი იქნება.

# ახალი „პორშე GT3“ საახალწლოდ გამოჩნდება



PORSCHE GT3-ის ახალი ვერსია 2003 წლის იანვარში გამოვა. ახალ მოდელს 3,8 ლ მოცულობის, 380 ცხ.ძ სიმძლავრის ძრავა აქვს, ზემტკიცე ალუმინის ნაერთით დამზადებული კორპუსის წყალობით მოდელი 100 კმ/სთ სიჩქარეს სულ რაღაც 4,6 წამში ავითარებს, ახალ „პორშეს“ ფასიც შთამბეჭდავი ექნება — 70 ათასი გირვანქა სტერლინგი.

გარეგნულად ახალ მოდიფიკაციას სპორტული ტექნოლოგიით დამზადებული სპოილერი დაემატა, რომელმაც ბევრად გააუმჯობესა მისი აეროდინამიკური მაჩვენებლები. რაც შეეხება სალონს, იგი სპორტული სტილისთვის დამახასიათებელი სისადავით გამოირჩევა.

# „სააბი“ საიუბილეო მოდელს გამოუშვებს...



კორპორაცია „სააბი“ თავისებურ იუბილეს აღნიშნავს. მის მიერ ავტონწარმოებაში ტურბო ძრავების დანერგვას 25 წელი შეუსრულდა. სპეციალურად ამ დღისთვის ახალი მოდელი 9-3 Turbo Anniversary გამოვიდა. საიუბილეო ავტომობილი შეზღუდული ტირაჟით გაიყიდება — მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სულ რაღაც 175 ცალი. საიუბილეო მოდელის ბაზად „კუპეს“ ორადგილიანი ძარა იქნა აღებული. იგი 2,0 მოცულობის ძრავით არის აღჭურვული და 185 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს.

# ძველი „სიტროენი“ არნახულ ფასად გაიყიდა...



ლეგენდარული ავტომობილი Citroen Sahara-2CV აუქციონზე 41 597 ევროდ გაიყიდა. აღნიშნული მოდელის თავისებურება და ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ორი ძრავათი არის აღჭურვილი, რაც იმ დროს (ავტომობილი 1959 წელს გამოუშვეს) ტექნიკური სენსაცია იყო. უდაბნოსთვის განკუთვნილ ამ უცნაური ყველგანმავლის კაპოტში განთავსებული ძრავა წინა თვლებს ამოძრავებდა, ხოლო მეორე, საბარგულში დამონტაჟებული კი უკანა თვლებს.

სულ 900 ასეთი მოდელი გამოვიდა, მაგრამ ჩვენს დრომდე მხოლოდ 250-მა თუ მოაღწია. თუმცა, საკოლექციო მოდელისთვის ესეც საკმარისზე მეტია, ამიტომაც, ექსპერტების აზრით, ავტომობილი 5.000 ევროზე მეტად არ უნდა გაყიდულიყო.



# «ბოლო კეთილია»



მსოფლიოს XVII ჩემპიონატი დასრულდა. ვნებები დაცხრა.

მიუხედავად უამრავი მოულოდნელობისა, ჩემპიონი მაინც ერთ-ერთი „ბებერი მგელთაგანია" — ნაკრები, რომლისთვისაც მსოფლიო ფეხბურთის ოლიმპზე დგომა სულაც არ არის უცხო ხილი.

შესაძლოა, პარადოქსიც იყოს, მაგრამ ფაქტია — მიუხედავად იმისა, რომ მოულოდნელობა, სიურპრიზი, თავისთავად გულისხმობს რაღაც დადებითსა და საინტერესოს, ფეხბურთის ჭეშმარიტი დამფასებლისთვის სულაც არ იქნებოდა სასიამოვნო გუშინ და გუშინწინ „გამომტყვრალი" თურქეთისა თუ სენეგალის გაჩემპიონება, სამხრეთ კორეას რომ თავი დავანებოთ... ასე რომ, სიახლე ფეხბურთში და განსაკუთრებით — მსოფლიო ჩემპიონატზე, სულაც არ გულისხმობს (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო) რაღაც „თავზარდამცემ", ალოგიკურ შედეგს, რადგან ამით სპორტის ამ მართლაც დიდებული სახეობის ერთ-ერთი მთავარი ღირსება დგება ეჭვის ქვეშ: ფეხბურთი ლოგიკური თამაშია და მასში ძლიერი იმარჯვებს სუსტზე. ცხადია, ყოველ წესში არის გამონაკლისი, მაგრამ გამონაკლისი იმის გამონაკლისია, რომ იშვიათად მოხდეს და არა მაინცდამაინც მსოფლიო ჩემპიონატზე.

იმას არ ვქადაგებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი წინასწარ იყოს ცნობილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ თუ გულშემატკივარი და სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ არგენტინის ნაკრები ჯგუფიდან არ უნდა გავარდეს, ხოლო ამერიკელთა გუნდისთვის კი, მერვედფინალიც დიდი მიღწევა იქნება, ეს ასეც უნდა იყოს.

სიახლეს რაც შეეხება: ის ყოველთვის იყო მსოფლიო ჩემპიონატებზე და ეს იმის მიუხედავად, რომ გასულ თექვსმეტ „მუნდიალზე" სულ „ერთი და იგივე" გუნდები იმარჯვებდნენ. სამაგიეროდ, იყო ახალი ტაქტიკური სქემები, ახალი საფეხბურთო „მსოფლმხედველობა" და, რაც მთავარია, ახალი სახელები! სწორედ მსოფლიო ჩემპიონატებმა ააკაშკაშა პირველი სიდიდის ვარსკვლავებად პელე და მისი თანაგუნდელები, კოპა, ფონტენი, ჩარლტონები, მიულერი, კრუიფი, კემპესი, როსი, პლატინი, კონტი და მრავალი სხვა...

გასული ერთი თვის განმავლობაში კი, ვის და რას უყურებდა მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი? ვის და — კორეელი ანის, ჩხვანის, „ჯლანის" და მისდაგვართა ხვევნა-კოცნას მორიგი მსაჯის მიერ ნაჩუქარი მორიგი გოლის შემდეგ, თურქების თავგანწირულ თამაშს და მათ გულისხეთქვას, როდესაც მსაჯი ბრაზილიასთან „ძირავდა" სენეგალელთა „ფორსირებულ სვლას" თავიანთი ბუბა დიუპითა და ვილაც სისეებით...

მარადონას, პლატინისა და პელეს რომ თავი დავანებოთ, „ვარსკვლავებზე" რომ არ ვილაპარაკოთ, რომლებიც შემდეგ დიდხანს კაშკაშებენ, თუნდაც „კომეტა" ან „მეტეორიტი" დაინახეთ ამ ჩემპიონატზე?! ვთქვათ, ისეთი მაინც, როგორიც იგორ ბელანოვი იყო 1986 წლის ჩემპიონატზე, შემდეგ, ინერციით, ევროპის „ოქროს ბურთიც" რომ მიიღო და მალევე ჩაქრა?! ან რა ტაქტიკური სქემებით გაამდიდრა ფეხბურთი კორეა-იაპონიის „მუნდიალმა"?! ცხადია, რევოლუციური „დუბლ-ვეს" სისტემის შემოტანას, ან „ყველაფრის დამანგრეველი" ახალი „ტოტალური ფეხბურთის" გამოგონებას არავინ ელოდა, მაგრამ როდესაც ამ დონის ტურნირი ისტორიაში მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონის, აგრეთვე ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის „გავარდნით" შედის, ალბათ, არ უნდა იყოს კარგი.



ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ვინმე ახალი გუნდების გამოჩენის წინააღმდეგი იყოს — თითო „კორეა" და „სენეგალი" ყველა ჩემპიონატს ჰყავდა: 1966 წელს ჩრდილოეთ კორეამ იტალია „დაითხოვა" ქვეჯგუფიდან და შემდეგ ეტაპზე პორტუგალიას უგებდა 3:0-ს, მაგრამ საფეხბურთო თემიდამ, რომელიც ახლა აშკარად მობერებული ჩანს, გადაწყვიტა — „ეყოფათო" და მეორე ტაიმში ფრთები შეასხა ეუსებიოს, რომელმაც ოთხი გოლი გაუტანა აზიელებს; 1978 წელს, არგენტინაში ტუნისის ნაკრები „გამოხტა" საიდანღაც, მაგრამ, თუმცა ღირსეულად, მაინც დატოვა ჩემპიონატი; 1982-ში კამერუნმა და ალჟირმა ივაჟკაცეს, გერმანია, ჩილე, იტალია და პოლონეთი გაამწარეს... შემდეგ უკვე ნიგერია გამოჩნდა სარბიელზე და ა.შ. მაგრამ წელს, რომ იტყვიან, „ნამეტანი მოუვიდათ" და მადლობა ღმერთს, რომ შემდეგი ჩემპიონატი გერმანიაში ტარდება — ვფიქრობთ, ეს კიდევ ერთ-ერთი ხელშემწყობი იქნება იმისა, რომ „ყველაფერი თავის ადგილზე" დადგება და მას შემდეგ კიდევ ოთხი წელი, ფეხბურთი „მეტიჩარათა" ჩარევისაგან თავისუფალი იქნება.

რა შუაშია ჩემპიონატის ჩატარების ადგილიო? — ბევრი იკითხავს. ვფიქრობთ, რომ შუაში კი არა, თითქმის თავშია: ისიც რომ არ იყოს, რომ ნაკრებთა უმეტესობა „თავისი დროით" დილის ექვს საათზე თამაშობდა უმნიშვნელოვანეს მატჩებს და მექანიზმად ქცეული სხეულისათვის ამ რეჟიმზე გადაწყობა ორ კვირაში შეუძლებელია, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ალბათ, მაინც არ უნდა ჩატარდეს კორეაში, იაპონიაში, მაპუტუსა თუ მთვარეზე... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „სპეცდავალების" გარეშეც, მსაჯები ცოტათი ემხრობიან ხოლმე მასპინძლებს. ეს „ცოტა" კი, არც ისე თვალში საცემია, როდესაც ტოფიკ ბახრამოვი ლონდონში გამართულ ფინალში ინგლისელთა სასარგებლოდ წყვეტს სადავო გოლის საკითხს, ან როდესაც არგენტინული გადარეული „ტორსიდის" წინაშე იტალიელი მსაჯი არცთუ ასპროცენტიან პენალტს არ ნიშნავს მასპინძელთა კარში. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ამ მცირე დარღვევებით ქვეყანა არ დაქცეულა, რაც იმავე ფინალურ მატჩებში დაადასტურეს არგენტინამაც და ინგლისმაც კიდევ თითო, ამჯერად „ალალი" გოლების გატანითა და დამსახურებული გამარჯვებებით.

აქ კი რა ხდებოდა?! — რომელი „მცირე უზუსტობა" და რა „პატარა ხელის წაკვრა"?! პორტუგალიასთან მოაგებინეს, იტალიასთან მოაგებინეს, ესპანეთთან მსაჯს პენალტი არ დაურტყამს თვითონ, თორემ დანარჩენი ყველაფერი იკადრა...

სწორედ ეს არის საქმე. ამ დონის სპორტული ფორუმის ორგანიზება მხოლოდ ტელეკომუნიკაციების მოწესრიგებას, ბრწყინვალე სტადიონების აშენებასა და ჭკვიანურ სარეკლამო კამპანიას არ ნიშნავს — ჰკითხეთ ნებისმიერი ქვეყნის გულშემატკივარს და თქვენს თავსაც: სად გირჩევნიათ იჯდეთ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე — იაპონიის ერთ-ერთ სტადიონზე, ფუმფულა სავარძლითა და უნაკლო სერვისით, თუ ნახევრად დანგრეული „მარაკანას" ლურსმნებამოჩრილ „სკამეიკაზე"?! დღეს კი ამ კომფორტს ფიფამ ის ანაცვალა, რომ, ოფიციალურად, კორეას, მსოფლიოში მხოლოდ სამი გუნდი სჯობს და ერთ-ერთი მათგანი — თურქეთია.

პასუხგასაცემი კითხვა უამრავია და ჩვენც, ალბათ, არაერთხელ დავუბრუნდებით განვლილ ჩემპიონატს, ამიტომ, მოდით, ბევრ უარყოფითთან ერთად მთავარი დადებითიც გავიხსენოთ: ფინალურმა მატჩმა მაინც „გამოასწორა" მდგომარეობა. ვუყურებდით მას და არავის უკვირდა, რომ ფეხბურთში(!) მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ბრაზილია და გერმანია ხვდებოდა — ორი საფეხბურთო „აზროვნება", ორი „იდეოლოგია", თავ-თავიანთი არგუმენტებით, გულშემატკივართა არმიებით და მაშინდელი ტრადიციებით, როდესაც სენეგალში მრავალი საგანი საერთოდ არ ენახათ ადამიანის თავის ქალის გარდა, თურქებს კი იასონ კვირკველიას „მერცხალი" უგებდა თუმნიან „მაზიანებს"...

ბრაზილიელებმა აშკარად დაჯაბნეს ევროპელები და თუკი ვინმეს გულში ხინჯად ჰქონდა დარჩენილი ბრაზილიელთა არცთუ დამაჯერებელი თამაში წინა ეტაპებზე (ცხადია, ინგლისის ნაკრებთან შეხვედრის გარდა), ახლა ყველა დარწმუნდა, რომ „ბებერი ხარისა რქებიც ხნავენ" და თუკი რამე იყო ფინალურ მატჩში არაბუნებრივი, მხოლოდ გერმანიის ნაკრებში მოთამაშე ჯერალდ ასამოა გახლდათ, რომელმაც, უკვე მერამდენედ, „ავი თილისმის" როლი ითამაშა თავისი „ახალი სამშობლოს" ნაკრებისათვის...

სხვა მხრივ კი... ჩემპიონატი დამთავრდა, ფინალში ბრაზილიამ გერმანია დაამარცხა, რონალდო საუკეთესო ბომბარდირი გახდა...

ასე რომ, იქნებ გადამეტებულიც იყოს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული შიში და ფეხბურთი ისევ ლოგიკურ თამაშად დარჩეს, სადაც „შემთხვევით" გამარჯვება არ არსებობს!

ღმერთმა ქნას ასე იყოს და ის ოთხწლიანი მოლოდინი, რომლის ათვლაც უკვე დღეიდან დაიწყება, გერმანიაში გამართლებულიყოს 2006 წელს...

ზღაპარი, რომელსაც „მსოფლიო ჩემპიონატი" ჰქვია, ბევრი სხვა ზღაპრივით, საშინელებებით დაიწყო, მაგრამ როგორც ზღაპრის წესი მოითხოვს, კეთილად დამთავრდა...

**ზვიად გურული**

# „მიზანი ამართლებს საშუალებას?!"



ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი, მაგრამ დაპირისპირებულ ბანაკთა შორის ბრძოლა უკვე გაჩაღდა. საჯილდაო ქვა ბავშვთა ფეხბურთი აღმოჩნდა. საფეხბურთო სკოლების კონფერენციაზე არჩეული სამივე დელეგატი (ბუბა ტყავაძე, ზურაბ თოფურია, რევაზ გაგუა) პრეზიდენტობის ერთ-ერთი მაძიებლის, დავით პეტრიაშვილის მომხრე აღმოჩნდა. ფედერაციის ამჟამინდელმა თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ ბავშვთა ფეხბურთში მხარეთა დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, კონფერენციის შედეგები გააუქმა და საფეხბურთო სამყაროს ამ ნაწილს ყრილობაზე ხმის უფლება ჩამოართვა. ამან უფლებაჩამორთმეული დელეგატები აღაშფოთა და მეტად მყვირალა განცხადება გააშანშალეს: „ჟორდანია უხეშად ლახავს ეროვნული ფეხბურთის ინტერესებს და თავს მონარქად მიიჩნევს..."

მართლაც, ჟორდანიას გადაწყვეტილება ბევრს აოცებს — არჩევნები სწორედ აზრთა სხვადასხვაობას ნიშნავს და მისი აღკვეთის მცდელობაც გაუგებარ საქციელად მოჩანს.

საარჩევნო ციებ-ცხელების ერთ-ერთი ძირითადი მონაწილენი ცნობილი ადამიანები გახდნენ. ბადრი პატარკაციშვილმა საჯაროდ დაუჭირა მხარი პეტრიაშვილს. ასევე მოიქცა ვანო ჩხარტიშვილიც. სწორედ მათი მხარდაჭერის გამო იყო, რომ პეტრიაშვილის მისამართით ბრალდებები გაისმა, თითქოს მას ბიზნესმენები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ.

**პეტრიაშვილი** ყოველივე ამის შესახებ ასეთ კომენტარს აკეთებს:

*— ენას ძვალი არა აქვს და ამიტომაც არ მსურს ასეთ დაუსაბუთებელ ბრალდებებზე პასუხის გაცემა. პირიქით, ნებისმიერი კანდიდატისთვის სასიხარულო უნდა იყოს, თუ ბიზნესმენები რომელიმეს მხარში ამოუდგებიან — ე.ი. ისინი ფეხბურთის განვითარებაზე ფიქრობენ. ჩვენ ერთობლივი ძალებით ქართული ფეხბურთის აღორძინების იმედი გვაქვს, ფეხბურთს კი დიდძალი თანხა სჭირდება და არ მესმის, მათ თანადგომაში რა არის სამარცხვინო. მხოლოდ ენთუზიაზმით ჯერ საქმე არ გაკეთებულა. მეტიც, უცხოურ ფედერაციებში სპონსორების მოსაზიდად საგანგებო ჯგუფებიც კი მუშაობენ.*

...პეტრიაშვილის მომხრეთა შორის აღმოჩნდნენ ასევე ლევან გაჩეჩილაძე, დავით გამყრელიძე და თემურ ჭყონია. ისინი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრებიც არიან და, აქედან გამომდინარე, ყრილობაზე პეტრიაშვილისთვის



სამი ხმის შეშველებას აპირებდნენ, რომ არა ჟორდანიას სიურპრიზი, — სამი სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენისთვის აღმასკომიდან გარიცხული ბრძანდებითო.

... თავდაპირველად ზემოთ მოხსენიებული ბიზნესმენები მერაბ ჟორდანიამ ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ „შერატონ მეტეხი-პალასში" საზეიმოდ შეკრიბა და საზოგადოებას აღმასკომის წევრებად წარუდგინა. ეს იყო ბიზნესისა და ქართული ფეხბურთის დაახლოების სასურველი მცდელობა, რომელიც სამწუხაროდ, წარუმატებლად დასრულდა. ბიზნესმენებმა ჟორდანიასთან თანამშრომლობა არ ისურვეს. ისინი აღმასკომის სხდომებსაც პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდნენ. მიუხედავად ამისა, 24 ივნისს აღმასკომზე პოზიციების დასაფიქსირებლად გამოცხადდნენ. იმ დღეს აღმასკომის წევრები ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების პროგრამას ეცნობოდნენ. არადა, როგორც მოგახსენეთ, მათ ჟორდანიამ კარისკენ მიუთითა.

**თემურ ჭყონია:**

*— ჟორდანიას საქციელი პირადად ჩემთვის შეურაცხმყოფელიც არის და გაუგებარიც. ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის საქართველოში „კოკა-კოლამ" უზარმაზარი წვლილი შეიტანა, რომელიც მათ არ დააფასეს.*

*მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორი „კოკა-კოლა" და „მაკდონალდსია", რომლის წარმომადგენელიც საქართველოში მე ვარ. ქართული ფეხბურთის ბიუჯეტშიც არცთუ უმნიშვნელო წვლილი შემქონდა. სამწუხაროდ, ერთხანს შეფერხებები ჩვენი მიზეზითაც იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ფედერაციაზე ხელი ავიღეთ. მეტიც, წინა არჩევნებში ჟორდანიას მხარდამჭერი ვიყავი და ახლა რატომ გვკრა ხელი, ჩემთვის აუხსნელია. ფაქტია, რომ მან ბიზნესმენებთან თანამშრომლობა არ ისურვა და ამით ქართულ ფეხბურთში სოლიდური ინვესტიციების მოზიდვას შეეწინააღმდეგა.*

აღმასკომიდან გარიცხული წევრების ბრალდებებს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პასუხი გასცა. გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ საჯაროდ განაცხადა, რომ თემურ ჭყონია კი არა, „კოკაკოლას" ცენტრალური ოფისი აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებსო. **მერაბ ჟორდანია** კი აღმასკომის გადაწყვეტილებას ასე ხსნის:

*— აღმასკომის დებულების თანახმად, მისი წევრი სამი სხდომის გაცდენისთვის ავტომატურად ირიცხება. ისინი, ვინც ახლა აღშფოთებულნი არიან, სამი წელია, ახლოსაც არ გაგვკარებიან და, ბუნებრივია, გავრიცხეთ.*

**— მეტოქენი ამტკიცებენ, რომ მათ სხდომების თაობაზე არავინ აფრთხილებდა...**

*— ნება მომეცით, მათი გამონათქვამი უკომენტაროდ დავტოვო. ამასთანავე, არც იმას დავმალავ, რომ სავსებით საწინააღმდეგო ინფორმაცია მაქვს.*

**— ფაქტია, რომ ცნობილი ბიზნესმენების იმედი აღარ გაქვთ...**

*— ჩემგან ამ საკითხის კომენტირება არაკორექტული იქნება. შესაძლოა, ამით თავად პეტრიაშვილს მივაყენო ჩრდილი. იმასაც გეტყვით, რომ მათზე არანაკლები მხარდამჭერები მყავს ბიზნესმენთა წრეში. საერთოდ კი ყველას მოვუწოდებ, მხარი დაუჭირონ ფეხბურთს და არა პიროვნებებს.*

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, „მრეტების" პრეზიდენტი **ვაჟა ჩხაიძე** ყურადღებას სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე ამახვილებს:

*— ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა შოთაძემ უცნაური განცხადება გააკეთა, ჩვენ რომ არ გვნდომოდა, პეტრიაშვილს და ჩხაიძეს რეგისტრაციაში არ გავატარებდითო. ასეთი საკითხები არა შოთაძის მონდომებით, არამედ ფედერაციის დებულებით არის გათვალისწინებული. სწორედ იურიდიული ნორმების უგულებელყოფა არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი სატკივარი... ყრილობაზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფედერაციის იმ სუბიექტს აქვს, რომელიც იხდის საწევროს და მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს. ამიტომაც გამიკვირდა, რომ ბავშვთა ფეხბურთის საფეხბურთო სკოლები არ აღმოჩნდნენ სუბიექტები და სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი კი სუბიექტებად განიხილება... ჟორდანიას მოღვაწეობის შედეგი ყველამ მშვენივრად იცით: მას არც ქართველი და არც უცხოელი ბიზნესმენი ახლოს არ ეკარება.*

ჩვენ კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი იმდენად დიდი ცდუნება ყოფილა, რომ მისი შენარჩუნების ინსტინქტმა, უმთავრესი — ფეხბურთის სიყვარული მიჩქმალა. 21-ე საუკუნეში ჩვენ კვლავ კომუნისტურად ვაზროვნებთ. მგონი, ბევრი ჩვენგანისთვის ჯერაც გაუგებარია, რისთვის სჭირდება ფეხბურთს ფული, საქმეს — სიყვარული და ქვეყანას — სუფთა ხელებით საქმის კეთება.

**ლაშა დუმბაძე**

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ქ**b4**-მ**d5**!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# სიახლე მკითხველის პრემია სიახლე

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს ამიერიდან თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №25 (299) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 593 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 245-მა ქალმა და 343-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე ეფექტური სატელევიზიო რეკლამა?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, მაგთი GSM-ის რეკლამა ნინო კალანდაძისა და ანრი ბასილაიას მონაწილეობით ყველაზე ეფექტურად მოქმედებს მომხმარებელზე. მკითხველთა 25%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური ქულით. ამ ტელერეკლამის აშკარა უპირატესობა სხვა რეკლამებთან შედარებით უდავოდ სიუჟეტით, მუსიკალური გაფორმებითა და სიმპათიური მონაწილეებით არის განპირობებული. გასათვალისწინებელია, ასევე, რეკლამის ხანგრძლივობის ფაქტორიც **5,90** საშუალო ქულით მაგთი GSM პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა შაქარი „პუმატი". პოპულარული ზვიოს პოპულარული დიალექტით გახმოვანებული ეს ტელერეკლამა, როგორც ჩანს, საკმაო გავლენას ახდენს რესპონდენტებზე, საშუალო ქულაა 5,85. საგულისხმოა, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით „პუმატი" (27%) წინ უსწრებს მაგთი GSM-ს.

ჯეოსელი, რომელიც გივი სიხარულიძის მეშვეობით ხმოვანი შეტყობინების სერვისს გვთავაზობს, მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,57. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტითაც, მუსიკალური გაფორმებითაც და ასევე სიმპათიური მსახიობითაც არ ჩამოუვარდება ეს ტელერეკლამა მაგთი GSM-ის რეკლამას. ამის უტყუარი დასტურია ის, რომ ყველაზე მეტმა, მკითხველთა 29%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ სატელევიზიო რეკლამებთან შედარებით ნაკლებად ეფექტურია „კანარგოს", „ბიგ ბაბოლისა" და „MBG"-ს რეკლამები.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 55 წლის **ზაურ დოლენჯაშვილია.** ბატონმა ზაურმა, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ბიგ ბაბოლს" ორის ნაცვლად ერთი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „MBG"-ს — პირიქით — ერთის ნაცვლად — ორი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 3 ივლისს, 17 საათზე.

**P.S.** შეიძლება ზოგისთვის ეს უბრალო სტატისტიკაა, მაგრამ რეიტინგის ეს ნომერი საიუბილეოა, რიგით მესამასე. გილოცავთ ყველა აქტიურ მონაწილეს და წარმატებებს გისურვებთ!

## №26 (300) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის შეფასებაში.

**№26 (300) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 3 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 4 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №26 (300) — დასვენება

**თქვენი აზრით, რა არის სრულფასოვანი დასვენებისათვის ყველაზე აუცილებელი ატრიბუტი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№26(300) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ატრიბუტი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მეგობრები | |
| 2 | კარგი ამინდი | |
| 3 | თავისუფალი დრო | |
| 4 | ზღვა | |
| 5 | ავტომობილი | |
| 6 | ფული | |
| 7 | ჯანმრთელობა | |
| 8 | განწყობა | |
| 9 | სტაბილური მდგომარეობა ქვეყანაში | |

მკითხველის შეფასება

სერიალში „ძალის წინ" რომელი გმირი იწვევს თქვენს ყველაზე დიდ სიმპათიას?

✓ ____________

მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________

____________
თქვენი სახელი, გვარი

____________
ქალაქი (რაიონი)

____________ ____________
ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის" ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს

## მკითხველის შეფასების შედეგები

ივნისის თვის ადამიანი საქართველოში

| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 47,3% |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 13,6% |
| 3. | პიტერ შოუ | 9,7% |
| 4. | ლევან გაჩეჩილაძე | 2,4% |
| 5. | ავთანდილ ჯორბენაძე | 1,9% |
| 6. | ზურაბ ჟვანია | 1,7% |
| 7. | გია ჟიძია | 1,5% |
| 8. | უცნობი | 1,0% |
| 9-10. | ედუარდ შევარდნაძე | 0,7% |
| 9-10. | შაქრო კალაშოვი | 0,7% |

*ივნისის თვის ადამიანის დასახელება მკითხველთა 8%-ს გაუჭირდა. 2,4%-მა კი განაცხადა, რომ ამ ტიტულს არავინ იმსახურებს.*

*მკითხველის რეიტინგში 412 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## მკითხველის პრემია

**დასახელდა მკითხველის პრემიის პირველი ლაურეატი. პუბლიკაციისათვის ინტერვიუ ვახუშტი კოტეტიშვილთან — თქვენი პრემია — 50 ლარი გადაეცემა რუბრიკა „კვირის ინტერვიუს" უცვლელ ავტორს — ზურაბ მჭედლიშვილს**

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

### „ფოტოპალიტრა" საზაფხულო არდადეგებზე მიდის...

წინ დიდი ზაფხულია... თქვენი არ ვიცი, მე კი ვატყობ, ცოტა არ იყოს, გადავიღალე. ველარც თქვენ გატყობთ დიდ მოზღვავებულ ენერგიას... ჰაერი, ზღვა და მთა გვჭირდება ყველას... აბა, ჰე!

შემოდგომაზე კი კვლავ ერთად ვიქნებით — მე ჩემი ახალი ფოტოებით, თქვენ თქვენი კარგად ალესილი იუმორით.

ბედნიერ ზაფხულს გისურვებთ.

მანამდე, რომ არ მოიწყინოთ, თქვენთან ჩემს ღრმაასაკოვან ძმას ვტოვებ — ამიტომ ჰქვია „ფოტოანტიკვარი". თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები", გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.

*თქვენი „ფოტოპალიტრა"*

## · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·



ვალერი ხაბურძანია, კობა ნარჩემაშვილი

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 127 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**კ.ნ.** — გაიგე, შოუ მოუტაციათ!
**ვ.ხ.** — რას ამბობ, კაცო, ჯოტია ცაავას შეყვარებული? ქვის სროლა და დედის გინება ახლა ნახე შენ!

*მათე სულწაძე, წყალტუბო*

**კ.ნ.** — ხელს რომ იწევ, იცი გაკვეთილი?
**ვ.ხ.** — არა, ტუალეტში მინდა.

*სოსიკო და ნინიკო, დედოფლისწყარო*

**კ.ნ.** — ვალერი, ეს ღილი უბრალო არ გეგონოს, პიტერ შოუსია.
**ვ.ხ.** — რაც მთავარია, გიპოვია, ახლა პატრონი დაგვრჩა მოსაძებნი.

*იოსებ ჯლამაძე, თბილისი*

ძალოვნები შოუს შოუდან: „ვის უნდა 15 ათასი".

*მამუკა ჩხიროძე, სამტრედია*

**კ.ნ.** — ახლა დაგიწყებენ, საიდან იარაღიო, ვისი იყოო...
**ვ.ხ.** — რა გაახურეს საქმე ამ ჟურნალისტებმა, "Такие вопросы задают, неудобно отвечать".

*ი. მღვდლიაშვილი, თბილისი*

**ვ.ხ.** — გაიგე, შენგელიას მთლა მუქთად რომ უყიდია ის იარაღი?
**კ.ნ.** — აბა, კაცო, თევზაძეს უნდა ვურჩიო, მომარაგებაში აიყვანოს, თავდაცვის ბიუჯეტის მესამედით საუკეთესო შეიარაღებას შეიძენს.

*უავტორო*

## ფოტო განწყობისთვის



— მოდი, „კვირის პალიტრას" გავუგზავნოთ წერილი, ვინ მოიგონა ქოლგა... შიმშილ და წვიმაშიც ახწრიალებს...

1/VII უკანასკნელი მეოთხედი
მაგნიტური დღეებია:
2/VII — 22-დან - 24 სთ-მდე

## წინა სკანვორდის პასუხები






## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

«კვირის პალიტრა» სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ ჟურნალისტებს და ფოტოკორესპონდენტებს

გასაუბრებაზე მობრძანდით რედაქციაში ხუთშაბათს, 4 ივლისს, 16 საათზე.
მისამართი: აკურის ქ. № 8.
(სპორტის სასახლის უკან)
წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები

* * *

რამდენიმე დღის წინ, დიდ ბრიტანეთში შედგა



ტრადიციული დოღი Toyal Ascot-ი. დოღს ყოველთვის თავად დედოფალი ხსნის. ტრადიციის თანახმად, მიწვეულ სტუმრებს ახურავთ ორიგინალური ფორმის შლაპები. შლაპების დღესასწაულს თავისი სახელწოდებაც კი აქვს Lady's Day (ქალების დღე). დედოფლის ბრძანებით დოღზე ბრიტანელები ცილინდრებში, შლაპებში, საღამოს სამოსსა და სმოკინგებში გამოცხადდნენ.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტურია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*რაიონებში არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთხშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (26) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ——————————

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№26 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 4 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## აი... კურიოზი...

მეცნიერმა სმიტმა ერთი გამოჩენილი მანდილოსნის სალონში მოხსენება წაიკითხა წყალქვეშა ტელეგრაფის შესახებ, რომელიც მაშინ გაყავდათ ევროპასა და ამერიკას შორის.



მანდილოსანმა დიდი მადლობა გადაუხადა მეცნიერს საინტერესო და გასაგები მოხსენებისთვის და თან დასძინა:

— ყველაფერი ნათელია, უმნიშვნელო წვრილმანიც კი კარგად ახსენით, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: გადაცემის დროს დეპეშები რატომ არ სველდება?

* * *

მამაკაცები საუბრობენ:



— ჩემი ცოლი მაგარ დიეტაზეა, მარტო ბანანებსა და ქოქოსს ჭამს.

— დაეტყო?

— მაგრად... თვალის დახამხამებაში ხის კენწეროზეა...

* * *

ორმა ძაღლმა შეიხედა დისკოთეკაზე. ერთი ეუბნება მეორეს:



— მე რომ ეგრე ვიკლაკნებოდე, ჩემი პატრონი რწყილების დიხლოფოსით გამბერავდა...


## ფირმა „ბერმუხა"



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფირმების სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".